ვუძღვნი ჩემი მშობლების
ირაკლი აბაშიძისა
და **ნელი ჟორდანიას**
ხსოვნას

ზურაბ აბაშიძე

ცივი ომი

წარსული თუ დღევანდელობა?

თბილისი
2009

ISBN 978-99928-20-36-0
© ზურაბ აბაშიძე, 2009

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

თავი I

„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ“... 10

„გთხოვთ, ნუ აწყენინებთ სტალინს“... 14

„რკინის ფარდა“ 21

„დიდი გადანაწილების“ ჰუმანიტარული ასპექტები 26

თავი II. კრიზისიდან კრიზისამდე

„უცნობი ომი“ კორეის ნახევარკუნძულზე 33

„მარმელადის ბუნტი“ გერმანიაში. ორი გერმანია 39

„ამბოხება კრემლში“. კომპარტიის XX ყრილობა 46

რევოლუცია უნგრეთში 51

ომი სუეცის არხთან 58

ჩინეთი „გაგიჟდა“ 65

ჩინეთის კულტურული რევოლუცია და შოთა რუსთაველი 71

თავი III

ხრუშჩოვის უზუსტესი რაკეტები და მისი სიურრეალისტური დიპლომატია 74

კვლავ ბერლინის კრიზისი: Ich bin ein Berliner! 80

ატომური შანტაჟი კუბის ტროპიკებში.....88

„ვის ვენდოთ: დასავლეთს თუ აღმოსავლეთს?“ 98

თავი IV

ილუზიების დასასრული და კონფრონტაციის
ახალი რაუნდი 105
ომი ვიეტნამის ჯუნგლებში.....111
„პრაღის გაზაფხული“ და „ჩვენი ლეონიდ ილიას ძე“ 120
„ცხელი ომები“ ახლო აღმოსავლეთში 127

თავი V

ნანატრი სტრატეგიული პარიტეტი და განმუხტვის ეპოქა 133
თაფლობისთვე და კვლავ უთანხმოებები 141

თავი VI. განმუხტვის დასასრული

ავღანეთის ტრაგედიის დასაწყისი 155
ირანის ისლამური რევოლუცია.....162
ბოლო „აკორდი“ პოლონეთში 168

თავი VII

საბჭოთა „პერესტროიკის“ თანაავტორი რონალდ რეიგანი 178
ახალი აზროვნება და ახალი რეალობები 188
მტრის ხატის რღვევა 194
„პატრიარქის შემოდგომა“ და ერთიანი ევროპა 204
20 წლის შემდეგ 212

ბოლოსიტყვაობა.....215

ციტირებული ლიტერატურა 216

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

თბილისის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლექციათა კურსის კითხვისას უცნაური რამ აღმოვაჩინე: სტუდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ცოტა, ან თითქმის არაფერი იცის „ცივი ომის“ ეპოქის შესახებ. ის, რაც ჩემი თაობისთვის საყოველთაოდ ცნობილი, გუშინდელი მოვლენებია, მათთვის შორეული ისტორიული წარსულია, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს დღევანდელობასთან. მართლაც, სულ ახლახან ქართველ ბიჭებს საბჭოთა ჯარში იწვევდნენ ავღანეთში „ინტერნაციონალური მოვალეობის“ მოსახდელად. ჩემი სტუდენტები კი ისე მისმენენ, თითქოს ტროის ომზე ვსაუბრობდე.

„ცივმა ომმა“ თითქმის 45 წლის მანძილზე მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ტრაგიკული დაღი დაასვა ცალკეულ ქვეყნებსა და ერებს. ამის არცოდნა დაუშვებელია. მართალია, არც ჩემმა თაობამ იცოდა ბევრი რამ იმის შესახებ, თუ რა მოხდა უნგრეთში 1956 წელს, ან რა ხდებოდა რეალურად 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში. არ ვიცოდით, რადგან ობიექტურ ინფორმაციამდე ხელი არ მიგვიწვდებოდა. მაგრამ დღეს ხომ ინფორმაციას არავინ უზღუდავს ახალგაზრდებს. სიბრმავე სიბრმავემ არ უნდა შეცვალოს.

„ცივი ომის“ ეპოქაზე საუბრისას ზოგჯერ ასეთ შეფასებებსაც ვხვდებით: რადგან იმ პერიოდში ორი მხარე – ე.წ. სოციალისტური ბანაკი და დასავლეთის სამყარო – უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ორივე ერთნაირად აგებს პასუხს ისტორიის წინაშე, ანუ ზნეობრივად ისინი თანასწორი იყვნენ, ან ბევრად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ბოროტებისა და მის წინააღმდეგ მიმართული ძალის ერთნაირი შეფასება პრინციპულად არასწორია. რონალდ რეი-

განმა საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა და იგი არც შემცდარა. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ნათლად ჩანს ბოროტების ის მასშტაბები, კომუნისტურმა ექსპერიმენტმა თავს რომ დაატეხა საკუთარ ხალხებს, ახლობელ თუ შორეულ მეზობლებს.

ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობასა თუ პატრიოტიზმს ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში შეუძლია მეტ-ნაკლებად გაიკვლიოს გზა, და ხშირად ასეც ხდებოდა. ისიც ფაქტია, რომ ბევრი უანგაროდ და გულწრფელად ემსახურებოდა საბჭოთა წყობილებას, მილიონებმა მას ომში გმირულად სიცოცხლეც კი შესწირეს. მაგრამ საბოლოო ჯამში ბოროტება ბოროტებად უნდა შეაფასონ იმ თაობებმა, რომლებსაც იმ ეპოქასთან არავითარი შეხება არ ჰქონიათ და ჩვენც, ვისაც გვერგო თავს მოხვეული არჩევანი და მეტ-ნაკლებად ვემსახურეთ მას.

გლობალური დაპირისპირების პირობებში შეიძლება არც დასავლეთის სამყარო ფლობდა სრულ ჭეშმარიტებას, არც ის იყო სრულყოფილების ეტალონი. როდესაც პოლიციელი დამნაშავის წინააღმდეგ უკანონო მეთოდებს იყენებს, ისიც დამნაშავე ხდება. ფაქტია, რომ „ცივი ომის“ პერიოდში კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ ხშირად არღვევდა საერთაშორისო სამართალს, დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპებს. მაგრამ ძალმომრეობის მასშტაბებით კომუნისტურ ექსპერიმენტებს ისტორიაში ბადალი არ ჰყავს. შევახსენებ ახალგაზრდა მკითხველს, რომ საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სხვა კომუნისტური ქვეყნების თვითმარქვია, უკანონო რეჟიმებმა, რომლებიც საკუთარი ხალხის ნებით არასდროს აურჩევიათ, გასული საუკუნის მანძილზე სხვადასხვა პოლიტიკური რეპრესიების შედეგად გაანადგურეს ათობით მილიონი თავისივე მოქალაქე. თვითგანადგურების ასეთი მასშტაბები კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ამაში კომუნიზმს XX საუკუნის ყველაზე დიდი ჭირი – ფაშიზმიც კი ვერ უდებს ტოლს. ვერანაირი მატერიალური კეთილდღეობა, კოსმოსის ათვისება თუ სპორტული მიღწევები ვერ გადაფარავს ასეთ დანაშაულს.

კომუნიზმის დასასრულისა და „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, ბევრი იმედოვნებდა, რომ მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის ერა დაიწყებოდა. მართალია, ბერლინის კედელი დაინგრა და ევროპა გაერთიანდა, მაგრამ ბევრგან დიდი ბოროტება უფრო მცირე ზომის ბოროტებებმა შეცვალა. სიდუხჭირე, უსამართლობა, უზნეობა და დაუცველობა ჩვენი ახალი ცხოვრების ნაწილია, ჩვენი დღევანდელი რეალობაა. ამ ბოროტების ნაწილი ახლო წარსულიდან მემკვიდრეობით გვერგო, ნაწილი კი ახალი ეპოქის პირმშოა, ჩვენი ნაღვაწ-ნამოქმედარი. საინტერესოა, როგორ შეაფასებენ დღევანდელ ეპოქას მომავალი თაობები.

ამ წიგნზე მუშაობა თითქმის დამთავრებული მქონდა, როდესაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები განვითარდა. ამ დრამატულმა და ჯერ კიდევ დაუმთავრებელმა ისტორიამ მსოფლიო ახალი„ცივი ომის“ საშიშროებაზე აალაპარაკა. თუმცა, ბევრმა არც კი იცის, თუ რას წარმოადგენდა ის ავად სახსენებელი ეპოქა. ამიტომაც ვცადე თვალის ერთი გადავლებით შემეხსენებინა მკითხველისათვის მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი და მისთვის მიმენდო წარსულის შედარება დღევანდელ დღესთან. იგი, ალბათ, ბევრ სხვაობასაც დაინახავს და ბევრ მსგავსებასაც. სწორედ ამიტომ შევურჩიე წიგნს სათაური: „ცივი ომი“: წარსული თუ დღევანდელობა?“

„ცივი ომის“ შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი ავტორებისა. ამიტომ რაიმე ახლის თქმა ძალიან რთულია და ეს მიზნად არც დამისახავს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ქართულ ენაზე ასეთი შრომების აშკარა ნაკლებობაა. სწორედ ამ არგუმენტით „ვიგულიანებდი“ თავს, როდესაც დავიწყე წიგნზე ფიქრი და მუშაობა.

მთავარი არგუმენტი კი ის გახლავთ, რომ „ცივი ომი“ ჩემი და ჩემი თაობის ეპოქაა. ჩვენ მისი შვილები ვართ. თუმცა არხეინ ახალგაზრდობაში ამას ხშირად ვერც კი ვაცნობიერებდით, რადგან გვეგონა, რომ ჩვენს ირგვლივ ხანგრძლივმა ან მარადიულმა მშვიდობამ დაისადგურა...

I. „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ...“

ამბობენ, რომ 1940-იან წლებში სტალინმა კრემლში სასულიერო პირი მიიღო, რომელიც შეხვედრაზე სამოქალაქო ტანსაცმლით მისულა. ამის გამო სტალინს „უხუმრია“: შენ გეტყობა, ჩემი უფრო გეშინია, ვიდრე ღმერთისო.

II მსოფლიო ომის მიწურულს დასავლეთის ქვეყნების ლიდერებსაც, უპირველეს ყოვლისა ვაშინგტონსა და ლონდონში, ალბათ, ეს კითხვა ტანჯავდათ: ღმერთის რისხვა უფრო საშიში იყო, თუ სტალინის პოლიტიკა?

II მსოფლიო ომში გამარჯვებული „დიდი სამეულის“ (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი) ლიდერებიდან, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი რომანტიკოსი ფრანკლინ რუზველტი იყო. მას სჯეროდა, რომ მოკავშირეები ომის შემდგომაც გააგრძელებდნენ თანამშრომლობას, რაც მსოფლიოს ხანგრძლივ მშვიდობასა და კეთილდღეობას მოუტანდა. საერთაშორისო სტაბილურობისა და სამართლის გარანტის ფუნქცია, აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, გაეროს უნდა შეესრულებინა, რომლის შექმნაზეც იგი ბევრს ფიქრობდა და ზრუნავდა. ომის შემდგომ მსოფლიოში სამართლიან წესრიგსა და მშვიდობაზე უმთავრესად „ოთხ პოლიციელს“ – აშშ-ს, სსრკ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთს უნდა ეზრუნათ, რომლებიც ჰარმონიულად ითანამშრომლებდნენ ერთმანეთთან და თანასწორუფლებიან სხვა სახელმწიფოებთან.

მაგრამ XX ს-ის აშშ-ის ყველაზე დიდ პრეზიდენტს არც ომის დამთავრება დასცალდა და არც მშვიდობის ხილვა. იგი 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა. ცნობილია, რომ რუზველტი აშკარა სიმპათიით იყო განწყობილი სტალინის მიმართ, რასაც ეს უკანასკნელი სიმპათიითვე უპასუხებდა. სტალინისთვის უფრო რთული და ჯიუტი პარტნიორი უინსტონ ჩერჩი-

ლი იყო, რომელსაც აშკარად არ ჰქონდა ილუზიები საბჭოთა რეჟიმის მიმართ. იგი თვლიდა, რომ „კაცობრიობის ისტორიაში ყველა ტირანიათა შორის ყველაზე საშინელი, დამანგრეველი და საზიზღარი ბოლშევიკური ტირანიაა“[1]. უფრო მეტიც, დიდი ბრიტანეთის პრემიერი, როგორც უაღრესად გამოცდილი პოლიტიკოსი, ნათლად ხედავდა საფრთხეს, რაც ომის მიწურულს წითელი არმიის გერმანიის საზღვრებთან მიახლოებას მოჰყვა. საბჭოთა ჯარი მართლაც გმირულად ათავისუფლებდა აღმოსავლეთ ევროპას ფაშისტებისაგან, მაგრამ იმავდროულად თვითონ იკავებდა მათ ადგილს და ნიადაგს ჰქმნიდა ამ ქვეყნებში მოსკოვის სატელიტური რეჟიმების დასამყარებლად.

ცნობილია, რომ სტალინი არასდროს აკარებდა ემოციებსა და სენტიმენტებს თავის ცხოველურად პრაგმატულ პოლიტიკას. მაგრამ რუზველტთან მისი განსაკუთრებული პირადი ურთიერთობა გარკვეულად მაინც ზღუდავდა ბელადს ევროპაში საკუთარი შორს მიმავალი ექსპანსიონისტური გეგმების გამომზეურებაში. პრეზიდენტის სიკვდილმა სტალინის წინაშე ეს ფსიქოლოგიური ბარიერებიც მოშალა და მთლიანად გაუხსნა მას ხელ-ფეხი: ბალტიისპირეთს, ავსტრიას, უნგრეთს, პოლონეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას ახლა უკვე საბჭოთა ოკუპაციის საფრთხე ემუქრებოდათ.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მოკავშირეების მიმართ სტალინის უკმაყოფილება მთლიანად უსაფუძვლო არ იყო. იგი ჯერ კიდევ 1942 წელს სთხოვდა მათ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. ამასთან დაკავშირებით ჩერჩილს უთქვამს კიდეც: „საბჭოთა კავშირთან ერთად ომი საშინელებაა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება გერმანელების წინაშე მარტო დარჩენა იქნებაო“. მაგრამ დასავლეთის ფრონტის გახსნა ჯერ 1943, ხოლო შემდეგ 1944 წლისათვის გადაიდო. სტალინი მოკავშირეების არგუმენტებს არ ენდობოდა და მიიჩნევდა, რომ მათი შეყოვნების ჭეშმარიტი მიზეზი ოპერაციის სამხედრო მოუმზადებლობა კი არ იყო, არამედ სურვილი ერთნაირად დაესუსტებინათ სისხლისმღვრელ ბრძოლებში გერმანიაც და საბჭოთა კავშირიც. მაგრამ, როდესაც ბოლოს და ბოლოს 1944 წელს მოკავშირეებმა საზღვაო დესანტი გა-

დასხეს ჩრდილოეთ საფრანგეთში და გერმანელებს შეუტიეს, საბჭოთა ჯარი უკვე ბრძოლებით მიიწევდა დასავლეთისკენ.

ომის შემდგომი ეპოქისათვის სტალინის მიზანი იყო საკუთარი პერსონის, რეჟიმის, ქვეყნისა და იდეოლოგიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა – აი, ზუსტად ასეთი თანმიმდევრობით[2]. ამიტომ იგი ფიქრობდა არა ომამდელ ძალთა ბალანსის შენარჩუნებაზე ევროპაში, არამედ ევროპის დამორჩილებაზე. ბუნებრივია, ეს გეგმა ძირეულად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის როგორც ფასეულობათა ხედვას, ასევე სტრატეგიას. ვაშინგტონისა და ლონდონისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ევროპელებისათვის სხვისი პოლიტიკური ნებისა და ცხოვრების წესის თავსმოხვევა. როგორც ჩანს, რუზველტიცა და ჩერჩილიც შინაგანად შეგუებულნი იყვნენ იმ აზრს, რომ ომის შემდეგ სტალინი შეეცდებოდა აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა გავლენის სფეროში მოექცია. მაგრამ ახალი რეალობა სხვაგვარად იკვეთებოდა: სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა ევროპაში არა გავლენის სფეროს გაფართოება, არამედ გერმანიის ოკუპაციის ჩანაცვლება კომუნისტური რეჟიმით. ეს კი აშკარად ამსხვრევდა რუზველტის ოცნებებს მომავალ ჰარმონიულ მსოფლიოზე. ორი კვირით ადრე გარდაცვალებამდე იმედგაცრუებულ პრეზიდენტ რუზველტს უთქვამს: სტალინმა ყველა ის პირობა დაარღვია, რომელიც იალტის კონფერენციაზე მოგვცაო.

მაგრამ II მსოფლიო ომიდან აშშ მაინც დიდ ტრიუმფატორად გამოდიოდა. თუკი ამ ომამდე აშშ მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო, ომში გამარჯვებამ ვაშინგტონს ახალი ისტორიული მისია შესძინა – ამიერიდან აშშ მსოფლიო ზესახელმწიფოდ გვევლინება. მისი ინტერესები გლობალურ ხასიათს იძენს, ისინი ამიერიდან პლანეტის ყველა რეგიონზე ვრცელდება. აშშ-ის მთავარი იდეოლოგიური იარაღია დემოკრატია და თავისუფალი არჩევანი, რაც ფაშიზმისაგან განთავისუფლებული ერების სულისკვეთებას მიმზიდველად ეხმიანებოდა. მაგრამ ბევრისათვის არანაკლებ მიმზიდველი ხდება ძლევამოსილი საბჭოთა ბელადი, რომელმაც ომში გამარჯვების მთავარი ტვირთი ზიდა და არნახულად გააძლიერა კრემ-

ლის საერთაშორისო ავტორიტეტი. სწორედ ამიტომ ომის დასრულებასთან ერთად კომუნისტური მოძრაობა ძალას იკრებს ისეთ კლასიკურ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი.

რაც შეეხება ჩერჩილს, იგი ნათლად ხედავდა, რომ მსოფლიოს ნომერი პირველი იმპერიის – დიდი ბრიტანეთის დასუსტება ომის შემდგომ გარდაუვალი იყო აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის გაძლიერების ფონზე. თუკი ომის დროს მთავარი ამოცანა იყო ინგლისის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა, ომის ბოლოსკენ ჩერჩილის გენია იმაზე მუშაობს, რომ მაქსიმალურად შეინარჩუნოს იმპერიის გვირგვინის სიდიადე და ევროპაში ტრადიციული ბალანსი. თუმცა იგი ნათლად აცნობიერებს, რომ ლონდონი ამას დამოუკიდებლად ვეღარ შეძლებს. ამიერიდან მსოფლიოში მისი გავლენის შენარჩუნების მთავარი დასაყრდენი ვაშინგტონია, რომელიც უკვე არავის დაუთმობდა პირველობას. ამავე დროს აშშ-ისათვის, როგორც ბრიტანეთის ყოფილი დომინიონისათვის, მიუღებელი იყო ლონდონის იმპერიული ამბიციები და აზროვნება. რუზველტს ასეთ ფრაზასაც კი მიაწერენ: „ამერიკის ტრადიცია ბრიტანეთის მიმართ უნდობლობაა და ზიზღიცო“[3].

ასე რომ, ომის დასასრულთან ერთად დასავლეთის სამყაროს პოლიტიკურმა დედაქალაქმა თანდათან ლონდონიდან ვაშინგტონში გადაინაცვლა.

1945 წლის მაისში, ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, „დიდი სამეულის“ წევრები ერთხანს კიდევ მოკავშირეთა ენაზე საუბრობენ. მდინარე ელბაზე ამერიკელი და საბჭოთა ჯარისკაცების ისტორიული შეხვედრისა და მათი დაძმობილების კადრებს აღტაცებაში მოჰყავს მილიონობით ადამიანი, მათ შორის საბჭოთა კავშირში, სადაც მეგობრებად მიიჩნევენ ამერიკელებსა და ბრიტანელებს. მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ჰორიზონტზე უკვე ღრუბლები გროვდება...

ოცნებებს მომავალი ჰარმონიული მსოფლიოს შესახებ 1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე დაესვა წერტილი. ბერლინის ახლოს ივლის-აგვისტოში შეკრებილი სამი ლიდერის –

ტრუმენის, სტალინისა და ჩერჩილის შეხვედრამ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ევროპის, და შემდეგ მსოფლიოს, ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფას.

მართალი უთქვამთ: ომის მოგება უფრო იოლია, ვიდრე მშვიდობისო.

„გთხოვთ, ნუ აწყენინებთ სტალინს“...

პოტსდამის სესილიენჰოფის სასახლე გერმანიაში საბჭოთა ოკუპაციის ზონაში მდებარეობდა. სამი ლიდერის შესახვედრად ამ ადგილის შერჩევა უკვე რაღაცას მიანიშნებდა სტალინის სასარგებლოდ.

კონფერენციას უნდა განეხილა ევროპისა და მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები. და მართლაც, ლიდერებმა შეიმუშავეს გერმანიის სამომავლო მართვის მექანიზმი საოკუპაციო ზონების მიხედვით (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), შეათანხმეს რეპარაციების გეგმები, განიხილეს გაეროს ფუძემდებლური პრინციპები, იმსჯელეს აღმოსავლეთ ევროპისა და გერმანიის ყოფილი მოკავშირეების ბედზე. საბჭოთა დელეგაციისთვის დიდი მიღწევა იყო პოლონეთის ახალი - აღმოსავლეთი და დასავლეთი სახელმწიფო საზღვრების აღიარება, რის შედეგადაც ამ ქვეყანამ გეოგრაფიულად დასავლეთისაკენ „გადაიჩოჩა“.

მაგრამ უთანხმოებათა რაოდენობა კონფერენციაზე აშკარად მეტი იყო. კერძოდ, ტრუმენისა და ჩერჩილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა სტალინის მცდელობა, დაეკანონებინა საბჭოთა გავლენა და მარიონეტული რეჟიმები აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში, მისი მოთხოვნა ბოსფორის ყურეზე საბჭოთა ბაზის შექმნის შესახებ, გერმანიის რურის რეგიონზე „ოთხეულის“ მართვის იდეა და სხვა.

პოტსდამის კონფერენცია რამდენიმე საინტერესო ეპიზოდით შევიდა ისტორიაში. მაგალითად, ის ფაქტი, რომ კონფერენციის მსვლელობისას ჩერჩილი ლონდონში გაემ-

გზავრა და იქ არჩევნებში დამარცხდა, ყველასათვის, განსაკუთრებით კი საბჭოთა დელეგაციისთვის, შოკის მომგვრელი უნდა ყოფილიყო*. როგორ შეიძლებოდა ომში გამარჯვებული პრემიერი ვინმეს გადაერჩია? ან საერთოდ, ვინ ჰკითხავს ამომრჩეველს, თუ ვის ეკუთვნის ხელისუფლება? ასეთი კითხვები სტალინსაც გაუჩნდებოდა და მის გარემოცვასაც.

თუმცა დიდი პოლიტიკური გროსმაისტერის – ჩერჩილის გვერდზე გადგომა სტალინის ინტერესებში იყო. ჩერჩილი აშკარად უფრო ღრმად და დროულად ხედავდა ევროპაში საბჭოთა საშიშროებას, ვიდრე ამერიკელი მოკავშირეები, რომლებსაც კრემლთან ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ. დღეს დასავლეთში უმეტესად გავრცელებული აზრის მიხედვით, ამერიკელებს ჩერჩილისთვის რომ დაეჯერებინათ და პოტსდამშივე ძალის პოზიციიდან გაეტარებინათ მოსკოვისათვის „წითელი ხაზი“, სტალინი ვერ შეძლებდა აღმოსავლეთ ევროპაში თავისი გეგმების იმ მასშტაბით განხორციელებას, რაც მომდევნო წლებში მოახერხა, მით უმეტეს, რომ აშშ-ს უკვე გააჩნდა მეტად „დამაჯერებელი“ არგუმენტი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს კონფერენციის, ალბათ, ყველაზე ცნობილი და დღემდე მაინტრიგებელი ეპიზოდი.

ერთ-ერთი შესვენების დროს ტრუმენმა სტალინი გვერდზე გაიხმო და კოლეგიალურად ჩააყენა საქმის კურსში იმის შესახებ, რომ აშშ-მა რამდენიმე დღის წინ გამოცადა სრულიად ახალი ტიპის მასობრივი განადგურების იარაღი – ატომური ბომბი. ამ ლაკონიურ ინფორმაციას მართლაც ატომური ბომბის ეფექტი უნდა ჰქონოდა. საბჭოთა ლიდერს ფაქტობრივად მიანიშნეს, რომ ამიერიდან მსოფლიოში სამხედრო სტრატეგიული უპირატესობა აშშ-ს ეკუთვნოდა. სტალინს, რომელიც ყველაზე მეტად ძალას სცემდა პატივს, თავისი ადგილი მიუჩინეს. წინააღმდეგ შემთხვევაში...

---

* დიდ ბრიტანეთს კონფერენციაზე შემდეგ ახალი პრემიერი კლემენტ ეტლი წარმოადგენდა.

სტალინმა თავაზიანად მადლობა მოახსენა პრეზიდენტს ინფორმაციისათვის და გამოთქვა იმედი, რომ საჭიროების შემთხვევაში ამერიკელები ამ იარაღს იაპონიის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ.

აშშ-ის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა კარგა ხანს მარჩიელობდნენ, მიხვდა თუ არა სტალინი, რა მასშტაბის ინფორმაცია მიაწოდა მას ტრუმენმა. რა თქმა უნდა, მიხვდა. უფრო მეტიც, ამის შესახებ მას უკვე კარგა ხანია ჰქონდა საბჭოთა დაზვერვის ინფორმაცია. როდესაც სამი კვირის შემდეგ აშშ-მა ატომური იარაღით ნაგასაკი და ჰიროსიმა გაანადგურა, რაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ერთჯერადი ბარბაროსობა იყო, სტალინმა შესაბამისი დასკვნა გააკეთა: „ძალთა ბალანსი დაირღვა. ეს დაუშვებელია“[4]. საბჭოთა სპეციალისტებს უნდა დაეჩქარებინათ მუშაობა ბირთვულ იარაღზე.

მიუხედავად ბირთვული უპირატესობისა, ტრუმენი კონფერენციაზე მაინც ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა კავშირთან სამოკავშირეო ურთიერთობა. ვაშინგტონში ესმოდათ, რომ ომის შემდგომ მსოფლიოში ახალი გავლენის სფეროების შექმნა და ძალთა ბალანსის პოლიტიკა კვლავ კონფრონტაციასა და დაპირისპირებას გამოიწვევდა.

იმ დროისათვის ტრუმენი საერთაშორისო საქმეებში ნაკლებად გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, რუზველტის დიდ ჩრდილში მას მხოლოდ სამი თვის მანძილზე მოუწია ვიცე-პრეზიდენტად მუშაობა. რუზველტთან შედარებით უფრო ხისტი ხასიათის მქონე ტრუმენს, ამ თვისებისა და მის მიერ კრემლის მისამართით ადრე გაკეთებული უსიამოვნო განცხადებების გამო, ისედაც ეჭვიანი საბჭოთა ლიდერი კიდევ უფრო მეტი უნდობლობით უყურებდა. ამიტომ ტრუმენი ცდილობდა დაერწმუნებინა სტალინი აშშ-ის კეთილგანწყობასა და მეგობრობაში. როდესაც მოლაპარაკებათა ერთ-ერთი რაუნდის დროს სტალინის შეუვალ პოზიციაზე ტრუმენმა მკაცრი რეაგირება მოახდინა, მას სახელმწიფო მდივანმა იქვე დაწერილი პატარა ბარათი გადასცა: „გთხოვთ, ნუ აწყენინებთ სტალინს“.[5]

დღეს ეს რჩევა მართლაც ირონიულად ჟღერს. ამერიკე-

ლებს წელიწადზე მეტი დასჭირდათ იმის დასაჯერებლად, რომ სტალინის მოთაფვლა შეუძლებელი იყო. ომი დამთავრდა და სტალინი ახლა სხვა კატეგორიებით აზროვნებდა, მორალისა და კანონიერების მოთხოვნა მისთვის უცხო იყო. მას უკვე სხვა მოტივები ამოძრავებდა – მისი სტრატეგიული ამოცანა იყო ნებისმიერი გზით საბჭოთა იმპერიის გაფართოება. სტალინის რეჟიმსა და დემოკრატიულ დასავლეთს შორის ძირეული წინააღმდეგობები ომის პერიოდში მხოლოდ დროებით გადაიდო გვერდზე. ახლა, მშვიდობის დროს, დასავლეთთან დაპირისპირება საბჭოთა რეჟიმის შინაგანი, ორგანული მოთხოვნილება და აუცილებლობა იყო.

პოტსდამის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, ანუ როგორც რუსები იტყვიან – „მშრალი ნალექი“ – ევროპის გავლენის სფეროებად დაყოფა გახლდათ, რასაც XX საუკუნის ყველაზე ხანგრძლივი დაპირისპირება – „ცივი ომი“ მოჰყვა.

II მსოფლიო ომის დასასრულს საბჭოთა ჯარს დაკავებული ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა (იუგოსლავიის და ალბანეთის გარდა), ასევე ავსტრია და აღმოსავლეთ გერმანია. ამ ქვეყნებში გამალებით მიმდინარეობდა ხელისუფლებაში კომუნისტების გაძლიერება, ან საერთოდ მათ მიერ ძალაუფლების უზურპაცია. საფრანგეთსა და იტალიაში კომუნისტური პარტიები რიგით მეორე პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ასე რომ, სტალინი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი უნდა ყოფილიყო იმით, თუ რაოდენ გაიზარდა საბჭოთა გავლენა ევროპული მიმართულებით. თუმცა ისიც ჭეშმარიტებაა, რომ მის ამბიციებს საზღვარი არ ჰქონდა. მისი აზრით, გერმანია მთლიანად საბჭოთა გავლენის სფეროში უნდა მოქცეულიყო[6].

1945 წელს, იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მფლობელობაში გადავიდა კურილის კუნძულები, სახალინის ნაწილი და საზღვაო ბაზები მანჯურიაში*. ასე რომ, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთის მიმართულებითაც გაიძლიერა პოზიციები.

* ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ისტორიული სახელწოდება

როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სტალინს გამარჯვებული საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრები აფიქრებდა. ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად ქართულ საბჭოთა პრესაში გაჩნდა სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ მიითვისა თურქეთმა საქართველოს ტერიტორიები. გამოცდილი მკითხველისათვის ნათელი ხდებოდა, რომ საბჭოთა პროპაგანდა ნიადაგს ამზადებდა მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური აქციისათვის. და მართლაც, მოსკოვმა კატეგორიულად მოითხოვა დასავლეთის მოკავშირეების თანხმობა საბჭოთა კავშირისათვის თურქეთის ტერიტორიის ნაწილის გადაცემასა და ბოსფორის ყურეში საზღვაო ბაზის გახსნაზე, მაგრამ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთისაგან ასეთივე მტკიცე უარი მიიღო. უფრო მეტიც, ახალშექმნილ გაეროში აშშ-მა დააყენა საკითხი ირანიდან საბჭოთა ჯარის გაყვანის შესახებ, რომელიც იქ მოკავშირეთა შეთანხმებით 1942 წლიდან იდგა. სტალინს ამ შემთხვევაშიც მოუწია უკან დახევა.

მაგრამ, საერთო ჯამში ომის წინანდელ მასშტაბებთან შედარებით, საბჭოთა იმპერია აშკარად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და კიდევ მეტ გაფართოებას ცდილობდა.

ბუნებრივია, ანალიზი და დასკვნების გაკეთება მოვლენებიდან 40 წლის შემდეგ იოლი საქმეა. მაშინ კი, 1945-46 წლებში, დასავლეთის ქვეყნებისათვის, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ისათვის, მთავარი დილემა იყო, თუ რატომ ირღვეოდა სამოკავშირეო თანამშრომლობა სტალინთან და რა პოლიტიკა უნდა დაეპირისპირებინა ვაშინგტონს კრემლის ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ.

ყველაზე დამაჯერებელი პასუხი ამ კითხვაზე ვაშინგტონში მოსკოვიდან მიიღეს 1946 წლის თებერვალში. მისი ავტორი აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ვინმე ჯორჯ კენანი იყო, რომელიც შემდგომ ცნობილი მოღვაწე გახდა. ახალგაზრდა დიპლომატის დაშიფრული ინფორმაცია ისტორიაში შევიდა როგორც „გრძელი ტელეგრამა“. ფაქტიურად მან ჩაუყარა საფუძველი აშშ-ის სტრატეგიულ ხედვასა და პოლიტიკას მომდევნო ორმოცწლიანი „ცივი ომის“ ეპოქისათვის.

საინტერესოა, რომ „გრძელ ტელეგრამას“ გარკვეულწილად დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ავტორის კონცეპტუალური მოსაზრებები ეყრდნობოდა კომუნისტურ-სტალინისტური რეჟიმის იდეოლოგიის ანალიზს, რის საფუძველზეც კეთდებოდა მთავარი დასკვნა იმის შესახებ, რომ გარეშე მტრების არსებობა ამ რეჟიმის ორგანული მოთხოვნილება იყო. საბჭოთა კავშირისათვის აუცილებელი იყო გარეშე მტრის ხატი, რადგან ეს ამართლებდა ტოტალიტარულ რეჟიმს და მოსახლეობის მასობრივ დაშინებას, რომლის გარეშეც კრემლის ლიდერმა არც იცოდა და არც სურდა საკუთარი სახელმწიფოს მართვა. გარეშე მტრის ხატზე ლოცულობდნენ შპიონომანიის იდეოლოგები, მასვე ეწირებოდა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. კენანის ღრმა რწმენით, გულუბრყვილობა იყო აშშ-ის მხრიდან რაიმე დათმობაზე წასვლა იმის იმედით, რომ სტალინი დათმობითვე უპასუხებდა, რადგან კომპრომისების პოლიტიკა ომის შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო ინტერესებში აღარ შედიოდა. პირიქით, გარსშემორტყმული ციხე-სიმაგრის ფილოსოფია მას სწორედ ახლა სჭირდებოდა.

ასეთი მტრული გარემოცვის ფუნქცია მიუჩინა სტალინმა ახლა უკვე ყოფილ მოკავშირეებს – აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, მთლიანად დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროს, ანუ ამერიკის ურთიერთობის გამწვავებას კრემლთან კენანი განიხილავდა როგორც საბჭოთა სისტემის აუცილებელ, ენდემურ თვისებას. იგი მიიჩნევდა, რომ მოსკოვის მტრულ განწყობას გარე სამყაროს მიმართ რუსეთის ისტორიაში ჰქონდა ფესვები. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ რუსი ხელმწიფეები აცნობიერებდნენ, რომ მათი ერთპიროვნული მმართველობა და, საერთოდ, არქაული სახელმწიფო წყობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს. ამიტომ ისინი გაურბოდნენ დასავლეთთან პირდაპირ კავშირს იმის შიშით, რომ ასეთი ურთიერთობები თვალს აუხელდა რუს ხალხს თავის გაუსაძლის მდგომარეობაზე, განაწყობდა მას ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომაც რუსი მმართველები გაცილებით კომფორტულად გრძნობდნენ თავს დახურულ სივრცეში, გარეშე „მტრულ სამყაროსგან“ იზოლაციაში.

კენანი აკეთებდა უაღრესად საინტერესო პროგნოზს: კრემლის მომავალი მმართველები ერთ მშვენიერ დღეს მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ამ რეჟიმის შეცვლა. მიხეილ გორბაჩოვის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელად არჩევამდე და ამ პროგნოზის აღსრულებამდე ორმოცამდე წელი რჩებოდა! „თუკი კომუნისტური პარტიის ერთობა დაირღვა, საბჭოთა რუსეთი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, უმალ ყველაზე სუსტ და უბადრუკ ქვეყნად გადაიქცევა“[7] – წინასწარმეტყველებდა კენანი.

მანამდე კი, კენანის აზრით, ომი საბჭოთა კავშირთან არ იყო გარდაუვალი, მაგრამ საჭირო იყო ახლებური ხედვა და მოქმედება. იმის შესახებ, თუ რა სახის პოლიტიკა უნდა შეემუშავებინა აშშ-ს საბჭოთა ექსპანსიის მიმართ, კენანმა მომდევნო წელს განაცხადა თავის ასევე ცნობილ ანალიტიკურ პუბლიკაციაში[8], სწორედ იქ გაიჟღერა სიტყვამ „შეკავება“*, რომელიც მომდევნო ათეული წლების მანძილზე ვაშინგტონის პოლიტიკის საკრალურ ცნებად იქცა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოიპოვეს კენანის „გრძელი ტელეგრამა“ და სტალინს აახლეს. მან კი ანალოგიური ტელეგრამის მომზადება ვაშინგტონში საბჭოთა ელჩს დაავალა. ელჩ ნოვიკოვის გამოგზავნილ ინფორმაციაში, საბჭოთა იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი სტილით, გაანალიზებული იყო აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, „რომელიც გამოხატავდა ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ იმპერიალისტურ ტენდენციებს“. ელჩი ირწმუნებოდა, რომ აშშ-ის მთავარი მიზანი მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფა იყო, რაშიც მას დიდი ბრიტანეთი ეხმარებოდა. მაგრამ აშშ-ინგლისის თანამშრომლობა ხასიათდებოდა დიდი შინაგანი წინააღმდეგობებით, რის გამოც შორს არ იყო ის დღე, როდესაც ვაშინგტონსა და ლონდონს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბებოდა.[9]

თუკი ახალგაზრდა დიპლომატის ანალიზმა სერიოზუ-

---

* containment (ინგლ.), ან политика сдерживания (რუს.).

ლად დააფიქრა ვაშინგტონი მოსკოვის მიმართ ახალი პოლიტიკის თაობაზე, დასავლეთის ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსის – ჩერჩილის „განგაშის ზარმა“ საბოლოოდ დაარწმუნა პრეზიდენტი ტრუმენი სასწრაფო მოქმედების აუცილებლობაში.

„რკინის ფარდა“

1946 წლის 6 მარტს აშშ-ში ვიზიტად მყოფმა ჩერჩილმა მისურის შტატის ქ. ფულტონში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც საბჭოთა კავშირში უმალ დასავლეთის მიერ „ცივი ომის“ გამოცხადებად აღიქვეს *:

„შტეტინიდან ბალტიის ზღვაზე და ტრიესტამდე ადრიატიკის ზღვაზე, – მთელი კონტინენტის გადაკვეთით ევროპაში დაეშვა რკინის ფარდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, რომელთა ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის, ფარდის იქითა მხარეს აღმოჩნდნენ. ვარშავა და ბერლინი, პრაღა და ვენა, ბუდაპეშტი და ბელგრადი, ბუქარესტი და სოფია – ეს მშვენიერი ქალაქები და მათი მოსახლეობა... საბჭოთა გავლენის სფეროში მოექცა. ეს გავლენა სხვადასხვა ფორმით მჟღავნდება, მაგრამ მას თავს ვერავინ აღწევს. პირიქით, ეს ქვეყნები სულ უფრო მეტად ექვემდებარებიან არა მხოლოდ მოსკოვის კონტროლს, არამედ მის პირდაპირ ზეწოლას... დამიჯერეთ, ძალიან ცოტა დრო გვრჩება, ჩვენ არ უნდა დავუშვათ მოვლენების თავისთავადი განვითარება და იმ წუთის ლოდინი, როდესაც რაიმეს შეცვლა უკვე გვიან იქნება“[10].

ჩერჩილის აზრით, საჭირო იყო უახლოეს მომავალში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული კავშირის შექმნა, ხო-

* მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ჩერჩილი ბრიტანეთის თემთა პალატაში ოპოზიციის ლიდერი იყო, მას ფულტონში პრეზიდენტი ტრუმენი ახლდა, რაც ხაზს უსვამდა ჩერჩილის განსაკუთრებულ პოლიტიკურ ავტორიტეტს.

ლო შემდგომ ეტაპზე – ამ ალიანსთან თავისუფალი ქვეყნების მიერთება.

ამგვარად, ჩერჩილი, რომელმაც 1930-იან წლებში პირველმა გააფრთხილა მსოფლიო გერმანიის ნაცისტური რეჟიმის საფრთხის შესახებ, ახლა კაცობრიობას ტოტალიტარიზმის საფრთხის შესახებ აფრთხილებდა. როგორც შემდეგ ისტორიამ დაგვანახა, ჩერჩილი ამჯერადაც სწორი აღმოჩნდა. და თუკი მეორე მსოფლიო ომს მესამეც არ მოჰყვა, ეს მნიშვნელოვანწილად სწორედ ჩერჩილის დამსახურებაა, რომელსაც 1946 წელს დაუჯერა თავისუფალმა სამყარომ.

და მართლაც, პრეზიდენტმა ტრუმენმა მიიღო სტალინის გამოწვევა და 1946 წლის მარტშივე გამოაცხადა ახალი დოქტრინა – „შეერთებული შტატების პოლიტიკა იმ თავისუფალი ადამიანების დასაცავად, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ შეიარაღებული უმცირესობების ან გარეშე ძალების მიერ დაპყრობის მცდელობებს“. იმავდროულად აშშ-მა, დიდი ბრიტანეთის მოთხოვნის საპასუხოდ, სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა საბერძნეთსა და თურქეთს. სამიოდე თვის შემდეგ კი აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოაცხადა ევროპის ეკონომიკური და სოციალური აღორძინების გეგმა, რომელსაც ფეხზე უნდა დაეყენებინა ომის შედეგად გაჩანაგებული და დანგრეული კონტინენტი. მარშალის სიტყვებით, ეს გეგმა „მიმართული იყო არა რომელიმე ქვეყნის ან დოქტრინის წინააღმდეგ, არამედ შიმშილის, სიღარიბის, უიმედობის და ქაოსის წინააღმდეგ“[11].

მომდევნო წლებში მარშალის გეგმის ფარგლებში აშშ-მა ევროპის ქვეყნების აღორძინებისათვის 13 მილიარდ დოლარამდე გამოყო, რაც მაშინდელი კურსით ასტრონომიული თანხა იყო. ამ დახმარებამ მოკლე ვადაში ევროპა ფეხზე დააყენა და დასავლეთ ევროპის ინტეგრაციასაც ჩაუყარა საფუძველი.

ჰენრი კისინჯერის აზრით, მხოლოდ ისეთ იდეალისტ, ახალგაზრდა და შედარებით გამოუცდელ ქვეყანას, როგორიც შეერთებული შტატებია, შეეძლო მხოლოდ საკუთარ თავზე ეტვირთა გლობალური ეკონომიკური აღორძინების პროგრა-

მა. სწორედ ასეთი ქვეყნის სამომავლო ხედვამ უზრუნველყო ამერიკელების მიერ ამ ვალდებულების აღება, რამაც ისინი „ცივ ომში“ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა[12].

ომით გაჩანაგებული საბჭოთა ეკონომიკის აღორძინება სტალინმაც გასაოცარი სისწრაფით შეძლო. 1950-იანი წლების დასაწყისისთვის სამრეწველო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი აღდგენილი იყო, რაც გარკვეულწილად გერმანიიდან წამოღებული რეპარაციების ხარჯზე ხდებოდა. სტალინმა საკვებ პროდუქტებზე ფასების შემცირებაც კი მოახერხა. ეს, ბუნებრივია, მოსახლეობის კმაყოფილებას იწვევდა.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღორძინებისათვის აშშ-მა მარშალის გეგმა შეიმუშავა, საჭირო გახდა შექმნილიყო მექანიზმი ამ სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს ფუნქცია ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ – ნატომ იტვირთა.

1948 წლის დასაწყისში კომუნისტური ექსპანსიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საბერძნეთი, აპრილში კი მოსკოვმა დაიწყო ბერლინის ბლოკადა. ივნისში კომუნისტებმა სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს ჩეხოსლოვაკიაში, რომელიც აქამდე პლურალისტულ სისტემას ინარჩუნებდა. დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოება განსაკუთრებით შეაშფოთა ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამაარსებლის ვაჟის იან მასარიკის ძალადობრივმა სიკვდილმა.

ჩეხოსლოვაკიის ტრაგედია იყო ის ბოლო წვეთი, რამაც დაარჩქარა ნატოს შექმნა. ამ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ფუძემდებლურ აქტს – ვაშინგტონის ხელშეკრულებას – 1949 წლის 4 აპრილს მოაწერეს ხელი დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის 12 სახელმწიფოს ლიდერებმა *.

ნატოს წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: აშშ-დასავლეთ ევროპის სტრატეგიული კავშირის შექმნა და დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

---

* ეს სახელმწიფოებია: აშშ, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ისლანდია, კანადა, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი.

ნატოს დაარსებამდე მსოფლიოში არაერთი სამხედრო ბლოკი შექმნილა, მაგრამ მათგან ნატოს განასხვავებდა ფასეულობათა სისტემა, რაც პრინციპულად ახალი მოვლენა იყო მე-20 საუკუნის მსოფლიოსათვის. „ვაშინგტონის ხელშეკრულების“ პრეამბულაშივე ხაზი ჰქონდა გასმული, რომ ალიანსის დამფუძნებლებს მტკიცედ ჰქონდათ განზრახული დაეცვათ თავიანთი ხალხების თავისუფლება, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია, პირადი თავისუფლება და კანონის უზენაესობა. ამგვარად, ალიანსი განაცხადს აკეთებდა თავის ზნეობრივ უპირატესობასა და ფასეულობათა პრიმატზე.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დემოკრატიული პრინციპების თვალსაზრისით, ნატო ამ სამყაროს სულ მთლად უმანკო ჩასახვის შედეგად არ მოვლენია, რადგან ალიანსის დამაარსებელ ქვეყნებს შორის იყო პროფაშისტური პორტუგალიაც. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ „ცივი ომის“ პოლიტიკური რეალიზმი დროდადრო აშკარად ჩაანაცვლებდა აშშ-ის იდეალისტურ ფილოსოფიას.

„ვაშინგტონის ხელშეკრულების“ უმთავრესი დებულება ჩამოყალიბდა მე-5 მუხლში, რომელშიც ნათქვამია, რომ „შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპაში ან ჩრდილო ამერიკაში განხილული იქნება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ“[13], ანუ დევიზი „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის“ ნატოს მთავარ ლოზუნგად იქცა.

ვაშინგტონის ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული, თუ საიდან მოელოდნენ ნატოს წევრი ქვეყნები შესაძლო აგრესიას. აშშ-ის სენატში ამ საკითხის განხილვისას სენატორმა კონელიმ ისიც კი განაცხადა, რომ „ალიანსი იყო არა ტიპიური სამხედრო კავშირი, არამედ „კავშირი ომის წინააღმდეგ“[14], მაგრამ ფაქტია, რომ სსრკ-ის დასახელება აუცილებლობას ნამდვილად არ წარმოადგენდა, რამეთუ მხოლოდ იგი უქმნიდა რეალურ საფრთხეს დასავლეთის ცივილიზაციას.

პოლიტიკური მანიპულაციების გროსმაისტერმა სტალინმა, როგორც ჩანს, სწორად ვერ ამოიცნო ამერიკელების

ფსიქოლოგია და ვერ გათვალა მათი შესაძლო რეაქცია კრემლის აგრესიასა და ექსპანსიონიზმზე. მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა გული აიცრუა კრემლზე, უკან დასახევი გზა აღარ ჩანდა. ვაჭრობისა და კომპრომისების დრო დამთავრდა. ახლა ვაშინგტონი ფსონს აკეთებდა ან საბჭოთა სისტემის შეცვლაზე, ან მის დაშლაზე. შესაძლოა ერთზეც და მეორეზეც... შედეგი იყო მარშალის გეგმა, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი და დასავლეთის სამხედრო გაძლიერება, რაც სტალინის ინტერესებში არ უნდა ყოფილიყო.

პერსპექტივაში კრემლისათვის დიდი საფრთხის მატარებელი იყო ძალადობრივი გზით საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს გაფართოებაც, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში გაბატონება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სხვა რესურსებს ითხოვდა. ამ ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმები მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც სოციალური და პოლიტიკური კრიზისების მომასწავებელი იყო. წინ იყო ბერლინის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის მოვლენები, ასევე მრავალი სხვა.

საბჭოთა იდეოლოგები „ცივი ომის“ გამომწვევ მიზეზებს თავისებურად ხსნიდნენ:

„ფაშისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი ევროპის მშენებლობის საკითხი, რომლის მთავარი მიმართულებები პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებით იყო განსაზღვრული. მაგრამ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გარკვეულმა ძალებმა გადაწყვიტეს დახურული სამხედრო ბლოკის – ნატოს შექმნა, რომელიც უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული. აგრესიული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დაარსებას წინ უსწრებდა დასავლეთის ხმაურიანი პროპაგანდისტული კამპანია „კომუნისტური აგრესიისა“ და ნატოს „თავდაცვითი ხასიათის შესახებ“[15].

***

1949 წლის მაისში ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული საოკუპაციო ზონების გაერთიანების შედეგად შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რაც სტალინმა დასავლეთის აშკარა გამოწვევად მიიჩნია. მან ნატოსა და გფრ-ის შექმნას 1949 წლის 29 აგვისტოს ყაზახეთის უდაბნოში ატომური ბომბის გამოცდით უპასუხა. ამით სტალინი კმაყოფილი ჩანდა. მისთვის მთავარი ხომ ძალთა ბალანსის შენარჩუნება იყო.

დასავლეთში მოსკოვის კვლავ ეშინოდათ. მაგრამ რაღაც მაინც ძირეულად შეიცვალა...

„დიდი გადანაწილების“ ჰუმანიტარული შედეგები

1950 წლისათვის ევროპის „დიდი გადანაწილება“ პრაქტიკულად დასრულდა. „რკინის ფარდის“ გამოღმა დარჩენილი სამყაროს ახალი ბინადრები მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. ბევრი მათგანისათვის მშვიდობა მხოლოდ პიროობითობა იყო. მართლაც, ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!

უფროსი თაობისგან ხშირად მსმენია, რომ ომის შემდგომ წლებში მთელ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, ჩვენშიც, საქართველოში საყოველთაო ოპტიმიზმი და ხალისი სუფევდა. ბევრს სჯეროდა, რომ ეს კაცობრიობის ისტორიაში ბოლო ომი იქნებოდა. ისიც სჯეროდათ, რომ სტალინი გამარჯვებულ და ნატანჯ ხალხს აღარ მოაბრუნებდა ტრაგიკული 1930-იანი წლებისაკენ. ხედავდნენ, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ მიდიოდა, ამიტომ იმედიანად იყვნენ.

მაგრამ, ამავე დროს, ისიც კარგად იცოდნენ, რომ არავის ნდობა არ შეიძლებოდა, რადგან ჩეკას კვლავ დიდი ყურები და გრძელი ხელები ჰქონდა. შიგადაშიგ ისევ ამხელდნენ მოღალატეებს, ახლა უკვე ამერიკის და ინგლისის ჯაშუშებს, ციხეები ისევ სავსე იყო ახლობლებითა და უცნობებით.

ნაცისტური ბანაკების საბჭოთა ტყვეები ახლა საბჭოთა

გულაგებში აღმოჩნდნენ. რადგან სტალინი ყველა ტყვეს მოღალატედ მიიჩნევდა, ტრაგიკული ბედი ეწია ასიათასობით საბჭოთა არმიის დეზერტირსა და მათ, ვინც ბედის უკუღმართობის გამო ფაშისტური არმიის რიგებში აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, სამხედრო ტყვეების შესახებ არც ჩერჩილს ჰქონდა უკეთესი აზრი: „სამხედრო ტყვე ის ადამიანია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს შენს მოკვლას და როდესაც ეს მას არ გამოუვა, გემუდარება, რომ შენ არ მოკლა იგი“[16]. 1944 წელს იალტის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად დასავლელმა მოკავშირეებმა საბჭოთა სამხედრო ტყვეები იძულებითი წესით საბჭოთა კავშირს გადასცეს. ეს ხალხი და ხშირად მათი უდანაშაულო ოჯახის წევრები პირდაპირ ეტაპებით ახლა არქტიკული ზონის საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში გაამწესეს. მათი უმრავლესობა იქვე დაიღუპა, ბევრმა კი ევროპაშივე დაასრულა ცხოვრება თვითმკვლელობით.

რაღა შორს მივდივართ, საფრანგეთში მცხოვრები რამდენიმე ქართველი ემიგრანტის ოჯახი ომის შემდეგ იმდენად მოიხიბლა სტალინის დემოკრატიული კონსტიტუციით, რომ საბჭოთა საქართველოში გადაწყვიტა დაბრუნება. აკი ურჩევდნენ კიდეც მათ საბჭოთა ემისრები: „ჩამობრძანდით და თუ არ მოგეწონებათ აქაურობა, უკან გაბრუნდებითო“. ნანატრი საქართველოს მაგივრად მათ ყაზახეთის სტეპებში ამოყვეს თავი, საიდანაც მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ შეძლეს საქართველოში ჩამოსვლა (ბუნებრივია, საფრანგეთში მათ აღარავინ გაუშვებდა). რა თქმა უნდა, არც ისინი დაინდეს, ვისაც უცხოეთში ჰყავდა ახლობელი.

სტალინმა კარგად იცოდა, რომ ომში გამარჯვებული ხალხი სახიფათო იყო. უფრო სახიფათო კი ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებმაც ევროპა ბრძოლით გაიარეს და კოპწია ქალაქების კეთილდღეობა იხილეს. სტალინი არ ენდობოდა არც ამ ხალხს და არც ამ სამხედროებს, თუმცა მათთვის არც ეპითეტებს იშურებდა და არც ჯილდოებს.

რიბენტროპ-მოლოტოვის საიდუმლო შეთანხმების შედეგად 1939-1941 წლებში ბალტიისპირეთის პატარა ქვეყნებში საბჭოთა ოკუპაციას მასიური რეპრესიები მოჰყვა. ყველაზე

მინიმალური მონაცემებით ამ პერიოდში შინსახკომის* მიერ ფიზიკურად განადგურებულთა და გადასახლებულთა რაოდენობამ 125 ათასს გადააჭარბა. მათ შორის იყვნენ ყოფილი მთავრობისა და მათი ოჯახების წევრები. 1941-1944 წლებში გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს ბალტიისპირეთი და ახლა მათ დაიწყეს რეპრესიები იმ პირთა მიმართ, ვინც საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობდა. ნაცისტებმა ასევე დააპატიმრეს 10 ათასამდე ადგილობრივი ებრაელი და საკონცენტრაციო ბანაკებში გადაგზავნეს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა იქ დაიღუპა.

1944 წლიდან ბალტიისპირეთის კვლავ საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ამ მცირერიცხოვან ქვეყნებს რეპრესიების მესამე ტალღამ გადაუარა. 1949 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგენილება „ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან კულაკების, მათი ოჯახის წევრების, ბანდიტებისა და ნაციონალისტების დეპორტაციის შესახებ“. 1953 წლამდე ბალტიისპირეთიდან 200 ათასამდე ადამიანი გაასახლეს, აქედან 75 ათასი გულაგებში აღმოჩნდა, ანუ, დეპორტირებული იქნა საერთო მოსახლეობის თითქმის 10%. იმავდროულად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებიდან მოსახლეობის, უმთავრესად რუსების, ჩასახლება.

ომის ბოლოს საბჭოთა კავშირის მიერ დაკავებული სხვა რეგიონებიდანაც მასობრივი დეპორტაციები განხორციელდა. მოლდოვიდან, ანუ ყოფილი ბესარაბიიდან, შუა აზიასა და ციმბირში გაასახლეს დაახლოებით 300 ათასამდე ადამიანი. კალინინგრადის ოლქში, ანუ ყოფილ აღმოსავლეთ პრუსიაში, ადგილობრივი გერმანული მოსახლეობა თითქმის მთლიანად რუსებმა ჩაანაცვლეს. აღარაფერს ვამბობთ ყირიმიდან გასახლებულ თათრებზე, ვოლგისპირელ გერმანელებზე, ჩრდილო კავკასიიდან დეპორტირებულ ჩეჩნებზე, ინგუშებზე, ყარაჩაელებზე, საქართველოს ძირძველი მხარიდან – მესხეთიდან გადასახლებულ 90 ათასამდე მუსლიმური სარწმუნო-

* შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ების ადამიანზე (ისინი ეთნიკურად ძირითადად ქართველები იყვნენ). საერთო ჯამში მათმა რაოდენობამ 3 მილიონს გადააჭარბა.

მშვიდობა ტრაგიკული აღმოჩნდა მილიონობით აღმოსავლეთ ევროპელისათვის. გერმანელი ფაშისტების მხეცობაზე უამრავი რამ ითქვა და დაიწერა, თუმცა ეს თემა, ალბათ, დღემდე არ არის ამოწურული. თითქმის არაფერია ცნობილი იმ ბარბაროსობაზე, რაც გერმანელების წინააღმდეგ განხორციელდა ომის შემდეგ. როგორც სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა დაასკვნეს 1944 წელს იალტაში, მომავალი მშვიდობიანი ევროპისათვის აუცილებელი იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „გაწმენდა“ ეთნიკური გერმანელებისაგან. და მართლაც, 1945–47 წლებში ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში საცხოვრებელი ადგილებიდან ძალით აყარეს და გერმანიაში გაასახლეს 7 მილიონამდე ეთნიკური გერმანელი. უამრავი მათგანი დეპორტაციის დროს გზაში გარდაიცვალა.[17]

დრამატული შედეგები გამოიღო პოლონეთის საზღვრების შეცვლამაც. სტალინის ძალისხმევით ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ტერიტორიები საბჭოთა კავშირს გადაეცა, ხოლო პოლონეთს დასავლეთით გერმანიის ნაწილი ერგო. მოსახლეობის ეთნიკური ქვეყნების „შესაბამისობაში მოყვანის“ მიზნით 1,5 მილიონი პოლონელი ახლა საბჭოთა ტერიტორიიდან პოლონეთში გაასახლეს, ხოლო პოლონეთის ახალ საზღვრებში აღმოჩენილი 500 ათასი უკრაინელი საბჭოთა კავშირს „დაუბრუნეს“. ეთნიკური ჯგუფები „გაცვალეს“ ასევე ჩეხოსლოვაკიამ და უნგრეთმა, უნგრეთმა და იუგოსლავიამ.

ეს იყო ევროპის ისტორიაში მოსახლეობის ყველაზე დიდი ძალადობრივი მიგრაცია.[18]

ებრაელთა ის მცირე რაოდენობა, რომელიც ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებს გადაურჩა და ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახლებს დაუბრუნდა, კვლავ ანტისემიტიზმს შეეჩეხა. 200 ათასამდე ებრაელი იძულებული გახდა ან ახალშექმნილ ისრაელის სახელმწიფოში, ან ოკეანის მიღმა გადასახლებულიყო. ამგვარად, აღმოსავლეთი და ცენ-

ტრალური ევროპა ფაქტიურად „გაიწმინდა“ ებრაელებისაგან, რომლებიც აქ საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ[19].

მაგრამ მშვიდობა ებრაელებს არც ისრაელში ელოდათ. 1948 წელს დიდი ბრიტანეთის სამანდატო პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ ადგილობრივი და მეზობელი ქვეყნების არაბული მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რაც საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. შედეგად, 750 ათასამდე პალესტინელი არაბი იძულებული გახდა მიეტოვებინა ისრაელის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები. ანალოგიური ბედი ეწია არაბულ ქვეყნებში მცხოვრებ 500 ათასამდე ებრაელს, რომლებიც არაბმა ნაციონალისტებმა აიძულეს ისრაელში გადასახლებულიყვნენ.

ჰუმანიტარული კატასტროფის უპრეცედენტო მასშტაბები მოჰყვა 1947 წელს ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და შემდეგ მისგან პაკისტანის გამოყოფას. ინდუებსა და მუსლიმებს შორის სისხლიანმა დაპირისპირებამ ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო ინდოეთსა და პაკისტანს შორის მოსახლეობის „გაცვლის“ შედეგად 15 მილიონზე მეტი უსახლკარო ლტოლვილად იქცა.

***

ომის დროს მოკავშირეთა მიერ აშენებული ერთიანობისა და სოლიდარობის წინაშე კვლავ უნდობლობის კედელი აღიმართა. სტალინი აღარ ენდობოდა ყოფილ მოკავშირეებს – აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, მაგრამ არც ისინი ენდობოდნენ საბჭოთა ლიდერს. თუკი ომის დროს ამერიკულმა პრესამ მას სიმპათიური მეტსახელი „ბიძია ჯო“ შეურჩია, ახლა იგი მათთვის კვლავ წითელი დიქტატორი იყო.

სტალინს ნაკლებად სჯეროდა იმ ქვეყნების ერთგულებისა, სადაც საბჭოთა ჯარი არ იდგა. ასეთი იყო იუგოსლავია, სადაც მარშალმა იოსიფ ბროზ ტიტომ სტალინისაგან დამოუკიდებელი და საბჭოთა რეჟიმისაგან განსხვავებული კომუნისტური წყობა დაამყარა.

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ სტალინი არც მის ერთგულ მაო ძედუნს ენდობოდა, რომელმაც სამოქალაქო ომში ჩან კაი-

შის* ნაციონალისტური რეჟიმი დაამარცხა და 1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა. მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოს ნომერი პირველი სახელმწიფო ახლა საბჭოთა კავშირის სტრატეგიული მოკავშირე იყო, რაც კომუნისტური ბანაკისათვის უდიდესი მონაპოვარი გახლდათ. მაგრამ მაო ძედუნის მიმართ სტალინის უნდობლობა სწორედ ჩინეთის მასშტაბებით იყო გამოწვეული. ვისი იქნებოდა პირველობა: მოსკოვისა თუ პეკინის? **

თუმცა, ტიტოსაგან განსხვავებით, მაო სტალინის ავტორიტეტის თავგამოდებული მოტრფიალე იყო. იგი მხოლოდ საბჭოთა კავშირის გვერდით ხედავდა ჩინეთის რევოლუციური მასების ადგილს.

ორი გიგანტის – საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ერთობა მართლაც შთამბეჭდავი ისტორიული მოვლენა იყო. მსოფლიოში ბევრს ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კომუნისტური პროპაგანდა ჭეშმარიტებას ქადაგებდა. ისტორია თითქოს მართლაც ამ იდეოლოგიის საყოველთაო ტრიუმფისაკენ მიემართებოდა.

ეს ბევრმა აშშ-შიც კი დაიჯერა. ამერიკის საზოგადოების ლიბერალურ წრეებში საკმაოდ ძლიერად მოიკიდა ფეხი სიმპათიებმა საბჭოთა კავშირის მიმართ. ამ განწყობილებებს გარკვეულწილად პრეზიდენტ რუზველტის გარემოცვის წევრები და ახლობლები ასაზრდოებდნენ, რომლებიც თვლიდნენ, რომ ომის შემდგომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაფუჭება ტრუმენის ადმინისტრაციის ბრალი იყო. კერძოდ, ასეთ მიდგომას იზიარებდნენ რუზველტის მეუღლე ელეონორა და მისი ვაჟი ელიოტი. განსაკუთრებით აქტიურობდა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი უალასი, რომელსაც იმჟამად ვაჭრობის მინისტრის პოსტი ეკავა. უალასი აშკარად ვარდისფერ ფერებში ხედავდა საბჭოთა რეალობას და მიიჩნევდა, რომ საბჭოთა იზოლაციონიზმი დასავლეთის აგრესიული პოლიტიკის შედე-

* 1927-1949 წლებში გომილდანის რეჟიმის მეთაური ჩინეთში

** ცნობილია, რომ მოსკოვში ერთ-ერთი შეხვედრის დროს მაომ სტალინს ჩინეთის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლა შესთავაზა. სტალინი თითქოს დაინტერესდა ამ წინადადებით, მაგრამ პასუხი აღარ გაუცია.

გი იყო, ხოლო „რუს ხალხს ახლა გაცილებით მეტი პოლიტიკური თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე ოდესმე“[20].

ამერიკის მემარცხენე ძალების საკმაოდ სახიფათო იდეალიზმს რადიკალი რესპუბლიკელები დაუპირისპირდნენ. მათ შორის ყველაზე მეტად გამოირჩეოდა სენატორი მაკ-კარტი, რომელმაც პოლიტიკური კამპანია გააჩაღა კომუნისტებისა და ამერიკულ საზოგადოებაში „საბჭოთა ჯაშუშების“ წინააღმდეგ. სენატორის პარანოია მთლად უსაფუძვლო არ იყო, რადგან სწორედ საბჭოთა ჯაშუშებმა მოიპარეს აშშ-ში ინფორმაცია ბირთვული იარაღის შესახებ. მაკკარტიზმის ქსენოფობიური ტალღა მთელ ქვეყანას მოედო. დაიწყო „კუდიანებზე ნადირობა“, „კრემლის აგენტების“ გამომზეურება. ამის მსხვერპლი გენიალური ჩარლი ჩაპლინიც კი გახდა.

II. ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲐᲛᲓᲔ

„ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲝᲛᲘ“ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ

1950-იანი წლების დასაწყისში კორეის ნახევარკუნძულზე განვითარებული დრამატული მოვლენების შესახებ ჩვენში ცოტა რამ იციან. ჩემი თაობისათვის ეს უცნობი ომი იყო, რადგან საბჭოთა პროპაგანდა მის შესახებ პრაქტიკულად დუმდა.

ამავე დროს, დასავლეთის სამყაროსათვის, განსაკუთრებით ამერიკელი ხალხისათვის, ეს კონფლიქტი არა მარტო მოულოდნელი, არამედ ბევრისათვის გაუგებარიც კი იყო. დამანგრეველი II მსოფლიო ომის შემდეგ აღარავის სურდა დაეჯერებინა, რომ კარს ახალი, შეიძლება კიდევ უფრო დიდი ხიფათი მოადგა.

1950 წლისათვის ვაშინგტონის პოლიტიკურ ისტაბლიშმენტში ძირითადად უკვე საყოველთაო თანხმობა სუფევდა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება მხოლოდ ეფექტური „შეკავების პოლიტიკით“ იყო შესაძლებელი. საკამათო მხოლოდ ის იყო, თუ რა მასშტაბითა და რესურსებით უნდა განხორციელებულიყო ეს პოლიტიკა. შესაძლო გამოწვევას ყველა ევროპის კონტინენტზე ელოდა.

მაგრამ კომუნისტურმა ბანაკმა „შეკავების პოლიტიკის“ გამოცდა სრულიად სხვაგან – კორეის ნახევარკუნძულზე გადაწყვიტა. ამერიკის ომის შემდგომი პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმები არ ითვალისწინებდნენ ასეთი სახის ომის შესაძლებლობას. „ცივი ომის“ ლოგიკამ აშშ და მისი მოკავშირეები ისეთ კონფლიქტში ჩაითრია, რომელიც გეოგრაფიულად იმ ეტაპზე არ ეთანადებოდა ვაშინგტონის სტრატეგიულ ინტერესებს.

საქმე ის გახლდათ, რომ კორეის ნახევარკუნძული 1910 წლის შემდეგ იაპონიის მიერ იყო ანექსირებული. მაგრამ, მოკავშირეთა გადაწყვეტილებით, II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კორეა ორ ნაწილად გაიყო 38-ე პარალელის გადაკვეთით, რაც გაეროს მიერ იქნა აღიარებული. ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც 1948 წლამდე საბჭოთა ჯარების მიერ იყო ოკუპირებული, კორეის სახალხო რესპუბლიკა შეიქმნა. მას, კრემლის ხელშეწყობით, კიმ ირ სენი ჩაუდგა სათავეში. ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში კი პროამერიკული კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა.

შემდგომი მოვლენების შესახებ საბჭოთა ბელადები ასე გვმოძღვრავდნენ: „მსოფლიოში აშშ-ის აგრესიული პოლიტიკის ერთ-ერთ აშკარა გამოვლინებად იქცა ომი კორეაში. საბჭოთა კავშირი, რომელიც აქტიურად იცავდა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის ინტერესებს, თავიდანვე წინააღმდეგი იყო ამ ომისა, რომელიც ამერიკელმა აგრესორებმა გააჩაღეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ“[1]. ასეთი უტიფარი ტყუილის ავტორი საბჭოთა კავშირის „უცვლელი“ საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკოა.

სინამდვილეში კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

1950 წლის 25 ივნისს ჩრდილო კორეის ჯარმა გადაკვეთა 38-ე პარალელი და შეიჭრა სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე. კომუნისტებმა შეტევა ელვისებურად განავითარეს და 28 ივნისისათვის მათ უკვე სამხრეთ კორეის დედაქალაქი სეული დაიკავეს. შეტევის შედეგად რამდენიმე დღეში მათ გადაკვეთეს მდინარე ხანგანი და სამხრეთ კორეის დივიზიები კიდევ უფრო უკუაგდეს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ უახლოეს დღეებში კომუნისტები მთლიანად გააკონტროლებდნენ ნახევარკუნძულს. სხვათა შორის, იაპონიის 40-წლიანი ოკუპაციის შემდეგ ბევრი სამხრეთ კორეელისათვის ქვეყნის გაერთიანება მისაღები იყო ნებისმიერი ფორმით, თუნდაც კომუნისტური რეჟიმის მიერ. ასეთი განწყობილება ხელს უწყობდა ჩრდილო კორეელების საბრძოლო ქმედებას.

ამ მომენტისათვის ჩრდილო კორეის არმია 130 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო სამხრეთ კორეისა – 100 ათასს.

კიმ ირ სენის გამოწვევა ამერიკელებისათვის შოკის მომგვრელი იყო. ვაშინგტონში ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ჩინეთი კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში. მოსკოვი და მისი ახალი მოკავშირე – პეკინი ახლა უკვე აშშ-ის გავლენის სფეროს უტევდნენ. ის, რომ ამ სამხედრო ავანტიურის უკან მოსკოვი იდგა, ვაშინგტონში ეჭვს არ იწვევდა. მართლაც, წლების შემდეგ გაირკვა, რომ სტალინმა თავიდანვე რამდენჯერმე უარყო კიმ ირ სენის წინადადება სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით, რასაც მაო ძედუნი უჭერდა მხარს. მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ სტალინი დაარწმუნეს, რომ ამერიკელების წინააღმდეგ აზიაში „მეორე ფრონტის“ გახსნა სტრატეგიულად მომგებიანი იყო და ამიტომაც მან მწვანე შუქი მისცა კორეელ კომუნისტებს[2]. გარდა ამისა, კიმ ირ სენი დაბეჯითებით არწმუნებდა საბჭოთა ლიდერს, რომ იგი ომს სწრაფად და დიდი მსხვერპლის გარეშე მოიგებდა.

ვაშინგტონს რეაქცია მყისიერი იყო. იმავე დღეებში აშშ-ის ინიციატივით მოწვეულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც ჩრდილო კორეა აგრესორად გამოცხადდა. იმის გამო, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაეროში მიღებას ბლოკავდნენ, საბჭოთა ელჩი პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდა უშიშროების საბჭოს სხდომებს. ამან ხელი გაუხსნა აშშ-ს მიეღო გაეროს მანდატი და სათავეში ჩასდგომოდა კორეაში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციას, რომელშიც მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. გაეროს ძალების 70% აშშ-ის ჯარით იყო დაკომპლექტებული. ყველაზე დიდი ქვედანაყოფები – ქვეითთა ბრიგადები – კორეაში გაგზავნეს დიდმა ბრიტანეთმა და თურქეთმა. *

უკვე 27 ივნისს პრეზიდენტმა ტრუმენმა უბრძანა შორეულ აღმოსავლეთსა და იაპონიაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების სარდალს გენერალ დუგლას მაკარტურს ქმედითი და სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა სამხრეთ კორეის არმიისათვის.

---

* თურქეთს მომდევნო წლებში დაუფასდა კორეის ომში აქტიური მონაწილეობა და გაღებული მსხვერპლი – 1952 წელს თურქეთი ნატოში მიიღეს.

კომუნისტების შეტევის შესაჩერებლად 30 ივნისს აშშ-ის სარდლობამ იაპონიიდან კორეაში სასწრაფოდ გადაისროლა 3 დივიზია. ერთ-ერთი მათგანი ივლისის დასაწყისში თითქმის მთლიანად გაანადგურეს ჩრდილო კორეელებმა. აგვისტოს ბოლოსათვის ამერიკელებსა და სამხრეთ კორეელებს ნახევარკუნძულის მხოლოდ მცირე ნაწილი – „პუსანის პერიმეტრი“ ეკავათ.

15-25 სექტემბერს ამერიკელების მიერ განხორციელებული სამხედრო შეტევა ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და წარმატებული სტრატეგიული ოპერაცია. კერძოდ, მაკარტურმა საზღვაო დესანტი გადასხა ინჩხონის რაიონში, რომელიც ფრონტის ხაზს იქით 250 კმ-ში მდებარეობდა. ალყაშემორტყმულმა ჩრდილო კორეელებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, მათ თითქმის მთლიანად გაუნადგურეს არტილერია და ტექნიკა. კომუნისტებმა სასწრაფოდ უკან დაიხიეს.

თავბრუდამხვევი წარმატების მისაღწევად მაკარტურმა გასცა თავისი ცნობილი ბრძანება ჩრდილო კორეის შეიარაღებული ძალების სრული განადგურების შესახებ. ოქტომბრის ბოლოსათვის გაეროს კოალიციამ დაიკავა ჩრდილო კორეის დედაქალაქი ფხენიანი, ხოლო მოწინააღმდეგის ჯარი ჩინეთის საზღვართან მთიან რაიონებში გაიფანტა.

შექმნილ ვითარებას მოსკოვიდან შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს. ეს პოლიტიკური კრახიც იყო და სამხედრო მარცხიც, რადგან ჩრდილო კორეელები არა მარტო საბჭოთა იარაღით იბრძოდნენ, არამედ მათ ეხმარებოდნენ საბჭოთა მფრინავები, არტილერისტები და სამხედრო სპეციალისტები.

აშშ-ის მიმართ ულტიმატუმების „კორიანტელი“ მიდიოდა პეკინიდან, მაგრამ ვაშინგტონში ამ მკაცრ განცხადებებს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. უფრო მეტიც, მაკარტური მიიჩნევდა, რომ ჩრდილო კორეის დამარცხებას შეიძლება სიტუაცია შეეცვალა ჩინეთშიც, სადაც ჩან კაიშის რევანშის საშუალება მიეცემოდა.

და სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკელი ჯარისკაცები გამარჯვებისა და შობის დღესასწაულის აღსანიშნავად ემზა-

დებოდნენ, ისინი მოულოდნელად მასირებული ცეცხლის შუაგულში აღმოჩნდნენ – ომში 300-ათასიანი ჩინეთის სახალხო არმია ჩაერთო. უძლიერესი შეტევის შეჩერება გაეროს ძალებმა დიდი დანაკარგებისა და პრაქტიკულად სრული რეზერვის ხარჯზე შეძლეს, მაგრამ მომდევნო წლის იანვარში მათ მაინც მოუწიათ უკან დახევა და ახლა კვლავ ჩინელებისა და ჩრდილო კორეელების ერთობლივმა არმიამ დაიკავა ქალაქი სეული.

ამ კრიტიკულ ვითარებაში ტრუმენის ადმინისტრაციაში, როგორც ჩანს, ატომური იარაღის გამოყენებაზეც კი ფიქრობდნენ, მაგრამ ვითარების გაანალიზებამ აიძულა ვაშინგტონი კატეგორიულად უარი ეთქვა გადაწყვეტილებაზე, რომელიც უთუოდ საბჭოთა ანალოგიური რეაქციისა და, საერთო ჯამში, ბირთვული დაპირისპირების ტოლფასი იყო[3]. მოგვიანებით ამერიკელებმა ავიაციისა და ფლოტის უპირატესობის ხარჯზე შეძლეს მოწინააღმდეგის უკუგდება და ფრონტის ხაზის გამაგრება 38-ე პარალელის გასწვრივ.

1952 წლიდან კორეის ომი სამხედრო თვალსაზრისით ჩიხში აღმოჩნდა, რადგან ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ამ ვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანა. ამგვარად, მხარეები ომამდელ მდგომარეობას დაუბრუნდნენ. ამერიკელები აღარ გეგმავდნენ ფართომასშტაბიანი ოპერაციების განხორციელებას, რაც ფაქტობრივად გენერალ მაკარტურის გადაყენებით დადასტურდა. ახლა ისინი ღირსეულ მშვიდობიან გამოსავალზე ფიქრობდნენ, კომუნისტები კი კატეგორიულად არ თანხმდებოდნენ სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე.

ვითარება 1953 წელს სტალინის სიკვდილმა განმუხტა. იმავე წლის 27 ივლისს ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მთავარი „ზედამხედველი“ აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი გახდა. ეს შეთანხმება დღესაც ძალაშია.

კორეის ნახევარკუნძული დღეისათვის „ცივი ომის“ ყველაზე სამაგალითო პირმშოა. მას 38-ე პარალელზე „დემილიტარიზებული ზონა“ ჰყოფს, რომლის ორი მხრიდან კორეელები „თოფის სამიზნეებით“ ათვალიერებენ ერთმანეთს. მძიმე დღეში მყოფ, მსოფლიოსაგან იზოლირებულ ჩრდილო კორეას

ახლა უკვე „უკვდავი ბელადის“ – კიმ ირ სენის შვილი, „ამომავალი მზე“ კიმ ჩენ ირი მართავს. სამხრეთ კორეა კი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახელმწიფოა, მისი უსაფრთხოების გარანტი ამერიკის შეერთებული შტატებია.

ამგვარად, კორეის ომი, ერთი შეხედვით, „ყაიმით“ დასრულდა, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ სისხლისღვრას შეეწირა 36 ათასი ამერიკელი, 600 ათასამდე ჩინელი და 2 მილიონამდე კორეელი.

საბჭოთა პროპაგანდამ, ბუნებრივია, კორეის საზავო ხელშეკრულება „აგრესორ იმპერიალისტებზე“ „მშვიდობისმოყვარე კომუნისტური ბანაკის“ დიდ გამარჯვებად მონათლა. მოსკოვში მიაჩნდათ, რომ პეკინთან საბრძოლო დამოყვრება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დიდი სტრატეგიული ალიანსის პირველი აუცილებელი გამოცდა იყო. თუმცა დასავლეთში არც ის გამოეპარათ, რომ კორეის კონფლიქტმა ბზარი წარმოშვა მოსკოვსა და პეკინს შორის, რადგან სტალინი აშკარად ხედავდა, რომ მაოს ტრიუმფალისტური პროგნოზები არ გამართლდა. საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში საბჭოთა კავშირი აშკარად აგრესიის მომხრედ გამოიყურებოდა.

რაც შეეხება ვაშინგტონის ადმინისტრაციას, კორეის ომმა მას ნათლად დაანახა, რომ „შეკავების პოლიტიკას“ ამიერიდან არა მარტო ევროპული განზომილება უნდა ჰქონოდა, არამედ გლობალური მასშტაბიც. ამიტომ მომდევნო ორი წლის მანძილზე აშშ-მა გაასამმაგა თავისი სამხედრო ბიუჯეტი და მნიშვნელოვნად გააძლიერა ნატოს თავდაცვისუნარიანობა. ნებისმიერ შემთხვევაში, კორეის ტრაგედია იმის მომასწავებელი იყო, რომ „ცივი ომი“ ბევრ ამგვარ სიურპრიზს უმზადებდა კაცობრიობას.

1952 წლის 1 ივნისს აშშ-მა გამოცადა მასობრივი განადგურების ახალი სახეობა – წყალბადის ბომბი, რომლის დამანგრეველი პოტენციალი ბევრად აღემატებოდა ჩვეულებრივი ბირთვული იარაღისას. მომდევნო წლის 12 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა საკუთარი წყალბადის ბომბი შუა აზიის უდაბნოში გამოცადა. ახალმა იარაღმა უდიდეს სივრცეზე, მიწაზე და მი-

წის ქვეშ გაწყვიტა ყველა ცოცხალი არსება, გადაწვა მცენარეები, რადიაციით მოწამლა ზღვა და ხმელეთი. პატარა შეცდომა და ასეთივე პერსპექტივა ელოდა ადამიანებს „რკინის ფარდის“ ორივე მხარეს.

მაგრამ, ყველასათვის გასაოცრად, გაჩნდა შეგრძნება იმისა, რომ დაპირისპირებული ბანაკების არსენალებში ასეთი იარაღის არსებობა საერთაშორისო სტაბილურობის გარკვეულ გარანტიებსაც ქმნიდა. ერთი მხარის განადგურება მეორე მხარისათვის თვითმკვლელობის ტოლფასი ხდებოდა, ანუ საუბარი იყო თანასწორობაზე ურთიერთგანადგურებაში.

ამრიგად, ერთმანეთის ცხოველური შიში საყოველთაო მშვიდობის საფუძველი ხდებოდა. აი, უგუნურობის ასეთ ზღვარს მიაღწია კაცობრიობამ მე-20 საუკუნის შუა ხანებში!

„მარმელადის ბუნტი“ გერმანიაში
ორი გერმანია

„ცივი ომის“ დაწყებისთანავე ევროპის ნევროლოგიურ ცენტრად ბერლინი იქცა. მოკავშირეები, რომლებიც ერთად ზეიმობდნენ საბჭოთა ჯარის მიერ ბერლინის აღებას, ახლა უკვე ერთმანეთს ედავებოდნენ იმავე ქალაქს.

როგორც ცნობილია, დამარცხებული გერმანიის ბედი 1945 წელს ე.წ. საკონტროლო საბჭომ ჩაიბარა, რომლის შემადგენლობაში დიდი ბრიტანეთის, სსრკ-ის, აშშ-ისა და საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო პირები შედიოდნენ.

ურთიერთობების გაფუჭება ამ საბჭოში მშვიდობის პირველი დღეებიდანვე დაიწყო. თავის საოკუპაციო ზონაში საბჭოთა მხარე გერმანელებისა და დასავლეთისათვის აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელი საბჭოთა ცხოვრების წესების დამკვიდრებას ცდილობდა. გერმანიიდან მოსკოვს რეპარაციის სახით მასობრივად გაჰქონდა ქარხნები და ფაბრიკები, რაც დასავლეთის უკმაყოფილების კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი იყო.

გერმანიის დასავლეთის საოკუპაციო ზონებში მოკავშირეები ცდილობდნენ დემოკრატიული ინსტიტუტების აღდგენასა და ეკონომიკის აღორძინებას. ამერიკელებისა და ბრიტანელების ზონებში გასამხედროებული „მუშათა ბატალიონებიც“ ჩამოყალიბდა, რომლებიც შემდეგ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების – ბუნდესვერის საფუძველს ქმნიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, მოსკოვში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1946 წელს მოსკოვმა გერმანიის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიაში გააერთიანა, რაც აღმოსავლეთ გერმანიას უკვე პოლიტიკურად გამოჰყოფდა ქვეყნის დასავლეთი ნაწილისაგან.

იმის გამო, რომ ბერლინი მთლიანად საბჭოთა საოკუპაციო ზონაში იმყოფებოდა, მოსკოვში იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ქალაქის დასავლეთი ნაწილის ბლოკადით შეიძლებოდა მოწინააღმდეგეთა პოზიციების დასუსტება და, საბოლოო ჯამში, ბერლინის სრული გაკონტროლება. მოგვიანებით ხრუშჩოვმა ასეთი უხერხული შედარებაც კი მოიყვანა: „როცა დასავლეთი მინდა ვაწრუწუნო, მე მათ ბერლინში ვუჭერ კვერცხებშიო“[4]. აღმოსავლეთ გერმანიის პროსაბჭოთა ხელმძღვანელობა ვალტერ ულბრიხტის ლიდერობით ასეთი „არაჯეტლმენური“ საქციელისკენ გამუდმებით უბიძგებდა კრემლს.

დასავლეთ ბერლინის პირველი ბლოკადა 1948 წელს სტალინმა განახორციელა. თითქმის ერთი წლის მანძილზე ქალაქის ამ ნაწილის მოსახლეობის მომარაგება ამერიკელებისა და ბრიტანელების მიერ მხოლოდ „საჰაერო ხიდით“ ხდებოდა. კრიზისი ფაქტობრივად 1949 წელს ორი გერმანიის – გფრ-ისა და და გდრ-ის ჩამოყალიბებით დასრულდა.

ბერლინის მეორე კრიზისი 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე თვეში დაიწყო. ბერლინელების მოთხოვნებს დასაწყისში ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა, რასაც გდრ-ის ორთოდოქსულმა კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ წაყრუებით და დუმილით უპასუხა. მოსახლეო-

ბა ფასების ზრდით იყო გაღიზიანებული, მაგრამ როდესაც მთავრობამ „საშუალო სტატისტიკური გერმანელის“ საყვარელ პროდუქტზე – მარმელადზე გაზარდა ფასი, უკმაყოფილებამ მასობრივი გამოსვლების მასშტაბები მიიღო.

ბერლინის არეულობამ ახალი საბჭოთა ხელმძღვანელობა საკმაოდ შეაშფოთა (რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ გერმანელებს მარმელადი შემოაკლდათ). სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს კრემლის პირველი სერიოზული გამოცდა იყო. კრიზისის ირგვლივ ორი საპირისპირო პოზიცია გამოიკვეთა. მკაცრი ზომების გატარების მომხრე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი, ხოლო, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ლიბერალური მიდგომისა – ლავრენტი ბერია*. ეს უკანასკნელი, კერძოდ, წინააღმდეგი იყო აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა მოდელის დამკვიდრებისა და საერთოდ არ გამორიცხავდა გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობას თუნდაც კაპიტალისტურ საწყისებზე.

ბერიას თავისი ახალი ლიბერალური ამპლუა ძვირად დაუჯდა – დაპატიმრების შემდეგ მას ბერლინში არეულობის ინსპირირებაც დააბრალეს.

ბერლინელების ეკონომიკურმა მოთხოვნებმა მალე პოლიტიკური ელფერი შეიძინეს. 1920-30-იან წლებში კლასობრივ ბრძოლებში გამობრძმედილ, დისციპლინირებულ გერმანელ მუშებს გაფიცვებისა და დემონსტრაციების დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ამიტომ მღელვარება უცებ მოედო გდრ-ის სხვა ქალაქებსაც. დემონსტრანტები უკვე თავისუფალ არჩევნებს, მრავალპარტიულ სისტემასა და გერმანიის გაერთიანებას ითხოვდნენ. გაჩნდა საბჭოთა ჯარისკაცების წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგები. ადგილობრივი ხელისუფლება თავს არიდებდა მომიტინგეებთან შეხვედრასა და მოლაპარაკებას.

ნათელი ხდებოდა, რომ სასწორზე იდებოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიის, არამედ მთელი ახალშექმნილი სო-

* როგორც ჩანს, ბერია ქვეყნის ლიბერალიზაციის მოთხოვნით ფიქრობდა პარტიასა და საზოგადოებაში მხარდაჭერის მოპოვებას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

ციალისტური ბანაკის ბედი. საბჭოთა ხელმძღვანელობა ძალის გამოყენების გარეშე ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვეღარ ხედავდა. აღმოსავლეთ ბერლინს საგანგებოდ ბერია ეწვია.

როგორც წლების შემდეგ გახდა ცნობილი, საბოლოო ძალისმიერი გადაწყვეტილების მიღებას ხელს უწყობდა საბჭოთა მზვერავების მონაცემები. კერძოდ, ისინი იუწყებოდნენ, რომ დასავლეთ ბერლინში აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა თავი მოუყარეს 12 ათასამდე სამხედრო დაჯგუფებას. აღმოსავლეთ გერმანიაზე აქტიურად მუშაობდნენ დასავლეთის რადიოსადგურები, თვითმფრინავებიდან ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის მოწოდებებს. დასავლეთ ბერლინში ამ დროს იმყოფებოდა ამერიკის სადაზვერვო სამმართველოს ცნობილი შეფი ალენ დალესი.

17 ივნისს საბჭოთა კომენდანტმა ბერლინში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო რეჟიმმა საპროტესტო გამოსვლები ვერ შეაჩერა, რის გამოც საქმეში ჩაერთო საბჭოთა ჯარის ნაწილები, რომლებსაც თავდაცვის მომავალი მინისტრი ანდრეი გრეჩკო ხელმძღვანელობდა. მომიტინგეებს ცეცხლი ტანკებიდან დაუშინეს. ასეთი რამ გერმანელ მუშებს 1930-იან წლებში ფაშისტური რეჟიმის პირობებშიც კი არ ენახათ! შეტაკებების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა (საბჭოთა მონაცემებით – 16). დაუნდობელმა ზომებმა შედეგი გამოიღო – რამდენიმე დღეში ვითარება უკვე კონტროლს ექვემდებარებოდა.

ბერლინის კრიზისმა დაანახა „მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს“, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ კრემლი არ შეცვლილა. ძალა კვლავ მისი მთავარი არგუმენტი იყო. ამ მოვლენებს მოჰყვა აღმოსავლეთ გერმანიის ძლიერი სახალხო არმიის შექმნა, გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაუქმება* და, საერთოდ, გდრ-ის ჩამოყალიბება მოსკოვის ყველაზე სანდო სატელიტად.

---

* სინამდვილეში მას მხოლოდ სახელი შეეცვალა და საბჭოთა ჯარის დაჯგუფება დაერქვა.

იმავე 1953 წელს გრეჩკოს არმიის გენერლის წოდება მიანიჭეს, ხოლო ბერია „ინგლისის ჯაშუშად“ ცნეს და დახვრიტეს.

დიდი გერმანელი მწერლის ბერტოლდ ბრეხტის სიტყვებით, ბერლინის მოვლენების შემდეგ „ხალხმა დაკარგა მთავრობის ნდობა და ახლა მხოლოდ გაორმაგებული შრომით თუ შეძლებდა ამ ნდობის დაბრუნებას. იქნებ ჯობდა, რომ მთავრობას გაეუქმებინა ეს ხალხი და ახალი აერჩია?[5]

***

სამაგიეროდ, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობამ გააკეთა ზედმიწევნით სწორი არჩევანი: მან ომის შემდეგ ქვეყნის აღორძინება გენიალურ პოლიტიკოსს – კონრად ადენაუერს მიანდო.

დანგრეული, გაჩანაგებული ქვეყნისა და სულიერად დაცემული, ორად გაყოფილი გერმანელი ხალხის ფეხზე დაყენებას სახელმწიფო მოღვაწის განსაკუთრებული, თითქმის მესიანური თვისებები სჭირდებოდა. აუცილებელი იყო გადამტერებული მეზობლების შემორიგებაც და საერთოდ გერმანიისათვის ახალი ადგილის ძიება ომისშემდგომ მსოფლიოში.

II მსოფლიო ომამდე ადენაუერს რაიმე განსაკუთრებული პარტიული ან სახელმწიფო თანამდებობები არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით ქ. კელნის ობერ-ბურგომისტრის პოსტს და პრუსიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეობას. მაგრამ 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ადენაუერმა თანამდებობა დატოვა, რადგან ჰიტლერის რეჟიმი მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. 1930-40-იან წლებში იგი გესტაპომ ორჯერ დააპატიმრა. როდესაც 1944 წელს მან ციხეში თვითმკვლელობა სცადა, ციხის უფროსმა ასე „დააწყნარა“: „თქვენ უკვე 68 წლის ხართ, ისედაც მალე მოკვდებით“.

აბა რას წარმოიდგენდა ციხის უფროსი, რომ გაუბედურებული პატიმარი კიდევ 23 წელს იცოცხლებდა, რომ იგი გერ-

მანიის კანცლერი გახდებოდა და ამ პოსტზე უფრო დიდხანს დაჰყოფდა, ვიდრე თვით მესამე რაიხის ფიურერი.

ომის დამთავრების შემდეგ ადენაუერი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა, რომლის თავმჯდომარედაც 1946 წელს აირჩიეს. 1949 წლიდან 1963 წლამდე გერმანიის ფედერალური კანცლერი იყო – 14 წელი! (1951-55 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტსაც ითავსებდა). ყოველთვის მშვიდი და ჩაფიქრებული კანცლერი უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. გერმანელებისთვის იგი უბრალოდ „Der Alte“ („მოხუცი“) იყო და არა ვინმე ბელადი: ნუთუ იგივე ხალხმა აირჩია 15 წლით ადრე ადოლფ ჰიტლერი?

ადენაუერის პირველი დიდი ამოცანა იმ შეზღუდვების შემსუბუქება იყო, რომლებიც გამარჯვებულმა ქვეყნებმა დაუწესეს გერმანიას. ეს მან ოსტატურად მოახერხა. ადენაუერის მთავრობის ფინანსური რეფორმა და გერმანიის „ეკონომიკური სასწაული“ დღესაც შესწავლის თემაა. მოკლე პერიოდში, მკაცრი და ეფექტური ზომების შედეგად, შესაძლებელი გახდა „შავი ბაზრის“ გაუქმება, ფინანსური სისტემის გაჯანსაღება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. კანცლერმა შეძლო შრომისმოყვარე გერმანელი ხალხის ენერგიისა და ცოდნის ეკონომიკურ პრობლემებზე კონცენტრირება, რამაც საოცარი შედეგები გამოიღო. უკვე 1953 წლისათვის გერმანელების კეთილდღეობის დონე ომამდელ პერიოდს გაუთანასწორდა. 1960-იანი წლების დასაწყისისათვის კი გფრ ეკონომიკური მაჩვენებლებით ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა გახდა (!). ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის ფონზე ადენაუერმა გერმანიის საერთაშორისო იმიჯიც შეცვალა. უპირველეს ყოვლისა, მან კეთილმეზობლური ურთიერთობები დაამყარა მეზობელ საფრანგეთთან, რაშიც დიდი წვლილი პრეზიდენტ შარლ დე გოლსაც მიუძღვის. ადენაუერის საგარეო პოლიტიკა ცალსახად ორიენტირებული იყო ევროპულ ინტეგრაციაზე და ნატოში ქვეყნის გაწევრიანებაზე, რაც შესაძლებელი გახდა 1955 წელს (იმავე პერიოდში მან შექმნა ბუნდესვერი – გერ-

მანიის შეიარაღებული ძალები). ალიანსში გაწევრიანების წინააღმდეგი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც პრიორიტეტად გერმანიის გაერთიანებას მიიჩნევდნენ. ბევრი ძალისხმევა დასჭირდა ფედერალურ კანცლერს, რათა მოეპოვებინა გერმანელების მხარდაჭერა თავისი სტრატეგიული არჩევანისათვის. ამ არჩევანის სისწორე ისტორიამ დაამტკიცა – 1990 წელს დასავლეთ გერმანიამ უმტკივნეულოდ შეიერთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

კომუნისტური აღმოსავლეთ გერმანიის ფონზე გფრ-ის თავბრუდამხვევი ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებები კომენტარებს არ საჭიროებდა: დემოკრატიული წყობისა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა აშკარა იყო.

ადენაუერმა თავისი ისტორიული მისია ბრწყინვალედ შეასრულა. ალბათ ამიტომაც 91 წლის ასაკში "მოხუცმა" სიკვდილის წინ ასეთი ფრაზით დააწყნარა თავისი ქალიშვილი: "სატირალი არაფერია".

* * *

ადენაუერის ფიგურა და გფრ-ის წარმატებები დიდ გაღიზიანებას იწვევდა მოსკოვში. მე კარგად მახსოვს, თუ როგორ გვიხატავდა ადენაუერს საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „კროკოდილი". კანცლერს კბილების ნაცვლად რაკეტები ჰქონდა, სისხლიანი ხელებით კი მშვიდობისმოყვარე გდრ-ის ტერიტორიას ეპოტინებოდა. ადენაუერის „რევანშისტულ-მილიტარისტულ რეჟიმს" მშვიდი ძილის საშუალება არ უნდა მიეცა საბჭოთა მშრომელებისათვის. ამიტომ, როდესაც იგი 1955 წელს მოსკოვში ვიზიტით ჩავიდა და ახალ საბჭოთა ხელმძღვანელებს – ხრუშჩოვსა და ბულგანინს შეხვდა, საბჭოთა მოქალაქეებს ყველაზე უფრო ის აინტერესებდათ, თუ როგორ გამოიყურებოდა სინამდვილეში ადენაუერი*. საბჭო-

* ამ ვიზიტს სსრკ-სა და გფრ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მოჰყვა.

თა პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური ფოტოები „კროკოდილზე“ არანაკლებ სასაცილო აღმოჩნდა: უნაკლო ინგლისურ კოსტუმში გამოწყობილი სიმპათიური ადენაუერის გვერდით იდგნენ ტომარასავით ფართხუნა, ჩაჩაჩულ ტანსაცმელში ჩაცმული, გაბღენძილი საბჭოთა ლიდერები.

მაშინ არავინ იცოდა, თუ რა ედო გულში ნიკიტა ხრუშჩოვს. ეს მსოფლიოსათვის რამდენიმე თვეში გახდა ცნობილი.

„ამბოხება კრემლში“
კომპარტიის XX ყრილობა

„Есть человек – есть проблема, нет человека – нет проблемы“ – ამ შემზარავ ფრაზას სტალინს მიაწერენ. მართლაც, არავინ უწყის, თუ როგორ დატრიალდებოდა ისტორიის ჩარხი, სტალინს რომ ხრუშჩოვში დროულად ამოეცნო თავისი მესაფლავე. არ იქნებოდა ხრუშჩოვი და შეიძლება სტალინის ხსოვნას კარგა ხანს არც არანაირი პრობლემა შექმნოდა.

ხრუშჩოვის ფენომენზე უამრავი რამ დაიწერა და ითქვა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ყველაზე ძლიერად მამაჩემის – ირაკლი აბაშიძის მოგონებები ჩაიბეჭდა, რომელიც, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, 1956 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატი იყო. მამაჩემმა დიდი ცხოვრება გაიარა, ბევრი რამ ნახა და განიცადა. მაგრამ ის, რაც ამ ყრილობაზე მოხდა, მას ცხოვრების ბოლომდე აფორიაქებდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ კომპარტიის ყრილობას განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ ჩვენშიც და უცხოეთშიც. შეიცვლება რაიმე საბჭოთა კავშირში? ასეთი იყო მთავარი ინტრიგა. ყველა ელოდა ცვლილებებს, მაგრამ რაც კრემლში მოხდა, ბირთვული ბომბის აფეთქების ტოლფასი იყო.

სტალინის ერთგული დელეგატებისა და პარტიული ნომენკლატურის წინაშე სპეციალურ დახურულ სესიაზე სიტყვით გამოსულმა ხრუშჩოვმა დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ახლახან გარდაცვლილი მსოფლიო პროლეტარიატის ლიდერი. მან ემოციურად ისაუბრა სტალინის „პიროვნების კულტზე“, მასობრივ რეპრესიებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების უხეშ დარღვევებზე... დელეგატები საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ!

მამაჩემს კარგად ახსოვდა მის გვერდით მყოფი საბჭოთა გენერლების სიბრაზით გაწითლებული სახეები. „რომელიმე ერთი რომ წამომდგარიყო და ეყვირა: ძირს მოღალატე, ნიკიტას ტრიბუნიდან ჩამოაგდებდნენ და დაიჭერდნენო“ – ამბობდა იგი. ფაქტია, რომ 1956 წლის 25 თებერვალს ხრუშჩოვმა სასწორზე დადო თავისი პოლიტიკური კარიერა და პირადი ბედი, რადგან პარტიული ხელმძღვანელობის უმრავლესობა სტალინის დანაშაულთა გამოაშკარავების წინააღმდეგი იყო. ისინიც ხომ, ხრუშჩოვთან ერთად, ამ დანაშაულების მონაწილენი იყვნენ!

ასეთი გაბედული, ემოციური და, ამავე დროს, გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ხრუშჩოვს შეეძლო.

და აი, სტალინის დისციპლინით გაწვრთნილი კომუნისტები იძულებული გახდნენ აეტაცათ „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ მიმართული პარტიის ახალი კურსი. ამას ბევრი გულწრფელად და სიამოვნებითაც აკეთებდა, ბევრიც ტრაგიკულად იყო გულგატეხილი. მაგალითად, პოლონეთის კომპარტიის ლიდერი ბოლესლავ ბიერუტი ყრილობის შემდეგ მოსკოვშივე გულის შეტევით გარდაიცვალა.

ხრუშჩოვის „საიდუმლო მოხსენება“ ერთხანს პრესაში არ იბეჭდებოდა, მაგრამ ტექსტმა მაინც გაჟონა დასავლეთში და იქ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია. მოგვიანებით კრემლი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა მოკლე ვარიანტი (სრული ტექსტი მხოლოდ 1989 წელს ვიხილეთ საბჭოთა პრესაში).

ყრილობის შედეგების გასააზრებლად საბჭოთა საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არ აღმოჩნდა. ის ჯერ კიდევ „მამა მარჩენალის“ ტყვედ რჩებოდა. იყო ჩურჩული და მო-

ლოდინი, თუ რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას. ბევრი იმასაც ფიქრობდა, რომ „მშობლიური პარტია“ ასეთი ორიგინალური გზით ქვეყნის მტრების გამომზეურებას ცდილობდა. შეთქმულებათა კიდევ რა თეორიები არ არსებობდა! მართლაც, მონები ქმნიან ტირანებს.

რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ კომუნისტური პარტიები დასავლეთის ქვეყნებში, მათი ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. კომუნისტური ალბანეთის ლიდერმა ენვერ ჰოჯამ ხრუშჩოვს რევიზიონისტი უწოდა და საერთოდ გვერდზე გაუდგა საბჭოთა კავშირს.

მაგრამ მოსკოვისათვის საერთაშორისო თვალსაზრისით ყველაზე ავის მომასწავებელი მაო ძედუნის მომდურება იყო, რომელმაც არ გაიზიარა კრემლის ახალი პოლიტიკა. პეკინსა და მოსკოვს შორის დიდი განხეთქილება იწყებოდა.

ყველაზე ცუდ დღეში პატარა საქართველო აღმოჩნდა. ხრუშჩოვის პიროვნული ზიზღი სტალინის მიმართ საქართველოსაც გადასწვდა. ექსცენტრულმა ნიკიტა სერგის ძემ არაერთხელ მოიხსენია აუგად „ბელადის სამშობლო“, რაც უარყოფითად განაწყობდა ქართველების მიმართ მთელ საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო აპარატს. ერთხელ შეზარხოშებული ხრუშჩოვი ტელეფონით დაემუქრა კიდეც ვასილ მჟავანაძეს, რომ ქართველებს ციმბირში გაასახლებდა.

XX ყრილობის დასრულების შემდეგ, სულ ორიოდე კვირაში, თბილისში 9 მარტის სისხლიანი დღე დადგა. სამწუხაროდ, მსოფლიომ მაშინ ვერაფერი გაიგო ამ ტრაგედიის შესახებ, რომლის მთავარი შემოქმედი ხრუშჩოვი იყო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ როდესაც ხრუშჩოვი 1961 წელს თბილისს ეწვია, ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში მას მასობრივი ოვაციებით შეხვდნენ. ნიკიტა სერგის ძეს გაკვირვებია კიდეც, არ ვიცოდი ქართველ ხალხს ასე ძლიერად თუ ვუყვარდიო. რით აიხსნებოდა ეს? ვერ გეტყვით, ისტორიაში ხშირად კითხვები უფრო მეტია, ვიდრე პასუხები.

XX ყრილობამ დასაბამი მისცა საბჭოთა ისტორიის ახალ, ნაკლებად ძალადობრივ ეპოქას, რასაც საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა.

ციხეებიდან და ბანაკებიდან ბრუნდებოდა უამრავი „ინტერნირებული“, დაიწყო 1930–იან წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია, მცირედ, მაგრამ მაინც შეთხელდა დასავლეთთან „რკინის ფარდა“, მილიონობით ადამიანი შედარებით მშვიდად იძინებდა და იღვიძებდა. ახალგაზრდა თაობამ დაიწყო უფრო თავისუფლად ფიქრი და საუბარი, თანამედროვედ ჩაცმა, ცეკვა, სიარული. დაიწყო თანამედროვე უცხოური ლიტერატურის თარგმნა, კინოთეატრებში გაჩნდა უცხოური ფილმები.

***

მსოფლიოს მომავლისათვის მნიშვნელოვანი იყო XX ყრილობაზე კომპარტიის მიერ გაცხადებული ქვეყნის საგარეო კურსის ახალი პრინციპი - კაპიტალისტურ სამყაროსთან „მშვიდობიანი თანაარსებობა“. ამიერიდან ომი სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროებს შორის ფატალურ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიით გაჟღენთილი საბჭოთა საზოგადოებისათვის ეს თეზა საკმაოდ ჰუმანურად ჟღერდა, მას დასავლეთშიც მიესალმნენ. თუმცა ამ სწორ იდეას მომავალ წლებში თავად ხრუშჩოვმა გადაუსვა ხაზი თავისი ავანტიურიზმით.

ხრუშჩოვმა თავისი მმართველობის დასაწყისიდანვე დაიწყო „სიურპრიზების მირთმევა“ დასავლეთისათვის. მისი პირველი შეხვედრა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელებთან 1955 წელს შედგა ჟენევაში. ეს სამიტი გარკვეულწილად აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის დუაიტ ეიზენჰაუერის პრეზენტაციაც იყო.

სამიტზე მწვავე დიალოგი გაიმართა ნატოს თაობაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირი თავის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ბლოკად მიიჩნევდა, დასავლეთი კი – მშვიდობის გარანტად. ყველასათვის მოულოდნელად, საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა წინადადება... საბჭოთა კავშირის ნატოში გაწევრიანების შესახებ. „რამდენიმე წუთის მანძილზე დასავლეთის დელეგაციები გაოგნებულები დუმდნენ, – იგო-

ნებს გრომიკო -- ეიზენჰაუერს გაკვირვებისგან კისერი კიდევ უფრო დაუგრძელდა. იგი დალესს მიუბრუნდა და მასთან დაიწყო პრივატულად საუბარი. პრეზიდენტის სახეზე გაქრა მისთვის ჩვეული ღიმილი, რომელიც ასე ეხმარებოდა მას ამომრჩეველთა მოხიბვლასა და მათი ხმების მოპოვებაში. ამ წინადადებაზე ჩვენ პასუხი ვერც ჟენევაში და ვერც შემდგომ ვერ მივიღეთ. იგი „ნოხის ქვეშ“ ამოდეს“[6].

ბოლშევიკურ ბრახაბრუხს შეჩვეულმა ნიკიტა სერგის ძემ ევროპელების თავაზიანობა და საუბრის რბილი სტილი მათ სისუსტედ ჩათვალა და ჟენევიდან მოსკოვში დაბრუნებულმა თავის თანამებრძოლებს განუცხადა „იმპერიალიზმი სუსტდება და ისტორიული მომენტი ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს“. იმავე 1955 წლის 14 მაისს ვარშავაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის საფუძველზეც სსრკ, პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ალბანეთი* ერთიან სამხედრო სტრუქტურაში გაერთიანდნენ. მომდევნო 35 წლის მანძილზე ვარშავის პაქტი ე.წ. სოციალისტური ბანაკის მთავარი დასაყრდენი და ნატოს უძლიერესი მეტოქე იყო.

ხრუშჩოვი ცდილობდა მოეხდინა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაცია და იმავდროულად შეენარჩუნებინა კომუნისტური პარტიის დიქტატურა, რაც სრულიად შეუთავსებელი იყო; აკრიტიკებდა სტალინს მასობრივი ტერორისათვის და თან ყველას უმტკიცებდა, რომ პარტია, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობდა, კაცობრიობის ყველაზე პროგრესულ ძალას წარმოადგენდა; „მშვიდობიან თანაარსებობას“ სთავაზობდა დასავლეთს, მაგრამ აგრძელებდა ქვეყნის გამალებულ მილიტარიზაციას. ეს წინააღმდეგობები ნათლად დაინახა ჩერჩილმა, რომელმაც საბჭოთა ლიდერს ლონდონში 1956 წელს ვიზიტისას ასეთი რჩევა მისცა: „თქვენ დიდ რეფორმებს იწყებთ, ეს კარგია. მაგრამ მე გირჩევთ, ძალიან ნუ

* ალბანეთი 1968 წელს გავიდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან.

აჩქარდებით, რადგან უფსკრულის ორი ნახტომით გადალახვა შეუძლებელია. შეიძლება შიგ ჩაიჩეხოთ“[7].

ჩერჩილის წინათგრძნობა ამჯერადაც გამართლდა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

რევოლუცია უნგრეთში

კრემლში XX ყრილობაზე „ბომბის აფეთქებას“ მყისვე დეტონაციები მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპაში.

პირველი პოლონეთი იყო. ეს ქვეყანა, მართალია, საბჭოთა კავშირმა გაათავისუფლა გერმანელი ფაშისტებისაგან, მაგრამ შემდეგ თვითონ აღმოჩნდა ახალი დამპყრობლის როლში. პოლონელები ითხოვდნენ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარის გაყვანას. განსაკუთრებით შეურაცხყოფილად გრძნობდნენ ისინი თავს იმის გამო, რომ თავდაცვის მინისტრად მოსკოვმა პოლონელებს საბჭოთა მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი დაუნიშნა. იგი წარმოშობით პოლონელი იყო, მაგრამ მხარდაჭერით ამ ქვეყნის სამხედროებშიც კი არ სარგებლობდა.

1956 წლის გაზაფხულზე პოლონეთში მუშათა გაფიცვები დაიწყო. გაფიცულთა წინააღმდეგ ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა, იყო მსხვერპლი. პოლიტიკური კრიზისი მალე პოლონეთის მმართველ კომუნისტურ (პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია) პარტიასაც მოედო, რომლის შიგნითაც ბიერუტის სიკვდილის შემდეგ ლიდერობისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. ვარშავაში საგანგებო ვიზიტით, ყოველგვარი მოწვევის გარეშე, საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით.

თუ როგორ ცინიკურად და უხეშად ახვევდნენ თავს პოლონელ კომუნისტებს თავის ნებას საბჭოთა ხელმძღვანელები, ამას თვით ხრუშჩოვი მოგვითხრობს თავის ცნობილ მოგონებებში.

კერძოდ, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე ვლადისლავ გომულკას დანიშვნას საბჭოთა

დელეგაცია ჯერ ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მასზე გაკეთდა არჩევანი. პოლონელ კომუნისტებს ამ საკითხის თაობაზე დისკუსიები „ზედმეტად“ რომ გაუგრძელდათ, ხრუშჩოვმა უბრძანა საბჭოთა მარშალ კონევს,* ტანკები დაეძრა ვარშავის მიმართულებით. შეძრწუნებულმა პოლონელმა კომუნისტებმა სასწრაფოდ დაამტკიცეს გომულკა პირველ მდივნად. „ამის შემდეგ ჩვენ გავეცით ბრძანება, რათა ტანკები შეეჩერებინათ და შევუერთდით პოლონელი ამხანაგების კრებას“ – იგონებს ხრუშჩოვი და „თბილად“ დასძენს: „მომდევნო პერიოდში ჩვენ შევძელით გაგვეკვალა მეგობრობის გზა, რომელიც ჩვენი ხალხების გულებს აერთიანებდა, რადგან ეს იყო ჩვენი საერთო ბრძოლა ყველა ჯურის იმპერიალისტების, დასავლეთ გერმანიის რევანშისტებისა და, საერთოდ, სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ“[8].

ეჰ, მართლაც, რას არ იზამს კაცი საერთო მტრის – იმპერიალიზმის დასამარცხებლად...

მაგრამ უნგრეთში მოვლენები გაცილებით უფრო ტრაგიკულად განვითარდა.

40-იანი წლებიდან უნგრეთს სტალინის მიერ თავის „ხატად და მსგავსად“ შერჩეული მატიას რაკოში მართავდა, რომელიც შიშის ზარს სცემდა ფერენც ლისტის და ბარტოკის სამშობლოს. ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა რაკოშისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. კომპარტიის XX ყრილობიდან დაბრუნებულმა თავისი კოლეგები „დაამშვიდა“, მალე ხრუშჩოვს, როგორც მოღალატეს, დაიჭერენ და ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში დაბრუნდებაო.

1956 წელს ხრუშჩოვმა რაკოშის ხელისუფლებიდან გაშვება გადაწყვიტა და ეს კრემლისათვის ნაცადი ფორმით მოახერხა – უნგრელი კომუნისტის ჯანმრთელობით „შეწუხებულმა“ ნიკიტა სერგის ძემ იგი მოსკოვში „სამკურნალოდ“ მიიწვია. „მკურნალობის“ შემდეგ რაკოში თავის თანამდებო-

* ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

ბას ვეღარ დაუბრუნდა და მისი ადგილი, სხვადასხვა პერიპეტიების შემდეგ, იმრე ნადიმ დაიკავა.

შეიძლება ითქვას, რომ ნადი მომავალი საბჭოთა ლიდერის გორბაჩოვის პროტოტიპი იყო. იგი ხედავდა ძირეული ცვლილებების აუცილებლობას, მაგრამ სჯეროდა, რომ დემოკრატიული ცვლილებები კომპარტიის რეფორმით უნდა შემოფარგლულიყო. ეს კი შეუძლებელი იყო, რადგან დემოკრატია თავისი ბუნებით ერთპარტიულ სისტემაში ვერანაირად „ვერ ეტევა“.

როდესაც 1956 წლის ოქტომბერში ბუდაპეშტში სტუდენტთა მღელვარება დაიწყო, ნადი ამ საპროტესტო მოძრაობის ლიდერად იქცა. მაგრამ მანიფესტაციები სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა, მათი მოთხოვნები კი სულ უფრო რადიკალური. ხალხი ითხოვდა მრავალპარტიულ არჩევნებს, თავისუფალ პრესას, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. ნადი კი ცდილობდა ეს აზვირთებული ტალღა კომუნისტური პარტიის რეფორმირების გზით შეეჩერებინა.

ოქტომბრის ბოლოს ბუდაპეშტში საბჭოთა ლიდერები – ანასტას მიქოიანი* და მიხეილ სუსლოვი** ჩავიდნენ. ამ დროისათვის საბჭოთა ტანკები უკვე ბუდაპეშტის ქუჩებში გამოჩნდნენ, დაიწყო შეტაკებები. მაგრამ ნადისთან დელეგაციის შეხვედრისა და მოლაპარაკებების შემდეგ საბჭოთა ჯარი ერთხანს უკან შეაბრუნეს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ უნგრელმა კომუნისტებმა წარმატებას მიაღწიეს და მოსკოვი მათ გარკვეული ავტონომიის მინიჭებას ჰპირდებოდა, მაგრამ ბუდაპეშტის ქუჩებში სიტუაცია უკვე კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა: იხსნებოდა ციხეები, დაარბიეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, პედესტალიდან ჩამოაგდეს სტალინის ძეგლი. ადგილებზე ხელისუფლება „მუშათა საბჭოების“ ხელში გადადიოდა. ხალხი ითხოვდა არა კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაციას, არამედ მის დამხობას. და რაც მთავარია – უნგრეთიდან საბჭოთა ჯარის

* სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

** სსრკ კომპარტიის ცკ-ის მდივანი.

გაყვანას და ქვეყნის გასვლას ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან.

ამ „წითელი ხაზის“ გადალახვას მოსკოვი არ დაუშვებდა, ეს უკვე კრემლის მთავარი მონაპოვრის – სოციალისტური ბანაკის დაშლის ტოლფასი იყო.

ოქტომბრის ბოლოს ნადიმ გააუქმა ერთპარტიული სისტემა და კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბა, რომელშიც დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა იყო წარმოდგენილი. მოსკოვის მოთმინების ფიალა ივსებოდა. ცხადი იყო, რომ საბჭოთა კავშირი არ დათმობდა უნგრელი ხალხის “სოციალისტურ მონაპოვარს“.

ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე ჩაატარა კონსულტაციები აღმოსავლეთ ევროპის „მოძმე კომუნისტურ პარტიებთან“, რომლებმაც მხარი დაუჭირეს უნგრეთში ვითარების დარეგულირების სამხედრო ვარიანტს.

როგორც ხრუშჩოვი იგონებს, ასეთი მხარდაჭერა მათ ბროზ ტიტოსაგანაც მიიღეს, რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტია, რადგან იუგოსლავიის ლიდერი კომუნისტურ ბანაკში თავისი დამოუკიდებელი პოზიციებით გამოირჩეოდა[9].

ოქტომბრის ბოლოსათვის მოსკოვში უნგრეთის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1 ნოემბერს საბჭოთა არმიის დივიზიები და სატანკო კოლონები უნგრეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ნადისთან მოწვეულმა საბჭოთა ელჩმა – სუკ-ის მომავალმა თავმჯდომარემ და შემდგომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა იური ანდროპოვმა უტიფრად განაცხადა, რომ ეს „საბჭოთა დივიზიების გეგმიური როტაცია“[10] იყო. იმავე დღეს ნადის მთავრობამ უნგრეთის ნეიტრალიტეტი და ვარშავის ხელშეკრულებიდან გასვლა გამოაცხადა.

დღეს ბევრს დაობენ იმაზე, თუ რაოდენ მართებული იყო უნგრელების რადიკალური ქმედება. ბევრი მიიჩნევს, რომ სწორი იქნებოდა, თუკი მაშინ უნგრელები მიღწეულით დაკმაყოფილდებოდნენ და ახალ, დამოუკიდებლობის უფრო ფართო პლატფორმაზე გამაგრდებოდნენ. სხვები კი თვლიან, რომ საბჭოთა კავშირი მაინც არ გაუშვებდა ხელიდან უნ-

გრეთს, ამიტომ ბრძოლა თავისუფლებისათვის ბოლომდე იყო საჭირო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ რევოლუციას თავისი ლოგიკა აქვს, ხშირად არარაციონალური და თვითდამღუპველი.

ნოემბრის პირველ დღეებში, როდესაც გაეროში უნგრეთის მთავრობის მიმართვას განიხილავდნენ, ბუდაპეშტის ქუჩებში საშინელი ტრაგედია ტრიალებდა. საბჭოთა არმია ჩვეულებრივი მოქალაქეებისა და უნგრეთის არმიის ნაწილების სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. პირველივე შეტაკებებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. უნგრელებს კარგად ახსოვდათ, თუ როგორ იბრძოდნენ 1945 წელს საბჭოთა ჯარისკაცები ბუდაპეშტის ფაშისტებისაგან გასათავისუფლებლად. ახლა კი საბჭოთა ჯარი უნგრელების წინააღმდეგ ქალაქში არტილერიასაც იყენებდა. ბუდაპეშტის რადიო მსოფლიოს დახმარებისათვის გამუდმებით მიმართავდა, მაგრამ ამაოდ. მისი ხმა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როდესაც დიქტორმა მიკროფონი მოისროლა და ხელში შაშხანა აიღო.

სისხლიანი მოვლენები თითქმის 2 კვირა გრძელდებოდა. ამან ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. 200 ათასამდე უნგრელი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.

უნგრეთის მთავრობა ამაოდ ცდილობდა საბჭოთა ჯარის შეჩერებას. თავდაცვის მინისტრი მალეტერი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საბჭოთა სამხედროებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, სუკ-ის აგენტებმა შეიპყრეს.

ნადი იძულებული გახდა თავშესაფარი ეთხოვა იუგოსლავიის საელჩოში, მაგრამ მოგვიანებით იგი ვერაგულად დააპატიმრეს და დახვრიტეს (მან თავი დამნაშავედ არ სცნო). იგივე ბედი ეწია მის კოლეგებსაც, მათ შორის მალეტერს. ქვეყანაში მასობრივი დაპატიმრებები და რეპრესიები დაიწყო.

ხრუშჩოვის ეპოქის სიმბოლო – მშვიდობის მტრედი – ბუდაპეშტის ქუჩაში ეგდო ტანკით გასრესილი.

„უნგრელი ხალხის სოციალისტური მონაპოვარი“ გადარჩა. იგი საბჭოთა არმიამ უნგრეთის კომპარტიის ახალ ხელმძღვანელს – იანოშ კადარს გადაულოცა, რომელიც ამ მოვლენების დროს მოსკოვში იმყოფებოდა და მხოლოდ

ტრაგედიის დასრულების შემდეგ მოევლინა საკუთარ ხალხს ახალ ლიდერად.*

როგორც ხრუშჩოვი იგონებს, მოგვიანებით მას უკითხავს კადარისათვის, თუ რას ფიქრობდა იგი საბჭოთა სამხედრო კონტინგენტის გაყვანაზე უნგრეთიდან. „ამხანაგო ხრუშჩოვ, ჩემი აზრით, ეს თქვენი გადასაწყვეტია, უნგრელი ხალხი არ არის წინააღმდეგი საბჭოთა ჯარის ყოფნისა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამას მე თქვენ გულახდილად გეუბნებით“[11].

ვინ იცის, როგორ უჭირდა ასეთი “გულახდილი“ პასუხის გაცემა კადარს.

* * *

რამდენად პრინციპული იყო დასავლეთის და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის პოლიტიკა უნგრეთის რევოლუციის პერიოდში? გააკეთა ყველაფერი გაერომ სუვერენული ევროპული ქვეყნის მიმართ აგრესიის შესაჩერებლად? სამწუხაროდ, ორივე კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია.

ჰენრი კისინჯერის აზრით, უნგრეთის კრიზისში აშშ-ის პოლიტიკა კრიტიკას ვერ უძლებს. ვაშინგტონმა უნგრელი ხალხი გასაჭირში მიატოვა და „აქტიური მოთამაშის მაგივრად იგი დამკვირვებლად მოგვევლინა“[12]. აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული რადიო „თავისუფალი ევროპა“ რევოლუციის პერიოდში მუდმივად უბიძგებდა უნგრელებს რადიკალური ქმედებისაკენ (რაც ბუდაპეშტში ვაშინგტონის ოფიციალურ პოზიციად აღიქმებოდა), აშკარად განაწყობდა უნგრელებს ნადის წინააღმდეგ, მაშინაც კი, როდესაც მან კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბა. ეს ნაბიჯი რადიომ, რატომღაც „ტროის ცხენად“ მონათლა: „თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ჯერ კიდევ კომუნისტების ხელშია. თავისუფლებისათვის მებრძოლნო, არ დაუშვათ ეს, იარაღი არ დაჰყაროთ!“[13]

დღევანდელი გადასახედიდან ასეთი მოწოდებები მართლაც პროვოკაციულად ჟღერს, მით უმეტეს, რომ 1956 წლის

* სხვათა შორის, კადარმა მომდევნო წლებში მოახერხა უნგრეთის რეფორმატორული გზით წაყვანა.

27 ოქტომბერს ცნობილ გამოსვლაში სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა აშშ-ის მხარდაჭერა აღუთქვა იმ ქვეყნებს, რომლებიც საბჭოთა ორბიტიდან გამოსვლას გადაწყვეტდნენ[14]. რა თქმა უნდა, ამ განცხადებამ უნგრელებს კიდევ უფრო განუმტკიცა აშშ-ის დახმარების რწმენა.

მაგრამ ზუსტად 4 დღის შემდეგ ეიზენჰაუერის გამოსვლამ „წყალი გადაასხა“ უნგრელთა იმედებს. მართალია, პრეზიდენტი მიესალმა აღმოსავლეთ ევროპელების ბრძოლას თავისუფლებისათვის, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ ამ ბრძოლაში დასახმარებლად აშშ ძალას არ მიმართავდა, „რადგან ასეთი პოლიტიკა არც აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისა და არც გაეროს ფუძემდებლურ პრინციპებს არ შეესაბამებოდა“. ყოველგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად მან ისიც დასძინა, რომ ვაშინგტონი არ განიხილავდა აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანას როგორც მის შესაძლო სამხედრო მოკავშირეს[15].

კისინჯერის აზრით, ეს განცხადებები პრინციპულად არასწორი და, უფრო მეტიც – პროვოკაციული იყო. რა თქმა უნდა, აშშ-ს არ შეეძლო ომი დაეწყო უნგრეთის გამო, მაგრამ მოსკოვისათვის მას ნათლად უნდა ეთქვა, რომ უნგრეთში ინტერვენცია უაღრესად უარყოფით შედეგებს იქონიებდა დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობებზე. კრემლს უნდა დაენახა, თუ რაოდენ დიდი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური საფასური სამხედრო ინტერვენციისა[16].

ფაქტობრივად, აშშ-ის ზედმეტად თავშეკავებულმა პოზიციამ ძალისმიერი ქმედებისაკენ უბიძგა მოსკოვს.

მართალია, აშშ-ის ქმედება არათანმიმდევრული იყო, მაგრამ მოძალადე და აგრესორი ამჯერადაც სსრკ გახლდათ.

რაც შეეხება გაეროს, 4 ნოემბერს საბჭოთა კავშირმა ვეტო დაადო უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა უნგრეთიდან საბჭოთა ჯარის სასწრაფოდ გაყვანას. შემდეგ, უნგრეთის მოთხოვნით, საკითხი გენერალურმა ასამბლეამ განიხილა, რომელმაც ზოგადად მხარი დაუჭირა ქვეყნის სუვერენიტეტს და ბუდაპეშტში საერთაშორისო დამკვირვებლების გაგზავნა გადაწყვიტა. ბუნებრივია, სოციალისტური ბანაკი ამ რეზოლუციის წინააღმდეგი იყო. მაგრამ,

რაც დღეს უცნაურად ჟღერს, უნგრეთს მხარი არ დაუჭირა და კენჭისყრის დროს თავი შეიკავა ე. წ. მიუმხრობელი ქვეყნების დიდმა ნაწილმა, მათ შორის არაბულმა სახელმწიფოებმა, იუგოსლავიამ და ინდოეთმა. ყველაზე უცნაური მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული ქვეყნის – ინდოეთის პოზიცია იყო. მისმა პრემიერმა, დიდმა ჯავაჰარლალ ნერუმ ისიც კი განაცხადა, რომ მოთხოვნა გაეროს მანდატით უნგრეთში თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ „ეწინააღმდეგებოდა უნგრეთის სუვერენიტეტს“[17].

მიუმხრობელი ქვეყნების ასეთ თავშეკავებულ პოზიციას სხვა ახსნაც ჰქონდა: ზუსტად იმ დღეებში, როდესაც საბჭოთა ტანკები ბუდაპეშტს ანგრევდნენ, სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა ეგვიპტეში, სუეცის არხთან. ამგვარად, გაერო ფაქტობრივად ერთდროულად განიხილავდა ამ ორ კრიზისულ ვითარებას. ასე რომ, თავისუფლებისათვის მებრძოლი უნგრელები გარკვეულწილად სუეცის კრიზისის მსხვეპლიც გახდნენ.

ომი სუეცის არხთან

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სუეცის კრიზისთან დაკავშირებით ჰოლივუდში ფილმი ჯერ არ გადაუღიათ. არადა უცნაურია, კინოსცენარი მზად არის. ამაზე პოლიტიკოსებმა იზრუნეს. აბა წარმოვიდგინოთ ფილმის დასაწყისი:

1952 წელს ეგვიპტეში ახალგაზრდა სამხედრო ოფიცრები („თავისუფალი ოფიცრები“) ტახტიდან ჩამოაგდებენ მეფე ფარუკს და ქვეყანაში რესპუბლიკურ წყობას ამყარებენ. ხელისუფლების სათავეში ჯერ მუჰამად ნაგიბი მოდის, ხოლო შემდეგ – გამალ აბდ ელ-ნასერი.

ეგვიპტეს, როგორც სხვა არაბულ ქვეყნებსაც, რა თქმა უნდა, უაღრესად ცუდი ურთიერთობები აქვს ისრაელთან, რადგან 1948-49 წლებში საომარი მოქმედებების შედეგად შექმნილი პალესტინის საზღვრები არაბებს არ აწყობთ. გარდა ამისა,

გაეროს ნების საწინააღმდეგოდ, 1950 წელს ისრაელი თავის დედაქალაქად იერუსალიმს გამოაცხადებს.

1949 წლიდან იწყება პარტიზანი „ფედაინების“ შეიარაღებული რეიდები ისრაელის ტერიტორიაზე ღაზის სექტორთან და მდ. იორდანის მარცხენა ნაპირიდან. ფედაინების საწვრთნელი ბაზები ეგვიპტის, ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიაზეა განლაგებული. მათ 1949-56 წლებში 1500-მდე ისრაელის ჯარისკაცი და მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს.

ფედაინებთან საბრძოლველად 1953 წელს ისრაელის ახალგაზრდა ოფიცერი არიელ შარონი შექმნის სპეციალურ ჯგუფებს, რომლებიც იორდანიის ტერიტორიაზე 70-მდე არაბს გაანადგურებენ. ნაბიჯ-ნაბიჯ ამ პარტიზანულ შეტაკებებში რეგულარული ჯარის ნაწილები ერთვებიან. „ეკრანზე“ ჩნდება არტილერია, ტანკები, თვითმფრინავები, ვითარება იძაბება.

1955 წელს ნასერი იწყებს „დიდ თამაშს“. იგი ჩეხოსლოვაკიის მეშვეობით შეიძენს დიდძალ საბჭოთა იარაღს: 230 ტანკს, 200 ჯავშანტრანსპორტიორს, 200 თვითმფრინავს და 2 ათასამდე საარტილერიო დანადგარს, ასევე სამხედრო ხომალდებს.

დიდი რეჟისორი სტანისლავსკი ამბობდა, რომ თუკი სცენაზე თოფი გამოჩნდება, მან აუცილებლად უნდა გაისროლოსო.

1955-56 წლებში ეგვიპტე, სირია და იორდანია ქმნიან შეიარაღებული ძალების ერთიან სამხედრო მმართველობას.

ეგვიპტის მილიტარიზაცია ანერვიულებს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, რომლებიც ერთობლივად ფლობენ სუეცის არხს. ეს 160-კილომეტრიანი არხი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიალური პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მონაპოვარია. მასზე მოდის საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის 10%, რაც ამ ქვეყნებს დიდ შემოსავალს აძლევს. ეგვიპტეს კი მხოლოდ 3 მილიონი დოლარი ხვდება წლიურად, რაც აშკარა დისკრიმინაციაა.

ნასერი ჯერ ალჟირელი პარტიზანების მხარდაჭერას იწყებს, რითაც საფრანგეთთან იფუჭებს ურთიერთობას, ხოლო შემდეგ სუეცის ზონაში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბაზებ-

ზე აწყობს პარტიზანულ რეიდებს. საბოლოო ჯამში, ზეწოლის შემდეგ, იგი აიძულებს ლონდონს ხელი მოაწეროს შეთანხმებას ბრიტანული ჯარის გაყვანის თაობაზე სუეცის არხის ზონიდან.

მოსკოვიდან სიამოვნებით ადევნებენ თვალს, თუ როგორ რთულდება ნასერის ურთიერთობა აშშ-თანაც. საბჭოთა იარაღის შეძენით გაღიზიანებული ვაშინგტონი 1956 წლის ივლისში განაცხადებს, რომ თუკი ნასერი არ შეწყვეტს ქვეყნის მილიტარიზაციას, იგი შეუჩერებს მას დაპირებული 270-მილიონიანი კრედიტის გაცემას ასუანის კაშხლის მშენებლობისათვის. ასუანის კაშხალმა მდ. ნილოსზე უნდა გადაწყვიტოს ეგვიპტის ენერგეტიკული პრობლემები, ამიტომ იგი ნასერისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

26 ივლისს ქ. ალექსანდრიაში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე ნასერი აკეთებს ისტორიულ განცხადებას სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ. ეგვიპტის არმია არხს იკავებს. ეგვიპტელები და მთელი არაბული სამყარო აღფრთოვანებულია: როგორც იქნა გამოჩნდა პოლიტიკური ლიდერი, რომელიც მათ გააერთიანებს და შავ დღეს დააყრის ინგლისელ-ფრანგ კოლონიზატორებს, მათთან ერთად ამერიკელ იმპერიალისტებსაც.

ნასერს მქუხარედ უკრავენ ტაშს მოსკოვიდან, რომელსაც უჩნდება უნიკალური შანსი ახლო აღმოსავლეთში გავლენის გასაძლიერებლად. კრემლი აკეთებს მომგებიან სვლას და სთავაზობს ნასერს ასუანის კაშხლის აგებას. ეგვიპტის ლიდერი აშკარად ზენიტშია, დედამიწა მის ირგვლივ იწყებს ბრუნვას.

მომდევნო წლებში ნასერი არაბული სამყაროს გმირი და საბჭოთა კავშირის ძლიერი მოკავშირე გახდება. მოსკოვი უხვად გაუწევს მას პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებას, აუშენებს ძვირადღირებულ გრანდიოზულ ასუანის კაშხალს, მიანიჭებს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას. ნასერი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ე. წ. მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობაში, იქნება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელს შეუწყობს ანტიკოლონიურ და პან-არაბულ რევოლუციებს ალჟირში, ლიბიაში,

ერაყსა და იემენში, ეწვევა საბჭოთა კავშირს და ჩამოვა საქართველოში, დააპატიმრებს ათასობით ეგვიპტელ კომუნისტს. საბჭოთა დახმარებით ნასერი შექმნის ძლიერ არმიას, რომელიც 1967 წელს კვლავ წააგებს ომს ისრაელთან, მაგრამ ეს მომავალში იქნება.

ახლა კი, იწყება ჩვენი „ფილმის“ ყველაზე დრამატული ეტაპი.

მას შემდეგ, რაც ეგვიპტე უარს იტყვის ინგლისისა და საფრანგეთის შემოთავაზებაზე მოიწვიონ სუეცის არხთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია, ლონდონსა და პარიზში იწყებენ სამხედრო ოპერაციის მზადებას არხის დასაბრუნებლად და, საერთოდ, ნასერის ჩამოსაცილებლად. „ამისათვის ჩვენ უკეთეს მომენტს ვერ ვიპოვით“ – აცხადებს პრემიერი ენტონი იდენი[18]. საყურადღებოა, რომ ამის შესახებ ვაშინგტონში ჯერ არაფერი იციან.

შემუშავებული გეგმის მიხედვით მთავარი როლი ისრაელმა უნდა შეასრულოს. მან უნდა დაიწყოს ომი ეგვიპტესთან, დაამარცხოს და დაიკავოს სუეცის არხი. ამის შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი ულტიმატუმის სახით მოსთხოვენ დაპირისპირებულ მხარეებს, ანუ ეგვიპტესა და ისრაელს, გაიყვანონ ჯარები სუეცის არხიდან, რომელსაც შემდეგ ფრანგულ-ინგლისური სამშვიდობო ძალები დაიკავებენ.

ასეთ ექსტრავაგანტურ სცენარს დღესაც ძნელად თუ დაიჯერებს მაყურებელი. როგორც ჩანს, გეგმა თავიდან არც ისრაელს ეპიტნავება, ამიტომ ამ როლის შესრულების საფასურად იგი ძალიან ბევრს ითხოვს, კერძოდ: იორდანიისა და ლიბანის ტერიტორიების ნაწილს, აკაბას ყურეს წითელ ზღვაზე, ასევე სამშვიდობო ხელშეკრულებას ეგვიპტესთან (რა თქმა უნდა, მასთან, ვინც ნასერს შეცვლის) და სუეცის არხის გახსნას თავისი გემებისათვის.

ინგლისელები და ფრანგები ამ მოთხოვნებს სრულიად არარეალურად მიიჩნევენ. იწყება ვაჭრობა, რომლის შედეგადაც ხელი მოეწერება საიდუმლო შეთანხმებას. ისრაელმა სამხედრო ოპერაცია 29 ოქტომბერს უნდა დაიწყოს!

ეგვიპტეს 90-ათასიანი რეგულარული არმია ჰყავს. მის შეიარაღებაშია 430 ტანკი, 300 თვითმავალი ქვემეხი, 200 თვითმფრინავი. მაგრამ საბჭოთა იარაღის შეძენის შემდეგ არმია ჯერ გადაიარაღების სტადიაშია და საბრძოლველად მზად არ არის. სუეცის არხთან განლაგებულია ეგვიპტის ქვეითთა ჯარის 2 დივიზია და სატანკო შენაერთი.

ისრაელი საომარი ოპერაციის „კადეშისათვის“ („გაწმენდა“) ამზადებს შეიარაღებული ძალების ორ მესამედს: 100 ათას ჯარისკაცს, 200 ტანკს, 150 თვითმფრინავს, არტილერიასა და სამხედრო გემებს.

ყველაფერი მზად არის მასშტაბური ბატალური სცენებისათვის!

29 ოქტომბერს, შეთანხმებისამებრ, ისრაელის ჯარი გენერალ მოშე დაიანის მეთაურობით იწყებს შეტევას ეგვიპტეზე. პირველი შეტაკებები ხდება კუსკიმის რაიონში სინას ნახევარკუნძულზე. ორდღიანი ბრძოლების შემდეგ ისრაელის ჯარი თითქმის მთლიანად აკონტროლებს სინას და იწყებს ღაზის სექტორის ბლოკირებას. 4 ნოემბრისათვის ისრაელი იკავებს სტრატეგიულ შარმ-ალ-შეიხს წითელ ზღვაზე. ისრაელი იმარჯვებს საჰაერო და საზღვაო ბრძოლებშიც, მისი ტანკები სუეცის არხს უახლოვდებიან. მაგრამ შეთანხმებულ გეგმაში თავს იჩენს აშკარა კურიოზი: უკვე 30 ოქტომბერს ინგლისი და საფრანგეთი ულტიმატუმს წარუდგენენ ისრაელსა და ეგვიპტეს არხიდან მათი ჯარების 10 მილის მანძილზე გაყვანის შესახებ. მაგრამ ისრაელის ჯარს სუეცი ჯერ ხომ არ დაუკავებია? იგი არხიდან 30 კილომეტრშია! მერე რა, მრავალათასიანი ინგლისურ-ფრანგული დესანტი კი უკვე პორტ-საიდსა და პორტ-ფაუდს უახლოვდება.

ეგვიპტე კატეგორიულად უარს ამბობს ევროპელების ულტიმატუმზე. იწყება მათი საჰაერო შეტევები ეგვიპტის საჰაერო და ჯარის ნაწილებზე, რის შედეგადაც ეგვიპტის ავიაციის დიდი ნაწილი განადგურებულია.

6 ნოემბრისათვის იწყება ინგლისური და ფრანგული დივიზიების გადასხმა სუეცის ზონაში. მათი გეგმით ეს ოპერაცია რამდენიმე დღეში მთლიანად უნდა დასრულდეს. მაგრამ...

მაგრამ მოსკოვი თავისი პარტნიორისა და მომავალი მოკავშირის – ეგვიპტის დასაცავად უკიდურესად მწვავედ რეაგირებს. ხრუშჩოვი განრისხებას დემონსტრატიულად არ ფარავს. საბჭოთა კავშირი აკეთებს ოფიციალურ განცხადებას და „აგრესორებს“ ბირთვული იარაღის გამოყენებითაც კი ემუქრება. ბუნებრივია, პარიზსა და ლონდონში ამ გაფრთხილებას სერიოზულად აღიქვამენ.

და, რაც ევროპელებისთვის ყველაზე მოულოდნელია, მათ საქციელზე დაახლოებით ასევე მწვავედ რეაგირებს ვაშინგტონი. ვაშინგტონი და მოსკოვი ერთობლივად (!) გამოდიან ლონდონისა და პარიზის წინააღმდეგ გაეროში. ამ საკითხის განხილვას უშიშროების საბჭოში დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ბლოკავენ ვეტოს უფლებით, მაგრამ შემდგომ ვითარებას განიხილავს გენერალური ასამბლეის საგანგებო სხდომა, რომლის გადაწყეტილებითაც უცხო ძალებმა უნდა სასწრაფოდ დატოვონ ეგვიპტე და ამ ქვეყანაში შეიყვანონ გაეროს სამშვიდობო კონტინგენტი. ამ რეზოლუციის მხარდამჭერთა შორის არიან სსრკ, სოციალისტური ქვეყნები, არაბული ქვეყნების ლიგა და... აშშ. ეს საფრანგეთისა და ინგლისის დიდი პოლიტიკური მარცხია.

ასე დასრულდება ინგლისურ-ბრიტანული „სამშვიდობო ოპერაცია“. მომდევნო 1 თვის მანძილზე ისინი მთლიანად დატოვებენ ეგვიპტეს. რამდენიმე თვეში ოკუპირებულ ტერიტორიას დატოვებს ისრაელიც.

აშშ-ის ამგვარ დაპირისპირებას თავის სტრატეგიულ მოკავშირეებთან საბჭოთა კავშირში იმით ხსნიან, რომ ოპერაცია არ იყო ვაშინგტონთან შეთანხმებული: „ამერიკელებმა ჭკუა ასწავლეს ევროპელებს. ამიერიდან მათ ნებართვის გარეშე დამოუკიდებლად აღარ უნდა იმოქმედონ“.

სინამდვილეში აშშ-თვის, როგორც ბრიტანეთის ყოფილი დომინიონისა და მისგან განთავისუფლებული ქვეყნისათვის, ზნეობრივად უცხოა კოლონიალიზმი. მისთვის ხალხებისა და პიროვნების თავისუფლება წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას, რომელსაც პატივი უნდა სცეს აშშ-ის მოკავშირემაც და მოწინააღმდეგემაც. ამიტომ ინგლისისა და საფრანგეთის

„კოლონიალური გამოხდომა“ პრინციპულად მიუღებელი და დასაგმობია – ასე აცხადებდნენ მაშინ ვაშინგტონში.

რა თქმა უნდა, გარდა მორალისა, ვაშინგტონის ადმინისტრაცია ფიქრობს აშშ-ის საერთაშორისო იმიჯსა და ავტორიტეტზე არაბულ სამყაროში. ალბათ, სწორედ ამიტომ ეკითხება ეიზენჰაუერი თავის თანაშემწეს: „აბა როგორ დავუჭიროთ მხარი ბრიტანეთსა და საფრანგეთს. ამით ხომ ჩვენ მთელ არაბულ სამყაროს დავკარგავთ?“[19]

ასეა თუ ისე, სუეცის კრიზისის შედეგებით ყველაზე კმაყოფილი კრემლში არიან. მათ ჭკუა ასწავლეს ევროპელ „აგრესორებს“, განხეთქილება შეიტანეს ნატოს რიგებში და, რაც მთავარია, ფეხი მოიკიდეს ახლო აღმოსავლეთში, სადაც ამიერიდან ძლიერი მოკავშირე ჰყავთ.

დიდ გამარჯვებას ზეიმობს აბდ ელ-ნასერი. ამიერიდან იგი არაბული სამყაროს გმირი და ლიდერია. გარდა ამისა, ეგვიპტე უკვე სრულად ფლობს სუეცის არხს და მალე მას ასუანის კაშხალსაც აუშენებს კეთილი საბჭოთა კავშირი.

პრინციპში, გამარჯვებულად გრძნობს თავს ისრაელიც. მან მიაღწია თავისი ხომალდებისთვის ბლოკადის მოხსნას სუეცის არხზე და ტირანის სრუტეში. გარდა ამისა, სინას ნახევარკუნძულზე მას ხელში ჩაუვარდა ეგვიპტის დიდძალი შეიარაღება, დარჩენილი ნაწილი კი თითქმის მთლიანად განადგურებულია. ასე რომ, მშვიდობა ერთხანს გარანტირებულია.

სუეცის კრახის შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი კარგავენ არა მარტო ამ არხის მფლობელობას, არამედ გაცილებით მეტს – ზესახელმწიფოთა სტატუსს. ყველასათვის ნათელი ხდება, რომ მსოფლიოს ამიერიდან მხოლოდ 2 ზესახელმწიფო ჰყავს: აშშ და სსრკ. როგორც ერთი ევროპელი ჟურნალისტი აღნიშნავს, „სუეცის შედეგად ინგლისი და საფრანგეთი გადაიქცა ისეთივე ქვეყნად, როგორიც, ვთქვათ, ჰოლანდიაა“. ამ ქვეყნების პოლიტიკაში მარცხი დიდ ცვლილებებს შეიტანს. დაჩაგრული ინგლისი 1956 წლის შემდეგ მთლიანად აშშ-ს დაუკავშირებს თავის უსაფრთხოებას. საფრანგეთი კი პირიქით, დაიწყებს თავისი საკუთარი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას,

რადგან აშშ-ს უკვე ბოლომდე აღარ ენდობა. პარიზის კაპრიზები ვაშინგტონს მომავალ წლებში ძვირად დაუჯდება.

ასეთია ამ „ფილმის“ სცენარი. მაგრამ, საუბედუროდ, ბოლოს „იხოცებიან“ არა მსახიობები, არამედ იღუპებიან ჩვეულებრივი ადამიანები: 3 ათასი ეგვიპტელი, 320 ინგლისელი და ფრანგი, 172 ებრაელი.

სუეცის ავანტიურის დროს არც ერთი პოლიტიკოსი არ გარდაცვლილა. ისინი, როგორც წესი, ნაკლებად ზარალდებიან.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ „ᲒᲐᲒᲘᲟᲓᲐ“

ჩემმა თაობამ ბავშვობა ჩინურ „კეტებში“ გაატარა. კიდევ მაგიდის ჩოგბურთის ბურთები და ლამაზი მარაო – აი მთელი ჩვენი პრაქტიკული შეხება ჩინურ კულტურასთან. გარდა ამისა, ბუნებრივია, იმ დროის კინოქრონიკა, რომელიც მოგვითხრობდა მოძმე ჩინელი ხალხის რევოლუციურ წარმატებებზე.

1957 წელს მამაჩემი ჩინეთს ეწვია საბჭოთა მწერალთა დელეგაციის შემადგენლობაში. დელეგაცია მაო ძედუნმა მიიღო, რაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. მამაჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაოს „ფაფუკმა ხელმა“, რასაც შემდეგ იმ დროისთვის საკმაოდ გაბედული ლექსიც მიუძღვნა. ლექსის დედააზრი ის გახლდათ, რომ დიდი ძალაუფლება, რაოდენ ფაფუკ ხელშიც უნდა იყოს იგი, დიდ უსამართლობასა და უბედურებას წარმოშობს. მართალია, ამის მისახვედრად მამაჩემს ჩინეთში წასვლა და მაოსთვის ხელის ჩამორთმევა, ალბათ, სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ პოეტებს განსაკუთრებული წინათგრძნობა აქვთ. იმას, რაც მაოს „ფაფუკმა ხელმა“ მომდევნო წლებში ჩინეთში მოიმოქმედა, კაცობრიობის ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს.

ერთხანს საბჭოთა პროპაგანდა ჩინეთის მიღწევებს აღმატებული ეპითეტებით ამკობდა. გვიჩვენებდნენ, თუ როგორ პირნათლად ასრულებდნენ ჩინელები კომუნისტური პარტიის დავალებას ბელურების მასობრივი განადგურების თაობაზე,

რათა ხორბლის მოსავლის ნაწილი ამ „პარაზიტ ფრინველებს“ არ რგებოდათ. განსაკუთრებით გვახალისებდა იმის ამსახველი კინოკადრები, თუ რაოდენ პრიმიტიული მეთოდებით ცდილობდნენ ჩინელები ჭაობების ამოშრობას, მდინარეების კალაპოტების შეცვლას, კაშხლების მშენებლობას. ბევრს ხუმრობდნენ მაო ძედუნის განცხადებაზე, რომელიც მან კომუნისტური პარტიების თავყრილობაზე გააკეთა 1957 წელს. მან თქვა, რომ იმპერიალისტებთან ატომური ომისა კომუნისტებს არ უნდა შეშინებოდათ. ამისათვის, კერძოდ, ჩინეთი მზად იყო გაეღო 300 მილიონი ადამიანის სიცოცხლე. ყველას აინტერესებდა, თუ რამდენი მილიონი უნდა გაეღო მაოს ლოგიკით საქართველოს.

როგორც შემდეგ გაირკვა, მაოს რადიკალიზმი სულ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა კრემლში, რომელსაც დღითიდღე უფრო ურთულდებოდა ურთიერთობები ჩინელი ხალხის ბელადთან. მაო მაქსიმალურად „წველავდა“ საბჭოთა კავშირს, იღებდა მისგან ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას, მაგრამ, ამავე დროს, ხაზგასმით ატარებდა მოსკოვისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას.

ერთპიროვნული ხელისუფლების კონსოლიდაციისათვის მაოს შესაბამისი იდეოლოგიური საფუძველი სჭირდებოდა. იგი, ბუნებრივია, პირწავარდნილი კომუნისტი იყო, მაგრამ ჩინური მოდელი, მაოს აზრით, მთლიანად ვერ „ეტეოდა“ კლასიკური მარქსიზმ-ლენინიზმის ფარგლებში. საქმე ის არის, რომ საბჭოთა იდეოლოგიის სოციალურ ფუნდამენტად მუშათა და გლეხთა კლასობრივი ერთობა მოიაზრებოდა, ჩინეთში კი პროლეტარიატი ფაქტიურად არ არსებობდა. ამიტომ მაომ მარქსიზმ-ლენინიზმის საკუთარ თავზე მორგება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ სოციალიზმის ჩინური მოდელის საფუძველი გლეხობა იყო, რომელიც ამ შემთხვევაში მუშათა კლასის როლს ასრულებდა. სწორედ ჩინურ გლეხობაში ხედავდა მაო მთავარ რევოლუციურ მუხტსა და ისტორიულ ფუნქციას.

დღევანდელი გადასახედიდან ასეთი ფილოსოფიური ინოვაცია შეიძლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ იდეო-

ლოგიზებულ ეპოქაში იგი უაღრესად საყურადღებო მოვლენა გახლდათ. მაო ფაქტობრივად მოსკოვის იდეოლოგიურ კონკურენტად აცხადებდა თავს. კრემლში მისი ფილოსოფია მიუღებლად მიაჩნდათ. გაღიზიანება მაოს „ფილოსოფოსობით“ გასაგები იყო, რადგან ის, ვინც ფლობს ჭეშმარიტებას იდეოლოგიაზე, ფლობს ძალაუფლებასაც.

იდეოლოგიური უპირატესობის გასამტკიცებლად მაომ ხრუშჩოვის ანტისტალინისტურ პოლიტიკაზე უარი თქვა და იმის მტკიცებას შეუდგა, რომ საბჭოთა კავშირი კარგავდა რევოლუციურ შემართებას, რაც დასავლეთის იმპერიალისტების ინტერესებს შეესაბამებოდა: „თუ ისინი ხმალს ხელიდან აგდებენ, ჩვენ ავიღებთ მას. თუ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა თავს დაესხას სტალინს, ჩვენ ამას არ გავაკეთებთ“.[20] ამგვარად, მაოს ჩინეთი განაცხადს აკეთებდა ჭეშმარიტ რევოლუციონერობაზე, საბჭოთა კავშირი კი „რევიზიონიზმის ჭაობში იძირებოდა“.

მაგრამ კომუნისტური ჩინეთისა და, საერთოდ, მსოფლიოს ლიდერობისთვის მხოლოდ იდეოლოგიური თეორიები საკმარისი არ გახლდათ. საჭირო იყო რევოლუციური აღმოჩენები ეკონომიკაშიც. მაომ 1950-იანი წლების დასაწყისში ჯერ ლენინის ნახევრად კაპიტალისტური ნეპ*-ის ექსპერიმენტს მიჰყო ხელი, შემდეგ უმალ სტალინისტურ ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციაზე გადაერთო. მაგრამ 1950-იანი წლების მიწურულს მან საერთოდ უარი თქვა საბჭოთა ეკონომიკურ გამოცდილებაზე და თავის „გენიას“ მისცა სრული გასაქანი.

1957 წელს მაომ ჩინელებს ასეთი პოეტური ლოზუნგი შესთავაზა: „დაე იხაროს ასმა ყვავილმა, დაე ასი სკოლა გაეჯიბროს ერთმანეთს“. ეს იყო მოწოდება საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობისა და დემოკრატიზაციისკენ, რაც ჩინელებმა უმალვე სიამოვნებით აიტაცეს. დიდი ქალაქების სასწავლებლებში, კულტურულ ცენტრებსა და სამეცნიერო დაწესებუ-

* „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას“ საბჭოთა ხელისუფლება ლენინის ინიციატივით ახორციელებდა 1920-იან წლებში. მას საფუძვლად საბაზრო ურთიერთობები ედო.

ლებებში დაიწყო დისკუსიები, აზრთა შეჯიბრი, კრიტიკა და თვითკრიტიკა. უძველესი კულტურის ქვეყანაში თავისუფლების სიომ დაუბერა.

მაოს ლოზუნგმა, როგორც დემოკრატიისკენ მიმართულმა ნებისმიერმა ინიციატივამ, საბჭოთა ხელმძღვანელობა ღრმად ჩააფიქრა. ხრუშჩოვი იგონებს, თუ როგორ დაუწუნა მან მაოს „ასი ყვავილის“ იდეა პირადი შეხვედრისას მოსკოვში: „ამხანაგო მაო, გულახდილად გეტყვით, რომ ამ ლოზუნგის არსი ჩვენთვის ნათელი არ არის. ამიტომ მისი განხორციელება ჩვენს ქვეყანაში შეუძლებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვშიშობთ, რომ ჩვენი ხალხი ამ ლოზუნგს ვერ გაიგებს და საერთოდ ვერც ჩვენს მიზნებს წაადგება“[21].

მაგრამ, დემოკრატიზაციის სწრაფად „გამომცხვარ“ ექსპერიმენტს მაომ ასევე სწრაფად და დაუნდობლად მოუღო ბოლო. როგორც სულ მალე გაირკვა, ეს ტაქტიკური ნაბიჯი მას თავისი მტრების გამოსააშკარავებლად, ანუ როგორც მან ბრძანა, „გველების სოროებიდან გამოსატყუებლად“ სჭირდებოდა. მაოს დემოკრატიულობა გულუბრყვილო ჩინელებს ძვირად დაუჯდათ. ქვეყანას მასობრივი რეპრესიების ტალღამ გადაუარა, რამაც ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იმსხვერპლა.

რეპრესიების ფონზე მაომ საგრძნობლად გაიძლიერა პიროვნული ავტორიტეტი, რაც ნელ-ნელა სტალინის კულტის მასშტაბებს სცილდებოდა.

1958 წელს მაომ გრანდიოზული ექსპერიმენტი – „დიდი ნახტომი“ წამოიწყო. იგი მიზნად ისახავდა ჩინეთის როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მრეწველობის სრულ ტრანსფორმაციას. სოფლად დაიწყო კოლექტიური მეურნეობების გაერთიანება ე. წ. კომუნებში, სადაც ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენდა არა მხოლოდ მიწა და წარმოების საშუალებები, არამედ გლეხების პირადი ნივთებიც. კომუნებში შეყრილ ჩინელ გლეხებს და მათ ცალკეულ კომლებს დაევალა, არც მეტი, არც ნაკლები – მინიატურული ფოლადის ღუმელების მშენებლობა და ფოლადის გამოდნობა. მთელი ჩინეთი ერთიანად მეტალურგიულმა შიზოფრენიამ მოიცვა. შრომისმოყვარე ჩინელი გლეხები, რომლებიც საუკუნეების

მანძილზე, წლიდან წლამდე, მუხლებამდე წყალში იდგნენ და ბრინჯი მოჰყავდათ, ერთბაშად „მეტალურგებად“ იქცნენ. ეზოებში აშენებულ ფოლადის ღუმელებს, მაოს აზრით, უნდა დაეჩქარებინა ჩინეთის ინდუსტრიალიზაცია. შედეგმაც არ დააყოვნა – სოფლის მეურნეობა გაჩანაგდა და ქვეყანაში მასობრივი შიმშილი დაიწყო, რამაც 30 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა. მაოს კატასტროფულმა ექსპერიმენტმა თავისი მასშტაბებით საბჭოთა კოლექტივიზაციის ტრაგიკულ ციფრებსაც კი გადააჭარბა (დაახლოებით 6-7 მილიონი).

არანაკლები უბედურება დაატყდა ჩინეთის მრეწველობასაც. დაუზოგავი ექსპლუატაციის გამო მწყობრიდან გამოდიოდა საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებული მანქანა-დანადგარები, რასაც მაო მოსკოვს აბრალებდა. სიტუაციის ადგილზე გასარკვევად ხრუშჩოვმა ჩინეთში საბჭოთა ვიცე-პრემიერი ზასიადკო მიავლინა. მან საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ ხელმძღვანელობდნენ ვეტერინარები მეტალურგიულ ქარხნებს, ხოლო მეტალურგები – სოფლის მეურნეობას[22]. ნიკიტა სერგის ძე საგონებელში იყო*.

ამავე დროს ჩინელები სხვადასხვა სამხედრო ავანტიურებში ითრევდნენ საბჭოთა კავშირს. 1958 წელს კომუნისტურმა ჩინეთმა ტაივანზე ჩან კაიშის რეჟიმის წინააღმდეგ წამოიწყო სამხედრო ოპერაცია. მაოს თხოვნით მოსკოვმა დიდძალი იარაღი გადასცა პეკინს, რამაც ტაივანის მთავარი მოკავშირის – ვაშინგტონის ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია. მაო მოსკოვს არწმუნებდა, რომ ოპერაცია სულ მალე გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგის ტერიტორიის საარტილერიო დაბომბვის შემდეგ პეკინმა სამხედრო მოქმედებები შეწყვიტა. ხრუშჩოვის კითხვას, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაომ ლაკონურად უპასუხა: „ჩვენ მას ძალა ვაჩვენეთ“[23].

1959 წელს ინდოეთის წინააღმდეგ პეკინის პროვოკაციული ქმედება სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. საბჭოთა კავშირს ინდოეთთან ხაზგასმულად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომ იგი უაღრესად რთული არჩევანის წინაშე აღ-

* 1961 წელს მაომ „დიდ ნახტომზე“ უარი თქვა.

მოჩნდა: ვისთვის უნდა დაეჭირა მხარი – კომუნისტი ჩინელი ძმებისთვის, თუ ნახევრად კაპიტალისტი ინდოელი მეგობრებისთვის? ნიკიტა სერგის ძე გულში, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ჩინელი ძმების მშობლებს იგონებდა.

უცნაურია, მაგრამ ჩინელი კომუნისტების ეკონომიკურ „წარმატებებს“ 1950-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ ევროპაშიც აღმოუჩნდა მიმდევრები. ბულგარელმა კომუნისტებმაც მიჰყვეს ხელი კოლექტიური მეურნეობების კომუნებში გაერთიანებასა და ფორსირებულ ინდუსტრიალიზაციას. კრემლში უცბად გაიაზრეს, რომ ბულგარელი ძმების ექსპერიმენტების საფასური საბოლოოდ საბჭოთა კავშირის გადასახდელი იქნებოდა. ამიტომ მოსკოვში მიიწვიეს ბულგარელი ხელმძღვანელები და შესაბამისი „შთაგონება“ ჩაუტარეს მათ. მეგობრულმა რჩევებმა შედეგი გამოიღო და ბულგარელებმა უარი თქვეს ჩინურ მოდელზე[24].

მოსკოვისათვის ყველაზე რთულად „მოსათვინიერებელი“ კომუნისტური ალბანეთის ლიდერი ენვერ ხოჯა აღმოჩნდა. მან ღიად გამოუცხადა უნდობლობა მოსკოვს და ჩინეთის ერთადერთ ევროპელ მოკავშირედ გამოაცხადა თავი. ხოჯას პარანოია ჩინელებსაც კი უკვირდათ. მან გასამხედროებულ ბანაკად აქცია ეს ლამაზი საკურორტო ქვეყანა და ბეტონის ბუნკერებით აავსო იგი*.

1950-იანი წლების ბოლოს ანტისაბჭოთა პროპაგანდამ ჩინეთში ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მოსკოვი იძულებული გახდა საპასუხო ნაბიჯები გადაედგა. პეკინისთვის სერიოზული დარტყმა იყო მოსკოვის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა ორმხრივი ხელშეკრულება ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ. 1960 წელს მოსკოვმა საბჭოთა სპეციალისტები გამოიწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან. ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის მტრულ ფაზაში შედიოდა.

მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „Это пока были только цветочки“.

---

* ალბანეთი 1980-იანი წლების ბოლომდე, ანუ ე. წ. სოციალისტური ბანაკის დაშლამდე არსებობდა მსოფლიოსაგან იზოლირებულად. იგი დღემდე ევროპის ყველაზე ღარიბი ქვეყანაა.

ᩮᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

რევოლუციონერების უბედურება ის არის, რომ მათ მშვიდად ცხოვრება და სტაბილურად სახელმწიფოს მართვა არ შეუძლიათ, მათი სტიქიაა პერმანენტული კატაკლიზმები. ჰოდა, ჩინეთს ჯერ კიდევ „დიდი ნახტომის“ კატასტროფული შედეგები არ ჰქონდა მოშუშებული, როდესაც მაომ 1966 წელს ახალი კამპანია, ამჯერად „კულტურული რევოლუცია“ წამოიწყო. ამ კამპანიის მიზანი მაოს ძალაუფლების შემდგომი გაძლიერება, კომპარტიასა და საზოგადოებაში ოპონენტების განადგურება იყო.

იმისათვის, რათა ახალი რევოლუციური იდეოლოგია დაამკვიდრო, დაამტკიცო, რომ ისტორია შენით იწყება, ჯერ ტრადიციული საზოგადოების საფუძვლები უნდა დაანგრიო. ეს არახალი ვერაგობა კარგად იცოდა მაომ. ამიტომ, აღმოსავლურად „ჩახლართულ“ სტილში, შეტევა ჯერ ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ავტორიტეტზე – კონფუციზე მიიტანა, რომელიც დაახლოებით 2500 წლის წინ ცხოვრობდა. კონფუციანელობა უძველესი ჩინური ტრადიციების, ზნეობრივი ფასეულობებისა და ცხოვრების წესის ერთ-ერთი მყარი სვეტია. მაო დაუნდობლად შეუდგა მის მორყევას. კონფუცი და მისი მიმდევრები რეაქციონერებად გამოაცხადეს, მათ წინააღმდეგ ფანატიკოსი ხუნვეიბინები („წითელი დამცველები“) და ძაოფანები („შფოთისთავები“) დარაზმეს.

როგორც დიდი კონფუცი ამბობდა, რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით უფრო დაუნდობელია იგი. სწორედ ასეთი აგრესიული უვიცების მრავალრიცხოვანმა რაზმებმა დაიწყეს სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების დარბევა, „შენიღბული მტრების“ გამოაშკარავება. ახალი რევოლუციის დაუნდობელმა ტალღამ საზოგადოების ყველაზე მოაზროვნე ნაწილს გადაუარა. ფიზიკურად უსწორდებოდნენ მეცნიერებს, მასწავლებლებს, ცნობილ პიროვნებებს, ყველას, ვისაც სახეზე ამჩნევდნენ „ღალატს“. ის ვინც ფიზიკურ განად-

გურებას გადაურჩა, სოფლად გადაასახლეს და „აღმზრდელობითი“ მიზნებით კომუნებში შერეკეს.

ერთადერთი ნაშრომი, რომლის წაკითხვა და ზეპირად ცოდნა ახალგაზრდებს მოეთხოვებოდა, მაო ძედუნის ცნობილი „წითელი წიგნი“ იყო. ამ წიგნს ხუნვეიბინები ყველგან აფრიალებდნენ, ის იყო მათი მთავარი ცოდნის წყარო და იარაღი.

სახელისუფლებო იერარქიაში კულტურული რევოლუციის პირველი დიდი მსხვერპლი ლიუ შაოცი გახდა, რომელიც კომპარტიაში მაოს შემდეგ მეორე კაცი იყო. მას სხვებიც მიჰყვნენ. რეპრესიები მომავალში ჩინეთის დიდმა რეფორმატორმა დენ სიაოპინმაც ვერ აიცილა, იგი რამდენიმე წლის მანძილზე ხელისუფლებას ჩამოაცილეს.

მაგრამ რა კავშირი აქვს ამას შოთა რუსთაველთან?

სწორედ კულტურული რევოლუციის პერიოდში, ერთ საღამოს მამაჩემმა ოჯახის წევრები შეგვკრიბა და სერიოზულად გვკითხა, თუ რას ვფიქრობდით ვითარებაზე ჩინეთში. პასუხად ბევრი ვიცინეთ და ვიხუმრეთ ოჯახის თავის პოლიტიკურ ცნობისმოყვარეობაზე. „ჰო, – დაასკვნა მამაჩემმა – ხომ ხედავთ, ჩინეთში თავიანთ დიდ წინაპრებს ებრძვიან. ახლა ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ ვითარებით და დავარწმუნოთ საბჭოთა ხელმძღვანელობა საპირისპიროში: მაო ძედუნის ჯინაზე პატივი სცენ ჩვენს დიდ წინაპარს – შოთა რუსთაველს!“

ასე გაჩნდა იდეა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილის გადახდის შესახებ.

პოლიტიკურად კარგად „შეფუთული“ იდეა ჯერ საქართველოს ხელმძღვანელობამ მოიწონა, შემდეგ კი „მაოს ჯინაზე“ – მოსკოვში პოლიტბიურომ.

მიღებულ იქნა „ინსტანციების“ დადგენილება, გამოიყო სახსრები. საქმეში ჩაერთო საბჭოთა დიპლომატია, რომელმაც იუნესკოს მიაღებინა სპეციალური პროგრამა – „რუსთაველის წელი“.

რუსთაველის იუბილე ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. საზეიმო დღეებში ჩვენში თავი მოიყარეს მსოფლიოში ცნობილმა მწერლებმა,

ლიტერატურისა და ხელოვნების მკვლევარებმა, ჟურნალისტებმა, ფილოსოფოსებმა, მეცნიერებმა.

მსოფლიომ რუსთაველი და მისი სამშობლო აღმოაჩინა. „ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნა სხვადასხვა ენებზე, უცხოეთის რიგ უნივერსიტეტებში გაიხსნა ქართველოლოგიის ცენტრები.

ამ დიდი ღონისძიების მიზანი სწორედ ის გახლდათ, რომ მსოფლიოს ეღიარებინა საქართველო როგორც დიდი კულტურისა და ჰუმანისტური იდეების სამშობლო. დიდმა ესპანელმა პოეტმა რაფაელ ალბერტიმ მაშინ ასეთი რამ თქვა: „მე საქართველოს სტალინით ვიცნობდი. მას კი უფრო დიდი შვილი ჰყოლია – შოთა რუსთაველი“.

სწორედ ასეთ საქართველოზე ოცნებობდნენ ჩვენი მშობლები და წინაპრები – რუსთაველის საქართველოზე.

ასე რომ, ჩინეთის კულტურულმა რევოლუციამ ერთი დადებითი შედეგი ნამდვილად გამოიღო.

III. ხრუშჩოვის უზუსტესი რაკეტები და მისი სიურრეალისტური დიპლომატია

ნიკიტა სერგის ძე გაუნათლებელი, მაგრამ ეშმაკი გლეხის ინტუიციით გრძნობდა, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროსთან პაექრობისთვის მას ძლიერი კუნთები სჭირდებოდა. ამისათვის იგი, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს ბირთვული და სარაკეტო შეიარაღების განვითარებაზე აკეთებდა. 1950-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირმა მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1957 წელს მან პირველმა მსოფლიოში გამოსცადა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აშშ-ის უსაფრთხოება სერიოზული კითხვის ქვეშ დგებოდა. იმავე წელს საბჭოთა კავშირმა დედამიწის კოსმოსურ ორბიტაზე ხელოვნური თანამგზავრი „სპუტნიკი“ გაუშვა, რაც მსოფლიო მასშტაბის სენსაციად იქცა. საბჭოთა მეცნიერების ამ წარმატებებმა მსოფლიოში ბევრი აღაფრთოვანა, ბევრი კი სევდიანად დააფიქრა. პესიმისტებს ეჭვის საფუძველი აშკარად ჰქონდათ – შემდეგი ნაბიჯი უთუოდ „სპუტნიკებზე“ ბირთვული იარაღის განთავსება იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ბირთვული პოტენციალის თვალსაზრისით საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აშშ-ს, რაც ხრუშჩოვს საშინლად აღიზიანებდა. „ბირთვული უკმარისობის“ კომპლექსის დასაკმაყოფილებლად იგი ხშირად ბლეფობდა კიდეც და არწმუნებდა დასავლეთს, რომ საბჭოთა სამხედრო ინდუსტრია ერთიმეორის მიყოლებით „სოსისებივით“ აწარმოებდა ბირთვულ რაკეტებს. ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე მან განაცხადა, რომ ამ უზუსტესი რაკეტებით ბუზების ჩამოგდებაც კი შეიძლებოდა. ხრუშჩოვის შავი იუმორი ბევრ დასავლელ პოლიტიკოსს საგონებელში აგდებ-

და. ასე მაგალითად, ამერიკელ სენატორ ჰუბერტ ჰემფრის ნიკიტა სერგის-ძემ სთხოვა რუკაზე ეჩვენებინა, თუ სად იყო მისი მშობლიური ქალაქი მინეაპოლისი: „თუ რაკეტები მაგ მხარეს გამოფრინდება, შევეცდები ავაცილო ამ ქალაქსო“ – „დააწყნარა“ მეგობრულად მან ამერიკელი სტუმარი[1]. მოგვიანებით თავის მოგონებებში ხრუშჩოვმა აღიარა, რომ ყველაფერი ეს გაზვიადებული იყო და დასავლეთის დასაშინებლად გამიზნული.

ხრუშჩოვის ბაქიბუქი აშშ-ში სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. 1956 წლიდან პენტაგონმა დაიწყო U-2 ტიპის თვითმფრინავებით საბჭოთა ტერიტორიის დაზვერვა. ამერიკელებმა მალე აღმოაჩინეს, რომ დიდი სიმაღლიდან ამ თვითმფრინავების ჩამოსაგდებად საბჭოელებს შეიარაღება არ ჰქონდათ და ამერიკელმა მზვერავებმა ლენინგრადისა და მოსკოვის ფოტოგრაფირება დაიწყეს. გაცეცხლებული ხრუშჩოვი სამხედროებისგან კატეგორიულად ითხოვდა შესაბამისი ზომების მიღებას. ამ ფაქტებს მოსკოვი გამუდმებით აპროტესტებდა, რითაც თავს უხერხულ მდგომარეობაში იგდებდა, რადგან ჩნდებოდა კითხვა: რატომ არ ესვრიან ამ თვითმფრინავებს უზუსტეს საბჭოთა რაკეტებს?

ამერიკულმა მზვერავებმა მალე ისიც დაადასტურეს, რომ ხრუშჩოვის ბაქიბუქი საბჭოთა ბირთვული რაკეტების რაოდენობის შესახებ რეალობას არანაირად არ შეესაბამებოდა.

მაგრამ 1960 წლის 1 მაისს ამერიკელი მზვერავი თვითმფრინავების ბოგინს საბჭოთა ტერიტორიაზე ბოლო მოეღო. ახალი ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო საბჭოთა რაკეტამ U-2 სწორედ ერთ-ერთ საბჭოთა კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ჩამოაგდო და მისი პილოტი პაუერსი ცოცხლად ჩაიგდეს ხელში.

ეს ინციდენტი მოსკოვმა ზედმიწევნით ოსტატურად გამოიყენა. საქმე ის გახლავთ, რომ თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი კრემლმა მყისიერად არ გაახმაურა და ამერიკელების რეაქციას დაელოდა. მართლაც, ამერიკულ პრესაში მალე გაჩნდა ცნობა, რომ თურქეთში განთავსებული ამერიკული სამხედრო ბაზიდან აფრენილი თვითმფრინავი საბჭოთა კავშირის საზღვრებთან გაუჩინარდა. ხრუშჩოვი სწორედ ამას ელოდა. მან უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დიდი შოუ მოაწყო და ამცნო

მთელ მსოფლიოს, რომ U-2 საბჭოთა უზუსტესმა რაკეტამ ჩამოაგდო და რომ ამიერიდან საბჭოთა ტერიტორიაზე ცხვირს ვერავინ შემოყოფდა. ვაშინგტონში U-2-ის პილოტი მკვდარი ეგონათ, ამიტომ კატეგორიულად დაიწყეს ამ ფაქტის უარყოფა, რასაც ნიკიტამ კიდევ უფრო ძლიერი დარტყმით უპასუხა: საქვეყნოდ გამოამზეურეს საღ-სალამათი პაუერსი, რომელმაც ყველაფერი აღიარა.

შოკირებულ ვაშინგტონში ჯერ იმის მტკიცება დაიწყეს, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ამ საჰაერო დაზვერვის შესახებ საქმის კურსში არ იყო, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ ყველაფერი ეს პრეზიდენტის მითითებით კეთდებოდა აშშ-ის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ამ ინციდენტიდან სულ ორიოდე კვირაში, პარიზში გაიმართა საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა. შეხვედრა პრეზიდენტმა დე გოლმა გახსნა, რის შემდეგაც სიტყვა ხრუშჩოვმა მოითხოვა. მისი კატეგორიული განაცხადებით, თათბირი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდებოდა, თუკი აშშ-ის პრეზიდენტი ბოდიშს მოუხდიდა საბჭოთა კავშირს სადაზვერვო პროვოკაციისათვის. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ბოდიში არ მოიხადა. ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ სრულად დატოვა სხდომის დარბაზი.

ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა თანამედროვე ისტორიაში.

რამდენიმე თვის შემდეგ ხრუშჩოვს გაბრაზებამ მეტ-ნაკლებად გადაუარა და აშშ-ს ეწვია გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილეობის მისაღებად. ხრუშჩოვი 1959 წელსაც იმყოფებოდა აშშ-ში ვიზიტით, ამიტომ თვლიდა, რომ ამ ქვეყანას ძირფესვიანად იცნობდა. ამ სიურრეალისტური ვიზიტის შესახებ უამრავი რამ დაიწერა და ითქვა. განსაკუთრებით საინტერესოა ხრუშჩოვის პირადი თარჯიმნის ვიქტორ სუხოდრევის მოგონებები, რომელიც მშვენიერი იუმორით აღწერს ნიკიტას ექსტრავაგანტულ ისტორიებს.

მაგალითად, ნიუ-იორკში ხრუშჩოვმა სასტუმროს აივნიდან მხურვალე იმპროვიზებული სიტყვით მიმართა გაოცებულ გამვლელ-გამომვლელებს, რითაც განსაკუთრებით ჟურნალისტები გაახალისა.

პირდაპირ ტელეეთერში ცნობილ ჟურნალისტთან სასკაინდთან მან ისეთი შოუ მოაწყო, როგორიც ამერიკელებს არც დაესიზმრებოდათ. ჟურნალისტის მოკრძალებულ კითხვას, უპერსპექტივო ხომ არ იყო აშშ-ის გაკომუნისტების საბჭოური მცდელობა, ნიკიტამ მრისხანე ტირადა მიაყოლა: „იმის მაგივრად, რომ მე მისმინოთ, თქვენ პროვოკაციულ კითხვებს მისვამთ და თვლით, რომ მე ძაღლი ვარ და მთვარეს ვუყეფ. არა, მე ძაღლი კი არ ვარ, არამედ უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელი!“[2]

ხრუშჩოვის განსაკუთრებული განრისხება იმან გამოიწვია, რომ ამერიკის მხარემ, უსაფრთხოების მოსაზრებებით, უარი უთხრა მას საბავშვო „დისნეილენდის“ დათვალიერებაზე. ვიზიტი კინაღამ ჩაიშალა.

ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე ნიკიტამ პირდაპირ მიახალა შეკრებილ ელიტარულ საზოგადოებას: „ჩვენ თქვენ დაგმარხავთ!“ გაოგნებულ ამერიკელებს პირიდან ბუტერბროდები გადმოუცვივდათ. საბჭოთა დიპლომატია კარგა ხანს ცდილობდა ამ იდიოტობის დეზავუირებას იმ კონტექსტით, რომ ამხანაგი ხრუშჩოვი, თითქოს ბუკვალურად კი არ გულისხმობდა ამერიკის დამარხვას, არამედ სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე მიუთითებდა.

ნიკიტა მაინც წამდაუწუმ ემუქრებოდა ამერიკელებს იმით, რომ აჩვენებდა მათ „Кузькину мать“-ს (რასაც ვერაფრით ვერ თარგმნიდნენ ინგლისურად), იწუნებდა ამერიკულ არქიტექტურას, ჰოლივუდის კინოვარსკვლავების ჩაცმულობას და ა.შ.

შოუ-ბიზნესით განებივრებულ უცნაურ ამერიკელებს ნიკიტას ეს სიგიჟეები საოცრად მოსწონდათ. ყველა შტატის გუბერნატორი და ქალაქის მერი თავისთან ეპატიჟებოდა საბჭოთა ლიდერს. მათ იცოდნენ, რომ ნიკიტას განსაკუთრებით სიმინდის მოსავლიანობის პრობლემა აინტერესებდა, ამიტომ ყველა ამ თემას ებღაუჭებოდა.

ბუნებრივია, საბჭოთა ლიდერს მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან. მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა ბერლინის კრიზისი იყო, რომელიც კვლავ ძალას იკრეფდა. სადაზვერვო ინციდენტის გამოსასწორებლად და პატივისცემის ნიშნად ამერიკელებმა ხრუშჩოვი კემპ-დევიდში მიიწვიეს, რაც ნიკიტამ თავიდან სასტიკად იუარა. რას ნიშნავს, ამხელა კაცს რაღაც ფერმაში მეპატიჟებიანო? მაგრამ მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვს აუხსნეს, თუ რას ნიშნავდა ეს, იგი პრეზიდენტს უკვე ინგლისურად (საშინელი რუსული აქცენტით) მიმართავდა როგორც მეგობარს – „მაი ფრიენდ“. მაგრამ, როგორც კი ნიკიტას სიყვარულის მოზღვავება გაუნელდებოდა, მაშინვე ივიწყებდა მეგობრობას: „Тоже мне, май френд нашелся! Откуда ты взялся и на хрен мне сдался!“[3].

მსგავსი, რაც 1960 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე მოხდა, არც მანამდე და არც მერე არავის უნახავს. სესიის მსვლელობისას ნიკიტა, პროტესტის ნიშნად, ფეხებს აბაკუნებდა იატაკზე და მუშტებს ურტყამდა მაგიდას, რასაც საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებიც იმეორებდნენ. ფილიპინების წარმომადგენელს მან „ამერიკელების მარიონეტი“ უწოდა და თანაც საჯაროდ დაამატა, „შეიძლება იგი ცუდი ადამიანი სულაც არ არის, მაგრამ აშკარად თავისი პატრონების დავალებას ასრულებსო“. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი „სისხლიანი რეჟიმის“ წარმომადგენლად მონათლა. განსაკუთრებით განარისხა ნიკიტა სესიის სხდომის თავმჯდომარის, ირლანდიელი ბოლანდის საქციელმა, რომელიც ცდილობდა აელაგმა ხრუშჩოვის უმსგავსოებები: „აჰა, მაშ თქვენც მხარს უჭერთ იმპერიალიზმისა და ფაშიზმის ამ ვიგინდარა მსახურს?! მოვა დრო და ირლანდიელი ხალხი ჩამოიცილებს თქვენნაირ იმპერიალისტ მჩაგვრელებს“. როდესაც ხრუშჩოვის შეჩერება გაეროს გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმაც სცადა, ნიკიტამ ეს სასტიკად გაიკვირვა: „როგორ, თქვენც ჩემი წინააღმდეგი ხართ? მე ხომ მოსკოვში გიმასპინძლეთ და ნავითაც გაგასეირნეთ!?“[4].

დასავლეთისა და, კერძოდ, აშშ-ის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მიუხედავად, ხრუშჩოვი აშკარად აცნობიერებდა, რომ სტალინის ეპოქაში დასავლეთთან ჩაკეტილი კარის ნაწილობრივ მაინც გაღება აუცილებელი იყო. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 1960-იანი წლების დასაწყისში ნელ-ნელა შეთხელდა „რკინის ფარდა"; შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ მაინც დაიწყო ტურისტული ჯგუფების გაგზავნა უცხოეთის ქვეყნებში. ევროპიდან ჩამოსული ჩვენი ახლობლები და ნაცნობები საათობით გვიყვებოდნენ, თუ რა საოცრებები ნახეს, როგორ აცვია ხალხს, რას ჭამენ, როგორ ატარებენ დროს, რანაირი გემო აქვს „კოკა-კოლას". მათ მონაყოლს ჩვენ სხვებს ვუყვებოდით და ა.შ. ევროპა და ამერიკა ყველას სამოთხედ წარმოგვედგინა.

დაიწყო უცხოეთთან სამეცნიერო, კულტურული და სპორტული გაცვლები. გაჩნდა უცხოური ესტრადის და ჯაზის ფირფიტები და ჩანაწერები, რასაც ჭკუაზე გადავყავდით.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი კულტურული შოკი გამოიწვია ჟურნალმა „ამერიკამ", რომელიც ჩვენთვის პატარა სარკმელი იყო სამოთხეში. ჟურნალი ხელიდან ხელში გადადიოდა, ცალკე ვჭრიდით ამერიკული მანქანების, ლამაზი ქალებისა და ვიტრინების ფოტოებს და ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ვაწებებდით.

1962 წელს ჩვენს ეკრანებზე გამოვიდა ამერიკული ფილმი „შესანიშნავი შვიდეული", რამაც ფაქტობრივად ჩაშალა თბილისში სასწავლო პროცესი. სკოლის მაგივრად ამ ფილმის სანახავად კინოში მივდიოდით დილიდან, რამდენიმე სეანსზე ზედიზედ. ფილმის ტექსტი დღესაც ზეპირად მახსოვს.

***

ხრუშჩოვის თანხმობითა და მხარდაჭერით 1960 წელს განხორციელდა ქართული სამეცნიერო ექსპედიცია პალესტინაში. მაშინ საბჭოთა კავშირს ისრაელთან საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომ ქართულ დელეგაციას (ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი) დიდი სირთულეების გადალახვა მოუხდა იერუსალიმში ჩასასვლელად და ჯვრის

მონასტერში სამუშაოების ჩასატარებლად (გადმოცემით სწორედ ამ მონასტერში დაასრულა სიცოცხლე დიდმა რუსთაველმა). ექსპედიციის შედეგებს მთელი ქართული საზოგადოება ელოდა. მალე იერუსალიმიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: მონასტრის ერთ-ერთი სვეტის გაწმენდის შემდეგ აღმოაჩინეს რუსთაველის ფრესკა. ეს ისტორიული მოვლენა იყო.

კვლავ ბერლინის კრიზისი: Ich bin ein Berliner!

ხრუშჩოვის უსაქციელო გამოხდომებს დასავლეთი იოლად აიტანდა, მაგრამ რეალურ დიდ პოლიტიკაში ნიკიტა დაუშვებელ რისკზე მიდიოდა, რითაც მთელ მსოფლიოს გლობალური საფრთხის წინაშე აყენებდა.

ევროპაში ყველაზე ცხელ წერტილად კვლავ ბერლინი რჩებოდა. 1950 წლისათვის გერმანიაში აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა, ხოლო საბჭოთა საოკუპაციო ზონა – გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად. განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა ქ. ბერლინს, რომელზეც ოთხივე ყოფილი მოკავშირის მმართველობის მანდატი ვრცელდებოდა. საბჭოურ აღმოსავლეთ ბერლინში კომუნისტური ცხოვრების სტილი ინერგებოდა, ხოლო ამერიკულ, ბრიტანულ და ფრანგულ სექტორებს უკვე რეალურად დასავლეთ ბერლინი ერქვა.

საბჭოთა კავშირი ყველა დონეზე პრინციპულად იცავდა იმ პოზიციას, რომ დასავლეთ ბერლინი თავისი განსაკუთრებული სტატუსით არ წარმოადგენდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილს, მაგრამ დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ მოსკოვის პოზიციის შესუსტებას (ამ საკითხის ირგვლივ დიდი ორთაბრძოლა სსრკ-ის დაშლამდე და გერმანიის გაერთიანებამდე მიმდინარეობდა).

უკეთესი ცხოვრების საძიებლად აღმოსავლეთ ბერლინიდან და მთლიანად გდრ-იდან დასავლეთ ბერლინში სულ უფრო მეტი გერმანელი გადადიოდა. ამის გაკეთებას ზედ-

მეტი ფორმალობა არ სჭირდებოდა – ქალაქის კომუნისტურ და კაპიტალისტურ ნაწილებს სატრანსპორტო საშუალებები ძველებურად აკავშირებდა. გასაიდუმლოებული საბჭოთა სტატისტიკის მიხედვით, 1956 წლისათვის აღმოსავლეთი ნაწილიდან დასავლეთ ბერლინში საცხოვრებლად გადავიდა 1 მლნ, ხოლო 1961 წლისათვის – 2,7 მლნ გერმანელი. გასათვალისწინებელია, რომ უმთავრესად ეს კვალიფიცირებული მუშახელი იყო. გდრ-ის ხელმძღვანელობა ნათლად ხედავდა, რომ კარლ მარქსის სამშობლოს კომუნისტურ ნაწილს მშრომელები კაპიტალიზმს ამჯობინებდნენ. ამ შემაშფოთებელი ტენდენციის შესაჩერებლად გდრ-ის ლიდერი ვალტერ ულბრიხტი კრემლს მიმართავდა, მაგრამ იქიდან თავდაპირველად დაახლოებით ასეთ პასუხს იღებდა: „თუ გერმანიაში შობილი მარქსიზმი თავისივე სამშობლოში ვერ გაიმარჯვებს, მაშინ ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საერთოდ ჩვენს წარმატებებს“.

თუმცა თანდათანობით მოსკოვშიც ხვდებოდნენ, რომ იდეოლოგიის გარდა საფრთხე ექმნებოდა საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ ინტერესებს: გერმანიაში აშშ-ის პოზიციები საგრძნობლად ძლიერდებოდა. ხრუშჩოვის მთავარი მიზანი იყო იძულებული გაეხადა დასავლეთი, ეცნო ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა, რისთვისაც მოსკოვმა სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი შეიმუშავა. დასავლეთი ამ ვარიანტს არ თანხმდებოდა, რადგან პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებები არ ითვალისწინებდა გერმანიის ორ სუვერენულ სახელმწიფოდ გაყოფას. გერმანიის დაყოფის სამართლებრივად გაფორმების კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო გფრ-ის კანცლერი ადენაუერი, რომელიც, ბუნებრივია, ქვეყნის გაერთიანებაზე ოცნებობდა. ასეთ მიდგომას არც აშშ-ის ადმინისტრაცია და არც გერმანიის ისტორიული მეტოქე საფრანგეთი იზიარებდა.

მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მსოფლიოში ვითარება კრემლის სასარგებლოდ ლაგდებოდა. საბჭოთა დიპლომატიური შეტევის მთავარი მიმართულება ქ. ბერლინი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, მოსკოვს უნდა ესარგებლა იმ გარემოებით, რომ სატრანსპორტო კომუნი-

კაციების თვალსაზრისით ეს ქალაქი სრულად იყო დამოკიდებული გდრ-ზე (ბერლინი გდრ-ის ტერიტორიაზე მდებარეობდა).

„ჩვენ გადავწყვიტეთ შეტევა დასავლეთ ბერლინზე მიგვეტანა“ – იგონებდა ხრუშჩოვი – “ქირურგიული ჩარევის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ ვცდილობდით ოპერაცია ანესთეზიის ქვეშ ჩაგვეტარებინა. რადგან დიპლომატიურმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო, ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენოდა, რომ ბასრი იარაღით რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი მიგვეყენებინა პაციენტისთვის. არც ოპერაციის შემდგომი გართულებები გვსურდა“[5].

1958 წლის 10 ნოემბერს ხრუშჩოვმა მოსკოვში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი უარს ამბობდა ბერლინის არსებულ სტატუსზე და აპირებდა ყველა უფლება ამ ქალაქის სატრანსპორტო კომუნიკაციებზე გდრ-თვის გადაეცა, ხოლო ბერლინი დემილიტარიზებულ „თავისუფალ ქალაქად“ უნდა გამოცხადებულიყო. ამგვარად, ხრუშჩოვი ურჩევდა აშშ-ს, ინგლისსა და საფრანგეთს ამიერიდან ბერლინთან დაკავშირებულ საკითხებზე გდრ-ის კომუნისტური რეჟიმისათვის მიემართათ. მომდევნო დღეებში ვაშინგტონში, ლონდონსა და პარიზში მოსკოვიდან მიიღეს შესაბამისი წერილობითი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ თუკი აღნიშნულ შეთავაზებაზე ექვსი თვის მანძილზე არ იქნებოდა მიღწეული შეთანხმება, სსრკ ორმხრივ სამშვიდობო ხელშეკრულებას გააფორმებდა გდრ-თან და ყველა სატრანზიტო უფლებებს მას გადასცემდა. ეს ნამდვილი ულტიმატუმი იყო.

საბჭოთა გამოწვევა საკმაოდ ოსტატურად იყო გათვლილი. დასავლეთს ან უნდა ეღიარებინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ან დაეწყო ომი საბჭოთა კავშირთან ისეთი ტექნიკური საკითხის გამო, როგორიც სატრანზიტო უფლებები იყო. დასავლეთში დიდი აჟიოტაჟი ატყდა. ბევრი გულუბრყვილოდ კითხულობდა: რატომ უნდა ვიომოთ რაღაც სატრანზიტო უფლებების გამო?

რეალურად კი ხრუშჩოვის ეს ნაბიჯი დასავლეთის ერთიანობის გამოცდა და მათ რიგებში განხეთქილების შეტანის სე-

რიოზული მცდელობა იყო. მან ამ მიზანს ნაწილობრივ მიაღწია კიდეც.

ადენაუერი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო დაეკმაყოფილებინა საბჭოთა ულტიმატუმი და თვლიდა, რომ დასავლეთის სტრატეგია მიმართული უნდა ყოფილიყო გერმანიის გაერთიანებისკენ. ბოლო 300 წლის მანძილზე საფრანგეთი ცდილობდა ხელი შეეწყო გერმანიის დასუსტებისა და დაქუცმაცებისათვის, მაგრამ პრეზიდენტმა დე გოლმა ამჯერად შეცვალა ქვეყნის კურსი და გფრ-ს მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადა. ამ მხარდაჭერას იმის შიშიც განაპირობებდა, რომ შესაძლო იყო მოსკოვის ამ ახალ მოთხოვნას ისევ გერმანული შოვინიზმის აღორძინებისათვის მიეცა ბიძგი.

ვაშინგტონი და ლონდონი უფრო მოსკოვთან მოლაპარაკებისაკენ იხრებოდნენ. ბრიტანეთის პრემიერი 1959 წლის 21 თებერვალს მოსკოვს ეწვია და შეეცადა ხრუშჩოვი კომპრომისების აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

ამერიკელებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ, რამდენად ეფექტური იყო საბჭოთა საჰაერო დაცვის სისტემა ბერლინში. მათ ბერლინის მიმართულებით რამდენიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი გაუშვეს. ამას მოჰყვა საბჭოთა გამანადგურებლების აფრენა და ამერიკული თვითმფრინავები იძულებული გახდნენ ბაზებზე დაბრუნებულიყვნენ. მსგავსი ინციდენტი რამდენჯერმე განმეორდა, რის შემდეგაც მოსკოვმა გდრ-ის კონტროლს დაუქვემდებარა დასავლეთ ბერლინსა და გფრ-ს შორის არსებული ყველა სატრანსპორტო მარშრუტი. საპასუხოდ ნატოს ხელმძღვანელობამ ავიაგამანადგურებლების საფრანგეთიდან გფრ-ის ბაზებზე გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

ხრუშჩოვის ულტიმატუმის 6-თვიანი ვადა ამოიწურა, მაგრამ მოსკოვი პრაქტიკულ ნაბიჯებს არ დგამდა. ამან დასავლეთში გამოიწვია ეჭვი, რომ საბჭოელები ყოყმანობდნენ. 1959 წელს ხრუშჩოვის ვიზიტმა აშშ-ში და მისმა საუბრებმა ეიზენჰაუერთან ერთგვარად შეარბილა დაძაბულობა ბერლინთან დაკავშირებით. შემდგომში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ რევოლუციური კუბის წინააღმდეგ აშშ-

ის მხარდაჭერით განხორციელებულმა ინტერვენციამ პლაია ხირონში, ასევე ვიეტნამში შექმნილმა ვითარებამ კვლავ გადააწყვეტინა მოსკოვს ბერლინის თემის გააქტიურება. და, რაც მთავარია, გდრ-ის ლიდერი ულბრიხტი უკვე კატეგორიულად მოითხოვდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის სასაზღვრო ზოლის შექმნას (ულბრიხტი დიდი კედლის აღმართვაზეც კი ალაპარაკდა, მაგრამ ჯერ ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ). 13 აპრილს ადენაუერის ვიზიტისას ვაშინგტონში გამოქვეყნდა ორმხრივი განცხადება, რომლითაც უარყოფილი იქნა ყველა საბჭოთა მოთხოვნა და ხაზი გაესვა გერმანიის გაერთიანების აუცილებლობას თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლებზე.

1961 წლის ივნისში ხრუშჩოვი ვენაში აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს ჯონ კენედის შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა ბერლინის საკითხი იყო. ხრუშჩოვის წინადადება სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებისა და ორი გერმანიის აღიარების შესახებ კენედიმ კატეგორიულად უარყო, რასაც ხრუშჩოვის ახალი 6-თვიანი ულტიმატუმი მოჰყვა. სიტუაცია მეტად სახიფათო ხდებოდა, რადგან არც ერთი მხარე არ აპირებდა უკან დახევას.

ამ დროისათვის ხრუშჩოვი მეტად შეგულიანებული იყო საბჭოთა კავშირის ახალი სენსაციური მიღწევით – მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი ნომერ პირველი სუპერვარსკვლავი იყო.

მიუხედავად კენედისთან საერთო ჯამში კორექტული საუბრისა, ნიკიტამ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი სუსტ პიროვნებად ჩათვალა და ვიზიტის დამთავრების შემდეგ ახლო წრეში გამოტყდა: „თუ ახლა ამერიკელებს ასეთი პრეზიდენტი ჰყავთ, მე ნამდვილად მეცოდება ამერიკელი ხალხი“. ამ შეფასებაზე გაცილებით შორს წავიდა გრომიკო, რომელმაც საბჭოთა საგარეო უწყების პარტიულ აქტივზე განაცხადა: „ეს იყო გიგანტისა და პიგმეის შეხვედრა“[6].

წლების შემდეგ უკვე პენსიონერი ხრუშჩოვი ასე იგონებდა კენედის: „ჩემსა და კენედის შორის დიდი განსხვავება იყო. მე ყოფილი მეშახტე ვიყავი, მერე მეტალურგი, რომელიც შემ-

დგომ პარტიის ნებით ჩემი ქვეყნის პრემიერად დავინიშნე. კენედი კი მილიონერის შვილი და თვითონაც მილიონერი იყო. იგი კაპიტალიზმის გაძლიერებას ცდილობდა, მე კი კაპიტალიზმის დანგრევასა და ახალი სოციალური წყობის მშენებლობას მარქსის, ენგელსისა და ლენინის თეორიის საფუძველზე“[7].

ვენიდან მოსკოვში დაბრუნებული ხრუშჩოვი ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე გენერალ-ლეიტენანტის ფორმაში გამოცხადდა, რაც დასავლეთისთვის ომის საშიშროების მინიშნება იყო. ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრისას კი მან ზუსტად დაასახელა ატომური ბომბების ის რაოდენობა, რაც საკმარისი იქნებოდა ინგლისისა და საფრანგეთის გასანადგურებლად – შესაბამისად 6 და 9[8].

ულბრიხტი კი კვლავ კატეგორიულად ითხოვდა დასავლეთ ბერლინთან საზღვრის გაძლიერებას. მისი აზრით, წინა ხაზზე გდრ-ის მესაზღვრეები უნდა ჩამდგარიყვნენ, უკან კი საბჭოთა ჯარისკაცები. ხრუშჩოვს უკითხავს კიდეც გერმანელი კომუნისტებისთვის, მერე თქვენი მესაზღვრეები ესვრიან თავიანთ მოძმე საზღვრის დამრღვევებსო? ამაზე მას ასეთი პასუხი მიუღია: „თქვენი სამოქალაქო ომის დროს რუსები რუსებს წლების მანძილზე დაუნდობლად ებრძოდნენ. მაშ, რატომ ფიქრობთ, რომ კლასობრივი მოვალეობის შესასრულებლად გერმანელი არ გამოიყენებს იარაღს გერმანელის წინააღმდეგ?“[9].

1961 წლის 12-13 აგვისტოს ღამით დასავლეთ ბერლინში დაწესდა მკაცრი სასაზღვრო რეჟიმი, რომელიც გულისხმობდა დამცავი საინჟინრო ნაკეთობებისა და ბეტონის მაღალი ფილებისგან კედლის აგებას.

ქალაქი ფაქტობრივად ციხედ გადაიქცა.

კენედის რეაქცია ამ შემზარავ ინფორმაციაზე ასეთი იყო: „ძალიან ცუდი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს ჯოჯოხეთური კედელი უკეთესია, ვიდრე ომი“. ვაშინგტონის ასეთმა პოზიციამ ადენაუერის, დასავლეთ გერმანელებისა და ბერლინელების დიდი იმედგაცრუება გამოიწვია, რაც კენედიმ ცოტა მოგვიანებით გამოასწორა. მისი გამოსვლა დასავლეთ ბერლინელების წინაშე და მისი ცნობილი სიტყვები სოლიდარობის და თა-

ვისუფლების დაცვის სიმბოლოდ იქცა: „Ich bin ein Berliner!“ („მე ბერლინელი ვარ!“).

მომხდარის შემდეგ ვაშინგტონში დაიწყეს გამოკვლევა, იყო თუ არა კედლის აშენების ფაქტი ბერლინის ოთხმხრივი მართვის ხელშეკრულების დარღვევა. დაასკვნეს, რომ არა. მაგრამ დასავლეთის ქვეყნები აღნიშნულ ფაქტს რეაქციის გარეშე ვერ დატოვებდნენ. აშშ-ის კონგრესი დაეთანხმა 250 ათასი რეზერვისტის მობილიზაციას, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტმა კიდევ ერთი წლით დატოვა სამსახურში 26 ათასი მეზღვაური.

საქმე ლამის ომამდე მივიდა, როდესაც 17 აგვისტოს ამერიკული ტანკები გამოჩნდნენ ფრიდრიხშტრასეზე არსებულ საკონტროლო გამშვებ პუნქტთან. თავის მხრივ ინგლისური ტანკები გამოჩნდნენ ბრანდენბურგის ჭიშკართან, ხოლო ფრანგული – ვიტტენაუერშტრასეზე. საწინააღმდეგო მხარეს საბჭოთა ტანკები იდგნენ. იმავე დღეს კენედიმ ბრძანება გასცა, რომ დასავლეთ ბერლინში დამატებით 1500 სამხედრო გადაესროლათ, ხოლო თუ საჭირო იქნებოდა, გაეგზავნათ კიდევ ერთი დივიზია.

საბჭოთა ხელმძღვანელობა შიშობდა, რომ დასავლელი მოკავშირეები ბერლინის საზღვრის ძალით გახსნას შეეცდებოდნენ, რასაც, ალბათ, უფრო ლოკალური შეიარაღებული შეტაკება მოჰყვებოდა.

დაიწყო მრავალმხრივი კონტაქტები მდგომარეობის შემსუბუქებისა და ფორმალური შეთანხმების მიღწევის მიზნით. დაძაბულობამ ასე თუ ისე იკლო, როცა ნათელი გახდა, რომ დასავლეთის მხრიდან ძალის გამოყენებას ადგილი არ ექნებოდა.

22 აგვისტოს გდრ-ის მთავრობამ დაკეტა ყველა სასაზღვრო გამშვები პუნქტი (ერთის გარდა) და სასაზღვრო სექტორის ორივე მხარეს დაიწყო 100-მეტრიანი ნეიტრალური ზოლის აგება. 24 აგვისტოს გდრ-ის მთავრობის აქციის საპასუხოდ საზღვარზე ტანკებით ზურგგამაგრებული ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი განლაგდა. საპასუხოდ საბჭოთა კავ-

შირმა კუნძულ ახალ მიწაზე 50-მეგატონიანი წყალბადის ბომბი გამოცადა.

1961 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამერიკის ჯარების რიცხვი დასავლეთ ბერლინში 40 ათასამდე გაიზარდა, ავიაციის რიცხვმა 300-ს მიაღწია.

24 სექტემბერს კენედიმ პირადად ხრუშჩოვისგან მიიღო წერილი, სადაც იგი ირწმუნებოდა, რომ „ქარიშხალმა ბერლინის თავზე გადაიარა“. 17 ოქტომბერს კომპარტიის XXII ყრილობაზე ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ გდრ-თან სეპარატული სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვის ულტიმატუმური ვადა არც ისე მნიშვნელოვანია, თუკი დასავლეთი რეალურ მზადყოფნას გამოთქვამს ბერლინის კრიზისის მოსაგვარებლადო.

26-27 ოქტომბერს ბერლინის სექტორულ საზღვარზე, კერძოდ, ცნობილ გამშვებ პუნქტ ჩარლისთან მომხდარი ინციდენტის დროს, ომისა და მშვიდობის საკითხი სატანკო ეკიპაჟებისა და მათი ხელმძღვანელების ნერვებზე იყო დამოკიდებული. ერთ მხარეს საბჭოთა ტანკები სასაზღვრო სექტორთან იდგნენ, ხოლო საწინააღმდეგო მხარეს – ამერიკული. ერთი გასროლა და...

28 ოქტომბრის დილით საბჭოთა ტანკებმა უკან დაიხიეს, რაც კრიზისის მწვავე სტადიის დასასრულს მოასწავებდა.

მომდევნო თვეების მანძილზე ბერლინის კრიზისი ნელთბილ ვითარებაში გრძელდებოდა. საბჭოთა ხელმძღვანელობამ გამარჯვებულად დაასკვნა, რომ ბერლინის კედლის აგებით „იმპერიალისტური ქვეყნების“ გავლენამ აღმოსავლეთ გერმანიაზე მნიშვნელოვნად იკლო. თავისუფალი სამყარო კი გაოგნებული შესცქეროდა ევროპის შუაგულში აშენებულ შემზარავ კედელს, რომელიც 40 წლის მანძილზე საბჭოთა ქსენოფობიისა და „ცივი ომის“ სიმბოლოდ იქცა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი აშკარად უკმაყოფილო დარჩა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის არასაკმარისი მხარდაჭერით ბერლინის კრიზისის პერიოდში. სწორედ ამიტომ ამიერიდან მან აქცენტი უსაფრთხოების სფეროში საფრანგეთთან მჭიდრო ურთიერთობაზე გადაიტანა.

ბერლინში დაძაბულობის კერა ჯერ ჩამქრალი არ იყო, როდესაც სრულიად მოულოდნელი ხანძარი მსოფლიოს სულ სხვა რეგიონს მოედო...

ატომური შანტაჟი კუბის ტროპიკებში

1962 წელს ჩვენი ოჯახი წყნეთის აგარაკზე ოქტომბრის შუა რიცხვებამდე დარჩა. თბილი, მშვიდი შემოდგომა იყო. მე და ჩემი უფროსი და სკოლაში წყნეთიდან დავდიოდით, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდ მოგზაურობად მეჩვენებოდა. ზაფხულის დასაწყისში წყნეთში აბარგება და შემოდგომაზე ჩამობარგებაც მთელი ამბავი იყო.

ერთ საღამოს მამაჩემმა მთელი ოჯახი კვლავ შეგვკრიბა და დრამატული ტონით გამოგვიცხადა: ამ დღეებში ატომური ომი დაიწყება და ამიტომ სასწრაფოდ სვანეთში უნდა გაგხიზნოთო. ჩემთვის გაუგებარი იყო, თუ რომელ ომზე საუბრობდა მამა. ვხედავდი, რომ იგი ძალიან ჩაფიქრებული იყო, ამიტომ ვცდილობდი სვანეთში გამგზავრების პერსპექტივით გამოწვეული სიხარული არ გამომეხატა.

დრამატული ვითარება დედაჩემმა განმუხტა. მახსოვს, მან მშვიდად დაასკვნა: ირაკლი, არ ღირს წვალებად. აბა რა მნიშვნელობა აქვს ატომური ბომბით წყნეთში ამოგვჟლეტენ, თუ სვანეთშიო. თანაც ასეთი ნაუცბათევი მგზავრობა ზედმეტი წვალებაცაა და ხარჯიცო.

ასე შემოიჭრა ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში ატომური ომის საშიშროება. მე ამ თემაზე მანამდე არასდროს მიფიქრია და არც ჩემს თანატოლებთან მისაუბრია. ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, უაღრესად მშვიდობიანი და კეთილი მეჩვენებოდა. ომი სადღაც შორს იყო, მამაჩემისა და მისი მეგობრების მოგონებებსა თუ კინოებში ნანახ სიუჟეტებში. და აი, უცებ ვიგებ, რომ უახლოეს დღეებში შეიძლება ყველა ერთიანად ამოვწყდეთ. რატომ? საიდან? ვის მოუვიდა თავში ასეთი იდიოტიზმი?

ყველაზე გავრცელებული ვერსიით, რევოლუციურ კუბაში საბჭოთა ბირთვული იარაღის განთავსების „გენიალური“ იდეა ხრუშჩოვს პირველად თავდაცვის მინისტრ მალინოვსკისთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე სეირნობის დროს მოუვიდა. მინისტრმა პრემიერის ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ შავი ზღვის მეორე მხარეს – თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკულ რაკეტებს 6-7 წუთის მანძილზე შეეძლოთ გაენადგურებინათ უკრაინისა და რუსეთის სამხრეთი ნაწილის მსხვილი ქალაქები.

მაშინ ხრუშჩოვმა ჰკითხა მალინოვსკის, თუ რატომ არ შეეძლო საბჭოთა კავშირს გაეკეთებინა იგივე, რასაც აკეთებდა აშშ. მაგალითად, რაკეტები განელაგებინა რევოლუციურ კუბაში, მით უმეტეს, რომ ამერიკას საბჭოთა კავშირი გარშემორტყმული ჰყავდა სამხედრო ბაზებით, ხოლო საბჭოთა რაკეტები და ატომური ბომბები მხოლოდ საბჭოთა ტერიტორიაზე იყო განთავსებული. აშკარა უთანაბრობა!

ასე ჩაიფიქრა და განიხილა ეს ოპერაცია ხრუშჩოვმა ჯერ მალინოვსკისთან, შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების უახლოეს წრესთან. გაურკვეველი იყო მხოლოდ ერთი რამ: შეიძლებოდა თუ არა საიდუმლოდ განელაგებინათ სარაკეტო მოწყობილობები კუბაზე და მოეყვანათ ისინი სამხედრო მზადყოფნაში. კუნძული პატარა იყო და ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ამერიკული სადაზვერვო ავიაციით. ისიც გაურკვეველი იყო, დათანხმდებოდა თუ არა კუბის ხელისუფლება სსრკ-ის წინადადებას. ამ საკითხების გადასაწყვეტად უაღრესად საიდუმლო ვითარებაში კუბაში საბჭოთა დელეგაცია გაიგზავნა. ფიდელ კასტროს პასუხი ასეთი იყო: თუკი ეს საჭიროა სოციალიზმისათვის, მე მზად ვარ გადავდგა ასეთი ნაბიჯი.

აღნიშნული იდეის სამხედრო ასპექტების განსახილველად მოსკოვს ლეგენდარული ჩე გევარა და რაულ კასტრო ეწვივნენ. რაკეტების განლაგებას კუბის ტერიტორიაზე ორი მიზანი ჰქონდა: პირველი, როგორც თავად ხრუშჩოვი ამტკიცებდა, ეს იყო კუბის დაცვა, რადგან არსებობდა სერიოზული ალბათობა იმისა, რომ ვაშინგტონი კასტროს რეჟიმს არ იგუებდა. თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ კუნძულზე

რაკეტულ-ბირთვული ბაზების შექმნა უფრო მეტად ზრდიდა ამერიკელების კუნძულზე შეჭრის რისკს. ასეთ რისკზე რომ მიდიოდა, ხრუშჩოვი ერთდროულად ცდილობდა შეეცვალა სსრკ-სა და აშშ-ს შორის ძალთა სტრატეგიული ბალანსი, ეჩვენებინა საბჭოთა სიძლიერე და შეექმნა პირობები სამხედრო თუ არა, პოლიტიკური პარიტეტისა მაინც. რა თქმა უნდა, ხრუშჩოვს მშვენივრად ესმოდა, რომ ომის შემთხვევაში საპასუხო დარტყმით ამერიკას შეეძლო დაენგრია საბჭოთა კავშირი და გაენადგურებინა მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

სავარაუდოა, რომ ხრუშჩოვს სხვა მოსაზრებებიც ჰქონდა. მას სურდა შეექმნა აშშ-თან მოლაპარაკების ახალი პირობები და თანაბარი კომპრომისების მიღწევის საშუალებები. იგი ასევე ცდილობდა ამ გზით მიეღო ის, რისკენაც ისწრაფოდა 1958-1962 წლების განმავლობაში. კერძოდ, გდრ-ის აღიარება, დასავლეთ ბერლინის ახალი სტატუსი, ომის შემდგომი საზღვრების აღიარება, აგრეთვე სერიოზული ცვლილებები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებში.

1962 წლის ივლისის ბოლოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე საბჭოთა კავშირმა კუბაში დაახლოებით 100 ხომალდი გააგზავნა. ამჯერად მათ დიდ ნაწილს იარაღი გადაჰქონდა. ამერიკელთა გათვლით, გადაიზიდა საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე 42 რაკეტის დანადგარი, „დედამიწა-ჰაერი“ ტიპის საზენიტო მოწყობილობები და სხვ. გარდა ამისა, როგორც ეს მოგვიანებით დადგინდა, კუბაში გადაისროლეს დაახლოებით 40 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა ხომალდების ეს გადაადგილება არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო ამერიკელებისათვის. ამერიკის მთავრობამ თავისი შეშფოთება აცნობა საბჭოთა ელჩს ანატოლი დობრინინს და, ამავე დროს, კუბის მახლობლად დიდი წრთვნები ჩაატარა, რომლებშიც 45 სამხედრო ხომალდი და 10 ათასი საზღვაო სამხედრო მონაწილეობდა. თვითმფრინავები აწარმოებდნენ კუბის ტერიტორიის ფოტოგრაფირებას. სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ძლიერმა ღრუბლიანობამ ხელი შეუშალა ფოტოდაზვერვის გაგრძელებას.

ამერიკელებმა მხოლოდ 10 ოქტომბერს შეძლეს განეახლებინათ დაზვერვა.

14 ოქტომბერს მოპოვებულმა მონაცემებმა ვაშინგტონის შოკი გამოიწვია. 16 ოქტომბერს კენედის უკვე სრული ინფორმაცია ჰქონდა კუბის ტერიტორიაზე რაკეტების გამალებული ტემპით დამონტაჟების შესახებ. პრეზიდენტის ბრძანებით თეთრ სახლში სასწრაფოდ „კრიზისის ჯგუფი“ შეიქმნა.

ჯგუფი მოქმედების რამდენიმე ვარიანტს განიხილავდა. ერთ-ერთი კუბის მასირებული დაბომბვა და მის ტერიტორიაზე ამერიკული ჯარის გადასხმა იყო. სამხედრო წვრთნების მოტივით სასწრაფოდ დაიწყო მზადება ძალების სრული მობილიზაციისთვის.

მოდით, აქ შევჩერდეთ და ამ ისტორიას სხვანაირად შევხედოთ.

კარიბის კრიზისზე უამრავი რამ დაიწერა, შეიქმნა სატელევიზიო და მხატვრული ფილმები. ამიტომ ყოველივე ამის „გადამღერებას“ ნამდვილად აზრი არა აქვს. ამ შემთხვევაში ყურადღებას ისტორიის იმ პასაჟებზე გავამახვილებ, რაც, ჩემი აზრით, საქართველოში ბოლო ხანს განვითარებულ მოვლენებს მოგვაგონებს, გარკვეული პარალელების გატარებაც აშკარად საჭიროა.

***

1962 წლის 18 ოქტომბერს თეთრ სახლში გაიმართა კენედის შეხვედრა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან გრომიკოსთან, რომელიც აშშ-ში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდა.

ამ მომენტისათვის კენედის უკვე მაგიდაზე ედო უტყუარი ინფორმაცია (ფოტოები, დაზვერვის მონაცემები) კუბაში საბჭოთა ბირთვული იარაღის არსებობის შესახებ. როდესაც საუბარი კუბის თემას შეეხო, პრეზიდენტი დაინტერესდა, ხომ არ აპირებდა მოსკოვი კუბისათვის რაიმე „შეტევითი ხასიათის“ იარაღის მიწოდებას, რაზეც გრომიკომ კატეგორიული უარი, ანუ მისი ცნობილი „нет“ განაცხადა. ცოტა ხნის შემდეგ პრე-

ზიდენტი კვლავ დაუბრუნდა ამ თემას, მაგრამ კვლავ დაბეჯითებითი „нет“ მიიღო.

მომდევნო წლებში, თუნდაც დღემდე, ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ არ დაუდო წინ საბჭოთა მინისტრს კენედიმ უტყუარი ფაქტები. ნეტავ, რას იტყოდა ამ შემთხვევაში გრომიკო?

როგორც ჩანს, პრეზიდენტს ჯერ არ ჰქონდა სრულად მოფიქრებული შემდგომი მოქმედების გეგმა. შეხვედრის შემდეგ კენედის მთავარი დასკვნა ის იყო, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ნდობა არანაირად არ შეიძლებოდა. მათთვის ტყუილსა და მართალს ერთი ფასი ჰქონდა. აბა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა აეხსნა ასეთი უტიფარი საქციელი?

ამ ისტორიული საუბრის შემდეგ კი გრომიკომ კრემლში ასეთი სახის ინფორმაცია გააგზავნა: „ვაშინგტონმა არაფერი იცის“.

თავის მოგონებებში გრომიკო წერს: „დასავლეთში გავრცელებული ცნობების მიუხედავად, მთელი საუბრის განმავლობაში კენედის საერთოდ არ დაუყენებია საკითხი კუბაში საბჭოთა სარაკეტო იარაღის არსებობის შესახებ. შესაბამისად, მე არ ვიყავი ვალდებული გამეცა პასუხი იმაზე, იყო თუ არა ასეთი იარაღი კუბაში“[10]. ამგვარად, გრომიკომ მოგვიანებით არა მარტო დაადასტურა თავისი საქციელი, არამედ შეეცადა გაემართლებია კიდეც იგი, რაც, ალბათ, ისევ და ისევ უზნეობაა. თუმცა გრომიკო აღიარებდა, რომ მის ხანგრძლივ დიპლომატიურ ცხოვრებაში ეს ყველაზე რთული შეხვედრა იყო.

როგორც აშშ-ში ყოფილი საბჭოთა ელჩი დობრინინი იგონებს, იგი არ იყო ინფორმირებული კუბაში საბჭოთა რაკეტების განლაგების შესახებ, რაც ასევე საინტერესო ისტორიული ფაქტია. მან ამის შესახებ შეიტყო 22 ოქტომბერს სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც მას გადასცეს კენედის წერილი ხრუშჩოვის სახელზე და გამოსვლის ტექსტი, რომლითაც რამდენიმე საათში კენედიმ ამერიკელ ხალხს მიმართა.[11]

თავის ისტორიულ გამოსვლაში კენედიმ ისაუბრა იმ საშიშროებაზე, რაც აშშ-ის უსაფრთხოებას შეუქმნა საბჭოთა კავშირის ამ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებამ და ამცნო მსოფ-

ლიოს კუბის ირგვლის „კარანტინის რეჟიმის“, ანუ ბლოკადის დაწესების შესახებ. ამიერიდან აშშ აკონტროლებდა კუბაში ნებისმიერი ხომალდის შესვლას.

ხრუშჩოვის სახელზე გაგზავნილ წერილში კენედი აღნიშნავდა, რომ ეს გადაწყვეტილება „აუცილებელი მინიმუმი“ იყო. საპასუხო წერილში ხრუშჩოვმა სასტიკად იუარა კენედის არგუმენტაცია და ამერიკელების ეს ნაბიჯი სუვერენული კუბის შინაგან საქმეებში უხეშ ჩარევად და საერთაშორისო სამართლის დარღვევად შეაფასა. ამას საბჭოთა კავშირი არ მოითმენდა!

ფლორიდის შტატში დაიწყო 100 ათასი რეზერვისტის მობილიზაცია, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ წუთს კუბაში გადასასხმელად. საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი აშშ-ის სტრატეგიული და ტაქტიკური ავიაცია, სამხედრო ფლოტი, დასავლეთ ევროპაში განლაგებული შეიარაღებული ძალები.

23 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომაზე განიხილა კუბაში შექმნილი ვითარება. ეს იყო ყველაზე დაძაბული სხდომა გაეროს არსებობისა და შემდგომი 46 წლის მანძილზე (ანუ 2008 წლის აგვისტომდე!*)

ამერიკის ელჩის შეკითხვას, განალაგა თუ არა მოსკოვმა კუბაში სარაკეტო შეიარაღება, საბჭოთა ელჩმა „ზღაპრების მოყოლით“ უპასუხა. „გთხოვთ, მიპასუხოთ კონკრეტულად – ჰო თუ არა! – კატეგორიულად მოითხოვა ამერიკის ელჩმა. საბჭოთა დიპლომატის პასუხი კვლავ მიკიბულ-მოკიბული იყო.

***

დადგა 24 ოქტომბერი. მთელი ამერიკა პირდაპირ ეთერში უყურებს, თუ როგორ სრულდება კენედის მიერ გამოცხადებული კარანტინი კუბის გარშემო. ყველა აღელვებული შესცქერის, როგორ უახლოვდება „წითელ ხაზს“ საბჭოთა ხომალდი, რომელზედაც, ალბათ, ბირთვული იარაღია. რჩება 20 მილი... 10 მილი... 5 მილი...

* ეს შეფასება გაეროში CNN-ის კორესპონდენტს ეკუთვნის

ხომალდმა „წითელი ხაზი“ გადაკვეთა და კუბისკენ მიემართება!

უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულების შესაბამისად, ამერიკული ხომალდები რამდენჯერმე აფრთხილებენ საბჭოთა ეკიპაჟს, რომ თუკი გემი სვლას არ შეწყვეტს, მის წინააღმდეგ ცეცხლს გახსნიან. გემი მაინც არ ჩერდება.

სამი სარაკეტო დარტყმის შედეგად საბჭოთა ტანკერი განადგურებულია. ამერიკელები სულგანაბული უყურებენ ტელეეკრანებს „In Live“. რა მოხდება ამის შემდეგ?

ხანმოკლე რეკლამა ტელემაყურებლებს სთავაზობს საოჯახო ბუნკერებს ატომური ბომბისაგან თავდასაცავად. საუკეთესო მომსახურებას ჰპირდება პოტენციურ კლიენტებს ქვეყნის ერთ-ერთი რესპექტაბელური დამკრძალავი ბიუროც.

ტელეკომენტატორი იუწყება, რომ 2 ათასმა საბჭოთა ტანკმა გადაკვეთა სასაზღვრო ზონა და დასავლეთ ბერლინში შეიჭრა.

მყისიერად ამერიკულმა ავიაციამ დაიწყო კუბაში საბჭოთა სარაკეტო დანადგარებისა და სხვა სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურება. ამერიკული დესანტი კუბაში გადასხეს, ფიდელ კასტრო სიერა ნევადის მთებში გაიხიზნა. თავის დროზე მან იქიდან წამოიწყო კუბის რევოლუცია.

18.45 სთ-ზე საბჭოთა სტრატეგიულმა ავიაციამ ორი ატომური ბომბი ჩამოაგდო და სრულად გაანადგურა აშშ-ის მოკავშირე ქვეყნის – სამხრეთ კორეის დედაქალაქი სეული და ქ. პუსანი. ამ დაბომბვის სიძლიერე ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ამერიკული ატომური ბომბებისა ჰიროსიმასა და ნაგასაკში 1945 წელს. ამითაც საბჭოთა კავშირმა „სიმეტრიული“ პასუხი გასცა აშშ-ს.

აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, აშშ იძულებული გახდა საპასუხო ნაბიჯი გადაედგა – წყნარ ოკეანეში განთავსებულმა ამერიკულმა სამხედრო ფლოტმა 19.35 სთ-ზე სრულად გაანადგურა რუსეთის აღმოსავლეთის კარიბჭე – ქ. ვლადივოსტოკი. საბჭოთა ტელევიზია, როგორც ყოველთვის, დრამატულ მომენტებში ჩაიკოვსკის „გედების ტბას“ აჩვენებს.

საბჭოთა ბალისტიკურმა რაკეტებმა საპასუხო შეტევა მიიტანეს აშშ-ის მეორე სტრატეგიულ პარტნიორზე – იაპონიაზე და ამჯერად უკვე საბჭოთა ბირთვული იარაღით დაბომბეს ქალაქები ნაგასაკი და ჰიროსიმა.

იმავე 24 ოქტომბერს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო არმიის სრული მობილიზაცია. მაო ძედუნს ჯერ ზუსტად გადაწყვეტილი არა აქვს, თუ ვის შეუტიოს, მაგრამ გრძნობს, რომ „ჭეშმარიტების მომენტი“ დადგა და ახლა რაღაც უნდა მოიმოქმედოს.

თურქეთში ინჯირლიკის სამხედრო ბაზიდან აფრენილი სამი სტრატეგიული ბომბდამშენი ბირთვულ ბომბებს აგდებს თბილისში და კავკასიის სხვა ქალაქებში. თბილისში ჩამოგდებული ბომბი ტექნიკური გაუმართაობის გამო არ ფეთქდება (მაინც როგორ გვიმართლებს ყოველთვის ქართველებს!)

ხრუშჩოვი ივიწყებს სენატორ ჰემფრისთვის მიცემულ დაპირებას და გასცემს ბრძანებას, რომ ბალისტიკური რაკეტები ესროლონ ამერიკის მთავარ ქალაქებს, უპირველეს ყოვლისა მინიაპოლისს.

აშშ-დან უკვე საპასუხო რაკეტები მოფრინავენ მოსკოვისკენ, ლენინგრადისა და კიდევ 12 ქალაქის მიმართულებით.

საფრანგეთი სასწრაფოდ ნეიტრალიტეტს აცხადებს, მაგრამ უკვე გვიანაა...

***

მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ყველაფერი ეს ფანტაზიაა. ასე ვთქვათ, ვირტუალური სცენარი.

სინამდვილეში 1962 წლის 24 ოქტომბერს საბჭოთა ხომალდმა მართლაც გადაკვეთა „წითელი ხაზი“, მაგრამ ამერიკელებმა ეს „გადაყლაპეს“. ამ დროისათვის უკვე ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური და სხვა არხებით, გამალებით მიმდინარეობს კრიზისული ვითარებიდან გამოსავალის ძიება.

26 ოქტომბერს ხრუშჩოვი კენედის კომპრომისს სთავაზობს: იგი მზადაა გაიტანოს კუბიდან საბჭოთა რაკეტები, თუკი აშშ ივალდებულებს კასტროს რეჟიმის ხელშეუხებლობას.

ასევე, ვაშინგტონმა თურქეთიდან უნდა გაიტანოს სარაკეტო ბირთვული შეიარაღება.

კენედი ამაზე თანახმაა, ოღონდ ითხოვს, რომ თურქეთიდან შეიარაღების გატანის შეთანხმება ჯერ არ გახმაურდეს, რადგან ეს მოგვიანებით ნატოს ფორმატით გადასაწყვეტი საკითხია. ხრუშჩოვი ამაზეც თანხმდება და დიდ შეცდომას უშვებს, რადგან კრიზისის განმუხტვის შემდეგ მსოფლიოს თვალში წაგებული დარჩება.

28 ოქტომბერს საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს ცნობას, რომელსაც მსოფლიო გაფაციცებით ელის – კრიზისი დასრულებულია!

ორი კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირმა დაიწყო სარაკეტო დანადგარების დაშლა და კუბიდან გატანა, რამაც კასტროს დიდი აღშფოთება და მოსკოვთან მისი ურთიერთობების დიდი გართულება გამოიწვია. ფიდელის „მოლბობა“ კუბაში ჩასულმა უაღრესად ელასტიურმა მიქოიანმაც კი ვერ შესძლო. „ცივი ომი“ კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის ერთხანს გაგრძელდა.

კენედის ავტორიტეტმა აშშ-სა და დასავლეთ სამყაროში საგრძნობლად იმატა. სამაგიეროდ, ხრუშჩოვის მმართველობას აღარ ეწერა დიდი ხანი. ამ ავანტიურამ არა მარტო პარტიული ხელმძღვანელობა, არამედ სამხედრო ელიტაც აამხედრა ნიკიტას წინააღმდეგ.

მოსკოვსა და ვაშინგტონში ნათლად გააცნობიერეს, როგორ ეკიდა ბეწვზე მსოფლიოს ბედი და რა მყიფე იყო საერთაშორისო მშვიდობა. მაგრამ რა უნდა მოემოქმედათ მომავალში მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად? ბევრი ვერც ვერაფერი მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ამიერიდან „ცხელი სატელეფონო ხაზი“ შეიქმნებოდა.

***

შემდგომ პერიოდში, კარგა ხანს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობები მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

ერთადერთი დადებითი რამ, რაც კარიბის კრიზისმა საქართველოს მოუტანა, ეს გახლდათ ცნობილი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ სტეინბეკის სტუმრობა. იგი საქართველოში 1948 წელსაც იყო ნამყოფი, მაგრამ მეორე ვიზიტი, როგორც ამბობენ, პირადად პრეზიდენტ კენედისთან იყო შეთანხმებული.

საქართველო სტეინბეკისათვის გასაოცარ სამყაროდ, სანუკვარ კუთხედ იქცა, რომლის თაობაზეც იგი სიცოცხლის ბოლომდე ბევრს უყვებოდა ახლობლებსა და უცნობებს. იგი განსაკუთრებით ქართველ მწერლებთან და უბრალო მოქეიფე ხალხთან ურთიერთობამ მოხიბლა. სტეინბეკს თავიდან საკმაოდ დისტანციურად ეკავა თავი, ეტყობა ყველა ოფიციალური პირი ეგონა. მაგრამ ქართულმა სტუმართმოყვარეობამ მალე იქამდე მოალბო იგი, რომ ერთ სუფრაზე უნატრია კიდეც: ნეტავ ახლა მამაჩემი მიყურებდესო.

ასეთივე მშვიდობის მისიით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ცნობილი ამერიკელი მომღერალი ჰარი ბელაფონტე, რომელიც მამაჩემმა ორიოდე წლით ადრე ამერიკაში გაიცნო. ჩვენთან, ვაკის ბინაში, სტუმრობისას ბელაფონტე დაინტერესდა, თუ რისთვის იყო საჭირო ასეთი შთამბეჭდავი კარი რამდენიმე საკეტით. „განა სოციალისტურ სამოთხეში ასე ეშინიათ ქურდების?“ – ვითომ გულუბრყვილოდ იკითხა მან. „ჩემო ჰარი, ეს იმისთვისაა, რომ ოჯახში ატომური ბომბი არ შემომივარდესო“ – ასევე „გულუბრყვილოდ“ უპასუხა მამაჩემმა.

მახსოვს, რა გულიანად იცინოდნენ ორივენი.

მოკლედ, გადავრჩით...

ერთადერთი ფიზიკურად დაზარალებული ჩემი უმცროსი ძმა აღმოჩნდა. მშვიდად ჩაძინებულ ორი წლის ვახტანგს ბელაფონტეს ბიჭმა მწარედ უკბინა. ალბათ, ფუნთუშა ეგონა.

„ვის ვენდოთ: დასავლეთს თუ აღმოსავლეთს?“

ხანდაზმულ ასაკში შესული მაფიოზი იგონებს, რომ ბავშვობაში მამამ სთხოვა, კარადაზე ამძვრალიყო და იქიდან გადმომხტარიყო. ბავშვი ჯერ უარზე იყო, ეშინოდა, მაგრამ მამამ დაარწმუნა, რომ საშიში არაფერი იყო, რადგან იგი მას დაიჭერდა. მამამ დაპირება არ შეასრულა და ძირს დანარცხებულმა ბავშვმა ფეხი მოიტეხა. მამის მწარე გაკვეთილი და სიტყვები მას მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვდა: „არავის არ უნდა ენდო, საკუთარ მშობლებსაც კი“[12].

ორად გაყოფილ მსოფლიოში ნებისმიერი სახელმწიფოსათვის მთავარი კითხვა ეს იყო: ვის უნდა მიკედლებოდა, დასავლეთს თუ აღმოსავლეთს? ქვეყნების დიდ ნაწილს ასეთი არჩევანი საერთოდ არ ჰქონდა, რადგან მათი ბედი „უფროსმა ძმებმა“ გადაწყვიტეს. ეს განსაკუთრებით სოციალისტურ ბანაკს ეხებოდა. მაგრამ რეალურად არც დასავლეთის ბანაკის პატარა სახელმწიფოებს ჰქონდათ მეტი არჩევანის საშუალება. ის, ვინც დიდი პატრონის – ვაშინგტონის მოტყუებას გადაწყვეტდა, კუბის ბედი ელოდა: Patria o Muerte!*.

როდესაც პოლიციელი დამნაშავის წინააღმდეგ უკანონო მეთოდებს იყენებს, ისიც დამნაშავე და კრიმინალი ხდება. ეს აქსიომაა. ჰოდა, „ცივი ომის“ პერიოდში კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ ხშირად ივიწყებდა დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპებს. კომუნისტური „ბაცილისაგან“ აშშ განსაკუთრებით ამერიკის კონტინენტს იცავდა. სწორედ ამით იყო განპირობებული ვაშინგტონის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია კუბის რევოლუციაზე, რომელიც ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში დიდი სიმპათიით სარგებლობდა. ფიდელ კასტროსა და, განსაკუთრებით, ერნესტო ჩე გევარას სახელები იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოებად იქცა.

ამა თუ იმ ლათინურ-ამერიკული რეჟიმის მხარდაჭერის ან ჩამოცილების ამოსავალი წერტილი ვაშინგტონისათვის ის

---

* „სამშობლო ან სიკვდილი!“ – კუბელი რევოლუციონერების ლოზუნგი.

იყო, თუ ვინ საით იყურებოდა. ათეული წლების მანძილზე ნიკარაგუას მართლაც პირსისხლიანი დიქტატორი ანასტასიო სომოსა მართავდა. მასზე ვაშინგტონში ასე საუბრობდნენ: „ვიცით, რომ ძაღლისშვილია, მაგრამ ის ჩვენი ძაღლისშვილია“. ამ პრინციპით ასევე ათეული წლების მანძილზე ეგუებოდა ვაშინგტონი პარაგვაიში პარანოიდული ალფრედო სტრესნერის სამხედრო დიქტატურას, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ფაშისტურ რეჟიმებს, კუნძულ ჰაიტიზე “ბნელეთის მოციქულ“ ფრანსუა დიუვალიეს და მრავალ სხვას.

სამხრეთ ამერიკაში სამხედროები ხშირად თვითონ ამხობდნენ მათთვის სხვადასხვა მიზეზით მიუღებელ სამოქალაქო მთავრობებს. მაგრამ ვაი იმას, ვისაც კომუნისტური იდეოლოგიის ნიშანწყალს მაინც აღმოუჩენდნენ. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უხეშად ერეოდა მეზობელი ქვეყნების შინაგან საქმეებში, არ ინდობდა დემოკრატიული გზით არჩეულ პრეზიდენტებსაც კი. მაგალითად, 1954 წელს დამხობილი იქნა გვატემალის მემარცხენე პრეზიდენტი არბენს გუსმანი, 1961 წელს ეკვადორის პრეზიდენტი ველასკო იბარა, 1963 წელს დომინიკის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატი პრეზიდენტი ხუან ბოში, 1973 წელს ჩილეს სოციალისტი პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე. აღარაფერს ვამბობთ მკვლელობის რამდენიმე მცდელობაზე კასტროს წინააღმდეგ, სიკვდილის ბრიგადებზე სალვადორსა და გვატემალაში. ამ ჩამონათვალის გაგრძელება შორს წაგვიყვანდა.

აფრიკის კონტინენტზე და არაბულ სამყაროში აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა „ნადირობა“ გამოაცხადეს, თუ ვინ მეტ ქვეყანას გადაიბირებდა. კოლონიალიზმისგან განთავისუფლებული, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოები საშიში არჩევანის წინაშე იდგნენ. იქით წახვალ და ვაი, აქეთ წამოხვალ და უი...

1950-1960-იან წლებში საბჭოთა კავშირი უმთავრესად არაბულ სამყაროზე მუშაობდა. მისი მთავარი სამიზნე აბდ ელ-ნასერის ეგვიპტე იყო. შავი აფრიკა ყოფილი კოლონიზატორების – ევროპელების გავლენის სფეროდ რჩებოდა. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, მართლაც, ზოგჯერ ევროპელებიც ბევრ

უმსგავსობაზე ხუჭავდნენ თვალს. ამის კლასიკური მაგალითი იყო ყოფილი ბელგიური კონგოსა და შემდგომ ზაირის „პრეზიდენტი“ მობუტუ სესე სეკო, რომელმაც ათეული წლების მანძილზე უმოწყალოდ გაძარცვა და გააჩანაგა ეს უმდიდრესი ქვეყანა. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა პრეზიდენტმა ბოკასამ 1976 წელს იმპერიად გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი, შესაბამისად – იმპერატორად. გარდა იმისა, რომ თავისი ოპოზიციონერების გვამებით ბოკასა ნიანგებს კვებავდა, იგი შიგადაშიგ ბრილიანტებსაც სჩუქნიდა საფრანგეთის პრეზიდენტს.

მაგრამ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირება სახელმწიფო მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა საკმაოდ ოსტატურად გამოიყენა და მიზანსაც მიაღწია.

ევროპაში ამის საუკეთესო მაგალითი იუგოსლავია იყო, რომელსაც „მსოფლიო ომის“ შემდეგ თითქმის 40 წლის მანძილზე ლეგენდარული იოსიპ ბროზ ტიტო მართავდა. იუგოსლავია თავისი პოლიტიკური წყობით სოციალისტური ქვეყანა იყო, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით – თითქმის კაპიტალისტური. ბელგრადი არც ერთ სამხედრო ბლოკში არ შედიოდა, იგი დასავლეთთანაც ფართოდ ვაჭრობდა და ე. წ. სოციალისტურ ბანაკთანაც. 1960-იანი წლების დასაწყისიდან იუგოსლავია საბჭოთა მოქალაქეებისთვის შესაშურად განვითარებული და თავისუფალი ქვეყანა იყო.

ბროზ ტიტო ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი იყო ე. წ. მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობისა. ეს სწორედ ის ქვეყნები გახლდათ, რომლებიც მთლიანად „არც იქით იყვნენ და არც აქეთ“, ანუ მიუმხრობლობა „ცივი ომის“ პერიოდში ავტონომიურ მდგომარეობას, თავისებურ ნეიტრალიტეტს ნიშნავდა.

აზიის კონტინენტზე ყველაზე გამოკვეთილი მიუმხრობელი ქვეყანა ინდოეთი იყო. მისი პირველი პრეზიდენტის ჯავაჰარლალ ნერუსათვის მიუმხრობლობა და ნეიტრალიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ეგზისტენციალური არჩევანი იყო. მაჰათმა განდის არაძალადობრივი ფილოსოფიისა და საქმის გამგრძელებელი ნერუ თვლიდა, რომ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში და „დიდი მოთამაშეების“ უზნეო ინტრიგებში მონაწი-

ლეობა ინდოეთის საქმე არ იყო. თუმცა ამ არჩევანს წმინდა პრაგმატული განზომილებაც ჰქონდა. საქმე ის გახლდათ, რომ ინდოეთის უპირველეს ოპონენტს – პაკისტანს აშშ ძლიერად უჭერდა მხარს. ამიტომ „მესამე გზის“ არჩევით ინდოეთი ნაწილობრივ აბალანსებდა მოწინააღმდეგის ტანდემს და თავის ირგვლივ ქმნიდა მიუმხრობელი სახელმწიფოების კოალიციას.

მიუმხრობლობის მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ის თავმჯდომარის მოადგილე ჯოუ ენლაი. ეს უჭკვიანესი პოლიტიკოსი თვლიდა, რომ მსოფლიოში ჩინეთის პოზიციების გასაძლიერებლად მხოლოდ კომუნისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა საკმარისი არ იყო. ამიტომ იგი პარალელურად ე. წ. მესამე სამყაროზეც აკეთებდა აქცენტს.

მიუმხრობელი ქვეყნების დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა 1955 წელს ინდონეზიის ქ. ბანდუნგში. ტიტოსთან, ნერუსა და ჯოუ ენლაისთან ერთად კონფერენციაზე მიწვეული იყო ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი, რომელიც შემდგომ ამ მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

მიუმხრობელი ქვეყნების გადაბირება მოსკოვის ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური ამოცანა იყო. კრემლი უხვად ეხმარებოდა მათ, უგზავნიდა სპეციალისტებს*, ეგვიპტეს ასუანსის კაშხალს უშენებდა, ინდოეთს ბჰილაის მეტალურგიულ კომბინატს, ნეპალს ფაბრიკებს და ა.შ. ნიკიტა სერგის ძემ იქამდე არ მოისვენა, სანამ მოსკოვისადმი კეთილგანწყობილი ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო სამხედროებმა არ ჩამოიშორეს და უამრავი კომუნისტიც დახოცეს.

***

ფრანგებს ყველაფერში განსაკუთრებულობა სჩვევიათ, მათი ევროპულობაც გამორჩეულია და, როგორც ისინი ფიქრობენ (არც თუ უსაფუძვლოდ), ყველაზე დახვეწილი. რა თქმა

* ამასთან დაკავშირებით ასეთ ანეკდოტსაც ყვებოდნენ: ნილოსის ნაპირას ორი ნიანგი წევს. ერთი მეორეს ეუბნება: „დიდი მდინარეა ნილოსი“. მეორე კი უპასუხებს: „ვოლგა უფრო დიდი მდინარეა, ამხანაგო პოლკოვნიკო“.

უნდა, ეს თვისება ბევრ რამეზე ახდენს გავლენას, მათ შორის, საგარეო პოლიტიკაზეც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1956 წელს სუეცის კონფლიქტში დამარცხებამ დიდი გავლენა იქონია ბრიტანეთისა და საფრანგეთის შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. თუკი ლონდონმა ამ კრიზისის შემდეგ თავისი უსაფრთხოება უმთავრესად აშშ-ს დაუკავშირა, პარიზმა ავტონომიური გზა აირჩია. ამ დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის მთავარი არქიტექტორი ლეგენდარული შარლ დე გოლი იყო.

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი ფრანგი პატრიოტების ლიდერი, პარიზის განმათავისუფლებელი და ომის შემდგომი საფრანგეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი, გენერალი დე გოლი 1946 წელს საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და დიდ პოლიტიკას ჩამოშორდა. იგი მხოლოდ 12 წლის შემდეგ მოიხმო საფრანგეთის პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე: ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებდა.

მალე დე გოლის ინიციატივით მიიღეს ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც საფრანგეთში საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა დაამკვიდრა. 1958 წელს საყოველთაო არჩევნების შედეგად საფრანგეთის პრეზიდენტად 75 წლის შარლ დე გოლი მოგვევლინა, იგი ქვეყანას 1969 წლამდე ხელმძღვანელობდა.

ფრანგების ეს არჩევანი სწორი აღმოჩნდა. მოკლე პერიოდში დე გოლმა საფრანგეთი ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანა და გადაწყვიტა ქვეყნისათვის ყველაზე მწვავე საერთაშორისო პრობლემა – საფრანგეთის აფრიკული კოლონიებისათვის, მათ შორის ალჟირისათვის, დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი.

დე გოლი თვლიდა, რომ ორპოლუსიან სამყაროში საფრანგეთს და, საერთოდ, ევროპას დამოუკიდებელი ადგილი უნდა ჰქონოდა. ამერიკულ შეიარაღებულ ძალებს ოდესღაც ევროპა უნდა დაეტოვებინათ და ევროპას საკუთარი თავისათვის უნდა მიეხედა. ამასთანავე, იგი ისეთ საფრანგეთზე ოცნებობდა, რომელიც თანამედროვე ევროპის ხერხემალი და ლოკომოტივი იქნებოდა. დე გოლი აქცენტს გერმანიის ფედერაციულ

რესპუბლიკასთან მჭიდრო ურთიერთობებზე აკეთებდა და ხაზგამსულად უგულვებელყოფდა ნატოს ფარგლებში ვაშინგტონის ტრანსატლანტიკური ალიანსის განმტკიცების პოლიტიკას.

1960 წელს საფრანგეთმა წყნარ ოკეანეში თავისი საკუთარი ბირთვული იარაღი გამოსცადა, რითაც ვაშინგტონის ძლიერი გაღიზიანება გამოიწვია: აშშ-ის აზრით, ნატოს ბირთვული სტრატეგია ერთიან კოორდინირებულ სისტემაში უნდა ყოფილიყო ინტეგრირებული. ამ აზრს პარიზი არ იზიარებდა.

მაგრამ დე გოლი მარტო ნატოს ფარგლებში როდი იქცეოდა დამოუკიდებლად. მან იმავე 1960 წელს გამოიყენა ვეტოს უფლება და დაბლოკა დიდი ბრიტანეთის გაწევრიანება ევროპის ერთიან ბაზარში (ევროკავშირის წინამორბედი). ამგვარად, დე გოლმა ინგლისელებიც გაანაწყენა.

რაც უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა დე გოლის დამოუკიდებელი პოლიტიკა ვაშინგტონში, მით უფრო კმაყოფილები იყვნენ მოსკოვში. „ცივი ომის“ პერიოდში სსრკ-ის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანა ხომ მოწინააღმდეგეთა რიგებში, უპირველეს ყოვლისა ნატოში, განხეთქილების შეტანა იყო. სწორედ ამ საქმეს აკეთებდა, კრემლის აზრით, საფრანგეთის პრეზიდენტი. ამიტომ მასპინძლობდნენ მას მოსკოვში განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით.

მაგრამ დე გოლის შემდეგმა ნაბიჯებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა: 1964 წელს პრეზიდენტმა მოითხოვა აშშ-ის ბირთვული შეიარაღების გატანა საფრანგეთის ტერიტორიიდან, შემდეგ გამოიყვანა საფრანგეთის სამხედრო ფლოტი ნატოს ინტეგრირებული ხელმძღვანელობიდან და 1966 წელს საერთოდ დაატოვებინა საფრანგეთს ნატოს სამხედრო სტრუქტურები. ასევე, დე გოლის მოთხოვნით ნატოს შტაბბინა 1967 წელს პარიზიდან ბრიუსელში გადაიტანეს. როდესაც საქმე საფრანგეთიდან ამერიკული საჯარისო ნაწილების გაყვანაზე მიდგა, განრისხებულმა აშშ-ის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა დე გოლს მწარე კითხვა შეუთვალა: „ხომ არ გსურთ ამერიკელი ჯარისკაცების საფლავებიც წამოვიღოთ საფრანგეთიდან?“ ამით ჯონსონმა სარკასტულად შეახსენა დე გოლს, რომ სწო-

რედ ამერიკელი ჯარისკაცების მეშვეობით მოხდა საფრანგეთის ნაცისტებისაგან განთავისუფლება და ემიგრაციიდან პარიზში მომავალი პრეზიდენტის დაბრუნება.[13] მაგრამ დე გოლის „მოთვინიერება“ შეუძლებელი იყო, რადგან მისი მთავარი ამოცანა საფრანგეთისათვის ზესახელმწიფოს პრესტიჟის აღდგენა გახლდათ. ამის მიღწევა მხოლოდ რეალურ ზესახელმწიფოსთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაპირისპირების პირობებში იყო შესაძლებელი.

მიუხედავად ხაზგასმულად განსხვავებული პოლიტიკისა, დე გოლი, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რომელსაც საბჭოთა ტოტალიტარიზმი უქადდა დასავლურ დემოკრატიას. სწორედ ამით აიხსნება მისი პრინციპული პოზიცია ბერლინის კრიზისის დროს და გერმანელი ხალხის ცალსახა მხარდაჭერა.

დე გოლის პიროვნება ბევრის აღტაცებასაც იწვევდა და დაუნდობელ კრიტიკასაც. მას არც XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი ჩერჩილი წყალობდა, რომელიც გენერალს ხშირად მწარე ეპითეტებით ამკობდა. ვალში არც დე გოლი რჩებოდა – იგი განსაკუთრებით მიუთითებდა ბრიტანელი პრემიერის ალკოჰოლისადმი მიდრეკილებაზე*. მართლაც, ადამიანური სისუსტეები, ალბათ, არც ერთს აკლდა, ისევე, როგორც უდიდესი სახელმწიფოებრივი აზროვნება და ჰორიზონტს იქით ხედვის უნიკალური უნარი.

---

* ჩერჩილი ერთ არისტოკრატულ წვეულებაზე იმდენად ნასვამი მივიდა, რომ მის გვერდით მჯდომმა ქალბატონმა მას შენიშვნა მისცა: „სერ უინსტონ, მე რომ თქვენი ცოლი ვიყო, ყავაში საწამლავს ჩაგიყრიდითო“. „მე რომ თქვენი ქმარი ვიყო, მაგ ყავას აუცილებლად დავლევდიო“ – უთქვამს ჩერჩილს.

IV. ᲘᲚᲣᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲠᲝᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲐᲣᲜᲓᲘ

დღეს ძნელი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მაგიურ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი. როდესაც 1960 წელს პირველად მისი ფოტოები ვიხილეთ, განცვიფრებულები დავრჩით: ამერიკის ლიდერი კინოვარსკვლავივით გამოიყურებოდა. მას გვერდს უმშვენებდა მისი თვალწარმტაცი მეუღლე ჟაკლინი, ორივეს კი ირგვლივ ულამაზესი ბავშვები ეხვივნენ.

რა საოცარი კონტრასტი იყო ნიკიტა ხრუშჩოვთან და მის მეუღლესთან! აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი კენედი ჩემი თაობისათვის თავისუფალი და წარმატებული სამყაროს სიმბოლო იყო. პრეზიდენტი, რომელიც იმედს უნერგავდა სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც.

43 წლის კენედიმ თავისი პრეზიდენტობის 3 წლის მანძილზე უდიდესი ავტორიტეტი შესძინა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჟურნალ „ამერიკის“ მეშვეობით ჩვენ ვიგებდით, თუ როგორ იცავდა იგი ადამიანის უფლებებს, ზრუნავდა სოციალურად დაუცველ ფენებზე, ებრძოდა რასობრივ დისკრიმინაციას. მისი ინიციატივით შექმნილი მშვიდობის კორპუსის აქტივისტები მსოფლიოს გაჭირვებული ქვეყნების დასახმარებლად მიემგზავრებოდნენ.

კარიბის კრიზისის პერიოდში კენედიმ თავი გამოამჟღავნა, როგორც უაღრესად გაწონასწორებულმა და წინდახედულმა პოლიტიკოსმა. ესეც მის სასარგებლოდ მუშაობდა.

აქ, თბილისში, ბევრი ფიქრობდა, რომ ასეთ პრეზიდენტს ამერიკელები, ალბათ, არასდროს გადაირჩევდნენ. ის ყოველთვის ამ პოსტზე დარჩებოდა. აბა ვინ უნდა მოენახათ უკეთესი?!

და, აი, 1963 წლის 22 ივნისს საზარელი რამ გავიგეთ: ჯონ კენედი მოკლეს! როგორ, განა ამერიკაში ასეთი რამ შესაძლებელი იყო? იქ ხომ დემოკრატიაა, თავისუფალი სამყარო!

თბილისში ათასნაირი ჭორი დადიოდა. უფროსი თაობიდან ბევრი დარწმუნებული იყო, რომ კენედი ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა მოაკვლევინა, რათა მისი ადგილი დაეკავებინა. ჩვენ, ახალგაზრდები ამ ვერსიას ირონიულად ვუყურებდით და ვთვლიდით, რომ ჩვენ უფროს თაობას აღარაფერი ეშველებოდა.

მაგრამ ერთ გამაოგნებელ ცნობას მეორე მოსდევდა. მახსოვს, როდესაც კენედის მკვლელის ლი ჰარვეი ოსვალდის გვარი პირველად ახსენეს, ჩვენმა მეზობელმა, ერთი ბნელი წარსულის მქონე პიროვნებამ, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ახლა წესით ეგეც უნდა გაასაღონო“. მე აღშფოთება ვერ დავმალე და შევეკამათე, აბა რას ამბობთ, ეს ხომ ამერიკაა და თანაც XX საუკუნის 60-იანი წლები-მეთქი. მეზობელმა ასევე „ფილოსოფიურად“ დასძინა: „ეჰ, აბა ეპოქა რა შუაშია, განა საუკუნეები ადამიანის მოგონილი არ არისო..“

მართლაც, რამდენიმე დღეში ოსვალდი პირდაპირ ტელეეთერში ვინმე ჯეკ რუბიმ მოკლა. ეს რაღა უბედურებაა, სადღაა სამართალი, ამერიკული მართლმსაჯულება. ამერიკული ილუზიები თავზე გვენგრეოდა.

მოგვიანებით, მრავალი წლის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ასეთივე მწარე განცდებში იყვნენ ახალგაზრდები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ამერიკაში.

იმავე „ამერიკის“ ფურცლებიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ამერიკელებს თავიდან ოსვალდი საბჭოთა აგენტი ეგონათ, რაც უდიდესი სკანდალის მომასწავებელი იყო. ოსვალდი ერთხანს საბჭოთა კავშირში მართლაც ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, სუკ-ის ხელი ამ ისტორიაში არ ერია. პირიქით, ხრუშჩოვმა დიდი სინანული გამოთქვა ამ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით და ვაშინგტონში დასაფლავების ცერომონიალზე მიქოიანი მიავლინა. საერთოდ, საბჭოთა მედია საკმაოდ მშვიდად, ღია ნიშნისმოგების გარეშე აშუქებდა ამ ტრაგიკულ მოვლენებს. კენედის მოსკოვში უკვე რეალისტ პო-

ლიტიკოსად და ღირსეულ პარტნიორად მიიჩნევდნენ. მაგრამ საბჭოთა პრესის პუბლიკაციებში შეფარულ ქვეტექსტად მაინც იკითხებოდა ერთგვარი კმაყოფილება: ესეც თქვენი ამერიკა!

აშშ-ის პრეზიდენტის ფუნქციების შესრულება ავტომატურად ვიცე-პრეზიდენტს ლინდონ ჯონსონს დაევალა. იგი ძალიან სოლიდურად გამოიყურებოდა, არც გამოცდილება და ცოდნა აკლდა. მაგრამ კენედის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტობას უკვე გაცილებით მეტი რამ სჭირდებოდა.

5 წლის შემდეგ, ანუ 1968 წლის 6 ივნისს, პალესტინელი მკვლელის ტყვიით დაიღუპება ჯონ კენედის უმცროსი ძმა რობერტი – თითქოს ამ ოჯახში ავი სული დასახლდა.

იმავე წელს მემფისში მოკლავენ მარტინ ლუთერ კინგს, შავკანიანი ამერიკელებისა და, საერთოდ, ადამიანის უფლებების ლეგენდარულ დამცველს. მისი ცნობილი მიმართვა ამერიკელებისადმი – „მესიზმრება ოცნება“ XX საუკუნის ჰუმანისტური იდეების სიმბოლოდ იქცევა.

ჩვენ ჯერ კიდევ ჯონ კენედის მივსტიროდით, როცა ახალი საოცრება დატრიალდა. 1964 წლის 14 ოქტომბერს შევიტყვეთ, რომ ხრუშჩოვი თანამდებობიდან გადააყენეს. უფროსები ამ ამბავს ჯერ ჩუმ-ჩუმად ატყობინებდნენ ერთმანეთს, მერე ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი და ბოლოს საბჭოთა პრესაშიც გაჩნდა ოფიციალური ინფორმაცია. ხრუშჩოვის თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზად დასახელებული იყო ხანდაზმული ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა. აბა ამას ვინ დაიჯერებდა?! ჯერ კიდევ გუშინ ნიკიტა სერგის ძე ჯანმრთელობას „აფრქვევდა“, არანაირი ხანდაზმულობა მას არ ეტყობოდა. ფაქტია, კრემლში გადატრიალება მოხდა.

ამ ისტორიის დეტალები მრავალი წლის შემდეგ შევიტყვეთ. საყურადღებოა, რომ სანამ მოსკოვში გადატრიალება მზადდებოდა, ხრუშჩოვი პიცუნდაში ისვენებდა. იგი მოულოდნელად 13 ოქტომბერს მიიწვიეს მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე, რომელსაც თითქოს სოფლის მეურნეობის საკითხები უნდა განეხილა. ნიკიტა მოსკოვში წასვლისაგან ჯერ თავს იკავებდა, ამბობენ, გული რაღაცას უგრძნობდაო,

მაგრამ დღის ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო და თვითმფრინავი გამოიძახა.

მოსკოვის აეროპორტში ხრუშჩოვს მხოლოდ სუკ-ის თავმჯდომარე სემიჩასტნი დახვდა. ნიკიტასათვის ნათელი გახდა, რომ პლენუმი სოფლის მეურნეობის პრობლემებს არ ეძღვნებოდა.

საინტერესოა, რომ ამ ისტორიული პლენუმის სტენოგრაფიული ჩანაწერები არ არსებობს. ამიტომ ისტორიას მხოლოდ მონაწილეთა მოგონებები შემორჩა. ნიკიტას უახლესმა პარტიულმა კოლეგებმა და მეგობრებმა სხდომის დაწყებისთანავე ძლიერი შეტევა მიიტანეს ხრუშჩოვზე. ყველაზე მეტად აქტიურობდა საბჭოთა იდეოლოგიის რუხი კარდინალი მიხეილ სუსლოვი. მან მისხალ-მისხალ ჩამოთვალა ნიკიტას შეცდომები სახელმწიფოს მმართველობის სხვადასხვა სფეროში, პარტიულ მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საერთაშორისო საქმეებში. ის, რასაც საბჭოთა პრესა და პარტიული ნომენკლატურა წლების მანძილზე ხრუშჩოვის ისტორიულ წარმატებებად ნათლავდა, ახლა პლენუმზე დაუზოგავი კრიტიკის საგნად იქცა. გამომსვლელები გმობდნენ ხრუშჩოვის „ვოლუნტარისტული“ მმართველობის სტილს, ერთპიროვნულ გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს. სუსლოვმა ნიკიტა ახალი „პიროვნების კულტის“ შექმნაშიც დაადანაშაულა და ზუსტად ჩამოუთვალა, თუ რამდენჯერ დაიბეჭდა მისი პორტრეტი საბჭოთა პრესაში: 1963 წლის მანძილზე 120 ჯერ, და შემდეგ 1964 წელს 9 თვის განმავლობაში – 140-ჯერ! ხრუშჩოვი ცდილობდა თავის მართლებას, პლენუმის 22 წევრიდან მას მხარი მხოლოდ მიქოიანმა დაუჭირა.

14 ოქტომბერს პლენუმმა ხრუშჩოვი თანამდებობიდან გადააყენა. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ლეონიდ ბრეჟნევი, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ალექსეი კოსიგინი. ხრუშჩოვი ამ ორ თანამდებობას ითავსებდა, რაც ამიერიდან, პლენუმის გადაწყვეტილებით, აღარ უნდა მომხდარიყო, რადგან საბჭოთა კავშირს ჭეშმარიტად კოლექტიური ხელმძღვანელობა უნდა ჰყოლოდა. ვნახოთ, რა მოხდება რამდენიმე წლის შემდეგ.

ერთ-ერთმა ევროპულმა ექსპერტმა ასე შეაფასა პლენუმის შედეგები: „პლენუმმა მხარი არ დაუჭირა ხრუშჩოვს, თუმცა მას ფარული მომხრეებიც ჰყავდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ხრუშჩოვის უდიდესი წარმატება იყო: ჯერ კიდევ 10 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სტალინის მემკვიდრეს ასე მშვიდობიანად, ჩვეულებრივი კენჭისყრის მეთოდით გადააყენებდნენ“.

იგივე უთქვამს თვითონ ნიკიტა სერგის ძეს პლენუმიდან სახლში დაბრუნებისას: „მაშ ასე, ახლა მე პენსიონერი ვარ. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც მე გავაკეთე, შეიძლება ის არის, რომ მე მათ გადამირჩიეს. ჩემს ადგილას სტალინი მათ ყველას დაიჭერდა“[1].

* * *

ახალი საბჭოთა ხელმძღვანელობა გაცილებით უფრო რესპექტაბელურად გამოიყურებოდა, ვიდრე ხრუშჩოვი. ბრეჟნევს განსაკთრებით შთამბეჭდავი წარბები ჰქონდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბრეჟნევ-კოსიგინის ტანდემს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე პოდგორნი შეემატა. ერთხანს ამ ტრიუმვირატის წევრები მართლაც დოზირებულად აბალანსებდნენ ერთმანეთს. პრესაში და ტელეეკრანებზე ისინი სულ ერთად იყვნენ, მაღალ უცხოელ სტუმრებსაც ისე ხვდებოდნენ, რომ არცერთს გამორჩეული როლი არ ჰქონოდა.

მალე დაკვირვებულმა ხალხმა ისიც შეამჩნია, რომ საბჭოთა პრესაში სტალინის სახელი რამდენჯერმე პოზიტიურ კონტექსტში ახსენეს. მერე ნელ-ნელა იმაზეც დაიწყეს ლაპარაკი, რომ სტალინის ეპოქაში მარტო ცუდი როდი ხდებოდა, ეს უდიდესი მიღწევების ეპოქაც იყოო. შემდეგ თითქოს საერთოდ დაივიწყეს ხრუშჩოვის მიერ ნიღაბახსნილი 1930-იანი წლების ტერორი და მხოლოდ კომუნისტური პარტიის წარმატებებზე დაგვიწყეს საუბარი. ეს სახეცვლილება ინტელიგენციას ცუდად ენიშნა. ნათელი ხდებოდა, რომ ხრუშჩოვის „დათბობის“ პერიოდი მთავრდებოდა.

მიუხედავად ამისა, 1960-იან წლებში საბჭოთა კავშირი, საერთო ჯამში, მაინც ინარჩუნებდა დინამიურობას. ქვეყანა ვი-

თარდებოდა, ცხოვრება უკეთესობისკენ მიდიოდა, კომუნისტურ იდეოლოგიას მსოფლიოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა.

ბრეჟნევისაგან და პოდგორნისაგან განსხვავებით, პრემიერი კოსიგინი აშკარად მოაზროვნე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი გამოსვლები გამოირჩეოდა სოლიდურობით, საგნის ღრმა ცოდნით. იგი განსაკუთრებით კარგად იყო გარკვეული ეკონომიკის საკითხებში, რაც თავის დროზე სტალინსაც არ დარჩა შეუმჩნეველი.

კოსიგინის ინიციატივით 1960-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა პრესაში დაიწყო უპრეცედენტო პოლემიკა ეკონომიკის საკითხებთან დაკავშირებით. რეფორმატორ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა საბჭოთა გეგმიურ ეკონომიკაში გარკვეული საბაზრო ელემენტების შეტანას, რაც იმ დროისათვის ნამდვილი რევოლუციური მოვლენა იყო. ამ იდეების მთავარი გენერატორი კოსიგინი იყო. მისი მთავარი იდეა გახლდათ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ე. წ. სამეურნეო ანგარიშის სისტემის დანერგვა, ანუ სახელმწიფო დოტაციების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა შემცირებულიყო, ხოლო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სუბიექტებს მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით უნდა ეარსებათ. დღეისათვის ასეთი ინოვაცია სასაცილოდაც კი ჟღერს, მაგრამ იმ ეპოქაში ეს გაბედული და დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. კოსიგინის ამ იდეებს უცბად გამოუჩნდა მომხრეები სოციალისტურ ქვეყნებში. მათ რეალიზაციას განსაკუთრებული წარმატებით მიჰყვეს ხელი უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

მაგრამ რეფორმების წარმატება ხომ კოსიგინის ავტორიტეტს გააძლიერებდა. ეს კი მისი კოლეგებისათვის ძნელად ასატანი იქნებოდა. სწორედ ამიტომ კრემლის კულუარებში დაიწყო ბრძოლა კოსიგინის რეფორმების ჩასაძირად, რასაც ბრეჟნევი ხელმძღვანელობდა. ხალხში ცნობილი გახდა ლეონიდ ილიას-ძეს გამონათქვამი: „რა საჭიროა რეფორმები, ვიმუშაოთ უკეთესად და საქმეც წინ წავა“.

ნელ-ნელა კოსიგინი ჩრდილში ინაცვლებდა, ხოლო ბრეჟნევი გამორჩეულად წინა პლანზე გამოდიოდა. არავინ იცის,

თუ როგორ წავიდოდა საბჭოთა კავშირის საქმე, რამდენ ხანს იარსებებდა კიდევ საბჭოთა იმპერია, კრემლში კოსიგინისათვის რომ დაეჯერებინათ და დროზე მიეხედათ ეკონომიკისათვის.

ᲝᲛᲘ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲨᲘ

ბერლინისა და კარიბის კრიზისების შემდეგ მოსკოვი და ვაშინგტონი თავს იკავებდნენ პირდაპირი სამხედრო დაპირისპირებისაგან. ეს ზედმეტად სახიფათო „ფუფუნება“ იყო. მაგრამ საბჭოთა კავშირი მაინც უარს არ ამბობდა დასავლეთთან კონფრონტაციაზე. ეს საბჭოთა იდეოლოგიისა და სახელმწიფო წყობის ორგანული მოთხოვნილება იყო.

ჩინეთში კომუნისტების გამარჯვებისა და კორეის ომის დამთავრების შემდეგ ვაშინგტონში დაასკვნეს, რომ კომუნიზმის შემდეგი ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ანუ ინდოჩინეთში იყო მოსალოდნელი. თუკი კიდევ ერთი ქვეყანა გახდებოდა კომუნისტების მსხვერპლი, ამას შემდეგ „დომინოს ეფექტი“ – რეგიონის სხვა ქვეყნების დაცემაც მოჰყვებოდა. ყველაზე რეალური საფრთხე ელოდა ვიეტნამს, ლაოსსა და კამბოჯას, ხოლო შემდეგ, „დომინოს თეორიის“ მიხედვით ტაილანდს, ბირმასა და რეგიონის სხვა ქვეყნებს. მოვლენების ასეთი დრამატული სცენარით განვითარება, ამერიკელი სტრატეგების აზრით, სავარაუდოდ, დააფიქრებდა იაპონიასა და ევროპის ქვეყნებსაც კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობაში და აიძულებდა მათ ეძიათ კომპრომისები აღმოსავლეთის ბლოკთან.

პირველი „დომინოს“ რიგში ვიეტნამი იყო, სწორედ იგი იქცა იმ „წითელ ხაზად“, რომელიც ვაშინგტონმა გაატარა კომუნისტური ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ.

ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა საფრანგეთის კოლონიები იყვნენ, რომლებსაც 1950 წელს პარიზმა „ასოცირებული სახელმწიფოების“ სტატუსი მიანიჭა. ეს საკმაოდ არაორდინა-

ლური ნაბიჯი იყო, მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა ამ ქვეყნების მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს. საფრანგეთი დამოუკიდებლობის მინიჭებისაგან თავს იკავებდა, რადგან შემდეგ იგივეს გაკეთება მოუწევდა ალჟირის, მაროკოსა და ტუნისის მიმართ. ინდოჩინეთში, განსაკუთრებით კი ვიეტნამში, ფრანგების წინააღმდეგ შეიარაღებული პარტიზანული მოძრაობა ძალას იკრებდა. ამ მოძრაობას ქარიზმატული ლიდერი ხო ში მინი მეთაურობდა.

1954 წელს ჟენევაში საერთაშორისო კონფერენციაზე მიღწეული იქნა შეთანხმება ვიეტნამის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ მე-17 პარალელის გასწვრივ. ორივე ვიეტნამი გაეროს წევრი ხდებოდა. ჩრდილო ვიეტნამი კომუნისტების ხელში აღმოჩნდა. უმოკლეს ვადაში მათ გაანადგურეს 50 ათასამდე „არასაიმედო“ ადამიანი და საკონცენტრაციო ბანაკებში უკრეს თავი 100 ათასამდე ვიეტნამელს. გარდა ამისა, ჩრდილოეთიდან სამხრეთ ნაწილში 1 მილიონამდე ლტოლვილი გადაბარგდა[2]. ყოველივე ეს უაღრესად ართულებდა ისედაც ფეთქებად ვითარებას.

სამხრეთ ვიეტნამში ფრანგები და შემდეგ ამერიკელები იძულებული გახდნენ ნგო დინ ზიემის ავტორიტარული რეჟიმისათვის დაეჭირათ მხარი.

მიაღწიეს რა დამოუკიდებლობას, ვიეტნამელმა კომუნისტებმა ახლა თავისი დროშის ქვეშ მთელი ქვეყნის გაერთიანება გადაწყვიტეს. ლოზუნგიც შესაბამისი შეირჩა: „ვიეტნამის განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან“.

პარტიზანულმა ჯგუფებმა ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმზე, პარტიზანების ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა. ტერორის მსხვერპლი ხდებოდნენ ფრანგი სამხედრო და სამოქალაქო პირებიც.

ვაშინგტონში დაინახეს, რომ სამხრეთ ვიეტნამელები ვეღარ აკონტროლებდნენ სიტუაციას, ამიტომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გადაწყვეტილებით დაიწყო საიგონის რეჟიმისათვის დახმარების აღმოჩენა. 1960 წლისათვის სამხრეთ ვიეტნამში უკვე იმყოფებოდა 1000-მდე ამერიკელი სამხედრო

მოსამსახურე, მატულობდა დინ ზიემის რეჟიმის ფინანსური მხარდაჭერაც. 1960 წლის ბოლოს სამხრეთ ვიეტნამის ყველა პარტიზანული დაჯგუფება „სამხრეთ ვიეტნამის განთავისუ-ლების ეროვნულ ფრონტში“ გაერთიანდა. მალე ისინი დასავ-ლეთში ვიეტკონგის სახელით გაიცნეს.

სწორედ ამ პერიოდში „თამაშში“ აქტიურად ერთვება მოს-კოვი. 1961 წელს კომპარტიის ყრილობაზე ხრუშჩოვმა ღიად დაუჭირა მხარი „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერებს“ და მოსკოვის დახმარება აღუთქვა მათ. დაიწყო საბჭოთა ია-რაღით ჩრდილო ვიეტნამის არმიისა და ვიეტკონგის აღჭურ-ვა.

სამხრეთ ვიეტნამის დაცვა კენედის ადმინისტრაციის ერთ-ერთ უმთავრეს გეოპოლიტიკურ ამოცანად იქცა. კონფლიქტი სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებდა, ნელ-ნელა იგი მეზო-ბელ ლაოსსა და კამბოჯასაც ითრევდა. ჩრდილო ვიეტნამელე-ბი თავს არიდებდნენ მე-17 პარალელის დემილიტარიზებული ზონის დარღვევასა და ამ გზით ვიეტკონგისათვის იარაღის მი-წოდებას. ამიტომ მათ შემოვლითი გზები შეარჩიეს კამბოჯისა და ლაოსის გავლით. ამ ქვეყნების სასაზღვრო ზოლებში იქმნე-ბოდა პარტიზანთა ბაზები, ე. წ. უსაფრთხო სამოთხეები, რაც ამერიკელების ახალ თავსატკივარს წარმოადგენდა. „დომინოს თეორია“ რეალურ კონტურებს იძენდა.

1961 წლის ბოლოსათვის სამხრეთ ვიეტნამში 3264 ამერი-კელი სამხედრო იმყოფებოდა, 1963 წლის ბოლოს კი – უკვე 16263. ასევე სწრაფად მატულობდა დაღუპულ ამერიკელ ჯა-რისკაცთა რაოდენობა: 1960 წელს – 5 კაცი, ხოლო 1964 წელს - 200[3]. საიგონის რეჟიმის სამხედრო მხარდაჭერასთან ერთად ვაშინგტონი ხელს უწყობდა სამხრეთ ვიეტნამის სახელმწიფოს ზოგად გაძლიერებას, დემოკრატიული ინსტიტუტების შექ-მნას, მნიშვნელოვან რეფორმებს. მაგრამ დინ ზიემის რეჟიმი დემოკრატიზაციას არ ექვემდებარებოდა, რის გამოც საზოგა-დოებაში პოლარიზაცია ღრმავდებოდა. 1963 წლის ნოემბერში სამხრეთ ვიეტნამელმა გენერლებმა, როგორც ჩანს, ამერიკე-ლების წაქეზებით, სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს და დინ ზიემი მოკლეს.

სამხედრო გადატრიალებამ ქვეყანაში თითქმის სახელმწიფოებრივი კოლაფსი და საზოგადოებრივი ცნობიერების მოშლა გამოიწვია. საიგონის ახალი სამხედრო მმართველები საზოგადოების არანაირი მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. ყოველივე ეს და რეგიონში გართულებული ვითარება ვაშინგტონს ვიეტნამში სამხედრო ძალების გაზრდისაკენ უბიძგებდა.

1964 წლის აგვისტოში მომხდარმა ინციდენტმა ვიეტნამის ომის თვისობრივად ახალ ეტაპს მისცა დასაბამი: ტონკინის ყურეში ააფეთქეს ამერიკული საზღვაო გამანადგურებელი „მადოქსი“, რასაც საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა. აფეთქების ორგანიზება ჩრდილო ვიეტნამს მიაწერეს, ინციდენტი კი აშშ-ის სენატში განიხილეს და რეზოლუციაც მიიღეს, რაც ხელს უხსნიდა პრეზიდენტ ჯონსონს შესაბამისი საპასუხო ნაბიჯების გადასადგმელად. ამერიკულმა ავიაციამ დაიწყო ჩრდილო ვიეტნამის დაბომბვა. 1969 წლის დასაწყისისათვის ამერიკული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში 550 ათასამდე (!) გაიზარდა.

ჩრდილო ვიეტნამის მასიური საჰაერო დაბომბვის სამიზნე სამხედრო ინფრასტრუქტურა და პარტიზანთა ბანაკები იყო. მაგრამ თანამედროვე ბომბებიც კი ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან პარტიზნებსა და უბრალო ადამიანებს. ბომბებით გაჩანაგებული სოფლებისა და ათიათასობით განადგურებული ადამიანის კადრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მზარდ პროტესტსა და აღშფოთებას იწვევდა.

მიუხედავად ამერიკული სამხედრო ოპერაციების ესკალაციისა, ჩრდილო ვიეტნამელები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდნენ. 1966 წელს ამერიკული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში ჰანოის რეჟიმის პრემიერმა ფან ვან დონგმა იწინასწარმეტყველა, რომ ამ ომში ვიეტნამელები გაიმარჯვებდნენ, რადგან სიკვდილისათვის ისინი უფრო მზად იყვნენ, ვიდრე ამერიკელები[4]. ვიეტნამელების მასობრივი გმირობა მართლაც აღფრთოვანებას იწვევდა. გაუგებარია, თუ როგორ შეძლო ამ ტანმორჩილმა ხალხმა თითქმის 15 წლის მანძილზე მსოფლიოს უპირველესი სამხედრო მანქანისათვის

ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა და საბოლოო ჯამში მისი დამარცხება.

დღევანდელ ახალგაზრდა თაობას, ალბათ, არაერთი მხატვრული ფილმი უნახავს ვიეტნამის ომის შესახებ. შემზარავი კადრები და სცენები არა მარტო იმ ეპოქას აცოცხლებენ, არამედ დღევანდელობასაც ეხმაურებიან: ომი უბედურებაა, თანამედროვე ომი კი ყველაზე დიდი უბედურება.

ვიეტნამის ომი გარკვეულწილად გაუგებარი იყო ჩვენი თაობისათვის. ერთი მხრივ, ჩვენ დიდი სიმპათიით ვიყავით განწყობილი აშშ-ის მიმართ, მზად ვიყავით ნებისმიერი მისი ნაბიჯი გაგვემართლებინა. მაგრამ, მეორე მხრივ, ომის საშინელი ქრონიკა, ნაპალმით დამწვარი ბავშვების კადრები სერიოზულ სკეფსისსა და კითხვებს ბადებდა. რამდენად საჭირო იყო ასეთი სისასტიკე და ძალადობა? ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი არ გვქონდა.

ვიეტნამის ომი განსაკუთრებულ დებატებსა და პოლარიზაციას თვით ამერიკულ საზოგადოებაში იწვევდა. ყველას ესმოდა, რომ საჭირო იყო ომის დამთავრება, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. ომის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ამერიკელების პოზიცია შესანიშნავად ჩამოაყალიბა ცნობილმა ტელეჟურნალისტმა ჯეიმს რესტონმა: „განა რა მიზნები ამართლებს ასეთ მასობრივ კაცისკვლას? თუკი ვიეტნამის გადარჩენა გვინდა, მაშინ რატომ ვანადგურებთ მას?“[5] ვიეტნამის ომის გამო პრეზიდენტი ჯონსონი სულ უფრო არაპოპულარული ხდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1968 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მას არც კი უცდია.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვაშინგტონში ინტენსიურად დაიწყეს ფიქრი ჩრდილო ვიეტნამთან მოლაპარაკების წარმოებაზე. გაჩნდა კულუარული კონტაქტებიც. მაგრამ მოლაპარაკების დაწყებამდე ჰანოიმ ამერიკელებს მოულოდნელად დიდი სიურპრიზი „მიართვა“: 30 იანვარს, ანუ ვიეტნამის კალენდრით მთვარის ახალ წელს (ტეტი), კომუნისტებმა მასიური შეტევა მიიტანეს სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალურ ქალაქებზე, მათ შორის დედაქალაქ საიგონზეც. რაღაც მო-

მენტში მათ აშშ-ის საელჩომდეც კი მიაღწიეს. კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს ვიეტნამის ძველი დედაქალაქი ჰუე.

ჩრდილო ვიეტნამელების უკუგდება ამერიკელებმა მხოლოდ მასიური საარტილერიო და საჰაერო დარტყმების შედეგად შესძლეს. კომუნისტებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, მაგრამ პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ისინი გამარჯვებული დარჩნენ.

1968 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული რიჩარდ ნიქსონი თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ვიეტნამში ომის დასრულებას ასახელებდა. ახალი პრეზიდენტი ნათლად აცნობიერებდა, თუ რაოდენ დიდ ზარალს აყენებდა ომი აშშ-ის ავტორიტეტს, ეკონომიკას, საზოგადოებრივ ცხოვრებას. ყოველთვიურად ვიეტნამში 500-დე ამერიკელი ჯარისკაცი იღუპებოდა, მაგრამ ომის დამთავრება ღირსეულად უნდა მომხდარიყო. საჭირო იყო ამ ღირსეული გამოსავლის ძიება.

ამასთანავე, ნიქსონი ამერიკელებისათვის ჩვეული ოპტიმიზმისა და სიამაყის განცდის აღდგენას ცდილობდა, რაც ვიეტნამის ომმა ძლიერად შეარყია. 1969 წლის 21 ივლისს კოსმოსურ ხომალდ „აპოლონის“ ასტრონავტები არმსტრონგი და ოლდრინი მთვარეზე დაეშვნენ. ამ საოცრებას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. ნიქსონის პრეზიდენტობის ხანა თითქოს კარგი ნიშნით იწყებოდა.

1969 წლის ივლისში ცნობილი გახდა „ნიქსონის დოქტრინა“, რომლის არსი სამხედრო და პოლიტიკური პროცესების „ვიეტნამიზაციაში“ მდგომარეობდა, ანუ აშშ-ს ეტაპობრივად უნდა დაეწყო ვიეტნამიდან ჯარის გამოყვანა და პარალელურად სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების მომზადება კომუნისტური საფრთხისაგან ქვეყნის დასაცავად. ეს ყველაფერი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ნახევარმილიონიანი ამერიკული სამხედრო კორპუსისა და 700-ათასიანი (!) სამხრეთვიეტნამური არმიის წინააღმდეგ იბრძოდა ჩრდილო ვიეტნამის 250-ათასიანი ჯარი და ასეთივე რაოდენობის პარტიზანთა რაზმები. ამერიკული ჯარისკაცების ნაუცბათევ

და გაუთვლელ გაყვანას აუცილებლად ფატალური შედეგები მოჰყვებოდა.

ამერიკელი ჯარისკაცების გამოყვანა ვიეტნამიდან იმავე 1969 წელს დაიწყო. პარალელურად, პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის მიზნით, პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში ცნობილმა დიპლომატმა ჰენრი კისინჯერმა დაიწყო გასაიდუმლოებული მოლაპარაკებები ჰანოის წარმომადგენლებთან. იმისათვის, რათა ვიეტნამელი კომუნისტები მოლაპარაკებებისას უფრო დამყოლი ყოფილიყვნენ, ამერიკელებმა გააძლიერეს ჩრდილო ვიეტნამის საჰაერო დაბომბვები. ნიქსონის მითითებით, ამერიკულმა ავიაციამ გამანადგურებელი შეტევები მიიტანა ვიეტნამელი პარტიზანების პოზიციებზე კამბოჯაში, რაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იყო. სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებულმა ამ სამხედრო აქციებმა აშშ-ში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ერთ-ერთი საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ კენტ-სტეიტში ეროვნულმა გვარდიელებმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს, რამაც 4 სტუდენტის სიცოცხლე იმსხვერპლა. ქვეყანაში სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. ნიქსონი იძულებული გახდა ჰანოისთან მოლაპარაკებები გაეგრძელებინა.

1972 წელს აშშ-ის სამხედრო ძალებმა უპრეცედენტო შეტევები განახორციელეს ჩრდილო ვიეტნამელების წინააღმდეგ. სამხედრო ზეწოლისა და პარალელურად პოლიტიკური კომპრომისის ძიების ტაქტიკამ საბოლოო ჯამში შედეგი გამოიღო: 1973 წლის 27 იანვარს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. ტერიტორიული თვალსაზრისით იგი ითვალისწინებდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას მე-17 პარალელის გასწვრივ, საომარი მოქმედებისა და ცეცხლის შეწყვეტას, ტყვეების გაცვლას და დაკარგულთა მოძიებას. რაც მთავარია, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ ჰანოი დათანხმდა, რომ სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმს აშშ კვლავაც აღმოუჩენდა სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას. თუმცა სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმი ამ შეთანხმებით არანაირად არ იყო კმაყოფი-

ლი. პირიქით, მისი აზრით, ამერიკელებმა მათ უღალატეს და ძლიერ მოწინააღმდეგესთან პირისპირ მიატოვეს.

მიუხედავად მიღწეული ისტორიული შეთანხმებისა, მომდევნო წლებში მოვლენები მართლაც დრამატულად განვითარდა. სამხრეთ ვიეტნამის ბედი მთლიანად აშშ-ის მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ვაშინგტონში „უოტერგეიტის“ სკანდალის გამო ვიეტნამისათვის ნაკლებად ეცალათ. პრეზიდენტ ნიქსონზე განაწყენებულმა აშშ-ის კონგრესმა დაიწყო სამხრეთ ვიეტნამისა და კამბოჯისათვის დახმარებების მკვეთრი შემცირება. თუკი 1972 წელს დახმარების საერთო რაოდენობა 2 მლრდ. დოლარს აღემატებოდა, 1975 წლისათვის ბიუჯეტში მხოლოდ 600 მილიონი იყო გათვალისწინებული[6]. ვიეტნამელმა კომუნისტებმა დაინახეს, რომ გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგა და საიგონს შეუტიეს. უმოკლეს ვადაში მთელი სამხრეთ ვიეტნამი კომუნისტების ხელში იყო. კომუნისტებმა ისეთი ელვისებური სისწრაფით დაიკავეს საიგონი, რომ ამერიკელი დიპლომატები იძულებული იყვნენ ვერტმფრენებით მიეტოვებინათ საელჩოს ტერიტორია. მათთან ერთად ქვეყნის დატოვებას ცდილობდნენ სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის წარმომადგენლებიც, მაგრამ ბევრმა მათგანმა ეს ვერ მოახერხა.

კომუნისტურმა რეჟიმმა მისთვის ჩვეულ სტილში დაიწყო ახალი ცხოვრების დაწესება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. ასიათასობით სამხრეთვიეტნამელი ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდა. უამრავმა ვიეტნამელმა თავს უშველა და ქვეყნიდან გაიქცა. გარბოდნენ, ვისაც როგორ შეეძლო: ველოსიპედებით, ნავებით, ტივებით, ცურვით, ფორთხვით. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, 1977 წლისათვის ვიეტნამში 200 ათასამდე პოლიტიკური პატიმარი იყო[7]. ვიეტნამის ომში დაიღუპა 1 მილიონამდე ვიეტნამელი, 60 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი.

მაგრამ იმას, რაც მეზობელ კამბოჯაში მოხდა, კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არ მოენახება. ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს ე. წ. წითელმა ქმერებმა – ულტრარადიკალურმა მაოისტურმა დაჯგუფებამ. ქმერებმა და მათმა ლიდერმა

პოლ პოტმა ქალაქები სრულად დაცალეს მოსახლეობისაგან, რომელიც სასოფლო კომუნებში შეყარეს. დაიწყო ინტელიგენციის, მასწავლებლების და, საერთოდ, ყველა იმ პირთა ფიზიკური განადგურება, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა წინა რეჟიმებთან. ადამიანებს ხოცავდნენ ავტომატებით, შემდეგ, როდესაც ტყვიები შემოაკლდათ, თოხებით. ქმერების გენოციდის შედეგად განადგურდა სულ ცოტა 1,5 მილიონამდე ადამიანი. კამბოჯაში, ანუ თანამედროვე კამპუჩიაში დღემდე აწყდებიან ადამიანთა ჯგუფურ სამარხებს.

ექსპერტები ჯერაც სრულად ვერ პასუხობენ კითხვას, თუ რამ გამოიწვია მარად მომღიმარი კამპუჩიელების ასეთი ფანატიკური გამხეცება, რამ მიიყვანა ისინი მასიურ თვითგანადგურებამდე. ამ ფანატიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კაცთმოძულე იდეოლოგიაა.

ვიეტნამის ომის შედეგები და მათი ანალიზი მრავალი წლის მანძილზე განიხილებოდა ამერიკულ საზოგადოებაში. როგორც კისინჯერი იგონებს, ამერიკელებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანეს ვიეტნამში წაგებული ომიდან:

1) სანამ აშშ საბრძოლო კამპანიას დაიწყებს, მას უნდა ჰქონდეს ამოცანების ნათელი ხედვა, მას უნდა ჰქონდეს ასევე გამართული სამხედრო სტრატეგია და პასუხი კითხვაზე, თუ რა პოლიტიკური შედეგის მიღწევას ისახავს იგი მიზნად.

2) თუკი აშშ დაიწყებს სამხედრო კამპანიას, მიზანი უნდა იყოს მხოლოდ უალტერნატივო გამარჯვება. კამპანიის დიდ დროში გაწელვა უთუოდ ამერიკული საზოგადოების უკმაყოფილებას გამოიწვევს; ამიტომ ომის დაწყებამდე აუცილებელია სამხედრო სტრატეგიისა და პოლიტიკური ამოცანების სწორად განსაზღვრა;

3) დემოკრატიული ქვეყანა ვერ შეძლებს საომარი მოქმედებების ეფექტურად წარმართვას, თუკი პოლიტიკურ ძალებს შორის და მთლიანად საზოგადოებაში თანხმობა და კონსენსუსი არ იქნება[8].

„პრაღის გაზაფხული“ და „ჩვენი ლეონიდ ილიას ძე“

1968 წლის გაზაფხულზე მოსკოვის უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ვემზადებოდი. საბჭოთა გაზეთების კითხვა არანაირად არ იყო სახალისო, მაგრამ გამოცდებზე შეიძლება ჩემი იდეოლოგიური მომზადებაც შეემოწმებინათ, ამიტომ იძულებული ვიყავი ეს საქმეც გამეკეთებინა. მალე აღმოვაჩინე, რომ პუბლიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე მოვლენებს ეძღვნებოდა. გაზეთებში წერდნენ, რომ ამ მოძმე სოციალისტურ ქვეყანაში მომძლავრდნენ დესტრუქციული და ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა აშშ-ის, იმპერიალისტური წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით მოქმედებდნენ. წერდნენ იმის შესახებაც, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საკმარის პრინციპულობას არ იჩენდა ამ ანტისოციალისტური ტენდენციების შესაჩერებლად.

მართალი გითხრათ, ნელ-ნელა გაზეთების კითხვამ გამიტაცა კიდეც. უკვე აშკარად ვამჩნევდი, რომ საბჭოთა კრიტიკის აქცენტი ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ პირებსა და უშუალოდ პარტიის ლიდერზე ალექსანდრე დუბჩეკზე ინაცვლებდა. გაზეთები მას ისეთ „მომაკვდინებელ ცოდვებში“ ადანაშაულებდნენ, როგორიცაა პრესაზე ცენზურის გაუქმება, მრავალპარტიული სისტემის დაშვება, დასავლეთის ქვეყნებთან მოქალაქეთა მიმოსვლის გაიოლება და სხვა.

მალე ტელეეკრანებზე ვიხილეთ დიქტორების მრისხანე სახეები, რომლებიც მკაცრი ტონით საუბრობდნენ ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე „შემაშფოთებელ ანტისოციალისტურ პროცესებზე“. ჭეშმარიტების დასადგენად ღამღამობით „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ რადიოგადაცემებს ვუსმენდი. ისინი იტყობინებოდნენ, თუ რაოდენ ერთსულოვნად უჭერდა მხარს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოება ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს; ამბობდნენ, რომ პრაღაში ნამდვილი გაზაფხული იყო, იმედების, რომანტიზმისა და ჰუმანისტური იდეების სახალხო ზეიმი. საუბრობდნენ მოსკოვის კრიტიკულ პოზიციაზეც, მაგრამ, საერთოდ, ისეთი შთაბეჭდი-

ლება იქმნებოდა, რომ დემოკრატიზაციის პროცესს ჩეხოსლოვაკიაში ხელს ვეღარ შეუშლიდნენ. „რას იზამენ, – ვფიქრობდი ჩემთვის, - ჯარს ხომ არ შეიყვანენ პრაღაში?!“

მას შემდეგ 40 წელი გავიდა და ახლა უკეთ ვიცით, თუ რა და როგორ მოხდა ჩეხოსლოვაკიაში.

1968 წლის 3-5 იანვარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე პარტიის ლიდერად ალექსანდრ დუბჩეკი აირჩიეს. მოსკოვი მხარს უჭერდა მის კანდიდატურას. იგი საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იყო, წლების მანძილზე ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში, 1955-1958 წლებში სწავლობდა უმაღლეს პარტიულ სკოლაში. ეს იყო საკმაოდ რბილი ხასიათისა და დამყოლი ბუნების ადამიანი. წინამორბედი ლიდერებისაგან განსხვავებით, დუბჩეკი არა ჩეხი, არამედ სლოვაკი იყო.

დუბჩეკი თავის დროზე სოფლად კოლექტივიზაციას უჭერდა მხარს, ამიტომ მისი გარდაქმნა „პრაღის გაზაფხულის“ გმირად ბევრისათვის მოულოდნელი იყო.

დუბჩეკმა თანამდებობაზე არჩევისთანავე დაიწყო პრესაზე ცენზურის შერბილება. აპრილში მან გამოაქვეყნა პარტიის „სამოქმედო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებდა პრესის თავისუფლებას, ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების გაძლიერებას და შესაძლო მრავალპარტიულ სისტემას.

1968 წლის 4 აპრილს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა აირჩიეს, სადაც დუბჩეკის მომხრეები ჭარბობდნენ. პრეზიდიუმში „მოსკოვის ხალხიც“ იყო წარმოდგენილი, რომლებიც პარტიის კონსერვატორულ ფრთას ქმნიდნენ.

მოსკოვში შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს დუბჩეკის წამოწყებებს, თუმცა ეს უკანასკნელი ერთხანს დიპლომატიურად ახერხებდა კრემლთან სიტუაციის დარეგულირებას. მისი პოპულარობა ხალხში მატულობდა, ხოლო მოწოდება „სოციალიზმი ადამიანური სახით“ საზოგადოებაში სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობდა.

პრესაში დაიწყო დიდი დისკუსიები, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკურ წყობაზე, დემოკრატიულ არჩევანზე, გაჩნდა ანტისაბჭოთა პუბლიკაციები. სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს

პარტიის ფორმირება, რეგისტრაციას ითხოვდა 70-მდე პოლიტიკური ორგანიზაცია.

მაისში დუბჩეკმა გამოაცხადა, რომ იმავე წლის 9 სექტემბერს გაიმართებოდა კომპარტიის ყრილობა, რომელზეც პარტიის წესდებაში „სამოქმედო გეგმას“ შეიტანდნენ და აირჩევდნენ ცკ-ის ახალ შემადგენლობას.

ივნისის ბოლოს ცნობილმა მწერალმა ვაცულიკმა გამოაქვეყნა მანიფესტი – „ორი ათასი სიტყვა“, რომელსაც ხელს აწერდნენ საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები, მათ შორის ჩეხეთის მომავალი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი. მანიფესტი აკრიტიკებდა კომპარტიის კონსერვატორულ ფრთას და მოუწოდებდა მოქალაქეებს მონაწილეობა მიეღოთ პარტიის რეფორმატორული პროგრამის განხორციელებაში. ლაპარაკი იყო საბჭოთა ინტერვენციის საშიშროებაზეც.

მაისის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ქვეყნის ტერიტორიაზე ვარშავის ხელშეკრულების წევრ-სახელმწიფოთა სამხედრო წვრთნების ჩატარებაზე. პრაღაში, ალბათ, ჯერ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ეს წვრთნები ფაქტიურად ინტერვენციის რეპეტიცია იყო.

ბრეჟნევის რეაქცია ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე იყო. ამასთანავე, იგი თავისებურად ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. 1968 წლის პირველ ნახევარში ბრეჟნევი დუბჩეკს არაერთხელ შეხვდა.

29 ივლისს-1 აგვისტოს ჩიერნე-ნად-ტისოში (სლოვაკეთი) გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი ხელმძღვანელობის შეხვედრა. მოლაპარაკების დროს ბრეჟნევი ცდილობდა თავს მოეხვია დუბჩეკისათვის კონკრეტული ვალდებულებები, კერძოდ, მასმედიის თავისუფლების შეზღუდვისა და პარტიული კადრების შეცვლის თვალსაზრისით. საბოლოოდ დუბჩეკი დათანხმდა დაეგმო „ანტისოციალისტური ტენდენციები“, გაეუქმებინა სოციალ-დემოკრატიული პარტია და ეფექტური კონტროლი დაემყარებინა პრესაზე. თავის მხრივ, მოსკოვმაც გადადგა კომპრომისული ნაბიჯი და დათანხმდა ჩეხოსლოვაკიიდან ჯარების გაყვანაზე.

მოგვიანებით, 3 აგვისტოს, სსრკ-ის, გდრ-ის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ბრატისლავაში და ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც „გაძეძგილი“ იყო მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის კლიშეებით. დეკლარაცია ადასტურებდა სოციალისტური ქვეყნების სუვერენულ უფლებებს, მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნები იტოვებდნენ უფლებას, ებრძოლათ სოციალისტურ ბანაკში პროლეტარიატის ერთობლივი მონაპოვრის დასაცავად.

ასე გაჩნდა პირველად „შეზღუდული სუვერენიტეტის“ შესახებ ე.წ. ბრეჟნევის დოქტრინის პირველი ელემენტები.

ამ დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ სსრკ-მა მართლაც გაიყვანა ჯარები ჩეხოსლოვაკიიდან, მაგრამ იქვე ახლოს, საზღვრებთან დატოვა.

აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა ელჩმა აცნობა მოსკოვს, რომ დუბჩეკი არ ასრულებდა ჩიერნეში აღებულ ვალდებულებებს. აგვისტოს შუა რიცხვებში ბრეჟნევი ორჯერ ესაუბრა ტელეფონით დუბჩეკს. კერძოდ, 13 აგვისტოს საათნახევრიანი საუბრისას ბრეჟნევმა მკაცრად მოსთხოვა ჩიერნესა და ბრატისლავის შეთანხმებების შესრულება. დუბჩეკმა დროის უკმარისობა დაასახელა მიზეზად, რაზეც ბრეჟნევმა კატეგორიულად განაცხადა, რომ საკმარისი დრო გავიდა, მაგრამ პრესაში კვლავ ანტისაბჭოთა მასალები იბეჭდებოდა. პასუხად დუბჩეკი კვლავ დაპირებებს იძლეოდა.

18 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა ხუთეულის (სსრკ, პოლონეთი, გდრ, უნგრეთი, ბულგარეთი) ლიდერთა შეხვედრა, რომლებმაც დაასკვნეს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობაზე პოლიტიკური ზეგავლენის ყველა საშუალება ამოიწურა. დღის წესრიგში დგებოდა მოძმე ჩეხოსლოვაკიისათვის „სამხედრო დახმარების“ საკითხი. შეხვედრაში არ მონაწილეობდა რუმინეთის ლიდერი ნიკოლაე ჩაუშესკუ. მან მხარი არ დაუჭირა სამხედრო ინტერვენციას.

20-21 აგვისტოს 120-ათასიანმა სამხედრო დაჯგუფებამ ჩეხოსლოვაკიის საზღვარი გადაკვეთა. ჯარმა საკმაოდ სწრაფად დაიკავა სტრატეგიული ობიექტები. პრაღაში დაიწყო შეტაკებები, მაგრამ დუბჩეკის თხოვნამ მოსახლეობისადმი, არ გაეწიათ ინტერვენტებისათვის წინააღმდეგობა, შეაჩერა სისხლისღვრა.

ინტერვენციის განხორციელებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ლუდვიგ სლობოდას. მართალია, მან მხარი არ დაუჭირა ინტერვენციას, მაგრამ, ამასთანავე, წინდაწინ დაარწმუნა ბრეჟნევი, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა სისხლი არ დაღვრილიყო. მან დაპირება შეასრულა: სამხედროებმა მიიღეს პრეზიდენტის ბრძანება, არ დაეტოვებინათ გარნიზონები.

1956 წლის უნგრეთის მოვლენებისაგან განსხვავებით, ამჯერად პრაღაში უამრავი ტელეკამერა და უცხოელი ჟურნალისტი აშუქებდა მოვლენებს. მაგრამ მსოფლიო უძლური იყო შეეჩერებინა „პრაღის გაზაფხულის“ დრამატული დასასრული.

კარგად გათვლილი სამხედრო ოპერაციისაგან განსხვავებით, კრემლის პოლიტიკური გეგმები პრაქტიკულად ჩაშლის პირას აღმოჩნდა. მოსკოვმა ვერ მოახერხა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობაში საკმარისი ხელმოწერების შეგროვება იმისათვის, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ახალი მთავრობის შექმნა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა. მთავარი სირთულე 20 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრეზიდიუმის სხდომაზე წარმოიშვა: ხმათა უმრავლესობით მიღებული იქნა განცხადება, რომელიც გმობდა ინტერვენციას.

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დახმარებით საბჭოთა მედესანტეებმა დააკავეს დუბჩეკი და მისი კოლეგები: ჩერნიკი, სმრკოვსკი, კრიგელი და შპაჩეკი. კომპარტიის „ჯანსაღმა ძალებმა“ საბჭოთა საელჩოში შეაფარეს თავი. მაგრამ საბჭოთა ელჩმა ვერც ისინი დაიყოლია, შეექმნათ ახალი ხელისუფლება – ადგილობრივმა პრესამ ისინი მოღალატეებად ამხილა.

მოსკოვი იძულებული გახდა კვლავ დუბჩეკსა და მის ჯგუფთან ეწარმოებინა მოლაპარაკებები. ისინი სასწარფოდ განამწესეს მოსკოვში, სადაც მათ მძიმე შეხვედრები ელოდათ.

მოსკოვში მოლაპარაკებები აშკარა მუქარისა და ზეწოლის პირობებში მიმდინარეობდა. შიგადაშიგ „ძმობასა“ და „მეგობრობასაც“ იხსენებდნენ. საბჭოთა მხარე დუბჩეკის მიერ გათავისუფლებული კადრების დაბრუნებას ითხოვდა. ასევე ითხოვდა „ანტისოციალისტური ძალებისა“ და მასმედიის კონტროლის შესახებ ჩიერნესა და ბრატისლავას შეთანხმებების შესრულების გარანტიებს. მხოლოდ შემდეგ მოხდებოდა მოკავშირეთა (გდრ, პოლონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი) ჯარების გაყვანა ჩეხოსლოვაკიიდან, ხოლო საბჭოთა ჯარი „ერთხანს“ იქ დარჩებოდა.

საკუთარი ქვეყნის გადარჩენის მიზნით დუბჩეკმა უარყო თავისი შეხედულებები და იძულებული გახდა თავის კოლეგებთან ერთად ხელი მოეწერა მოსკოვის დამამცირებელ პროტოკოლზე (ხელმოწერზე მხოლოდ კრიგელმა განაცხადა უარი). შედეგად დუბჩეკი 6 თვით აღადგინეს თანამდებობაზე. მან კვლავ დააწესა ცენზურა, გაათავისუფლა ბევრი რეფორმატორი და განუცხადა მოსახლეობას, რომ ამიერიდან საზოგადოების წინსვლა მხოლოდ სსრკ-თან ერთად „ძმურ კავშირში“ იყო შესაძლებელი.

ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. იმედგაცრუება და უიმედობა მოედო მთელ საზოგადოებას. ემიგრაციაში წავიდა ინტელიგენციის დიდი ნაწილი, მათ შორის ცნობილი მწერალი მილან კუნდერა, რომელმაც არაერთი შესანიშნავი რომანი მიუძღვნა 1968 წლის მოვლენებს.

„პრაღის გაზაფხულის“ ტრაგიკულ დასასრულს საბოლოო წერტილი დაუსვა 19 წლის იან პალიჩმა, რომელმაც ცნობილ ვაცლავის მოედანზე პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა.

დასავლეთში უამრავი მკაცრი განცხადება გაკეთდა, ალაპარაკდნენ მოსკოვის მიმართ სანქციების შემოღებაზე. იყო მცდელობა გაეროს უშიშროების საბჭოზე სსრკ-ის მიმართ კრიტიკული რეზოლუციების მიღებისა, მაგრამ საბჭოთა ელჩი ვეტოს უფლებას „ოსტატურად“ იყენებდა. ამ პერიოდში აშშ

ვიეტნამის „ჭაობში“ იყო ღრმად ჩაფლული, ამიტომ კრიტიკული რიტორიკის გარდა სხვა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ვერ ახერხებდა. როგორც აშშ-ში ყოფილი საბჭოთა ელჩი დობრინინი იგონებდა, იგი 19 აგვისტოს შეხვდა პრეზიდენტ ჯონსონს და ჩააყენა საქმის კურსში ჩეხოსლოვაკიაში ჯარის მოსალოდნელ შეყვანასთან დაკავშირებით. ამ სენსაციურ ინფორმაციაზე პრეზიდენტის რეაქცია იმდენად თავშეკავებული იყო, რომ საბჭოთა ელჩი გაოცებული დარჩა. ჯონსონმა საკმაოდ სწრაფად მოათავა ამ თემაზე საუბარი და ყურადღება გაამახვილა ვიეტნამის კონფლიქტზე. კერძოდ კი იმაზე, თუ რით შეიძლებოდა დახმარებოდა საბჭოთა კავშირი აშშ-ს ამ პრობლემის მოგვარებაში[9].

* * *

1968 წლის 1 სექტემბერს უკვე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. იმ აუდიტორიის წინ, სადაც ჩემთვის პირველი ლექცია უნდა ჩატარებულიყო, ფოტოები გამოეფინათ. ყველაზე დიდი პორტეტი ბრეჟნევისა იყო წარწერით: „ჩვენი ლეონიდ ილიას ძე“. არსად ჩანდა კოსიგინის ან პოდგორნის ფოტოები. ჩემნაირი პოლიტიკურად მოუმზადებელი სტუდენტისთვისაც კი ნათელი იყო, რომ ახალი საბჭოთა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი უკვე დავიწყებას მიეცა. ახლა უკვე ლეონიდ ბრეჟნევის კულტის ეპოქა დგებოდა.

პირველი ლექცია ჩეხოსლოვაკიის მოვლენებს მიეძღვნა. ლექტორი დიდხანს გვიყვებოდა, თუ როგორ ჩაიფუშა ამერიკელი იმპერიალისტების გეგმები ჩეხოსლოვაკიაში, როგორ ატყუებდა დუბჩეკი მშრომელებს და რა სულზე მოუსწრო „სამხედრო დახმარებამ“ პრაღელებს.

ლექციის დამთავრების შემდეგ ჩემ გვერდით მჯდომი სიმპატიური ახალგაზრდა მომიტრიალდა და მითხრა: „რა არამზადები არიან!“. დავინტერესდი, თუ ვის გულისხმობდა. „რა თქმა უნდა დუბჩეკსა და მის ამალას“ – მომიგო მან და ეშმაკურად ჩაიცინა. „გასაგებია“ დავუდასტურე მე და მივხვდი, რომ ამაზე მეტი ირონიულობა ბრეჟნევის პორტრეტის წინ უკვე სარისკო იყო.

პრაღის მოვლენებთან დაკავშირებით და პროტესტის ნიშნად 1968 წელს წითელ მოედანზე მხოლოდ 7 მოსკოველი გამოვიდა. ისინი უმალვე დააპატიმრეს. დასავლეთში გამოქვეყნდა ცნობილი მეცნიერისა და ადამიანის უფლებათა დამცველის ანდრეი სახაროვის წერილი, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა კრემლის პოლიტიკას და სოლიდარობას უცხადებდა ჩეხოსლოვაკიის ხალხს. ეს იყო და ეს.

ასეთი ადამიანები დღესაც არიან რუსეთში, კვლავ აბსოლუტურ უმცირესობაში, მაგრამ მათი რაოდენობა ახლა გაცილებით მეტია, ვიდრე 40 წლის წინ.

2007 წლის 27 აპრილს პრაღაში ვიზიტად ჩასულმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: „მართალია, რუსეთი სსრკ-ის შთამომავალი და მისი იურიდიული მემკვიდრეა, მაგრამ თანამედროვე რუსეთი სულ სხვა სახელმწიფოა პოლიტიკური სისტემის თვალსაზრისით. ჩვენ არა მარტო ვგმობთ 1968 წლის მოვლენებს, არამედ ვგრძნობთ მორალურ პასუხისმგებლობასაც“[10].

დარწმუნებული ვარ, მომავალში რუსეთს კიდევ ბევრ თავის საქციელზე მოუწევს პასუხისმგებლობის აღიარება.

რაც შეეხება დუბჩეკს, იგი მოესწრო საბჭოთა კავშირის დაშლას და ჩეხეთში დემოკრატიის გამარჯვებასაც. დუბჩეკი 1992 წელს გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში. მას საყოველთაო პატივი მიაგეს, როგორც განუმეორებელი „პრაღის გაზაფხულის“ ავტორსა და მსხვერპლს.

„ᲪᲮᲔᲚᲘ ᲝᲛᲔᲑᲘ“ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ დღემდე ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ყველაზე პრობლემატურ რეგიონად რჩება. ამბობენ, როდესაც სტალინმა ისრაელის სახელმწიფოებრიობის მხარდაჭერის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, იქვე დასძინა: „ამის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა არასდროს აღარ იქნებაო“.

1956 წელს სუეცის კრიზისის დამთავრების შემდეგ ისრაელისა და ეგვიპტის საზღვრებზე გაეროს სამშვიდობო ძალები განლაგდნენ. 1967 წელს ნასერმა მოითხოვა „ცისფერჩაფხუტიანების“ გაყვანა, კერძოდ, შარმ-ელ-შეიხიდან და კვლავ დაუწესა ბლოკადა ისრაელის გემებს ტირანის სრუტეში. ამ დროისათვის აშშ-ის დახმარებით ისრაელს უკვე გაცილებით ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავდა, ვიდრე 1956 წელს. მაგრამ არც ეგვიპტე იყო 10 წლის მანძილზე გულხელდაკრეფილი – მას საბჭოთა კავშირი აიარაღებდა. ისრაელშიც და მეზობელ არაბულ ქვეყნებშიც 1967 წლისათვის „ომის პარტიები“ გამოვიდნენ პირველ პლანზე. ჰაერში კვლავ დენთის სუნი იგრძნობოდა.

ისრაელის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ გათვალა, რომ, თუკი ეგვიპტე პირველი დაიწყებდა საომარ მოქმედებას (ისრაელის მცირე ტერიტორიის გამო) სტრატეგიული უპირატესობა მას ექნებოდა, ანუ ქვეყნის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ამიტომ 1967 წლის 5 ივნისს ისრაელმა გადაწყვიტა პრევენციული დარტყმა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის. ისრაელის ავიაციამ ელვის სისწრაფით თითქმის მთლიანად გაანადგურა ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ფლოტი, ხოლო საჯარისო ნაწილებმა დაიკავეს სინას ნახევარკუნძული და სუეცის არხის აღმოსავლეთი სანაპირო.

ისრაელის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყეს სირიამ და იორდანიამ, მაგრამ მათ ისრაელმა უძლიერესი კონტრშეტევით უპასუხა.

7 ივნისს ისრაელი შეტევაზე გადავიდა მდ. იორდანის დასავლეთის სანაპიროს მიმართულებით და იერუსალიმის ძველი ნაწილი დაიკავა, რომელსაც აქამდე იორდანია აკონტროლებდა. ისრაელი იპყრობს გოლანის სიმაღლეებს სირიაში და იქამდე განაგრძობს შეტევებს, სანამ მოწინააღმდეგე მხარეები – ეგვიპტე და სირია არ ყაბულდებიან დამამცირებელ შეთანხმებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამგვარად, ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მოცულობა 20 ათასი კვ. კილომეტრიდან 100 ათას კვ. კილომეტრამდე იზრდება. გაეროსა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პროტესტის მიუხე-

დავად, ისრაელის პარლამენტი კანონიერად აცხადებს იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილის ანექსიას[11].

ასეთი შთამბეჭდავი შედეგებით დასრულდა „ექვსდღიანი ომი“. მაგრამ ისრაელის სამხედრო წარმატებები სულაც არ აძლევდა მას მშვიდობიანი მომავლის გარანტიას. 1967 წლის 22 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 242, რომლითაც ისრაელს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება მოეთხოვებოდა. ისრაელის წინაშე დგებოდა კითხვა: რა უნდა ექნა მას ოკუპირებული ტერიტორიებისთვის? არაბები ხომ არასდროს შეურიგდებოდნენ ასეთ დამამცირებელ მდგომარეობას.

უშუალოდ ომის შემდეგ ისრაელი მზად იყო ახალდაპყრობილი ტერიტორიის ნაწილზე პალესტინის არაბული სახელმწიფო შექმნილიყო. მაგრამ 1967 წლის 2 სექტემბერს ქ. ხართუმში ჩატარებულმა არაბული ქვეყნების ლიგის კონფერენციამ ბოლო მოუღო მორიგების შესაძლებლობას, როდესაც დაადგინა ცნობილი „სამი არა“: არა – ისრაელის ცნობას, არა - მოლაპარაკებას ისრაელთან, არა – მშვიდობას ისრაელთან. ასე დაიკარგა ხართუმის კონფერენციაზე რეალური გარიგების შანსი[12].

„ექვსდღიანმა ომმა“ არა მარტო ვერ მოაგვარა რეგიონის პრობლემები, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა ისინი. განსაკუთრებით გართულდა პალესტინელების მდგომარეობა. 1967 წლამდე იორდანიას ეკუთვნოდა პალესტინის ნაწილიცა და მდ. იორდანის დასავლეთი სანაპიროც. მაგრამ ომის შემდეგ თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრილმა პალესტინელებმა თავი ძირითადად ისევ იორდანიას შეაფარეს. სწორედ იორდანიის ტერიტორიიდან იწყებენ პალესტინელები ბრძოლას ისრაელის წინააღმდეგ. ამიერიდან მათ 1964 წელს შექმნილი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და მისი ლიდერი იასირ არაფატი ხელმძღვანელობს. იორდანიაში პალესტინელების შეიარაღებული რაზმები იმდენად ძლიერდებიან, რომ ფაქტობრივად ქმნიან სახელმწიფოს სახელმწიფოში.

1970 წლის სექტემბერში იოდანიის მეფე ჰუსეინმა გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება და არმიის მეშვეობით წეს-

რიგის დამყარება პალესტინელი ლტოლვილების ბანაკებში. „შავი სექტემბრის“ სისხლიანმა შეტაკებებმა უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. პალესტინელების დიდი ნაწილი იძულებული გახდა მიეტოვებინა იორდანია და მეზობელ ლიბანსა და სირიაში გადასულიყო. ჰუსეინს თითქმის მთელი არაბული სამყარო დაპირისპირდა. ლიბანში პალესტინელებმა შექმნეს ახალი სამხედრო და ტერორისტული ბაზები. ერთ-ერთი ამ ჯგუფის მიერ იყო ორგანიზებული 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ისრაელის სპორტსმენების მძევლებად აყვანა.

1973 წლისათვის პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში არაბული ქვეყნების სასარგებლოდ იცვლებოდა. გაეროს ცნობილი რეზოლუციის შეუსრულებლობისა და ოკუპირებული ტერიტორიების დაკავების გამო მსოფლიოში ძლიერდებოდა ისრაელის კრიტიკა, ბევრმა ქვეყანამ მასთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი გაწყვიტა. ამასთანავე, მყარდებოდა არაბული სამყაროს კონსოლიდაცია. მას სულ უფრო მეტ მხარდაჭერას უცხადებდა საბჭოთა კავშირი.

1973 წლის 6 ოქტომბერს, ანუ ებრაელების იომ ქიფურის (განკითხვის დღე) რელიგიურ დღესასწაულზე, ეგვიპტემ და სირიამ ერთობლივი და სრულიად მოულოდნელი სამხედრო მოქმედება დაიწყეს ისრაელის წინააღმდეგ. ეგვიპტელებმა სწრაფად გაარღვიეს ისრაელის პოზიციები და 180-კილომეტრიანი ფრონტით განავითარეს შეტევა სინას ნახევარკუნძულზე. ამავე დროს, სირიელები მიუახლოვდნენ გოლანის სიმაღლეებს, დაიკავეს ერმონი და ქალაქი კუნეიტრა. ისრაელის ჯარის პირველი კონტრშეტევები უშედეგოდ დასრულდა. ამჯერად არაბები გაცილებით უკეთ იყვნენ მომზადებულნი ომისათვის. მიუხედავად ამისა, 12 ოქტომბერს ისრაელის ჯარმა შეძლო მოწინააღმდეგის მნიშვნელოვნად უკუგდება, ხოლო 19 ოქტომბრისათვის უკვე დაიბრუნა გოლანის მისადგომები. გენერალ არიელ შარონის (მოგვიანებით ისრაელის პრემიერი) ხელმძღვანელობით დივიზიებმა შეძლეს ეგვიპტის ორი არმიის ბლოკირება სინას ნახევარკუნძულზე.

22 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციამ მხარეებს მოუწოდა შეეწყვიტათ ცეცხლი და დაეწყოთ სამშვი-

დობო მოლაპარაკება. ერთი მხრივ მოსკოვის, ხოლო მეორე მხრივ ვაშინგტონის ზეწოლით, ისრაელმა და არაბებმა 11 ნოემბერს სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიეს.

1973 წლის ომმა მნიშვნელოვანი შედეგები იქონია მსოფლიო მასშტაბით. მიუხედავად ისრაელის სამხედრო წარმატებისა, ნათელი იყო არაბული სამყაროს საერთო გაძლიერება.

ომის შედეგად ერთგვარი სამხედრო წონასწორობის შთაბეჭდილება შეიქმნა. როგორც ეგვიპტე, ისე ისრაელი თავს გამარჯვებულად თვლიდა. არაბებმა პირველად დაინახეს გაქცეული ისრაელელი ჯარისკაცები. დაიმსხვრა ისრაელის არმიის უძლეველობის მითი. ეგვიპტეში ამ ომს საგანგებო მუზეუმიც კი გაუხსნეს[13].

ისრაელს უნდა გაეკეთებინა დასკვნა, რომ მისი უსაფრთხოების გარანტირებისათვის საჭირო იყო ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებაზე ფიქრი და მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინება. ამ კონტექსტში მთავარი გაკვეთილი სწორედ ის იყო, რომ ომი პრობლემებს ვერ აგვარებს, იგი ყოველთვის მოლაპარაკებით მთავრდება. მოლაპარაკებებსა და პოლიტიკურ პროცესებში კი ამიერიდან ახლო აღმოსავლეთში აშშ იკავებდა წამყვან როლს.

ომის დამთავრების შემდეგ ნავთობის მწარმოებელმა არაბულმა ქვეყნებმა, დასავლეთზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნით, საგრძნობლად გაზარდეს ნავთობის ფასი. 1973 წლის დეკემბერში 1 ბარელის ფასმა იმ დროისთვის არნახულ 11,65 დოლარს მიაღწია. დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ, ძლიერმა ენერგეტიკულმა და, შესაბამისად, ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამერიკელები საათობით იდგნენ ბენზინის რიგში. ეს მათთვის უჩვეულო მოვლენა იყო. ნათელი ხდებოდა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი დიდი მოთამაშე გამოდიოდა – ნავთობი.

1950 წელს მსოფლიოში მოხმარებული ენერგეტიკული რესურსებიდან ნავთობზე 37,8%, ხოლო ქვანახშირზე – 55,7% მოდიოდა. უკვე 1972 წელს ნავთობის და გაზის წილი 64,4% შეადგენდა, ანუ ერთიორად გაიზარდა. და ეს მხოლოდ ზრდის

ტენდენციის დასაწყისი იყო[14]. 1960 წელს შექმნილ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში (OPEC) არაბულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. შესაბამისად, დიდი იყო მათი გავლენაც მსოფლიოში.

ნათელი ხდებოდა, რომ არაბულ სამყაროს და მთლიანად ახლო აღმოსავლეთს სამართლიანი და გრძელვადიანი მშვიდობა სჭირდებოდა. მაგრამ რამდენად იყო შესაძლებელი ამის მიღწევა „ცივი ომისა“ და გლობალური დაპირისპირების პირობებში?

V. ნანატრი სტრატეგიული პარიტეტი და განმუხტვის ეპოქა

სტუდენტობის პერიოდში ერთი ჩემი მეგობარი სამხედრო კომისარიატში დაიბარეს და ასეთი ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს:

– ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში თქვენ, თქვენივე აირწინაღებით, 9.00 სთ-ზე უნდა გამოცხადდეთ ვაკის პარკის შესასვლელთან, იქ იკრიბება ჩვენი რაზმი. თუ ამ დროისათვის აღნიშნულ ადგილას მოსვლას ვერ მოასწრებთ, მაშინ 11.00-ზე ლენინის მოედანზე დაგელოდებით.

მეგობარმა ეს ინფორმაცია მოისმინა და შემდეგ მთელი სერიოზულობით განაცხადა: ამხანაგო კაპიტანო, ყველაფერი ნათელია. მაგრამ გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუკი ბირთვული ომის დაწყების შემდეგ 9.00-ზე ვაკის პარკთან არ გამოვცხადდი, ჩემი იმედი ნუღარ გექნებათ, 11.00 სთ-ზე ლენინის მოედანზე ნუღარ დამელოდებითო.

1960-იანი წლების ბოლოს უკვე აშკარად ვგრძნობდით, რომ კომუნისტური რეჟიმი ყველა სფეროში რაღაც ფარსს ემსგავსებოდა. მაღაზიებში სულ უფრო ნაკლები და ცუდი ხარისხის პროდუქცია იყიდებოდა, რომლებზეც რიგები მატულობდა და მატულობდა. რიგები საქართველოში ნაკლებად გვაწუხებდა, მაგრამ რუსეთში ეს ნამდვილი ჭირი იყო. ჩადგებოდა კაცი რიგში და მერე იკითხავდა: „რა იყიდება?“ რიგებში იდგნენ დიდხანს, ხანდახან საათობით.

სტალინის ეპოქაში კორუფცია თითქმის არ არსებობდა: ვის ჰქონდა ათი თავი? ეს ფენომენი ხრუშჩოვის დროს გაჩნდა. მაგრამ ბრეჟნევის „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში კორუფცია ყველაზე გავრცელებულ „სპორტის სახეობად“ იქცა. იპარავდა თითქმის ყველა, ვისაც სად და რა შეეძლო.

კორუფციასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების წესად იქცა „ბლატი“. ნაცნობობისა და პროტექციის გარეშე ცხოვრებაში დამოუკიდებლად გზის გაკვლევა სულ უფრო ძნელი ხდებოდა.

საზოგადოებაში ურწმუნოება და ციინიზმი გამეფდა. კომუნისტური იდეოლოგიის კრიტიკა და გამასხრება ინტელიგენციის წრეებში კარგ ტონად იქცა. არავის სჯეროდა იმისა, რასაც ტელევიზიით გადმოსცემდნენ ან გაზეთებში იბეჭდებოდა. ნებისმიერი მეტ-ნაკლებად პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციაში ქვეტექსტებსა და ჩამალულ „ეშმაკობებს“ ვეძებდით.

1970 წელს საბჭოთა კავშირში ლენინის დაბადების 100 წლისთავი აღინიშნა. დღესასწაულებმა და საზეიმო ღონისძიებებმა მართლაც მარაზმატული ფორმები მიიღო. მთელი წლის მანძილზე ლენინით „ვათენებდით და ვაღამებდით“. „საყვარელი პარტიის“ ამ შემოტევას საბჭოთა ხალხმა შესანიშნავი ანეკდოტებით უპასუხა, რას არ ვამბობდით საბრალო ლენინზე. მაგალითად, იმის გამო, რომ ყველაფერს ლენინის სახელს არქმევდნენ, გაჩნდა „იდეა“ გამოეშვათ ოდეკოლონი „ლენინის სურნელი“ და ა. შ.* მაგრამ ლენინის სახელის ასეთი არნახული აღზევება შემთხვევითი როდი იყო. ლენინიზმი კრემლის ძლიერი იარაღი გახლდათ გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად – კომუნისტური იდეოლოგია ჯერ კიდევ ბევრს იზიდავდა მსოფლიოში.

საზოგადოებასა და საბჭოთა ხელმძღვანელობას შორის გაუცხოვება სულ უფრო იზრდებოდა. მაგრამ ამას, როგორც ჩანს, უმაღლეს ეშელონებში რეალისტურად ვერ აცნობიერებდნენ. პირიქით, 1960-იანი წლების ბოლოსათვის კრემლი ისე ძლიერად გრძნობდა თავს, როგორც არასდროს.

ამ პერიოდისათვის მოსკოვმა მიაღწია თავის სანუკვარ ოცნებას – სამხედრო-სტრატეგიულ პარიტეტს დასავლეთთან, ანუ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს უკვე იმდენი ბირთვული

* ბრეჟნევზე ანეკდოტების ეპოქა მოგვიანებით, 1970-იანი წლების ბოლოს დაიწყება

იარაღი ჰქონდა, რაც აშშ-სა და მის მოკავშირეებს. ამაზე კრემლში დიდხანს ოცნებობდნენ.

და დაუდგათ სანატრელი დრო. მერე რა, რომ მაღაზიებში ძეხვისა და საპნის დეფიციტია. სამაგიეროდ, აქვთ იმდენივე ბალისტიკური რაკეტა, რამდენიც საზიზღარ ამერიკელებს. საბჭოთა ტანკების რაოდენობა ხომ კიდევ ერთი სასიხარულო თემაა – მათმა რაოდენობამ აღმოსავლეთ ევროპაში 40 ათასს (!) მიაღწია. ბედნიერება განა მეტი რა არის?

მაგრამ შეიარაღებას გამუდმებული განახლება და მოდერნიზაცია სჭირდებოდა, ყოველივე ამას კი – უდიდესი სახსრები. სხვადასხვა შეფასებით, საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის დაახლოებით 30% სამხედრო ხარჯებს ხმარდებოდა. მერე და, რისთვის გამოიყენებ ბალისტიკურ რაკეტას? ატომური ბომბით ვერ მოხნავ და ვერ დათესავ. თუ ამერიკელებს არ ესვრი, ისე მისი "მარგი ქმედების" კოეფიციენტი ნულის ტოლია. ესვრი და ისეთს გესვრიან, რომ ქვას ქვაზე არ დაგიტოვებენ.

მოსკოვსა და ვაშინგტონში, თითქმის ერთდროულად, იწყებენ ფიქრს გამალებული შეიარაღების ორმხრივი შეზღუდვისა და კონტროლის შესახებ. იწყება ფიქრი დიდ შეთანხმებასა და საერთო ენის გამონახვაზე. ჩნდება საკრალური სიტყვა – განმუხტვა!*

მოსკოვთან კომპრომისზე ფიქრს ვაშინგტონში ვიეტნამის ომმა შეუწყო ხელი. ამერიკელებისთვის ნათელი ხდებოდა, რომ კიდევ ერთ ასეთ რეგიონალურ კონფლიქტს, ან საბჭოთა კავშირთან ირიბ სამხედრო დაპირისპირებას ამერიკის საზოგადოება ახლო მომავალში ვერ გადაიტანდა. იგი უაღრესად მძიმედ იყო ტრამვირებული ვიეტნამის კატასტროფით. მსგავსი დასკვნები გააკეთეს მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის მოვლენების შემდეგ. კრემლის უხეშმა ჩარევამ დიდი განხეთქილება შეიტანა მოკავშირეთა რიგებში. კომუნისტურმა რუმინეთმა, ალბანეთმა, იუგოსლავიამ და ჩინეთმა საერთოდ არ დაუჭირეს მხარი საბჭოთა ინტერვენციას. „ბრეჟნევის დოქტრინა" სოცი-

* დასავლეთში ამ ტერმინის ფრანგული ეკვივალენტი დამკვიდრდა – détente, რუსულად – разрядка.

ალისტური ქვეყნების შეზღუდული სუვერენიტეტის შესახებ მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. დიდი განხეთქილება დაიწყო საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაშიც. ევროპული ქვეყნების გავლენიანმა კომუნისტურმა პარტიებმა დაგმეს მოსკოვის ეს ნაბიჯი და დამოუკიდებელი გზა – ე.წ. ევროკომუნიზმი აირჩიეს. საბჭოთა ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ მორიგი „სამხედრო დახმარება“ საერთოდ დაშლიდა სოციალისტურ ბანაკს.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის განმუხტვაში მნიშვნელოვანი როლი ევროპელებმა შეასრულეს.

როცა მოწინააღმდეგეს ძალით ვერანაირად ვერ ერევი, ან თვითონ უნდა შეცვალო მის მიმართ პოლიტიკა, ან ეცადო, მან შეცვალოს უკეთესობისკენ შენ მიმართ დამოკიდებულება. ძლიერ მეტოქესთან დანასისხლად დაპირისპირებას შენი ქვეყანა არ უნდა შესწირო. საზოგადოებაც ვერ უძლებს მუდმივ კონფრონტაციას და ბოლოს მასაც ბეზრდება ლოზუნგი - „სამშობლო განსაცდელშია!“

ასე თვლიდნენ ზომიერი ევროპელები. ამიტომ ევროპის პოლიტიკურ წრეებში დაიწყეს ფიქრი მოსკოვის მიმართ ახალი პოლიტიკის შემუშავებაზე. იმ პერიოდში დასავლეთში ბევრი პოლიტიკური თეორია არსებობდა. ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირთან კონფრონტაცია კი არ ასუსტებდა კომუნისტურ რეჟიმს, არამედ, პირიქით, აძლიერებდა მას. ანუ გარეშე საფრთხის წინაშე ხდებოდა კრემლის ძალაუფლების კონსოლიდაცია. ამიტომ საჭირო იყო არა დაპირისპირება, არამედ თანამშრომლობა. პოპულარული „კონვერგენციის თეორიის“ ავტორი გალბრეითი კი მიიჩნევდა, რომ დასავლეთისა და კომუნისტური ბანაკის დაახლოება და ერთმანეთთან შერწყმა გარდაუვალი იყო.

აღმოსავლეთთან ახალი ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორად სოციალ-დემოკრატი ვილი ბრანტი მოგვევლინა, რომელიც 1969 წელს დასავლეთ გერმანიის კანცლერად აირჩიეს. ბრანდტი რეალისტი პოლიტიკოსი გახლდათ. იგი ხედავდა, რომ გდრ-ის საბჭოთა ორბიტიდან მოწყვეტა და გერმანიის გაერთიანება იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო. აღმოსავლე-

თის ბლოკის მიმართ მისი ახალი პოლიტიკის (ოსტპოლიტიკ) არსი ის იყო, რომ დაპირისპირება უნდა შეცვლილიყო თანამშრომლობით. სწორედ ამ გზით უნდა მომხდარიყო მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის გაძლიერება, ერთობლივი ინტერესების ძიება და, საბოლოო ჯამში, მშვიდობიანი თანაარსებობა. ბრანდტი და მისი თანამოაზრეები იმედოვნებდნენ, რომ დასავლეთთან ფართო თანამშრომლობა ნელ-ნელა შეცვლიდა საბჭოთა კავშირს, გახდიდა მას უფრო პროგნოზირებადსა და ცივილიზებულს.

ბრანდტის მიერ გაწვდილ „ზეთისხილის რტოს“ მოსკოვში ორივე ხელით ჩაეჭიდნენ. ჯერ ერთი, რომ განმუხტვის პოლიტიკის თაობაზე ეს პირველი რეალური განაცხადი იყო. მეორეც ის, რომ დასავლეთ გერმანიის ეს ნაბიჯი გდრ-ის დე ფაქტო აღიარებაზე მიანიშნებდა.

გარდა ამისა, გერმანიასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა მოსკოვს ძალიან აინტერესებდა. და რაც მთავარია, თუკი ევროპელებთან მოსკოვის თანამშრომლობა და განმუხტვის პოლიტიკა ძლიერ ფაქტორად იქცეოდა, ამას შეიძლება განხეთქილებაც კი შეეტანა დასავლეთ ევროპასა და აშშ-ს შორის. ეს კი, მოგეხსენებათ, მოსკოვის კიდევ ერთი საანუკვარი ოცნება გახლდათ.

თავიდან ვაშინგტონში ბრანდტის პოლიტიკას მართლაც ეჭვით შეხვდნენ. ამერიკელებს ჯერ კიდევ დე გოლის „კაპრიზები“ არ ჰქონდათ დავიწყებული და ჩათვალეს, რომ ახლა გერმანელებმა დაიწყეს ორიგინალობა. მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ გერმანელების ეს ინიციატივა მართლაც მოსკოვთან „თამაშის“ საინტერესო ელემენტი შეიძლება ყოფილიყო.

პრეზიდენტი ნიქსონი სერიოზულად დაინტერესებული ჩანდა მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებით. ეს მას, უპირველეს ყოვლისა, ვიეტნამში საომარი კამპანიის დროულად დასრულებისთვის სჭირდებოდა. მაგრამ ამ გამოცდილმა პოლიტიკოსმა კარგად იცოდა, რომ სანამ მოწინააღმდეგესთან შერიგებას დაიწყებ, აუცილებლად ძლიერი პოზიციები უნდა გქონდეს. ვიეტნამის ომის ფონზე კი აშშ-ის პოზიციები სუსტი იყო. ამგვარად, ნიქსონს კრემლის პირისპირ ახალი ძლიერი

„კოზირი“ სჭირდებოდა. ეს შანსი მალე გამოჩნდა, უფრო სწორად, იგი ამერიკულმა დიპლომატიამ გამოაჩინა. ლაპარაკია ვაშინგტონის მიერ პეკინთან სტრატეგიული თანამშრომლობის დამყარებაზე.

1949 წელს ჩინეთში კომუნისტების გამარჯვების შემდეგ ვაშინგტონსა და პეკინს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობდა. აშშ ტაივანის რეჟიმს თვლიდა ჩინეთის კანონიერ ხელისუფლებად. ამ პოლიტიკის გადახედვა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღიარება ამერიკელებისთვის ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ბოლოს ნიქსონმა ეს პრინციპული გადაწყვეტილება მაინც მიიღო.

ჩინეთის თემა მოსკოვისათვის განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო. ერთ დროს დიდ მოკავშირესთან – მაო ძედუნთან ურთიერთობები 1960-იანი წლების ბოლოს კრემლს კატასტროფულად გაუფუჭდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1969 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო რაიონში სამხედრო შეტაკებები მოხდა. ჩინელი ჯარისკაცები საბჭოთა მესაზღვრეების თვალწინ შარვლებს იხდიდნენ და მათ უკანალს უჩვენებდნენ. ეს იქამდე გაგრძელდა, სანამ რუსმა სამხედროებმა მაო ძედუნის ფოტოები არ დაიჭირეს ხელში. რა თქმა უნდა, ჩინელები ამ ტაქტიკურმა სვლამ შეაჩერა. აბა საკუთარ ბელადს ხომ არ მიუბრუნდებოდნენ “ზურგით“?![1]

მაგრამ მარტის დასაწყისში მოვლენები დრამატულად განვითარდა. სადავო კუნძულ დამანსკთან ახლოს ჩინელებმა საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარეს თავი. მათ წინააღმდეგ საბჭოთა ჯარმა „გრადის“ სარაკეტო დანადგარები გამოიყენა, რაც იმ დროისთვის სამხედრო ტექნიკის ახალი სიტყვა იყო. ჩინელებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ორმხრივი ურთიერთობა. როგორც მომდევნო წლებში გაირკვა, ამერიკელი ექსპერტები არ გამორიცხავდნენ საბჭოთა ჯარის ინტერვენციას ჩინეთში. როგორც ჩანს, ამ ეჭვის საბაბს იძლეოდა ჩინეთის საზღვრებთან განლაგებული შთამბეჭდავი ძალა – 40 საბჭოთა დივიზია[2].

ვაშინგტონ-პეკინის სტრატეგიული კავშირის შექმნა მთლიანად შეცვლიდა მსოფლიოში ძალთა ბალანსს. დაირღვე-

ოდა ამდენი წვალებით მიღწეული და კრემლის მიერ დიდხანს ნანატრი სტრატეგიული პარიტეტი. ერთია საბჭოთა კავშირი დასავლეთის წინააღმდეგ, მაგრამ დასავლეთი და ჩინეთი ერთად? ეს უკვე სხვა საქმეა, ანუ ბიჭურად რომ ვთქვათ, რა გამოდის, ორი ერთის წინააღმდეგ?

ეს უაღრესად დელიკატური „თამაში“ ვაშინგტონმა ფრთხილად წამოიწყო. ჩინელებთან ურთიერთობები მყარდებოდა კულუარულად, ყოველგვარი გახმაურების გარეშე. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნიქსონის ადმინისტრაციის მთავარი დიპლომატი, გენიალური ჰენრი კისინჯერი. 1971 წლის ივლისში, სრულიად გასაიდუმლოებულ პირობებში, კისინჯერი პეკინს ეწვია და ორ ქვეყანას შორის დიდი დიალოგის დაწყებას მისცა დასაბამი.

1972 წლის თებერვალს ნიქსონი პეკინში ჩავიდა. ეს მეგასენსაცია გახლდათ. სანამ ამ ინფორმაციას გაგვიმხელდა, საბჭოთა „ვრემიას“ ტელეკომენტატორს, მახსოვს, ისეთი ტრაგიკული სახე ჰქონდა, ვიფიქრე, კრემლში რაღაც უბედურება მოხდა-მეთქი. გაირკვა, რომ კრემლში ყველა ჯანმრთელად იყო, მაგრამ რად გინდა, ნიქსონი ჩინეთში ჩავიდა... საბჭოთა პროპაგანდას საშინელი დაბნეულობა ეტყობოდა. როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდათ ნიქსონის ვიზიტზე? კრიტიკისათვის ჯერ ფორმალურად საფუძველი არ იყო, რადგან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არც ჩინელებს და არც ამერიკელებს უთქვამთ არაფერი. არადა ქებასაც ხომ არ დაუწყებდნენ ორი დიდი მოწინააღმდეგის თავყრილობას?

კრემლისათვის განსაკუთრებით მძიმე გადასახარში გახლდათ პეკინში ხელმოწერილი ე.წ. შანხაის კომუნიკე, რომელშიც ლაპარაკი იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციასა და საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტების საფრთხეთა შემცირების აუცილებლობაზე. მხარეები აცხადებდნენ, რომ არ შეეცდებოდნენ ჰეგემონური პოზიციების მიღწევას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. ისინი სხვა ქვეყნების ჰეგემონისტური მისწრაფების წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. კომუნიკეს ეს ნაწილი აშკარად საბჭოთა კავშირზე მიანიშნებდა. მომდევნო წელს ვაშინგტონმა და პეკინმა დამატებები

შეიტანეს შანხაის კომუნიკეში, რითაც კიდევ უფრო გააძლიერეს პოზიცია საერთაშორისო საქმეებში ერთობლივი ქმედების შესახებ[3]. იმავე წელს აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურიერთობები დამყარდა.

როგორც მოგვიანებით გამოქვეყნებული მასალებიდან გაირკვა, მაო ძედუნი ჩინეთისათვის მთავარ საფრთხედ საბჭოთა ექსპანსიონიზმს მიიჩნევდა. იგი ამის შესახებ მაღალ ამერიკელ სტუმრებთან ღიად საუბრობდა. ერთხელ მან აშშ და სსრკ ერთმანეთს ასე შეადარა: „ნიქსონი მემარჯვენეა და ანტიკომუნისტების ლიდერი. მაგრამ მე მომწონს მასთან ურთიერთობა, რადგან რასაც ფიქრობს, იმას ამბობს. აი მემარცხენეები კი არ მიყვარს: ერთს ამბობენ და მეორეს გულისხმობენ“[4].

ნათელი იყო, რომ აშშ-ისა და პეკინის ურთიერთობა სტრატეგიული თანამშრომლობის ხასიათს იძენდა. რა უნდა ეღონათ ამის წინააღმდეგ კრემლში? დასკვნა ასეთი იყო: უნდა შეჯიბრებოდნენ ჩინეთს ამერიკასთან მეგობრობაში.

კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ბრეჟნევმა დასავლეთს დიდი „სამშვიდობო გეგმა“ შესთავაზა. კვლავ გაისმა მოწოდებები „მშვიდობიანი თანაარსებობების“ შესახებ, რაც იმედისმომცემად ჟღერდა. მაგრამ კომპარტია მიგვითითებდა, რომ დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობა სრულებით არ ნიშნავდა მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერაზე უარის თქმას, ანუ საბჭოთა ხელმძღვანელობას სჯეროდა, რომ ორი კურდღლის დაჭერა შესაძლებელი იყო.

***

მართლაც, მალე ვიგრძენით, რომ ჩვენ თავს რაღაც უცნაური ხდებოდა. მაგალითად, საბჭოთა პრესაში დაიწყეს ამერიკული არქიტექტურის ქება. ამერიკაში რომ სახლებს კარგად აშენებდნენ, ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ ახლა ამას რატომ გვეუბნებოდნენ? მერე მოსკოვის ცენტრალურ პარკში ამერიკული ატრაქციონი გაიხსნა, ნამდვილი „ამერიკული მთები“. ცოტა ხანში ამერიკული ჯაზ-ორკესტრებიც ვიხილეთ. ესეც მორიგი უცნაურობა იყო.

1972 წლის 21 მაისს სტუდენტები დეკანატში გამოგვიძახეს და კონფიდენციალურად გვითხრეს, რომ მომდევნო დღეს ქუჩაში უნდა დავმდგარიყავით „სტიქიურად გამოსულ“ მოსკოველებთან ერთად, რათა მივსალმებოდით ამერიკის პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს.

თუ რაოდენ გაგვაოცა ამ ცნობამ, დღევანდელი თაობისათვის ეს ძნელად წარმოსადგენია. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ ჩვენს უნივერსიტეტში მებრძოლი ვიეტნამის სოლიდარობის საღამოები იმართებოდა, სადაც ერთხმად ვგმობდით ამერიკელი იმპერიალისტების პირსისხლიან აგრესიას. ახლა ამ აგრესორების პრეზიდენტისათვის ქუჩაში ოვაციები უნდა მოგვეწყო!?

მეორე დღეს „სტიქიურად გამოსულ“ მოსკოველებს პატარა დროშები დაგვირიგეს. მე ამერიკული დროშა მერგო.

სტუმრების კორტეჟმა ისე ჩაიქროლა, რომ ნიქსონს თვალიც ვერ მოვკარით. ჩვენ მაინც კმაყოფილი ვიყავით.

ამერიკული დროშის სახლში წაღება მინდოდა, მაგრამ მკაცრმა და მკვრივმა მამაკაცმა, რომელიც ყურადღებით გვითვალთვალებდა, გამკიცხავი სახით ჩამომართვა იგი. „გეყოფა, ზედმეტი ფრიალი საჭირო არ არის“– ამიხსნა მან.

ᲗᲐᲤᲚᲝᲒᲘᲡᲗᲕᲔ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ

ნიქსონის ვიზიტის დროს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღებას შეზღუდვის შესახებ (SALT I), რომელიც მხარეებისათვის აწესებდა ბალისტიკური რაკეტების რაოდენობას, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების პარამეტრებს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი შეთანხმებით მხარეები ფაქტობრივად აღიარებდნენ სტრატეგიულ პარიტეტს და გამალებული შეიარაღების გაგრძელების უაზრობას. საყურადღებო იყო, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი, პირველად ისტორიაში, გამოთქვამდნენ მზადყოფნას დაეწესებინათ ურთიერთკონტროლის სისტემა შეთანხმების შესრულებაზე.

ეს ნამდვილი გარღვევა გახლდათ. მიუხედავად ამისა, ბევრი კითხვა ჩნდებოდა სხვადასხვა სახისა და კატეგორიის შეიარაღებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ამერიკის კონგრესში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ შეთანხმება საბჭოთა მხარეს ანიჭებდა უპირატესობას კონტინენტთაშორისი და წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების რაოდენობის თვალსაზრისით. ამას ნიქსონის ადმინისტრაცია იმით ამართლებდა, რომ ამავე სახის ამერიკული რაკეტები უფრო ზუსტი მოქმედებისა იყო და, გარდა ამისა, ისინი აღჭურვილი იყვნენ რამდენიმე ქობინით. ხელშეკრულება ასევე არ აწესებდა ამერიკელების სასარგებლოდ სტრატეგიული ავიაციის, საშუალო რადიუსის ავიაციისა და ავიამზიდებზე განლაგებული რაკეტების ლიმიტებს. იგი არც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვულ პოტენციალს ეხებოდა.

მიუხედავად ამისა, ამერიკის კონგრესში დიდი დებატები დაიწყო. კონგრესმენების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ SALT I ფაქტობრივად აკანონებდა საბჭოთა კაშირის სტრატეგიულ უპირატესობას. ამიტომ ისინი ითხოვდნენ ბირთვული შეიარაღების ყველა სახეობაზე ერთნაირი რაოდენობრივი შეზღუდვების დაწესებას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სენატორები ჯექსონი და ვანიკი, რომელთა საკანონმდებლო ინიციატივამ შემდგომში მნიშვნელოვანი გართულებები შეიტანა ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობებში.

საბჭოთა მხარის უპირატესობებზე ამერიკულ პრესაშიც გაჩაღდა კამპანია. ამის საპასუხოდ საბჭოთა პროპაგანდა გვიმტკიცებდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით იყო. თანაც ისეთი სპეციფიკური არგუმენტები მოჰყავდათ, რომლებშიც უმაღლესი კვალიფიკაციის სამხედრო სპეციალისტი ან ეშმაკი თუ გაერკვეოდა. მაგალითად, გვიმტკიცებდნენ, რომ საბჭოთა რადარების მაქსიმალური რადიუსი საშუალებას აძლევდა ამერიკულ რაკეტებს, პირველი დარტყმის დროს საშუალო პერიმეტრზე მეტი ზიანი მიეყენებინა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებისათვის. თანაც, თუ გავითვალისწინებდით ბალისტიკური რაკეტების სპეციფიკას, რაკეტსაწინააღმდეგო პრეფერენციები აშკარად ვაშინგტონის სასარგებლოდ იყო.

ამაზე ამერიკელები დაახლოებით იმას გვიპასუხებდნენ, რომ ეს არგუმენტები ნაწილობრივ სწორი იყო ზაფხულის პირობებში, მაგრამ ზამთრის პირველ ნახევარში რაკეტების ტრაექტორია ირღვეოდა და ა.შ.

მოკლედ, ყველაფერი ეს აბსურდის თეატრს ემსგავსებოდა. როგორ უნდა გაგვეგო, ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი?

მოსკოვის სამიტზე ხელი მოეწერა პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ერთობლივ განცხადებას ორმხრივი ურთიერთობების „საბაზისო პრინციპების“ შესახებ. მხარეები თანხმდებოდნენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში „თავს შეიკავებდნენ ცალმხრივი უპირატესობის მიღწევის მცდელობებისაგან“[5]. ფაქტიურად ეს ნიშნავდა, რომ ვაშინგტონი და მოსკოვი აღარ შეეცდებოდნენ, დაერღვიათ მსოფლიოში ძალთა ბალანსი.

მაგრამ მალე ამ განცხადებასაც გამოუჩნდნენ აშშ-ში ოპონენტები. მათთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ უნდა ეთქვა უარი აშშ-ს საბჭოთა გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნებისა და ერების მხადაჭერაზე. განა ისინი თავისუფლებას არ იმსახურებდნენ? კითხვები უჩნდებოდათ საბჭოთა იდეოლოგებსაც: როგორ უნდა ეთქვა უარი საბჭოთა კავშირს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპზე? იდეოლოგიური განსხვავებები გადაულახავ დაბრკოლებებს ქმნიდნენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ნიქსონის ვიზიტს. პრეზიდენტი პირველად შეხვდა ბრეჟნევს, რომელმაც იგი გულთბილად მიიღო და მჭიდრო პირადი ურთიერთობების დამყარება შესთავაზა. განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, ბრეჟნევი თვითონ მიუჯდა „როლს როისის“ საჭეს და ისეთი სიჩქარით გააქანა ნიქსონი, რომ ამ უკანასკნელმა ამოსუნთქვაც კი ვერ შეძლო[6].

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნიქსონის გამოსვლამ საბჭოთა ტელევიზიით. ყველა ველოდით, რომ ამერიკის პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიღწევებზე დაგვიწყებდა საუბარს, მოგვიყვებოდა, თუ როგორ კარგად ცხოვრობენ ამერიკაში, გაიმართლებდა თავს ვიეტნამში აგრესიის გამო. მაგრამ მოხდა საპირისპირო. პრეზიდენტმა ისა-

უბრა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხალხის გმირობაზე. გვითხრა, თუ რაოდენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მოსკოვმა, ლენინგრადმა, ჩვეულებრივმა ადამიანებმა; გამოთქვა რწმენა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უკეთესობისაკენ შემობრუნდებოდა.

ამ ურთიერთობების მთავარი გენერატორი კისინჯერი იყო. იგი მომდევნო წელს ეწვია მოსკოვს და ჩაატარა მოლაპარაკებები ბრეჟნევის აშშ-ში ვიზიტის მოსამზადებლად.

ბრეჟნევმა სტუმარი სანადიროდ მიიპატიჟა. თითქმის მოთვინიერებული ტახები ზუსტად დათქმულ დროს გამოდიოდნენ მონადირეებისგან 30 მეტრში დაყრილი საკვების მისართმევად. და სწორედ აქ ელოდათ მათ სასიკვდილო განაჩენი.

ნადირობის შემდეგ ლეონიდ ილიას ძემ, რუსული წესის მიხედვით, სტუმართან ერთად არაყი გადაჰკრა და იქვე გამოუტყდა მას, რომ კრემლი შეშფოთებული იყო ვაშინგტონისა და პეკინის დაახლოებით. ამ თემას საბჭოთა ხელმძღვანელი ამერიკელებთან პირველად ეხებოდა[7].

კისინჯერი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ შანხაის კომუნიკემ მოსკოვზე მართლაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბრეჟნევის საპასუხო ვიზიტი აშშ-ში ნიქსონისათვის მეტად რთულ პერიოდში განხორციელდა. „უოტერგეიტის“ სკანდალის გამო ძალას იკრებდა მოთხოვნა პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე.

1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში დემოკრატების შტაბბინაში, სასტუმრო „უოტერგეიტში“, აღმოაჩინეს დამალული მიკროფონები. უკანონო მოსმენები რესპუბლიკელებს დაბრალდა. ეს ინფორმაცია „ვაშინგტონ პოსტში“ ჟურნალისტებმა ვუდვარდმა და ბერნშტეინმა გამოამზეურეს, რასაც ჯაჭვისებური რეაქცია მოჰყვა და დიდ სკანდალში გადაიზარდა. არჩევნებში ნიქსონმა კი გაიმარჯვა, მაგრამ მის წინააღმდეგ აგორებული კამპანია იმპიჩმენტის პროცესში გადაიზარდა. საბოლოოდ, 1974 წლის 8 აგვისტოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ.

როგორც ჩანს, ეს ამბავი ბრეჟნევს გულში მოხვდა. კემპ-დევიდში, პირისპირ ერთ-ერთი არაფორმალური შეხვედრის

შემდეგ ბრეჟნევმა ვისკის ზედმეტი დოზა გადაჰკრა და ნიქსონს დაახლოებით ასეთი ძმაბიჭური საუბარი გაუბა: – „ეჰ, ჩემო რიჩარდ, ვიცი რომ ძალიან გიჭირს. შენს გადადგომას მოითხოვენ, მაგრამ არ დათმო, არ დაიხიო უკან. შენ გგონია, მე არ მყავს მოწინააღმდეგეები პოლიტბიუროში? მყავს და თანაც რამდენი. ისინი, ალბათ, ახლაც ინტრიგებს ხლართავენ“. გაოცებული და დაბნეული ნიქსონი დიდხანს ვერ მოეგო გონს. ბრეჟნევმა კი, გამოფხიზლების შემდეგ, საბჭოთა ელჩს ჰკითხა, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო.[8]

ვიზიტმა, საერთო ჯამში, კარგად ჩაიარა. გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება, თუმცა საუბრებში ჩნდებოდა ისეთი თემებიც, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობას გულზე არ ეფინებოდა.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემა გახლდათ ებრაელების ემიგრაცია საბჭოთა კავშირიდან. დიდი ბრძოლისა და საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ მოსკოვი აიძულეს დათანხმებოდა საბჭოთა ებრაელების ისრაელში საცხოვრებლად გამგზავრებას. რაიმე განსაკუთრებული შეთანხმება ამის თაობაზე არ არსებობდა, ამიტომ ებრაელ ემიგრანტთა ყოველი ახალი „პორციისათვის“ ვაშინგტონს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. 1972-73 წლებში საბჭოთა კავშირს ყოველწლიურად 35 ათასამდე ებრაელი ტოვებდა. 1972 წელს კრემლმა საკმაოდ დიდი ფულადი გადასახადი დააწესა ემიგრაციაში წამსვლელთათვის. ეს, თითქოს, სახელმწიფოსაგან უფასოდ მიღებული განათლების საფასური იყო, მაგრამ სინამდვილეში ემიგრაციის შეზღუდვის მცდელობა გახლდათ. ებრაელები, ბუნებრივია, იხდიდნენ ამ თანხებს, მაგრამ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იმიჯს კი დიდი ზიანი მიადგა. გამოდიოდა, რომ საბჭოთა „სამოთხის“ დასატოვებლად ფულიც უნდა გადაგეხადა.

1973-1974 წლებში ბრეჟნევმა და ნიქსონმა კიდევ ერთხელ „გაცვალეს“ ვიზიტები. მიმდინარეობდა რთული მოლაპარაკებები სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მორიგი ხელშეკრულების – SALT II-ის თაობაზე.

საბჭოთა კავშირში აშშ-ის მიმართ საერთო დამოკიდებულება უკეთესობისაკენ იცვლებოდა.

* * *

განმუხტვის ეპოქის აპოგეა გახლდათ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, რომელიც 1975 წელს გაიმართა ჰელსინკიში. კონფერენცია რამდენიმე წლის მანძილზე მზადდებოდა, მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის 35 სახელმწიფომ, ასევე აშშ-მა და კანადამ.

კონფერენციაზე ხელი მოეწერა „დასკვნით აქტს“, რომელიც 3 ნაწილისაგან, ან როგორც მერე უწოდებდნენ, 3 კალათისაგან შედგებოდა.

პირველი ნაწილი აღიარებდა იმ დროისათვის ევროპაში დაწესებულ საზღვრებს, ადასტურებდა ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და შესაძლო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას. აღნიშნული „კალათა“ აშკარად საბჭოთა დიპლომატიის დიდი მიღწევა იყო, რადგან იგი აკანონებდა II მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვის გავლენის სფეროებში მოქცეული სახელმწიფოების საზღვრებს. ეს განსაკურებით მნიშვნელოვანი იყო გდრ-თან მიმართებაში.

მეორე „კალათაში“ საუბარი იყო უმთავრესად ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნიკურ თანამშრომლობაზე.

აი მესამე „კალათა“ კი ჰუმანიტარულ საკითხებსა და ადამიანის უფლებებს ეხებოდა. პირველი ორი „კალათის“ ხათრით მოსკოვი დათანხმდა ეღიარებინა ადამიანის ფუძემდებლური უფლებები, მათ შორის აზრის თავისუფლად გამოხატვა, გადაადგილება, ინფორმაციის მიღება და სხვ.

საბჭოთა დიპლომატები დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ მესამე „კალათის“ ცალკეულ დებულებებს, დავობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების ცნებას უფრო ფართო, ფუნდამენტური შინაარსი ჰქონდა. ბოლო ეტაპზე გრომიკოსთან საუბარში კისინჯერმა პრაგმატულად ისიც კი განუცხადა საბჭოთა კოლეგას, რომ დოკუმენტის ხელმოწერის შემთხვევაში იგი სრულებითაც არ ელოდა მოსკოვის მიერ ამ სფეროში ყველა ვალდებულების შესრულებას. შეიძლება, ამ „ტრიუკმა“ იმოქმედა.

მოსკოვში კონფერენციის შედეგებით გამოწვეულ კმაყოფილებას ვერ მალავდნენ: 30 წლის ბრძოლის შემდეგ მოსკოვმა დაიკანონა აღმოსავლეთ ევროპა. მაგრამ საბჭოთა პროპაგანდა არაფერს გვეუბნებოდა იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც სსრკ-მა იკისრა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ამ თემას რაღაცნაირად „მიაჩუმათებდნენ“. მაგრამ ამის დამალვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

კონფერენციამ ძლიერი ბიძგი მისცა დისიდენტურ მოძრაობებს სოციალისტურ ბანაკსა და თვით საბჭოთა კავშირში. მათი საქმიანობის შესახებ გამუდმებით გვატყობინებდა „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „ბი-ბი-სი“, „თავისუფალი ევროპა“. დასავლეთში იბეჭდებოდა სოლჟენიცინის რომანები, ალილუევას მოგონებები, აკადემიკოს სახაროვის წერილები. ცნობილი გახდა მრავალი დისიდენტის სახელი და საქმიანობა. დისიდენტების წინააღმდეგ სპეცსამსახურები ისევ მძვინვარებდნენ, მაგრამ ოპოზიციონერთა პატარა ჯგუფებს გაუჩნდათ ძლიერი სამართლებრივი არგუმენტი – ჰელსინკის „დასკვნითი აქტი“ და მილიონობით მხარდამჭერი მსოფლიოში.

ვაშინგტონში ჰელსინკის კონფერენციის შედეგები ასე შეაჯამეს: „პირველად ომისშემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებები და თავისუფლება აღიარებული იქნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგის მნიშვნელოვან თემად. კონფერენციამ დაადასტურა საზოგადოებრივი ცხოვრების დასავლური სტანდარტები“[9].

როგორც მომდევნო წლებში აღმოჩნდა, თავისუფლება და ადამიანის უფლებები საბჭოთა რეჟიმისათვის უფრო საშიში იყო, ვიდრე ნებისმიერი რადიუსის რაკეტა. და მართლაც, თუკი შეიძლება დავასახელოთ სსრკ-ის დაშლის ათვლის წერტილი, ეს სწორედ ჰელსინკის ფორუმი იყო.

1976 წელს აშშ-ის პრეზიდენტად არჩეულმა დემოკრატმა ჯეიმზ კარტერმა თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპად მსოფლიოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდაჭერა გამოაცხადა. კარტერის ადმინისტრაციისა და ამერიკული პრესის მთავარი სამიზნე საბჭოთა კავშირი

გახდა, რომელიც აშკარად არ ასრულებდა ჰელსინკიში აღებულ ვალდებულებებს.

კარტერის ეს არჩევანი, წმინდა პოლიტიკური მოსაზრებების გარდა, ამერიკული საზოგადოებისა და, კერძოდ, დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლური ფასეულობებიდან გამომდინარეობდა. საზოგადოებისათვის, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებზეა აგებული, მიუღებელი უნდა იყოს ტოტალიტარული სისტემის ლეგიტიმაცია და მასთან დამოყვრება – ასე მიიჩნევდნენ კარტერის ადმინისტრაციაში. თუმცა, იმასაც აღიარებდნენ, რომ განმუხტვის პოლიტიკა და განიარაღების პროცესი მხარდაჭერას იმსახურებდა. პრეზიდენტი თეთრ სახლში იღებდა საბჭოთა დისიდენტებს, მიმოწერა დაამყარა აკადემიკოს სახაროვთან. ყველაფერი ეს დიდ გაღიზიანებას იწვევდა მოსკოვში.

კარტერის მიერ გაჩაღებული ადამიანის უფლებების დაცვის კამპანიის საპირისპიროდ კრემლმა საკუთარი პროპაგანდისტული კონტრშეტევა წამოიწყო. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მომზადების შესახებ. მალე საბჭოთა საზოგადოება „ბრეჟნევის კონსტიტუციის“ პროექტს გაეცნო, სადაც მოქალაქეთა უფლებებზე განსაკუთრებულ ვარდისფერ ფერებში იყო საუბარი. რა უფლება გინდა სულო და გულო, იქ რომ არ ამოგეკითხათ: მუშაობის, დასვენების, მკურნალობის, განათლების... კომპარტიამ ხალხს მიმართა, წამოაყენეთ წინადადებები, კიდევ რა უფლებები გინდათო და მართალაც წამოვიდა ზღვა მშრომელთა ინიციატივებისა. ამასთან დაკავშირებით ისევ გაჩნდა უამრავი ანეკდოტი და სახუმარო თემა.

ერთადერთი, რაც მოსკოვში „გამორჩათ“, საბჭოთა რესპუბლიკებში ადგილობრივი ენების სახელმწიფო ენებად აღიარება იყო. ამ „ცდომილებამ“ თბილისში 1978 წლის აპრილში სტუდენტთა ძლიერი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია, რამაც დიდი გავლენა იქონია ქართული საზოგადოების ცნობიერებაზე.

მიუხედავად განმუხტვის ეპოქისა და აშშ-თან ხელმოწერილი ქცევის „საბაზისო პრინციპებისა“, მოსკოვი მაინც ვერ

იკავებდა თავს მსოფლიოს შორეულ რეგიონებში მარქსისტული და სხვადასხვა ჯურის მემარცხენე ძალების მხარდაჭერისაგან.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-მა ვიეტნამში შექმნა სამხედრო ბაზა. ვიეტნამიდან იგი მეზობელ ქვეყნებზეც ცდილობდა გავლენის მოპოვებას.

ნიკარაგუაში სომოსას ტირანული რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ რევოლუციონერი სანდინისტები, რომლებიც მარქსისტულ იდეოლოგიას იზიარებდნენ. მათი მთავარი მხარდამჭერი მოსკოვი იყო, ხოლო რეგიონალური პარტნიორი – კუბა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რევოლუციურ რეჟიმს მალე შეიარაღებული ოპოზიცია („კონტრა“) გაუჩნდა. მათ აშშ უჭერდა მხარს და აიარაღებდა. აშშ-ში მალე გაჩნდა ცნობები, რომ საბჭოთა კავშირი ნიკარაგუის ხელისუფლების მეშვეობით ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებზეც, კერძოდ სალვადორზე, ცდილობდა გავლენის გავრცელებას. თვით ნიკარაგუაში კი 1980 წლისათვის 4 ათასამდე კუბელი სამხედრო სპეციალისტი მუშაობდა.*

მოსკოვმა ჩრდილო აფრიკაში მთავარ კლიენტად გაიხადა ეთიოპიის მარქსისტი დიქტატორი მენგისთუ ჰაილე მარიამი. ამ გაუბედურებულ და დამშეულ ქვეყანას მალე დიდძალი საბჭოთა იარაღი გაუჩნდა.

მეზობელ გაძვალტყავებულ სომალიში კი საბჭოთა კავშირი საზღვაო ბაზის მშენებლობას შეუდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვან წითელ ზღვაზე. მაგრამ მალე მოულოდნელი „კაზუსი“ მოხდა: კბილებამდე შეიარაღებულმა პროსაბჭოთა ეთიოპიამ საომარი მოქმედებები წამოიწყო ასევე პროსაბჭოთა სომალის წინააღმდეგ. ბევრი ფიქრის შემდეგ მოსკოვმა მხარი ეთიოპიას დაუჭირა, სომალიმ კი აშშ-ს მიმართა დახმარებისათვის.

---

* ნიკარაგუის მემარცხენე ლიდერი დანიელ ორტეგა დღეს კვლავ ამ ქვეყნის პრეზიდენტია. ალბათ, უცნაური არ უნდა იყოს, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ პირველმა, რუსეთის ფედერაციის შემდეგ, სწორედ ნიკარაგუამ აღიარა.

საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები სამხრეთ აფრიკაშიც გამოჩნდნენ. პორტუგალიის კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ ანგოლაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მოსკოვმა, რა თქმა უნდა, მარქსისტი პრეზიდენტის აგუსტინიო ნეტოს მხარე დაიჭირა. მოწინააღმდეგე „უნიტას“ ბანაკს აშშ უჭერდა მხარს. იმისათვის, რათა თავისი ზრახვები მიემალა, მოსკოვმა „ეშმაკობას“ მიმართა: მისი თხოვნითა და წაქეზებით დიდი სამხედრო კონტინგენტი ანგოლაში გააგზავნა... კუბამ. კრემლის გათვლით, შავკანიანი კუბელები ნაკლებად გამოჩნდებოდნენ, ვიდრე ქერათმიანი თეთრი რუსები. 1976 წელს ანგოლაში 36000 კუბელი სამხედრო იმყოფებოდა. მაგრამ მალე ეს ამბავი „გასკდა“ და მას დასავლეთში დიდი აურზაურიც მოჰყვა.

საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ერთ ნაწილს კარგად ესმოდა, რომ სამხედრო ავანტიურიზმი ქვეყნის საზიანოდ მუშაობდა. გარდა იმისა, რომ ილახებოდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი, ნიავდებოდა უდიდესი რესურსები, მილიარდები საეჭვო მიზნების მისაღწევად. მაგალითად, აშშ-ის სადაზვერვო მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 1976 წელს სსრკ-მა 300 მილიონი დოლარის შეიარაღება მიაწოდა ანგოლის მთავრობას. ამ დროს კი საბჭოთა მაღაზიებში უკვე თითქმის ყველაფრის დეფიციტი იყო – რიგები, რიგები და რიგები*.

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ბევრმა ცნობილმა საბჭოთა სპეციალისტმა აღიარა, რომ ისინი არ ურჩევდნენ კრემლს შორეული ქვეყნების საქმეებში ჩარევას. მაგრამ ამ პერიოდში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სულ უფრო გააქტიურდა საბჭოთა გენერალიტეტი. როგორც მოგვიანებით აშშ-ში ყოფილი ელჩი დობრინინი

* აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსთა აზრით, ეკონომიკის სფეროში ბრეჟნევის ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა იყო 1975 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც მაქსიმალურად შეზღუდა კაპიტალური დაბანდებები ახალი მანქანა-დანადგარების წარმოებასა და თანამედროვე საწარმოების მშენებლობაში. აქცენტი გადატანილ იქნა წარმოების ეფექტურობასა და სახსრების ეკონომიაზე.

აღიარებდა: „ჩვენი უმაღლესი სამხედრო ჩინის ერთ ნაწილს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა ამერიკელებთან დაპირისპირება და საბჭოთა დროშის აფრიალება მსოფლიოს შორეულ კუნჭულებში“[10].

1970-იანი წლების მეორე ნახევარში ბრეჟნევი უკვე აშკარად ცუდად გამოიყურებოდა. მას უჭირდა ლაპარაკი, ჰქონდა არაადექვატური რეაქციები და საერთოდ მძიმედ დაავადებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამან კვლავ ანეკდოტების კორიანტელი შექმნა. მაგალითად, ბრეჟნევი კრემლში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს ხვდება. იგი იღებს მომზადებულ ტექსტს და კითხულობს: „გამარჯობათ ქალბატონო ინდირა განდი“*. გვერდზე მჯდომი გრომიკო მას ყურში უჩურჩულებს: „ეს განდი კი არა, ტეტჩერია“. ბრეჟნევი უპასუხებს: „მეც ტეტჩერს მივამსგავსე, მაგრამ ტექსტში რომ განდი წერია?“

მოგვიანებით გაირკვა, რომ ბრეჟნევმა 1970-იან წლებში მძიმე ინსულტი გადაიტანა. ნაწილობრივი გამოჯანსაღების შემდეგ იგი მუდმივად დამაწყნარებელ პრეპარატებს იღებდა, რაც მას რეაქციებს უჩლუნგებდა. მან რამდენჯერმე სცადა პენსიაზე გასვლა, მაგრამ კოლეგები კატეგორიულად იყვნენ ამის წინააღმდეგი: ახალგაზრდა და ჯანმრთელი მათ შორის არავინ იყო.

უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილობრივი მოშლის გამო, საბჭოთა პოლიტიკაში წინა პლანზე გამოდიოდა სამხედრო „ისტებლიშმენტი“. მოსკოვის აქტიურობა სხვა კონტინენტებზე იმითაც იყო გამოწვეული, რომ იგი მნიშვნელოვნად კარგავდა პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. კერძოდ, 1967 წელს ისრაელთან დამარცხების შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა რადიკალურად დაიწყო თავისი პროსაბჭოთა პოლიტიკის გადახედვა ვაშინგტონის სასარგებლოდ და დაასკვნა, რომ „რუსებს შეუძლიათ მოგცენ იარაღი, მაგრამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ აშშ-ს შეუძლია“. მან უარი თქვა მრავალათასიანი საბჭოთა სპეციალისტების დახ-

* ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

მარებაზე და ქვეყნიდან გაიწვია ისინი. მოსკოვი აღშფოთებას ვერ მალავდა.

სადათმა, ვაშინგტონის დახმარებით, პირდაპირი ურთიერთობა დაამყარა ისრაელთან. 1977 წელს იგი თელ-ავივში ჩავიდა, შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრს მენახემ ბეგინს და კნესეთში სიტყვითაც გამოვიდა.

1979 წლის 26 მარტს ვაშინგტონში ანვარ სადათმა და მენახემ ბეგინმა პრეზიდენტ კარტერის დასწრებით ხელი მოაწერეს „სამშვიდობო შეთანხმებას". ეგვიპტემ ცნო ისრაელი და მასთან სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. სანაცვლოდ ისრაელმა მოგვიანებით მთლიანად გამოიყვანა თავისი ჯარები სინას ნახევარკუნძულიდან და აღადგინა ეგვიპტესთან 1948 წლამდე არსებული საზღვარი. სადათი და ბეგინი მოგვიანებით ნობელის პრემიით დააჯილდოვეს.

ეგვიპტის მიერ ისრაელის სახელმწიფოს აღიარებამ და მასთან გარიგებამ დიდი უმაყოფილება გამოიწვია დანარჩენ არაბულ სამყაროში. ბევრი არაბი ლიდერი სადათს რენეგატად მიიჩნევდა. ეგვიპტე არაბული ქვეყნების ლიგიდან გარიცხეს. საბოლოო ჯამში ისრაელთან შერიგება სადათს ძვირად დაუჯდა – 1981 იგი ფანატიკოსმა მოკლა კაიროში სადღესასწაულო აღლუმის დროს.

ეგვიპტესა და ისრაელს შორის შეთანხმებამ ახლო აღმოსავლეთში შექმნა მშვიდობის დამყარების პრეცედენტი ფორმულით – „მიწა მშვიდობის სანაცვლოდ", ანუ ისრაელი მზად იყო დაეთმო მიწა მისთვის აუცილებელი მშვიდობის სანაცვლოდ[11].

1977 წელს ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ევროპაში ახალი რაკეტული შეიარაღება – საშუალო რადიუსის SS-20 განათავსა. ეს შეიარაღება არანიარი საერთაშორისო შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული, იგი უშუალოდ უქმნიდა საფრთხეს დასავლეთ ევროპას. დასავლეთში დიდი აურზაური ატყდა. მოსკოვს ადანაშაულებდნენ შეთანხმებათა უხეშად დარღვევაში, განმუხტვის პოლიტიკის ტორპედირებაში, აგრესიულობაში და ა.შ. კრემლი ამ კრიტი-

კას ჩვეულებრივი სტილით პასუხობდა. „აგრესორის ხმა მესმის!“

დასავლეთში დაიწყეს ფიქრი საპასუხო ნაბიჯზე. კარტერის ადმინისტრაციამ დასავლეთ ევროპელებს შესთავაზა ე.წ. პერშინგის რაკეტები, რომლებსაც ევროპიდან მოსკოვამდე 10 წუთში შეეძლოთ მიეღწიათ.

ამ გადაწყვეტილებამ ნახევრად მიძინებული ბრეჟნევიც კი გამოაფხიზლა. საბჭოთა მედიაში ატყდა არნახული ხმაური. საქმე ამჯერადაც იდიოტიზმამდე მივიდა. პარტიული ორგანიზაციების დავალებით საბჭოთა მშრომელთა კოლექტივები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ტელეგრამებს უგზავნიდნენ აშშ-ის პრეზიდენტს მოთხოვნით, შეეწყვიტა „პერშინგების“ ევროპაში განთავსება. მამაჩემს ამის შესახებ ჯერ რაიკომიდან დაურეკეს, მერე ქალაქკომიდან და ბოლოს ცენტრალური კომიტეტიდან. „გადამერევა ეს კარტერი, იტყვის, რას გადამეკიდა ტელეგრამებით ეს ირაკლი აბაშიძეო“ – შემოგვჩივლა მან.

მაგრამ, მიუხედავად გართულებული ვითარებისა, კარტერის ადმინისტრაცია მაინც არ ამბობდა უარს განმუხტვის მთავარ მონაპოვარზე – სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე (ტელეგრამებმა იმოქმედა?). რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა მორიგ დიდ შეთანხმებაზე - SALT II-ზე, რომელშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო გათვალისწინებული გამალებული შეიარაღების შეჩერებისა და შემცირების თვალსაზრისით.

1979 წელს ვენაში კარტერმა და ბრეჟნევმა ხელი მოაწერეს SALT II-ს. შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ბრეჟნევი ვერც კი ხვდებოდა, თუ სად იყო. დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ბრეჟნევს მოეხვია და აკოცა. ლეონიდ ილიას ძე გამოფხიზლდა!

ბრეჟნევი ასეთ შთაბეჭდილებებს მხოლოდ რიგით მოქალაქეებზე როდი ტოვებდა. ვენაში აშშ-ის დელეგაციის შემადგენლობაში სპეციალისტი ექიმი ჩართეს, რომელმაც შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „იგი წააგავს ზომბირებულ ადამიანს,

რომელიც სრულად ვერ აცნობიერებს, თუ რა ხდება მის გარშემო“[12].

ბრეჟნევის ასეთი მდგომარეობა იყო არა მარტო პიროვნული უბედურება, არამედ ტრაგედია მთელი ქვეყნისა. ყველა ვგრძნობდით, რომ უპატრონოდ, ინერციულად სადღაც მივექანებოდით. მაგრამ საით?

1979 წელს ინდოეთში ვმუშაობდი დიპლომატად. 25 დეკემბერს (კათოლიკური შობა!), დილით ადრე გაზეთი „თაიმზ ოფ ინდია“ გავშალე.

პირველ გვერდზე უშველებელი შრიფტით ეწერა: „საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა!“

მივხვდი, რომ განმუხტვის ეპოქას საბოლოოდ დაესვა წერტილი.

VI. ᲒᲐᲜᲛᲣᲮᲢᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ავღანეთში ჯარის შეყვანა საბჭოთა მოქალაქეებისთვის ამოუხსნელი მოვლენა იყო. რისთვის იყო ეს საჭირო? ერთ-ერთი ვერსია ის გახლდათ, თითქოს ავღანეთში ამერიკელები „პერშინგის“ რაკეტების განთავსებას აპირებდნენ, ანუ გამოდიოდა, რომ საბჭოთა ინტერვენცია ამერიკელების მიერ იყო ინსპირირებული. შინაურულად უფრო მეტად იმაზე საუბრობდნენ, რომ ავღანეთში ფუნდამენტალისტური ისლამის გავრცელება საბჭოთა შუა აზიას ემუქრებოდა.

ავღანეთი ერთი უაღრესად ჩამორჩენილი, გარეშე სამყაროსაგან მივიწყებული ქვეყანა იყო. 1933 წლიდან მას მეფე ზაჰირ შაჰი მართავდა. ქაბულს კარგი ურიერთობა ჰქონდა მოსკოვთან, ცოტ-ცოტას ვაჭრობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებთანაც.

ავღანეთში მრავალი წლის სიმშვიდე 1973 წელს დაირღვა, როდესაც სამეფო ოჯახის წევრმა მუჰამედ დაუდმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და საკუთარი თავი ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოაცხადა. ზაჰირ შაჰი იძულებული გახდა საფრანგეთში წასულიყო ემიგრაციაში. ამ დღიდან იწყება და ჯერაც გრძელდება ავღანეთის ტრაგედია.

1978 წელს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრმა სამხედროებმა და ადგილობრივმა კომუნისტებმა საკუთარ რეზიდენციაში მოკლეს დაუდი და ამას საურის, ანუ აპრილის რევოლუცია დაარქვეს. უმაღლეს ხელისუფლებად რევოლუციური საბჭო გამოცხადდა, ხოლო ქვეყანას ახლა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა დაარქვეს. რევსაბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარედ გამოცხადდა ნურ მუჰამედ

თარაქი, ხოლო მის მოადგილედ – ჰაფიზულა ამინი. თარაქი პირწავარდნილი მარქსისტი იყო, ამიტომ მისი ხელისუფლებაში მოსვლა მოსკოვში დიდ წარმატებად ჩათვალეს. საბჭოთა კავშირმა ცნო ახალი ხელისუფლება. მოსკოვმა მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაც კი გააფორმა ქაბულთან.

იმავდროულად ავღანეთში და პაკისტანის ტერიტორიაზე იქმნება ოპოზიციური ორგანიზაციები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მომავალში ცნობილი ჰეკმათიარი და რაბანი.

1978 წლის დეკემბერში ტერორისტებმა ქაბულში გაიტაცეს აშშ-ის ელჩი, რომელიც მისი განთავისუფლების ოპერაციის დროს დაიღუპა. ქაბულსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობა გაუარესდა.

ქვეყნის პროვინციებში ქაბულის ახალი რეჟიმის წინააღმდეგ მღელვარება დაიწყო, რითაც ოპოზიციური დაჯგუფებები სარგებლობდნენ. თარაკიმ თხოვნით მიმართა მოსკოვს სამხედრო დახმარების შესახებ, რაზეც კრემლში ერთხანს ფიქრობდნენ. მოგვიანებით ცნობილი გახდა კოსიგინის სატელეფონო საუბარი თარაქისთან. საბჭოთა პრემიერი დაინტერესდა, თუ მოსახლეობის რაოდენ დიდი ნაწილი უჭერდა მხარს ავღანეთის მთავრობას. თარაქის პასუხიდან კოსიგინმა დაასკვნა, რომ რეალურად მისი მხარდამჭერები მხოლოდ საბჭოთა ჯარისკაცები იქნებოდნენ, რის გამოც მან ამ თხოვნაზე ფაქტობრივად უარი განაცხადა[1].

1979 წლის ივლისში ქაბულს მაღალი დონის საბჭოთა პარტიული დელეგაციაც ეწვია, რომელსაც თარაქიმ კვლავ მიმართა თხოვნით სამხედრო დახმარების შესახებ. ქვეყანაში ფაქტობრივად უკვე სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, მაგრამ მოსკოვი ჯერ მოვლენებს აკვირდებოდა.

იმავე წლის 14 სექტემბერს ამჯერად ვიცე-პრემიერმა ჰაფიზულა ამინმა მოაწყო გადატრიალება. მან თარაქი ჯერ დაატიმრა, ხოლო შემდეგ, რამდენიმე დღეში მოაკვლევინა კიდეც.

საბჭოთა კავშირი იძულებული იყო ეღიარებინა ამინის ხელისუფლება, თუმცა მოსკოვში საკმაოდ შეშფოთებული იყ-

ვნენ ბოლო მოვლენებით. საბჭოთა ხელმძღვანელობა ამინს თითქმის არ იცნობდა, სპეცსამსახურები კი ამერიკის კაცად მიიჩნევდნენ მას და არ ენდობოდნენ. გაჩნდა ეჭვი, რომ ამინი ეგვიპტის პრეზიდენტ სადათივით უპირებდა საბჭოთა კავშირს „გაცურებას“.

ქვეყნის მართვის საქმეებში ამინი რადიკალი აღმოჩნდა. მან დაიწყო მიწის რევოლუციური რეფორმის განხორციელება, რითაც ყველა დაიპირისპირა. ჩამორჩენილ, ფეოდალურ ავღანეთში ამინის „პროგრესულმა“ პოლიტიკამ შეიარაღებული ბუნტები გამოიწვია.

სიტუაციის დასარეგულირებლად ამინმა ამერიკელებთან დაიწყო ურთიერთობების ძიება, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა მოსკოვის ეჭვები.

ამინი გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს, რის გამოც მან ოპოზიციისაგან საკუთარი რეზიდენციის დასაცავად მოსკოვს ორი ბატალიონის გაგზავნა სთხოვა. ამ თხოვნაზე მოსკოვი უცბად დათანხმდა. ოღონდ, სრულიად საიდუმლოდ, სამხედროებთან ერთად ქაბულში ამინის ყოფილი მარჯვენა ხელი – ბაბრაკ ქარმალიც გააგზავნეს.

25 დეკემბერს დაიწყო სამხედრო ინტერვენცია. საბჭოთა სადესანტო ჯარებმა დაიკავეს აეროპორტი და ყველა სხვა სტრატეგიული ობიექტი. წინა დღეს ავღანელი ჯარისკაცების ფორმაში გადაცმულმა საბჭოთა “ალფა“ და “ზენიტის“ სპეცრაზმებმა პრეზიდენტის სასახლეში ამინი სიცოცხლეს გამოასალმეს. ვერაგობა ის იყო, რომ სპეცრაზმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამინმა თავის დასაცავად მიიწვია ავღანეთში. რამდენიმე საათში ავღანეთის ახალმა „ლიდერმა“ ბაბრაქ ქარმალმა რადიოთი მიმართა ხალხს და მხარდაჭერა სთხოვა. უაღრესად საყურადღებოა, რომ იმჟამად ქარმალს ქაბულში არანაირი ოფიციალური პოსტი არ ეკავა, იგი ჩეხოსლოვაკიაში მუშაობდა ელჩად (!). ახლა კი ქარმალი ქვეყნის პრემიერ-მინისტრად და მმართველი სახალხო-დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივნად „ინიშნებოდა“.

ამგვარად, მორიგი სისხლიანი გადატრიალება ქაბულში უკვე საბჭოთა ოკუპანტებმა განახორციელეს.

მსოფლიო აღშფოთებული იყო საბჭოთა ინტერვენციის გამო. აშკარა პროტესტს გამოთქვამდნენ მოსკოვისადმი კეთილგანწყობილი მიუმხრობელი ქვეყნებიც კი, მაგალითად, ინდოეთი. აღარაფერს ვამბობთ დასავლეთის ქვეყნებზე. ერთია, როდესაც საბჭოთა ჯარი მოსკოვის გავლენის სფეროში – უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გდრ-ში „დასეირნობდა“, მაგრამ ავღანეთი ხომ ნეიტრალური ქვეყანა იყო. ვინ მიიწვია საბჭოთა ჯარი ავღანეთში? ვინ იყო ქარმალი? ვინ დანიშნა იგი პრემიერ-მინისტრად? ამ კითხვებზე არანაირი პასუხი არ იყო.

ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გრომიკომ ისე გრძლად დაიწყო სიტუაციის ახსნა, რომ ჟურნალისტთა ნაწილმა დარბაზი დატოვა. მიხვდნენ, რომ პასუხს ვერ ეღირსებოდნენ.

თავის მოგონებებში გრომიკო წერს: „გადაწყვეტილება ავღანეთში შეზღუდული საბჭოთა კონტინგენტის შეყვანის შესახებ მიღებულ იქნა მეგობარი ავღანელი ხალხისათვის ინტერნაციონალური დახმარების აღმოჩენის მიზნით, ასევე ზოგიერთი არამეგობრული სახელმწიფოს მხრიდან ანტიავღანური აქციების შესაჩერებლად“[2].

საინტერესოა, რომ გრომიკოს მიერ ნახსენები ტერმინი „შეზღუდული კონტინგენტი“ შემდგომში საბჭოთა პროპაგანდის კლიშედ იქცა. არადა, ეს „შეზღუდული“ რაოდენობა რეალურად გულისხმობდა: 5 ბრიგადას, 4 დივიზიას, სამხედრო ავიაციის 4 პოლკს, ვერტმფრენთა 3 პოლკს, ასევე მმართველობის სამსახურებს, სუკ-ისა და მესაზღვრეების სპეციალურ დანაყოფებს. მომდევნო პერიოდში ავღანეთში საბჭოთა ჯარის რაოდენობა 100 ათასამდე გაიზარდა.

ამბობენ, რომ ბრეჟნევს გულით არ უნდოდა ავღანეთში ჯარის შეყვანა, დიდხანს ყოყმანობდა, ფეხს ითრევდა. მაგრამ სამხედროებმა ბოლოს დაარწმუნეს იგი ასეთი ოპერაციის აუცილებლობაში და აღუთქვეს, რომ ყველაფერი რამდენიმე კვირაში დამთავრდებოდა[3].

ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებას პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი არ ესწრებოდა. შეიძლება, მათაც ჩემსავით გაზეთებიდან გაიგეს ეს ამბავი.

საბჭოთა ინტერვენცია ვერც რამდენიმე კვირასა და ვერც რამდენიმე თვეში დამთავრდა. იგი უფრო და უფრო დამანგრეველ მასშტაბებს იღებდა.

ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ხრუშჩოვი საბჭოთა ხალხს ჰპირდებოდა, რომ 1980 წლისათვის ისინი კომუნიზმში იცხოვრებდნენ. მოგვიანებით ხუმრობდნენ, 1980 წელს პარტიის მიერ დაპირებული კომუნიზმის ნაცვლად ოლიმპიური თამაშები გვექნებაო. მაგრამ ავღანეთის მოვლენებმა მოსკოვის ოლიმპიადაც „ჩააფლავა“. მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა მას ბოიკოტი გამოუცხადა.

მაშინ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცოდით და არც შეიძლებოდა გვცოდნოდა. კერძოდ, ის, რომ ვაშინგტონში ინტერვენციამდე 9 თვით ადრე ცდილობდნენ გაეთვალათ საბჭოთა გეგმები. უკვე 1979 წლის მარტში ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თარაქის რეჟიმის დასაცავად საბჭოთა კავშირი ავღანეთში საჯარისო ნაწილებს შეიყვანდა. მაგრამ მათი მიზანი იქნებოდა არა სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების წარმოება, არამედ სტრატეგიული ობიექტების დაცვა და სამთავრობო ჯარისათვის ლოჯისტიკური დახმარების აღმოჩენა. როგორც მოგვიანებით დადასტურდა, სამხედრო თვალსაზრისით საბჭოთა სტარტეგების მთავარი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ მათ მთლიანად თავის თავზე აიღეს საომარი მოქმედებების წარმოება და პრაქტიკულად გვერდზე გასწიეს ავღანეთის სამთავრობო შეიარაღებული ძალები. ამერიკელები ასევე სწორად ვარაუდობდნენ, რომ ავღანეთის საქმეებში სამხედრო ჩარევა დაძაბავდა მოსკოვის ურთიერთობებს მეზობელ ირანთან და პაკისტანთან, ასევე მთლიანად მუსლიმურ სამყაროსთან[4].

იმავე 1979 წლის ივლისში, პრეზიდენტ კარტერის გადაწყვეტილებით, გამოიყო მცირე თანხა – 500 ათას დოლარამდე მუჯაჰედების დასახმარებლად. ჯერ ლაპარაკი იყო მხოლოდ პროპაგანდისტულ აქციებზე. მაგრამ ორიოდე თვეში, პაკისტანის პრეზიდენტ ზია ულ-ჰაკის ზეწოლითაც, დაიწყო მუჯაჰედებისათვის იარაღის პირველი პარტიების მიწოდება.

საბჭოთა ინტერვენციის დაწყების შემდეგ აშშ-ის დახმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ავღანეთში საბჭოთა სამხედრო კამპანიის წინააღმდეგ აშშ-მა კოალიცია შექმნა საუდის არაბეთთან და პაკისტანთან, რაც სამომავლოდ გადამწყვეტი ფაქტორი იყო. აშშ-ის ადმინისტრაციაში ამ საქმეს პოლიტიკური თვალსაზრისით უმთავრესად ზბიგნევ ბჟეზინსკი* მეურვეობდა, ხოლო საიდუმლო "ოპერაცია ციკლონის" განხორციელება ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს (CIA) დაევალა[5].

დადგა ჟამი, როდესაც ვაშინგტონს სამაგიეროს გადახდა შეეძლო კრემლისათვის ვიეტნამის გამო: გახსოვთ, როგორ ხოცავდნენ ვიეტნამელები საბჭოთა იარაღით ამერიკელ ბიჭებს? ახლა იგემეთ სამაგიერო!"

"ჩვენ არ ვუბიძგებდით მოსკოვს ინტერვენციისკენ, მაგრამ არც ვეწინააღმდეგებოდით მოვლენების ასეთ განვითარებას – იგონებს ბჟეზინსკი – საბჭოთა კავშირი თვითონ ებმებოდა ავღანურ მახეში. იმავე დღეს, როცა საბჭოთა ჯარმა ავღანეთის საზღვარი გადალახა, მე პრეზიდენტ კარტერს ვაცნობე: გვეძლევა შანსი საბჭოელებს შევუქმნათ თავის ვიეტნამის ომი"[6].

1980 წლის ივნისში ავღანეთის ხუთი ოპოზიციური დაჯგუფება მუჯაჰედების ისლამურ კავშირში გაერთიანდა. ეს უკვე სერიოზული ძალა იყო.

ავღანელი მუჯაჰედებისათვის მზარდი დახმარების აღმოჩენის საქმეში განსაკუთრებული როლი აშშ-ს კონგრესმენმა ჩარლზ ნესბიტ ვილსონმა ითამაშა. მას შემდეგ, რაც 1980 წელს მან პაკისტანში მოინახულა ავღანელი ლტოლვილების ბანაკები და საბჭოთა ბომბებით დასახიჩრებული ბავშვები, კონგრესმენმა გადაწყვიტა მთელი თავისი პოლიტიკური კარიერა ამ ხალხის დასახმარებლად მიემართა. მართლაც, ვილსონის ფანატიკურმა მონდომებამ რეალური შედეგები გამოიღო და კონგრესმა მომდევნო წლებში დამატებით ასობით მილიონი დოლარი გამოუყო ავღანეთის შეიარაღებულ ოპოზიციას.

---

* აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში.

1981 წლიდან საბჭოთა არმიამ დაიწყო მასშტაბური ოპერაციების ჩატარება. განსაკუთრებით მძვინვარებდა ავიაცია. მუჯაჰედებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ იყენებდნენ ვაკუუმის ბომბებს, ნაპალმს, მძიმე არტილერიას, ათასნაირ ნაღმებს. მეზობელ პაკისტანს 3 მილიონმა ავღანელმა ლტოლვილმა შეაფარა თავი, ირანს – 1,5 მილიონმა.

საბჭოთა ოფიციალური მონაცემებით 1980 წლის მანძილზე ავღანეთში 1500-მდე საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა, 1981 წელს – 1292, ხოლო 1982 წელს – 1948. სულ ავღანეთის ომში 15 ათასამდე საბჭოთა სამხედრო დაიღუპა და ერთ მილიონამდე (!) ავღანელი. ბუნებრივია, დაღუპულ ავღანელთა აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობა იყო.

მალე ავღანეთში დაღუპული ბიჭების კუბოები საქართველოშიც ჩამოასვენეს. მშობლებს ურჩევდნენ, არ გაეხმაურებინათ ეს ამბავი.

საბჭოთა პროპაგანდა კი უმთავრესად ავღანელი მშრომელების ახალ ცხოვრებაზე და „პირველ მიღწევებზე“ საუბრობდა. სამხედრო ოპერაციებზე და მსხვერპლზე დასავლეთის „ხმებისგან“ ვიგებდით.

ავღანეთის მახე საბჭოთა კავშირის საფლავს ემსგავსებოდა.

მაინც რატომ წავიდა მოსკოვი ასეთ რისკზე? რეალურად რა მიზნებს ისახავდა ავღანეთში საბჭოთა ინტერვენცია? ნუთუ კრემლმა ამ მასშტაბის პოლიტიკური ავანტიურა მხოლოდ ფეოდალურ ქვეყანაში უტოპიური კომუნისტური იდეების გავრცელებისთვის წამოიწყო?

საბჭოთა ინტერვენციის 20 დღის თავზე CIA-მ შემდეგი სახის დასკვნები წარუდგინა პრეზიდენტ კარტერს:

– ნაკლებად სავარაუდოა, რომ ავღანეთის საბჭოთა ოკუპაცია წარმოადგენდეს პირველ ნაბიჯს დიდი გეგმისა, რომელიც მიზნად შეიძლება ისახავდეს მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სრული საბჭოთა კონტროლის დაწესებას;

– როგორც ჩანს, კრემლმა ავღანეთის ოკუპაცია აუცილებლად ჩათვალა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა საფრთხე შეუქმნა სსრკ-ის პოზიციებს;

– ამასთანავე, ოკუპაციის მიზნები სცილდება ავღანეთის საზღვრებს და გულისხმობს საბჭოთა პოზიციების გაძლიერებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში;

– ავღანეთის „მიღმა“ მიზნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს გავლენის სფეროს გავრცელება ირანში[7].

შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა ინტერვენციის მიზანი იყო ავღანეთში საბჭოთა გავლენის შენარჩუნება, ხოლო ზეამოცანა – ირანი.

სწორედ ირანში იწყებოდა 1979 წელს „დიდი თამაში“.

ირანის ისლამური რევოლუცია

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ავღანეთის ჭაობში ეფლებოდა, 1979 წელს აშშ-ის პოლიტიკამ დიდი მარცხი განიცადა: რევოლუციური მოვლენების გამო ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.

შაჰი ვაშინგტონის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლებოდა. 1953 წელს მან ძალაუფლება სწორედ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით დაიბრუნა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი პრემიერ-მინისტრი მოსადეყი პოლიტიკას ჩამოაშორეს. შაჰი მკვეთრად გამოხატულ პროამერიკულ პოლიტიკას ატარებდა, ცდილობდა ქვეყანაში დასავლური ფასეულობების დანერგვას, რითაც გავლენიანი სასულიერო პირების უკმაყოფილებას იწვევდა.

შაჰი უაღრესად ავტორიტარული მმართველი იყო. ქვეყანაში არსებობდა მხოლოდ ერთი – ეროვნული აღორძინების პარტია, რომლის წევრობა აუცილებელი იყო ნებისმიერ სფეროში წარმატების მისაღწევად. მოსახლეობას და ოპოზიციურად განწყობილ პირებს შიშის ზარს სცემდა შაჰის საიდუმლო პოლიცია „სავაქი“. იგი განსაკუთრებით კომუნისტებს არ წყალობდა. მიუხედავად ეკონომიკური ზრდის საკმაოდ კარგი მაჩვენებლებისა, რაც უმთავრესად ნავთობის მოპოვებასთან იყო დაკავშირებული, ქვეყანაში დიდი სოციალური უთანას-

წორობა და სიდუხჭირე იყო. შაჰის გარემოცვაში ძლიერი კორუფცია და ელიტარიზმი იყო გავრცელებული.

1971 წელს სპარსეთის იმპერიის დაარსების 2500 წლისთავის საზეიმო აღნიშვნისას შაჰმა 100 მილიონი დოლარი დახარჯა, რაც იმ დროს ასტრონომიული თანხა იყო. ამან ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ფაქტობრივად კრახი განიცადა შაჰის ეკონომიკურმა პროგრამამაც, ე.წ. თეთრმა რევოლუციამ. მსოფლიოში ნავთობის ფასების ზრდის მიუხედავად, ირანში მაღალი ინფლაცია „ჭამდა“ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს.

სასულიერო პირებისა და ოპოზიციურად განწყობილი წრეების განსაკუთრებულ მიუღებლობას იწვევდა დაჩქარებული ვესტერნიზაციის პოლიტიკა. ამ უძველესი ისლამური ტრადიციების ქვეყანაში დასავლური ფასეულობების მექანიკური დანერგვა ქმნიდა საყოველთაო შეგრძნებას, რომ შაჰს ირანელებისათვის საკუთარი იდენტურობის წართმევა უნდოდა;* ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ისლამში ეძებდა საკუთარი თავის დაცვასა და თვითრეალიზაციას.

სასულიერო პირების ლიდერთა შორის აიათოლა რუჰოლა ხომეინი გამოირჩეოდა, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე 1960-იან წლებში გამოვიდა. მან მკაცრად გაილაშქრა შაჰის „თეთრი რევოლუციის“ წინააღმდეგ, რომელიც სოციალურ რეფორმებსა და შიიტური სასულიერო პირებისათვის მატერიალური პრივილეგიების შეზღუდვას ითვალისწინებდა. ხომეინი მალე დააპატიმრეს, რასაც მასობრივი დემონსტრაციები და გამოსვლების დარბევა მოჰყვა.

გათავისუფლების შემდეგ ხომეინის კრიტიკის სამიზნე გახდა შაჰის თანამშრომლობა ისრაელთან და აშშ-თან. იგი კვლავ დააპატიმრეს და ერაყში გადაასახლეს, სადაც 14 წელი ცხოვრობდა. სწორედ ერაყში ჩამოაყალიბა ხომეინიმ თავისი ცნობილი რევოლუციური იდეოლოგია, რომლის ერთ-ერთი

* სხვათა შორის, მსოფლიოს ისტორიაში ირანი ერთადერთი ქვეყანა არ არის, სადაც გაუაზრებელმა ვესტერნიზაციამ საპირისპირო შედეგები გამოიღო.

დებულება უარყოფდა ორივე სუპერსახელმწიფოს – საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის გავლენას მუსლიმებზე. ანუ, ფაქტობრივად, ხომეინი განაცხადს აკეთებდა მომავალში ირანის ლიდერულ როლზე მუსლიმურ სამყაროში.

ხომეინის წიგნები ირანში სწრაფად ვრცელდებოდა, იგი უაღრესად პოპულარული ხდებოდა ფართო მასებში.

1977 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა კარტერმა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ირანის შაჰსაც მიმართა, რის შედეგად ბევრი პატიმარი გაათავისუფლეს. მაგრამ იმავე წელს „სავაქმა“ მოკლა ოპოზიციის ერთ-ერთი იდეოლოგი ალი-შარიათი, ხოლო ოქტომბერში ბინდით მოცულ ვითარებაში დაიღუპა ხომეინის შვილი მუსტაფა.

ამ მკვლელობებმა მასობრივი დემონსტრაციები გამოიწვია. 1978 წელს ქალაქ ყუმში არმიამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, 70 ადამიანი დაიღუპა. საპროტესტო ტალღა მოედო სხვა ქალაქებსაც. დემონსტრანტები წვავდნენ მდიდრულ სასტუმროებს, კინოთეატრებს, ბანკებს, ოფისებს. თავრიზში ჯართან დემონსტრანტების შეტაკების შედეგად 100-მდე ადამიანი დაიღუპა.

სექტემბერში არეულობა მთელ ქვეყანას მოედო. შაჰმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, აიკრძალა დემონსტრაციები. მიუხედავად ამისა, გამოსვლები გრძელდებოდა. განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა „შავი პარასკევი“ თეირანში, როდესაც დემონსტრანტებს სამხედრო ვერტმფრენებიდან ესროლეს.

1978 წლის 2 დეკემბერს თეირანში დემონსტრანტთა რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. მოთხოვნა ასეთი იყო – შაჰის გადადგომა და ხომეინის ირანში დაბრუნება. ამ დროისთვის ხომეინი უკვე პარიზში იმყოფებოდა, სადაც მან რევოლუციური საბჭო შექმნა.

ირანის მოვლენებს ვაშინგტონში შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს, მაგრამ რაიმე გამოსავალი ჯერ არ ჩანდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამერიკელები რაღაც დიდ გეგმას ამზადებდნენ ირანისთვის. აბა ასე იოლად ხომ არ დათმობდნენ ამხელა ქვეყანას? მდიდარი ირანელები და მათი ოჯახის

წევრები გამალებით ტოვებდნენ ქვეყანას. მონარქის მხარდასაჭერად მხოლოდ არმია და პოლიცია რჩებოდა.

1979 წლის 16 იანვარს შაჰი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. რემიერ-მინისტრმა შაჰფურ ბახთიარმა სასწრაფოდ დაიწყო დემოკრატიული რეფორმების გატარება: გააუქმა „სავაქი“, გაათავისუფლა პოლიტპატიმრები, ხალხს დაჰპირდა თავისუფალ არჩევნებს, მოიწვია ოპოზიციური პარტიები კოალიციურ მთავრობაში.

ირანი რომ რეფორმების გზით წასულიყო, ალბათ, ბევრ უბედურებას გადარჩებოდა. მაგრამ უკვე გვიან იყო: ხალხს რევოლუცია უნდოდა. ისინი კერპს ელოდნენ და, მართლაც, 1 თებერვალს ხომეინი ირანში დაბრუნდა. თეირანის აეროპორტში ათიათასობით ადამიანმა მას ფანატიკური შეხვედრა მოუწყო.

ხომეინიმ უნდობლობა გამოუცხადა ბახთიარს და პრემიერად ბაზარგანი გამოაცხადა. სამხედროები და ჯარი თანდათან ხომეინის მხარეზე გადადიოდნენ. რევოლუციურმა საბჭომ მალე დაიკავა ტელე და რადიოსადგურები, შაჰისა და მთავრობის შენობები. 11 თებერვლისათვის მთელი ძალაუფლება რევოლუციონერების ხელში იყო.

30 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ამომრჩეველთა 98%-მა ხმა მისცა ირანის ისლამურ რესპუბლიკად გარდაქმნას. შეიქმნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც ასევე 98%-მა დაუჭირა მხარი. დაიწყო შაჰის მომხრეებისა და რეჟიმის წევრთა დევნა და ფიზიკური განადგურება, რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა. ყოფილი პრემიერი ბახთიარი პარიზში მოკლეს.

ირანი რელიგიურმა ისტერიამ მოიცვა. მკაცრი შიიტური წესები მყარდებოდა ყველგან და ყველაფერში. აზიის ერთ-ერთი ყველაზე ვესტერნიზებული ქვეყანა უკან, შუა საუკუნეებს უბრუნდებოდა.

ამ საკმაოდ სწრაფად განვითარებული მოვლენების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არანაირი დიდი გეგმა აშშ-ს ირანთან დაკავშირებით არ ჰქონდა. ანტიკომუნიზმის აღმოსავლეთის ბასტიო-

ნი ხუხულასავით დაიშალა. „ახალ“ ირანში ანტიამერიკანიზმი მძვინვარებდა.

1979 წლის 4 ნოემბერს შეიარაღებული ირანელი „სტუდენტები“ აშშ-ის საელჩოში შეიჭრნენ და მძევლად 52 დიპლომატი აიყვანეს. საერთაშორისო ურთიერთობებში ამ უპრეცედენტო ტერორისტული აქტის ფორმალური მიზეზი გახლდათ აშშ-ის ადმინისტრაციის თანხმობა, მიეღოთ სამკურნალოდ ემიგრაციაში მყოფი შაჰი რეზა ფეჰლევი. „სტუდენტების“ ქმედებას მხარი დაუჭირა თვით აიათოლა ხომეინიმ, რომელიც ამერიკას „დიდ სატანად“ მიიჩნევდა. მძევალთა განთავისუფლების საფასურად „სტუდენტები“ მოითხოვდნენ, რათა აშშ-ს ბოდიში მოეხადა წლების მანძილზე ირანის შინაგან საქმეებში ჩარევისათვის, ასევე თეირანისათვის დაებრუნებინა აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ გაყინული ირანული თანხები.

დიპლომატების მძევლად აყვანა დიდი დარტყმა იყო აშშ-ის პრესტიჟისა და, განსაკუთრებით, პრეზიდენტ კარტერის ავტორიტეტისათვის. ეს უკანასკნელი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა ირანში არასწორი პოლიტიკის გატარებისა და ამ ახალ ვითარებაში უმოქმედობისათვის. აპრილში კარტერის მითითებით ამერიკელმა სამხედროებმა სცადეს დიპლომატების განთავისუფლება, მაგრამ ცუდად დაგეგმილი სპეცოპერაცია სკანდალურად დასრულდა: სპარსეთის ყურიდან საიდუმლოდ გაგზავნილი 8 ვერტმფრენიდან თეირანში დანიშნულების ადგილამდე ვერც ერთმა ვერ მიაღწია. ვერტმფრენების ერთი ნაწილი ტექნიკური მიზეზების გამო გამოეთიშა ოპერაციას, დანარჩენი კი ირანის ტერიტორიაზე ჩამოვარდა ქარიშხლის გამო. ამ მარცხსაც მსხვერპლი და დიდი სკანდალი მოჰყვა.

საბოლოოდ, ირანელებმა მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს მძევლები, რაც აშშ-ში ახალი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი აირჩიეს. მძევლები ტყვეობაში ზუსტად 444 დღე იმყოფებოდნენ. ამერიკელები იძულებული გახდნენ მათ ბანკებში გაყინული 8 მილიარდი დოლარიც ხომეინის ხელისუფლებისათვის გადაეცათ.

მოსკოვი ყოველნაირად ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ირანში აშშ-ის მარცხი, მაგრამ აიათოლა ხომე-

ინი არც საბჭოთა კავშირს სწყალობდა. ამერიკელ დიპლომატთა მძევლად აყვანის შემდეგ კრემლში არ გამორიცხავდნენ ირანში აშშ-ის სამხედრო ინტერვენციას. მოვლენების ასეთი გზით განვითარების შემთხვევაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტი სსრკ-ის სამხრეთ საზღვრებთან აღმოჩნდებოდა, რაც მოსკოვს დაუშვებლად მიაჩნდა.

აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 1980 წლის აგვისტოში მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი რეალურად განიხილავდა ირანში საკუთარი სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობას. კერძოდ, ირანში შეჭრა ორი მიმართულებით იგეგმებოდა: ამიერკავკასიიდან და შუა აზიიდან, რის შედეგადაც საბჭოთა ჯარს უნდა დაეკავებინა ქვეყნის მთელი ტერიტორია და სპარსეთის ყურემდე გასულიყო[8] („თბილ ოკეანამდე“ გასვლა რუსეთის საუკუნოვანი ოცნებაა) .

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ამ სცენარის განხორციელებას ხელი შეუშალა ავღანეთის მოვლენებმა და პრეზიდენტ კარტერის თავშეკავებულმა მოქმედებამ.

1980 წლის აგვისტოში მშობლებთან ერთად ლიკანში ვისვენებდი. ერთ მშვენიერ დღეს მიხეილ რომანივის მიერ აშენებულ სახლთან (შემდგომ სტალინის სახლი) მთავრობის რამდენიმე მანქანა გაჩერდა, რომლებსაც სამხედრო ნომრები ჰქონდათ. კორტეჟს სპეციალური კავშირგაბმულობის მანქანაც ახლდა, რაც მაშინ იშვიათობა იყო და იმაზე მიანიშნებდა, რომ სტუმარი მაღალი რანგის სამხედრო პირი გახლდათ. მართლაც, ქართველმა თანმხლებმა პირმა მამაჩემს და მე პრივატულად გაგვანდო, რომ საბჭოთა გენერალური შტაბის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარების ინსპექტირებას აწარმოებდა.

ბორჯომის ხეობის ფლორასა და ფაუნაზე ხანმოკლე საუბრის შემდეგ მამაჩემმა უცბად თემა შეცვალა და იკითხა: “მართალია, რომ ირანში საბჭოთა ჯარის შეყვანა იგეგმება?“ გენერალს სახე გაუწითლდა და ღიმილიც ერთბაშად წაეშალა: “ეჰ, ნეტავ მოგვცენ მაგის უფლება. პირველებს ქართველებს შეუშვებდით ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად...“

საბედნიეროდ საბჭოთა ჯარი ირანში არ შეიჭრა და "ისტორიული სამართლიანობის" თემაც მოიხსნა, თორემ ვინ იცის, ახლა ირანიც გადამტერებული გვეყოლებოდა.

* * *

1980 წელს კიდევ ერთ საინტერესო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ნოემბრის ერთ მშვიდ ღამეს ზბიგნევ ბჟეზინსკის ბინაში სატელეფონო ზარი გაისმა. მას სტრატეგიული მართვის ცენტრიდან აცნობეს, რომ სარადარო სისტემის მონაცემებით, 220 საბჭოთა ბირთვული რაკეტა მიემართებოდა აშშ-კენ. სანამ ამ ინფორმაციას პრეზიდენტს აცნობებდა, არსებული ინსტრუქციის თანახმად, ბჟეზინსკიმ მოითხოვა მონაცემების ოპერატიულად გადამოწმება. იმავე წუთს მან მიიღო დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საბჭოთა რაკეტების რაოდენობა 2200 (!) აღემატებოდა. ბჟეზინსკიმ ოჯახის წევრები არც კი გააღვიძა იმ ვარაუდით, რომ ნახევარ საათში მაინც ყველა უნდა დაღუპულიყო.

სანამ ბჟეზინსკი პრეზიდენტს დაურეკავდა, ზუსტად ერთი წუთით ადრე, შემოვიდა ზარი იმის თაობაზე, რომ სხვა სარადარო სისტემები არ აფიქსირებდნენ საბჭოთა შეტევას. ეს კომპიუტერის შეცდომა იყო!

ეს ფაქტი 1990-იან წლებში გახდა ცნობილი, თუმცა დღემდე უცნობია, თუ როგორ გააგრძელა ძილი ბჟეზინსკიმ იმ „პატარა შეცდომის" შემდეგ[9].

ასე რომ, თურმე მაშინაც გადავრჩით...

ბოლო „აკორდი" პოლონეთში

მუშათა და გლეხთა პარტიის საბჭოთა ლიდერებმა კარგად იცოდნენ, თუ როგორ უნდა ებრძოლათ იმპერიალისტების, კონტრრევოლუციონერების, ოპორტუნისტების, მემარცხენე და მემარჯვენე უკლონისტების, ნაციონალისტების, ფუნდამენტალისტებისა და სხვა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტების

წინააღმდეგ. მაგრამ რა უნდა ექნათ, თუკი მათ თვითონ მუშები გამოუცხადებდნენ უნდობლობას? „ხალხის მსახური“ ლიდერები განა თვით მუშების ინტერესების დამცველები არ უნდა ყოფილიყვნენ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა 1980 წლის აგვისტოში გახდა გარდაუვალი. პოლონეთის ქ. გდანსკში გემთმშენებელი მუშები იფიცებიან. იქმნება პროფკავშირი „სოლიდარობა“, რომელსაც ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა ჩაუდგება სათავეში.

შემდეგ მოვლენები ქრონოლოგიურად ასე ვითარდებოდა:

გაფიცულები ადგენენ ცნობილ 21 მოთხოვნას, რომლის დაკმაყოფილებასაც ითხოვენ ხელისუფლებისაგან.

მალე გდანსკში გაფიცულთა მოძრაობას შეუერთდა ჩეცინის გემთმშენებელი ქარხნისა და რეგიონის 250 საწარმოს მუშა.

პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება სპეციალური ოპერატიული ჯგუფი სიტუაციის დასარეგულირებლად. მალე იწყება „სოლიდარობის“ აქტივისტთა დაჭერა, მაგრამ გაფიცვა ფართოვდება – „სოლიდარობა“ აგვისტოს მეორე ნახევარში უკვე 350 საწარმოს აერთიანებს. პოლონეთის ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი მიმართავს მთავრობას, რათა დაკმაყოფილდეს გაფიცულთა მოთხოვნები, რომელთა შორის უმთავრესია „სოლიდარობის“ დამოუკიდებელ პროფკავშირად აღიარება.

მთავრობა იძულებული ხდება დაიწყოს „სოლიდარობასთან“ მოლაპარაკება, მაგრამ შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება.

საბჭოთა პოლიტბიურო ქმნის სპეციალურ კომისიას პოლონეთის მოვლენებთან დაკავშირებით. პოლონეთში განლაგებულ საბჭოთა საჯარისო ნაწილებში მზადყოფნის რეჟიმი ცხადდება.

აგვისტოს ბოლოსათვის „სოლიდარობაში“ უკვე 500-მდე საწარმოს მუშაა გაერთიანებული, მაგრამ ოფიციალურ დელეგაციასთან შეთანხმებას ვერ აღწევენ – მთავრობა უარს ამბობს „სოლიდარობის“ აღიარებაზე. შექმნილ ვითარებას განიხილავენ პოლონეთის გაერთიანებული სახალხო პარტიის

ცკ-ის პლენუმზე და იღებენ გადაწყვეტილებას გაფიცულთა პირობების დაკმაყოფილების შესახებ. 31 აგვისტოს მთავრობის წარმომადგენლები და „სოლიდარობა“ აფორმებენ ხელშეკრულებას, რომელიც ცნობს ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობას. მიღებულია გადაწყვეტილება პოლიტპატიმრების განთავისუფლების შესახებაც.

ეს დღე კომუნისტურ ბანაკში უნიკალურია – კომუნისტურმა ხელისუფლებამ, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, აღიარა მისგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მართალია, ეს მხოლოდ პროფკავშირია, მაგრამ ყველა ხვდება ამ ფაქტის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ბუნებრივია, ამას აცნობიერებენ მოსკოვშიც. „პრავდაში“ იბეჭდება პუბლიკაცია, რომელიც აფრთხილებს პოლონეთის ხელისუფლებას, თავი შეიკავოს შემდგომი დათმობებისაგან.

1980 წლის ოქტომბრისათვის „სოლიდარობა“ უკვე 5 მილიონამდე პოლონელს აერთიანებს, იგი რეალურად ქვეყნის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ძალაა.

1 დეკემბერს პოლონეთის მთავრობა იღებს ცნობას ვარშავის ხელშეკრულების წევრ-სახელმწიფოთა ჯარების გადაჯგუფების შესახებ ვარშავისა და სხვა მსხვილი ქალაქების მიმართულებით. ჩნდება ჩეხოსლოვაკიის სცენარის გამეორების რეალური საფრთხე.

გახშირებული გაფიცვების შედეგად ქვეყანაში ვითარება რთულდება. ხელისუფლება იძულებულია დააწესოს გაყიდვის ლიმიტები მთავარ საკვებ პროდუქტებზე. ეს კიდევ უფრო არაპოპულარულს ხდის კომუნისტურ რეჟიმს.

„სოლიდარობის“ უდიდეს მორალურ მხარდამჭერად პოლონელები თვლიდნენ (და ეს ასეც იყო) რომის პაპს იოანე პავლე II-ს, – პოლონელს (კაროლ ვოიტილა). საბჭოთა მედია ეწევა მწვავე პროპაგანდას „სოლიდარობისა“ და რომის პაპის წინააღმდეგ. ყველაფერს კვლავ დასავლეთის სპეცსამსახურებსა და იმპერიალისტურ წრეებს აბრალებენ.

ამ კამპანიის ფონზე 1981 წლის 13 მაისს რომში ხდება თავდასხმა იოანე პავლეზე. თურქი წარმოშობის ალი აღჯა დაპატიმრებულია. პრესაში ვრცელდება ცნობები, რომ ტერორის-

ტის უკან ბულგარეთის სპეცსამსახურები (ანუ, იგივე სუკი) დგანან. ამავე შინაარსის პუბლიკაციები იბეჭდება „სოლიდარობის“ გამოცემებში.

მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს პოლონეთში ანტისაბჭოთა პროპაგანდა. აგვისტოში საბჭოთა პოლიტბიუროს წევრებმა, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრომიკომ, სუკ-ის შეფმა ანდროპოვმა და თავდაცვის მინისტრმა უსტინოვმა ბრეჟნევს წარუდგინეს წინადადება პოლონეთის საზღვართან დამატებითი საბჭოთა საჯარისო ნაწილების გადაადგილების შესახებ. ბრეჟნევმა დოკუმენტს ასეთი რეზოლუცია დაადო: „ცოტა ხანს მოვიცადოთ“[10].

როგორც ჩანს, კრემლში ამ საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. მაგალითად, მთავარი საბჭოთა იდეოლოგი სუსლოვი მიიჩნევდა, რომ პოლონეთში ჯარის შეყვანა „კატასტროფა იქნებოდა“[11].

„სოლიდარობის“ ეროვნული ყრილობა თავმჯდომარედ ირჩევს ლეხ ვალენსას. ქვეყნდება მიმართვა აღმოსავლეთ ევროპის მშრომელებისადმი.

18 აგვისტოს პოლონეთის პარტიულ ლიდერად ინიშნება გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი, რომელიც ითავსებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას.

„სოლიდარობა“ წარუდგენს ხელისუფლებას წინადადებებს ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, ამავე დროს, მოითხოვს სასამართლო რეფორმასა და ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობას.

სექტემბრის ბოლოსათვის ვაშინგტონში დარწმუნებულები იყვნენ, რომ საბჭოთა ინტერვენცია პოლონეთში გარდაუვალი იყო. არსებული ინფორმაციით, 30 დივიზია უკვე მზად იყო ინტერვენცისათვის. ვარაუდობდნენ, რომ პოლონეთის ჯარი წინააღმდეგობას გაუწევდა ოკუპანტებს[12].

დეკემბრის დასაწყისში პრეზიდენტმა კარტერმა პირადი გაფრთხილება გაუგზავნა ბრეჟნევს იმის თაობაზე, რომ თუ კი საბჭოთა კავშირი სამხედრო გზით ჩაერეოდა პოლონეთის საქმეებში, ეს „უაღრესად უარყოფით გავლენას იქონიებდა ამერიკულ-საბჭოთა ურთიერთობებზე“. კარტერმა ასე-

ვე თხოვნით მიმართა ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, ჩინეთისა და ინდოეთის მთავრობებს, რათა მათაც გავლენა მოეხდინათ საბჭოთა ხელმძღვანელობაზე[13].

მოგვიანებით საბჭოთა წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ სამხედრო ინტერვენცია დაგეგმილი იყო 5 დეკემბრისათვის. მასში მონაწილეობა უნდა მიეღო 15 საბჭოთა, 2 ჩეხოსლოვაკიის და 1 გდრ-ის დივიზიას. რეზერვად კიდევ 9 საბჭოთა დივიზია იყო მომზადებული[14]. ასე რომ, აშშ-ის სადაზვერვო მონაცემები პრინციპში სწორი იყო. ბოლოს და ბოლოს, კრემლში დაასკვნეს, რომ პოლონეთის პრობლემა თვითონ პოლონელებს უნდა მოეგვარებინათ. ამის თაობაზე იარუზელსკიც დაითანხმეს.

1981 წლის 13 დეკემბერს იარუზელსკი აცხადებს ქვეყანაში საომარ მდგომარეობას, რაც კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული. ოპერატიულად აპატიმრებენ „სოლიდარობის“ 10 ათასამდე აქტივისტს, მათ შორის ვალენსას, რომელიც ასე მიმართავს უშიშროების თანამშრომლებს: „ეს თქვენი დამარცხების დასაწყისია“. ითიშება სატელეფონო კავშირი, რადიო, ტელევიზია, იზღუდება მოქალაქეთა უფლებები, შეჩერებულია ყველა პროფესიული კავშირის საქმიანობა. ფაქტობრივად ეს სამხედრო გადატრიალებაა. პოლონელები მწარედ ხუმრობენ, რომ იწყება გენერალ იარუზელსკის ომი პოლონეთის წინააღმდეგ. „სოლიდარობა“ იწყებს გაფიცვებს, მაგრამ ჯარი მკაცრ ზომებს მიმართავს.

იარუზელსკის ამ ნაბიჯზე დღემდე ბევრს დაობენ. არა მარტო დაობენ, არამედ დღესაც – 2009 წელს დემოკრატიულ პოლონეთში მიმდინარეობს სასამართლო პროცესები 80 წლის გენერლის წინააღმდეგ: ვინ არის იარუზელსკი – მოღალატე თუ ქვეყნის გადამრჩენელი? ბევრი მიიჩნევს, რომ გენერალმა ღალატი ჩაიდინა და საკუთარ ხალხს დაუპირისპირდა. მეორე ნაწილი თვლის, რომ საომარი მდგომარეობის ალტერნატივა საბჭოთა ინტერვენცია იყო. აკი ბრეჟნევმა პირდაპირ განაცხადა კომპარტიის ყრილობაზე, რომ საბჭოთა კავშირი „მოძმე პოლონეთს გასაჭირში არ მიატოვებდა“.

გასათვალისწინებელია, რომ პოლონეთის არმიაში ტრადიციულად ძლიერი პატრიოტული განწყობილება სუფევდა. პოლონელ სამხედროებს კარგად ახსოვდათ 1940 წელს სტალინის ბრძანებით კატინის ტყეში 15 ათასი პოლონელი ოფიცრის დახვრეტა. ამიტომ საბჭოთა ჯართან სავარაუდო დაპირისპირებას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. საბჭოთა ჯართან ერთად პოლონეთის „დასახმარებლად“ მზად იყვნენ სხვა სოციალისტური ქვეყნებიც, მათ შორის - გდრ. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა მოგონებებსა და ემოციებს გამოიწვევდა პოლონეთში გერმანელი ჯარისკაცების გამოჩენა.

გამოგიტყდებით და ჩემი აზრიც ასეთია: იარუზელსკიმ ცუდი ვარიანტი არჩია უარესს და პოლონეთი კატასტროფას გადაარჩინა.

1983 წელს საომარი მდგომარეობა პოლონეთში ფორმალურად გააუქმეს, მაგრამ გამკაცრებული კანონები რეპრესიების გაგრძელების საშუალებას იძლეოდა.

მიუხედავად ამისა, „სოლიდარობა“ იატაკქვეშეთში აგრძელებდა მოქმედებას. არალეგალურად გამოდიოდა სხვადასხვა გამოცემები, ტარდებოდა შეხვედრები, საუნივერსიტეტო და ინტელექტუალთა წრეებში გრძელდებოდა დისკუსიები. საპროტესტო მოძრაობას ძლიერად უჭერდა მხარს კათოლიკური ეკლესია. საზოგადოების მობილიზებისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულა 1983 და 1987 წლებში იოანე პავლეს ვიზიტებმა პოლონეთში.

1984 წელს პოლიციის აგენტებმა მხეცურად მოკლეს კათოლიკური ეკლესიის მსახური იეჟი პოპელუშკო. იგი რწმენისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად შერაცხეს პოლონელებმა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნები ღიად უჭერდნენ მხარს „სოლიდარობას“. საომარი მდგომარეობის შემოღების შემდეგ აშშ-მა პოლონეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა. 1983 წელს ვალენსას ნობელის პრემია მიენიჭა.

იარუზელსკისა და პოლონეთს შორის ომი 1988 წლამდე გაგრძელდა.

***

პოლონეთის მოვლენებმა საბოლოოდ გამოააშკარავა კომუნისტური რეჟიმების სრული დეგრადაცია. ხელისუფლებას არ შესწევდა არანაირი უნარი საკუთარ ხალხთან საუბრისა, გონიერი კომპრომისისა. საზოგადოების ნებისმიერ პროტესტს უპირისპირდებოდა მხოლოდ ერთი ლოგიკა – ძალა. დეგრადაცია კრემლიდან მოდიოდა. გადაბერებული უმაღლესი ხელმძღვანელობა ალღოს ვერ უღებდა თანამედროვეობას და სადღაც, ვირტუალურ რეალობაში ცხოვრობდა.

1980-იან წლებში ესპანეთში ვმსახურობდი დიპლომატად. ერთ დღეს საელჩოში გამოგვიცხადეს, რომ მადრიდში ვიზიტად მყოფ პოლიტბიუროს წევრს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბორის პონომარიოვს შეხვედრა სურდა დიპლომატებთან. პონომარიოვი საერთაშორისო ურთიერთობებს კურირებდა, ამიტომ მისი მოსაზრებები საინტერესოდ გვეჩვენებოდა.

ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მაღალმა სტუმარმა „პრავდის“ ენით დაგვიწყო და დაგვიმთავრა საუბარი. არც ერთი საინტერესო აზრი, ახალი ინფორმაცია, საჭირო ანალიზი ან საგულისხმო რჩევა. მხოლოდ ტრაფარეტული სიტყვები და ლოზუნგები.

არადა, რა ახალი აზრი უნდა გასჩენოდათ ფიზიკურად მძიმედ დაავადებულ პოლიტბიუროს წევრებს? მათ ხომ კარგა ხანია უკან მოიტოვეს საპენსიო ასაკი. და მაინც ძალაუფლებასა და ერთმანეთს ეპოტინებოდნენ.

საბჭოთა სტაგნაციის პარალელურად მეზობელ ჩინეთში უაღრესად საინტერესო რეფორმები იწყებოდა. ქვეყნის ახალმა გენიალურმა ლიდერმა დენ სიაოპინმა 1978 წლიდან კარი გაუხსნა საჯარო დებატებს და ლიბერალურ გარდაქმნებს ეკონომიკაში. დენმა მოუწოდა კომუნისტურ პარტიას, მხარი აება ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ახალი იდეებისათვის. მან უარი განაცხადა იდეოლოგიურ კლიშეებზე: „რა მნიშვნელობა აქვს კატის ფერს? მთავარია მან თაგვები დაიჭიროს“. ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყეს უცხოეთიდან სპეციალისტების მოწვევა, სტუდენტების გაგზავნა დასავლეთში.

მალე ქვეყანაში რეფორმების პირველი შედეგები იგრძნეს. მაო ძედუნის დროს რადიკალიზმით დაავადებული ჩინეთი ახლა დინამიური ქვეყანა ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ დენ სიაოპინის მმართველობის პერიოდში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 3-ჯერ გაიზარდა, შიდა ეროვნული პროდუქტი – 4-ჯერ, ხოლო ექსპორტის მოცულობა – 10-ჯერ![15] ბრეჟნევის საბჭოთა კავშირი კი კვლავ „ტლაპოს ზელდა“.

***

1982 წლის 10 ნოემბერს საბჭოთა ტელევიზია მთელი დღის მანძილზე „გედების ტბას“ გვიჩვენებდა. მივხვდით, კრემლში რაღაც მოხდა. და მართლაც, საბოლოოდ გაგვანდეს, რომ გარდაიცვალა ლეონიდ ბრეჟნევი. იგი 20 წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას. ამ პერიოდში აშშ-ში 4 პრეზიდენტი გამოიცვალა,

კომპარტიის პირველი პირი გახდა იური ანდროპოვი. იგი წლების მანძილზე სუკ-ის თავმჯდომარე იყო, 1956 წლის უნგრეთის მოვლენების დროს კი – საბჭოთა ელჩი ბუდაპეშტში.

ბუნებრივია, რომ ანდროპოვი საბჭოთა ხელმძღვანელებს შორის ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული ქვეყანასა და მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ. იგი დასავლეთისათვის გაცილებით უფრო ძლიერი ოპონენტი იყო, ვიდრე ბრეჟნევი და ხრუშჩოვი. მაგრამ ახალ საბჭოთა ლიდერს თირკმელების სერიოზული დაავადება ჰქონდა, რამაც იგი მალე გამოიყვანა მწყობრიდან.

ამბობდნენ, რომ ანდროპოვს უყვარდა ლიტერატურა, ჯაზი. მიუხედავად ანდროპოვის ჩეკისტური ბიოგრაფიისა, საზოგადოებაში იყო განცდა, რომ ახალი ლიდერი რაღაცას შეცვლიდა უკეთესობისკენ.

მაგრამ დასავლეთში სპეციალისტები სხვანაირად ფიქრობდნენ. მაგალითად, CIA-ს მიერ მომზადებულ ანალიტიკურ მასალაში ასეთი დასკვნა კეთდებოდა: „განმუხტვის პოლიტიკამ და დისციპლინის საყოველთაო მოშლამ საბჭოთა საზოგადოებაში გაამწვავა კრიტიკული განწყობილება სისტემისა და რეჟიმის მიმართ. ამ ვითარებაში რეფორმების დაწყება აუცილებლად კრახით დამთავრდება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყ-

ნებში ექსპერიმენტები დასაშვებია, რადგან, თუკი სიტუაცია უმართავი გახდება, საბჭოთა ჯარი ყოველთვის მზადაა კონტროლის აღსადგენად. მაგრამ, თუ თვით საბჭოთა კავშირში გახდება პროცესები უმართავი, მაშინ კომპარტიის დამცველი აღარავინ იქნება“[16].

ალბათ, ეს ჭეშმარიტება ანდროპოვმაც იცოდა, რადგან მისი ინიციატივით პარტიულმა აპარატმა დაიწყო მუშაობა ქვეყანაში საყოველთაო დისციპლინის გასაძლიერებლად. გამკაცრდა კონტროლი უწყებებსა და ორგანიზაციებში, ქუჩებშიც კი დაიწყეს გამვლელ-გამომვლელების შემოწმება (განსაკუთრებით რუსეთის ქალაქებში).

ანდროპოვმა დაპატიმრება დაუპირა ბრეჟნევის მარჯვენა ხელს – შინაგან საქმეთა მინისტრს შჩოლოკოვს. მინისტრმა თავი მოიკლა. თავი მოიკლა სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილემ, ასევე ბრეჟნევის უახლოესმა მეგობარმა ცვიგუნმაც.

საერთაშორისო ასპარეზზე ანდროპოვს რაიმე საინტერესო ნაბიჯი არ გადაუდგამს. გრძელდებოდა ომი ავღანეთში, რევოლუციონერების შეაიარაღება ანგოლაში, ეთიოპიასა თუ ნიკარაგუაში, პოლონეთში კი – ფაქტობრივი საომარი მდგომარეობა. მოკლედ, ამ მხრივ ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. ეს ძველ-ახალი ვითარება საბჭოთა ანეკდოტებშიც აისახა. მაგალითად, “კითხვა-პასუხი პარტიული პროპაგანდისტული ბროშურიდან“:

– რომელი ქვეყანაა მსოფლიოში ყველაზე აგრესიული?

– ამერიკის შეერთებული შტატები.

– რატომ?

– იმიტომ რომ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეებში ერევა ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში.

– რომელია მსოფლიოში ყველაზე დამოუკიდებელი ქვეყანა?

– მადაგასკარი. მასზე არაფერია დამოკიდებული

– მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა?

– ავღანეთი. იგი საკუთარ შინაგან საქმეებშიც კი არ ერევა.

1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა მედიამ უცნაური ამბავი გვამცნო: სამხრეთ კორეულმა სამგზავრო თვითმფრინავმა

„ბოინგმა“ დაარღვია საერთაშორისო ნავიგაციის წესები და შორეული აღმოსავლეთის რეგიონში საბჭოთა სივრცეში შემოფრინდა, ხოლო საბჭოთა გამანადგურებლის „გამაფრთხილებელი გასროლის“ შემდეგ თვითმფრინავმა საჰაერო სივრცე „დატოვა უცნობი მიმართულებით“.

რამდენიმე საათში გაირკვა, რომ ეს უსინდისო ტყუილი იყო. სინამდვილეში სარაკეტო დარტყმით სამოქალაქო თვითმფრინავი ოკეანის თავზე ჩამოაგდეს. დაიღუპა 269 ადამიანი.

ამ ვანდალიზმს მსოფლიოში უძლიერესი რეაქცია მოჰყვა. მოსკოვი ჯერ უტიფრად უარყოფდა თვითმფრინავის ჩამოგდებას, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა ეღიარებინა იგი. ახლა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ჩამოგდებული „ბოინგი“ სადაზვერვო მისიას ასრულებდა და ყველაფერი ეს ამერიკელების მიერ ინსპირირებული იყო.

ეს შემზარავი ისტორია ანდროპოვის ეპოქის „საფირმო“ ნიშანია.

1990-იან წლებში გაირკვა, რომ საბჭოთა სამხედროებს სამოქალაქო „ბოინგი“ ამერიკულ მზვერავ თვითმფრინავში შეეშალათ.

1984 წლის 9 თებერვალს ტელეეკრანებზე კვლავ გედები გამოჩნდნენ: გარდაიცვალა ანდროპოვი.

გენერალურ მდივნად კონსტანტინე ჩერნენკო, ყოვლად უსახური ჩინოვნიკი დაინიშნა. ჩერნენკომ თავი მხოლოდ იმით დაგვამახსოვრა, რომ საშინელი ასთმა ჰქონდა.

სულ მალე, უკვე მერამდენედ, კვლავ ვიხილეთ “გედების ტბა“: გარდაიცვალა ჩერნენკო.

როგორც შემდგომ გაირკვა, პოლიტბიუროს სხდომაზე ახალი გენერალური მდივნის კანდიდატურის განხილვისას ინიციატივა გრომიკომ გამოიჩინა. მან განაცხადა, რომ არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ახალგაზრდა და ენერგიული პოლიტიკური მოღვაწის სასარგებლოდ.

1985 წლის 11 მარტს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად მიხეილ გორბაჩოვი აირჩიეს.

VII. საბჭოთა „პერესტროიკის“ თანაავტორი რონალდ რეიგანი

გორბაჩოვის პირველმა სატელევიზიო გამოსვლებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩვენს მეხსიერებაში ეს იყო პირველი საბჭოთა ლიდერი, რომელსაც რკინაბეტონის გამომეტყველება არ ჰქონდა და ადამიანური ენით დაგველაპარაკა. იგი მეტყველებდა იმპროვიზებულად, არასტანდარტულად, ლოზუნგებისა და კლიშეების გარეშე.

სანამ ტერმინი „პერესტროიკა“ გაჩნდებოდა, გორბაჩოვმა ჯერ ქვეყნის განვითარების დაჩქარებაზე გააკეთა აქცენტი. იგი ღიად ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირი ბევრი მიმართულებით ჩამორჩებოდა თანამედროვე მოთხოვნებს, ამიტომ უფრო სწრაფად უნდა გვევლო წინ. მაგრამ როგორ?

აი, ეს „როგორ“ ჯერ უცნობი იყო. ამის გასარკვევად გორბაჩოვმა საზოგადოებას „გლასნოსტი“, ანუ საჯაროობა შესთავაზა. უნდა დაწყებულიყო დისკუსიები სწორი გზის გასაკვლევად. დისკუსიები საკმაოდ სწრაფად მოედო საზოგადოების ყველა ფენას და რაღაც ეტაპზე ნათელი გახდა, რომ განვითარების დაჩქარება საკმარისი არ იყო. საბჭოთა სისტემას ძირეული რეფორმა ჭირდებოდა.

მოკლე ხანში გაჩნდა ახალი ცნება – „პერესტროიკა“, ანუ გარდაქმნა. მისი მთავარი არქიტექტორი გორბაჩოვი იყო. საბჭოთა ლიდერის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა, განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეებში. მომსახურების სფეროში გაჩნდა კერძო მეწარმეობის პირველი მერცხალი - კოოპერატივები.

გარდაქმნის აუცილებლობა, უწინარესად, ქვეყნის შინაგანმა პრობლემებმა განაპირობა. ეს გახლდათ ღრმა ეკონომიკური კრიზისი, კომუნისტური იდეოლოგიის სრული ეროზია,

დისციპლინის საყოველთაო მოშლა, დამანგრეველი კორუფცია და სხვ. საერთაშორისო თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი გამოუსწორებლად იყო შელახული, საბჭოთა იმპერია და მისი გავლენის სფეროები კი მოდებული უკიდეგანო სივრცეს, რომლის მოვლა-პატრონობის რესურსები აღარ არსებობდა. უდიდესი თანხები იხარჯებოდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში სატელიტური რეჟიმების დაფინანსებაზე. მხოლოდ ფიდელ კასტროს კუბას ყოველწლიურად 5-7 მილიარდი დოლარი სჭირდებოდა საბჭოთა ბიუჯეტიდან დოტაციის სახით. საბჭოთა ბიუჯეტს სამხედრო ხარჯები აშშ-თან შედარებით სამჯერ მეტ ტვირთად აწვებოდა, მაშინ როცა სსრკ-ის შიდა ეროვნული პროდუქტი აშშ-ის მხოლოდ ერთი მეექვსედი იყო[1]. საბჭოთა არმია კი 5,4 მილიონ (!) სამხედროს ითვლიდა.

მიუხედავად ზესახელმწიფოს სტატუსისა და ამბიციისა, სსრკ მაინც ჩამორჩენილ ქვეყნად რჩებოდა, სადაც მოდერნიზაციის არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური რესურსები აღარ არსებობდა.

საბჭოთა ეკონომიკას განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა გორბაჩოვის მიერ 1985 წელს წამოწყებულმა ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ, რის შედეგადაც ამ სასმელების წარმოება და რეალიზაცია ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა. მალე გაირკვა, რომ სწორედ ეს პროდუქცია იყო საბჭოთა ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო, ანუ საბჭოთა ეკონომიკა გარკვეულწილად ალკოჰოლიზმის ხარჯზე ფინანსდებოდა. ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების შემცირებამ არა მარტო ბიუჯეტი დააზარალა, არამედ საბჭოთა მოქალაქეთა ჯანმრთელობაც. რუსეთის ქალაქებსა და პროვინციებში მასობრივად დაიწყეს კუსტარულად არყის გამოხდა. გარდა ამისა, სვამდნენ ოდეკოლონებს, სამედიცინო და ტექნიკურ სპირტს, გადადუღებულ ფეხსაცმლის კრემსა და ვინ იცის კიდევ რას. საბედნიეროდ, საქართველო ამ შიზოფრენიას გადაურჩა.

ყოველივე ამასთან ერთად, 1980-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა ახალი ფაქტორი, რამაც პროცესები საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად დააჩქარა. ეს გახლდათ აშშ-ის რიგით მე-40 პრეზიდენტი რონალდ რეიგანი.

აშშ-ის 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლმა უძლიერესი პროპაგანდისტული შეტევა მიიტანა რეიგანზე. ჰოლივუდის ყოფილ კინოვარსკვლავს გვიხატავდნენ როგორც უპასუხისმგებლო და აგრესიულ კოვბოის, რომელსაც ხელი სულ იარაღისკენ გაურბოდა. კრემლისათვის ცნობილი იყო რეიგანის უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისა და განმუხტვის პოლიტიკის მიმართ. იცოდნენ, რომ რეიგანი, მისივე სიტყვებით, „თავზე თმებს არ დაიპუტავდა, თუკი განმუხტვა გარდაიცვლებოდა“[2].

რეიგანი ღრმად მოაზროვნე ინტელექტუალი არასდროს ყოფილა, მაგრამ იგი ზუსტად აცნობიერებდა, რომ ცოცხალმკვდარ მდგომარეობაში განმუხტვის შენარჩუნება მხოლოდ გაახანგრძლივებდა „ცივ ომს“. ამიტომ მან გადაწყვიტა შეეცვალა არა საბჭოთა პოლიტიკა, არამედ თვით საბჭოთა კავშირი.

თუმცა თავისი პრეზიდენტობის პირველ წლებში რეიგანი მაინც ცდილობდა მოსკოვთან დიალოგის გამართვას. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ პირადი ურთიერთობის საშუალებით იგი შეძლებდა ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობებში გარდატეხის შეტანას. სოლიდური ურთიერთობის დამყარება მან ვერც ბერჟნევთან, ვერც ანდროპოვთან და ვერც ჩერნენკოსთან ვერ შეძლო, რადგან საბჭოთა ლიდერები ერთიმეორის მიყოლებით გარდაიცვალნენ. რეიგანს ამის თაობაზე ირონიულად უთქვამს კიდეც, „აბა, რა ჩემი ბრალია, თუ ისინი ჩემს ირგვლივ თვითონ კვდებიანო“[3].

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რეიგანმა მისი წინამორბედი კარტერის მიერ შემოღებული ემბარგოც კი გააუქმა სსრკ-თვის ხორბლის მიყიდვის თაობაზე, მაგრამ ის თვლიდა, რომ დასავლეთი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე არანაირად არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. სწორედ ამიტომ იგი დაბეჯითებით არ ურჩევდა ევროპელ პარტნიორებს დათანხმებულიყვნენ გაზსადენის მშენებლობაზე საბჭოთა კავშირიდან ევროპის მიმართულებით*.

---

* ნეტავ, რანაირი იქნებოდა მსოფლიო დღეს, ევროპელებს რეიგანისათვის რომ დაეჯერებინათ?

რეიგანი მალე დარწმუნდა, რომ მეგობრული უვერტიურები მოსკოვის მისამართით დროის კარგვა იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, პრეზიდენტზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა CIA-ს მიერ 1981 წელს მომზადებულმა ინფორმაციამ საბჭოთა კავშირის ურთიერთობების შესახებ ტერორისტულ ორგანიზაციებთან. მასალაში მოყვანილი იყო დამაჯერებელი ფაქტები იმის შესახებ, რომ სსრკ, პირდაპირი ან ირიბი გზით, უჭერდა მხარს სეპარატისტული თუ სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ჯგუფების ძალადობრივ საქმიანობას. ამ კონტექსტში დასახელებული იყო, კერძოდ, კუბა, აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, სამხრეთ იემენი, ლიბია, ასევე სალვადორი ცენტრალურ ამერიკაში. აღინიშნებოდა, რომ სუკ-ის, გრუ-სა და გენერალური შტაბის მე-19 სამმართველო მიზანმიმართულად ამზადებდნენ პალესტინელების, სამხრეთ ამერიკელებისა და აფრიკელების რევოლუციურ ჯგუფებს, აწვდიდნენ მათ იარაღს, უწევდნენ სხვადასხვა სახის დახმარებას. საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა ჰქონდათ ასევე მარგინალურ ტერორისტულ ჯგუფებს დასავლეთ ევროპაში, მათ შორის ბაადენ-მაინჰოფს გერმანიაში, წითელ ბრიგადებს იტალიაში და ე. წ. წითელ არმიას იაპონიაში[4].

იკვეთებოდა საბჭოთა სპეცსამსახურების შესაძლო როლიც რომის პაპის იოანე პავლეს მკვლელობის მცდელობაში*.

რეიგანის დავალებით იწყება უსაფრთხოების ახალი დოქტრინის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ექსპანსიონიზმის არა მხოლოდ შეჩერებას, არამედ მის უკუქცევას. რეიგანი იღებს გადაწყვეტილებას მკაცრი პასუხი გასცეს საბჭოთა გამოწვევას ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

პრეზიდენტი არწმუნებს კონგრესს, რომ საჭიროა ავღანელი მუჯაჰედებისათვის დახმარების გაზრდა. მალე მუჯაჰედები მზარდ წინააღმდეგობას გაუწევენ საბჭოთა ჯარს. მათ

---

* ეს ფაქტი დღემდე „ცივი ომის“ ბოლომდე ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩება.

გაუჩნდებათ „სტინგერები“, რომლებიც შიშის ზარს სცემენ საბჭოთა სამხედრო ავიაციას.

1983 წლის მარტში აშშ-მა სამხედრო ინტერვენცია განახორციელა კარიბის კუნძულ გრენადაზე, სადაც შეიარაღებული გადატრიალების გზით 1979 წელს ხელისუფლებაში მორის ბიშოფის მარქსისტული მთავრობა მოვიდა. ამ პაწაწინა კუნძულზე, რომლის მოსახლეობა სულ 90 ათასია, საბჭოთა, ბულგარელმა, ჩრდილო კორეელმა სპეციალისტებმა დაიწყეს სამხედრო-საჰაერო ბაზის მშენებლობა. 1983 წლისათვის გრენადაში 700-მდე კუბელი სამხედრო პირი იმყოფებოდა.

გრენადაში აშშ-ის ინტერვენცია მკაცრად გააკრიტიკეს არა მხოლოდ საბჭოთა ბანაკის ქვეყნებმა, არამედ მოკავშირეებმაც, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა და კანადამ. მიუხედავად ამისა, რეიგანი კვლავ ადასტურებდა თავის პოლიტიკურ ნებას, არ დაეშვა კომუნიზმის შემდგომი გავრცელება.

აშშ-ის დახმარებით გაძლიერდა ნიკარაგუის მარქსისტული რეჟიმის შეიარაღებული ოპოზიცია. საბოლოოდ მათ აიძულეს ხელისუფლება ჩაეტარებინა თავისუფალი არჩევნები და გაიმარჯვეს კიდეც. ვაშინგტონის დახმარებით ანგოლაში გაძლიერდა ოპოზიციური „უნიტა“, რამდენიმე წლის შემდეგ კი დაიწყება კუბის სამხედრო ნაწილების გაყვანა ამ ქვეყნიდან.

1983 წლის აპრილში დასავლეთ ბერლინში ტერორისტებმა დისკოთეკა ააფეთქეს, რის შედეგადაც ამერიკელი სამხედროები დაიღუპნენ. აშშ-ს სპეცსამსახურებმა დაადგინეს, რომ ამის უკან ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი იდგა. პრეზიდენტ რეიგანის განკარგულებით რამდენიმე დღეში აშშ-მა სარაკეტო დარტმებით გაანადგურა ლიბიის სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის კადაფის რეზიდენცია. ამ ინციდენტსაც ბევრი კრიტიკა მოჰყვა მსოფლიოში რეიგანის მისამართით.

რეიგანის დოქტრინას იდეოლოგიური მიზანმიმართულება სჭირდებოდა, რაც აშკარად გამოიკვეთა მის მიერ 1982 წელს ინგლისის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში. პრეზიდენტის გამოსვლა, თავისი სულისკვეთებითა და ჟღერადობით, ეხმიანებოდა ჩერჩილის 1946 წლის ცნობილ „ფულტონის სიტყვას“, რომლითაც დიდმა ბრიტანელმა პოლიტიკოსმა

გააფრთხილა მსოფლიო საბჭოთა საფრთხისა და ევროპაში „რკინის ფარდის“ შესახებ. ახლა კი რეიგანი აგრძელებდა ჩერჩილის საქმეს: „კარლ მარქსი სწორი იყო. ჩვენ მართლაც მოწმენი ვართ დიდი რევოლუციური კრიზისისა. მაგრამ კრიზისს ადგილი აქვს არა კაპიტალისტურ დასავლეთში, არამედ საბჭოთა კავშირში, ქვეყანაში, რომელიც ისტორიის დინების წინააღმდეგ მიდის, უარყოფს ადამიანის თავისუფლებასა და ღირსებას, ამასთანავე ვერ კვებავს თავის მოქალაქეებს“[5].

იმავე 1983 წელს რეიგანი სიტყვით გამოვიდა ევანგელისტთა ეროვნულ ასოციაციაში და საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა.

რეიგანის ახალ ტერმინს საბჭოთა კავშირში არნახული აურზაური მოჰყვა. კონტრშეტევისათვის საბჭოთა მედიამ აამოქმედა მთელი თავისი რესურსები. პარალელებს ავლებდნენ გებელსის პროპაგანდასთან, გვაშინებდნენ მზის დაბნელებით, წყალდიდობებით, აპოკალიფსით. მაგრამ რეიგანს გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა – აშშ იწყებდა ფრონტალურ შეტევას საბჭოთა იმპერიაზე.

შეტევის მთავარ მიმართულებად რეიგანმა აშშ-ის სამხედრო პოტენციალის თვისებრივი გაძლიერება შეარჩია. პრეზიდენტის ინიციატივით კონგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ხარჯები. 1985 წლისათვის პენტაგონის ბიუჯეტი 1980 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. რეიგანმა განაახლა პრეზიდენტ კარტერის პერიოდში შეჩერებული პროექტები ე.წ. ძლიერი რადიაციის („ნეიტრონის ბომბი“) იარაღისა და ახალი „B-1“ ბომბდამშენის შესაქმნელად. დაიწყო მუშაობა „MX“ ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტაზე.

რეიგანმა ფაქტობრივად შეაჩერებინა SALT II ხელშეკრულების რატიფიკაცია ამერიკის კონგრესში და აქცენტი სსრკ-თან სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებათა დაწყებაზე (START) გადაიტანა. კრემლში დაასკვნეს, რომ რეიგანი საერთოდ უარს ამბობდა შეიარაღების კონტროლის პროცესზე.

რეიგანმა შესთავაზა მოსკოვს ე.წ. ნულოვანი ვარიანტი, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირს უნდა დაეშალა თავისი

ცნობილი SS-20 ტიპის რაკეტები, ხოლო აშშ საპასუხოდ უარს იტყოდა დასავლეთ ევროპაში „პერშინგის“ საშუალო რადიუსის რაკეტების განთავსებაზე. კრემლმა ამ შეთავაზებას მკვახე უარით უპასუხა, რადგან, მისი გათვლით, რეიგანი ვირტუალურ რაკეტებზე ამბობდა უარს, SS-20 კი რეალობა იყო.

რეიგანმა მიიღო გადაწყვეტილება საშუალო რადიუსის რაკეტების დასავლეთ ევროპაში განლაგებაზე და ამასთან დაკავშირებით ევროპის ლიდერებთან დაიწყო კონსულტაციები. ამ გეგმამ ევროპელების დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ანდროპოვმა დაუფარავად გააფრთხილა გფრ-ის კანცლერი ჰელმუტ კოლი, რომ, თუკი იგი მიიღებდა ამერიკელების ინიციატივას, საბჭოთა კავშირის მხრიდან „სამხედრო საფრთხე დასავლეთ გერმანიის მიმართულებით მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა“[6]. ასეთმა პერსპექტივამ გერმანიაში იმდენად წინააღმდეგობრივი ემოციები გამოიწვია, რომ სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი საერთოდ ნატოდან გასვლაზეც კი ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ბუნდესტაგმა 1983 წლის 22 ნოემბერს თანხმობა განაცხადა ქვეყნის ტერიტორიაზე რაკეტები განეთავსებინა.

ამერიკელების ამ ინიციატივას ძლიერი მხარდამჭერი აღმოუჩნდა საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის სახით, რაც ვაშინგტონისათვის საკმაოდ დიდი მოულოდნელობა იყო. ფრანგების ორიგინალობა დე გოლის პერიოდში იქ კარგად ახსოვდათ.

რეიგანის მთავარი სტრატეგიული მოკავშირე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი მარგარეტ ტეტჩერი გახლდათ. მკაცრმა, პრინციპულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ტეტჩერს „რკინის ლედის“ რეპუტაცია შესძინა. საბჭოთა კავშირის მიმართ პრემიერის დაუნდობელი გამონათქვამები კრემლში აღშფოთებას იწვევდა. ტეტჩერის მთავრობამ, ერთ-ერთმა პირველმა, მისცა თანხმობა აშშ-ს „პერშინგების“ დიდ ბრიტანეთში განლაგებაზე.

1982 წლის აპრილში არგენტინის სამხედრო ხუნტამ ჯარი გადასხა ფოლკლენდის კუნძულებზე, რომლებიც დიდ ბრიტანეთთან სადავო ტერიტორიად ითვლებოდა ატლანტიკის ოკე-

ანეში. ბრიტანეთის საზღვაო-სამხედრო ფლოტმა სულ რამდენიმე დღეში სასტიკად დაამარცხა რიცხობრივად უპირატესი არგენტინის ჯარი. ეს გამარჯვებაც ტეტჩერისა და მისი „უფროსი ძმის“ - რეიგანის წარმატებად აღიქვეს მსოფლიოში.

ვაშინგტონის გამალებული შეიარაღების ინიციატივათა საპასუხოდ მოსკოვმა მწვავე გადაწყვეტილება მიიღო – 1983 წლის 22 ნოემბერს საბჭოთა კავშირმა დატოვა აშშ-თან შეიარაღების კონტროლის თაობაზე მოლაპარაკების პროცესი.

საბჭოთა კავშირისადმი მკაცრი მიდგომა ფორმალურ დეტალებშიც გამოჩნდა. მაგალითად, სსრკ-ის ლეგენდარული ელჩი ვაშინგტონში ანატოლი დობრინინი (მან ამერიკის 6 პრეზიდენტი „გამოიცვალა“) ათეული წლების მანძილზე განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა: პირდაპირი ტელეფონი სახელმწიფო მდივანთან, ცალკე შესასვლელი სახელმწიფო დეპარტამენტში. ელჩს ეს პრივილეგიები ჩამოართვეს[7].

რეიგანი, როგორც ყოფილი მსახიობი, ისე ღრმად შეიჭრა როლში, რომ ყველაზე რადიკალი ამერიკელებიც გააკვირვა. ერთ-ერთი რადიოგადაცემის დაწყების წინ ოპერატორმა მას რამდენიმე სიტყვის თქმა სთხოვა ხმის შესამოწმებლად. „ახლახანს მე გავეცი განკარგულება, რათა 5 წუთის შემდეგ დაიწყოს რუსეთის დაბომბვა“ – არხეინად ჩაილაპარაკა მან. აღმოჩნდა, რომ ეთერი ჩართული იყო და პრეზიდენტს მთელი ამერიკა უსმენდა. კრემლის პროპაგანდამ საბჭოთა კავშირში აკრძალულ ფროიდის თეორიასაც მოუხმო და გვიმტკიცებდა, რომ ქვეცნობიერად რეიგანი სულ ჩვენს განადგურებაზე ოცნებობდა.

მაგრამ კრემლს წინ ელოდა რეიგანის ყველაზე დიდი სიურპრიზი. ეს იყო სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (SDI). იგი გულისხმობდა კოსმოსურ სივრცეში ისეთი თავდაცვითი სისტემების დაყენებას, რომლებიც ჰაერში გაანადგურებდნენ მოწინააღმდეგის ბალისტიკურ რაკეტებს, ანუ ამერიკელები იწყებდნენ ფიქრს ისეთი კოსმოსური „ფარის“ შექმნაზე, რომელიც არაეფექტურს გახდიდა ნებისმიერ „ხანჯალს“, რაოდენ დიდიც უნდა ყოფილიყო ის. ასეთი ორიგინალური ტექნოლო-

გიური მიკვლევით ინგრეოდა საბჭოთა კავშირის ისტორიული მონაპოვარი – სტრატეგიული პარიტეტი ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მოსკოვი ნამდვილმა პანიკამ მოიცვა. ნათელი ხდებოდა, რომ საბჭოთა კავშირს ტექნოლოგიურად აღარ შესწევდა უნარი პაექრობა გაეწია ამ ურთულესი და უძვირესი პროექტისათვის. „თუკი ჯერ კიდევ ვინმეს ჰქონდა მოსკოვში ილუზიები რეიგანის მიმართ, ბოლო მოვლენებმა საბოლოოდ გადაასხა მათ წყალი“ – დაასკვნეს კრემლში[8].

საბჭოთა მედია ყალყზე დადგა. გვიმტკიცებდნენ, რომ SDI არღვევდა უკვე არსებულ შეთანხმებებს, რომ ამერიკელები ომისათვის ემზადებოდნენ. პრესაში „გაჟონა“ ანდროპოვის სიტყვებმა – „რეიგანი არაპროგნოზირებადია“[9]. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს „გაჟონვა“ შემთხვევითი არ იყო. 1983 წლის ნოემბერში ნატოს წევრმა ქვეყნებმა სამხედრო წვრთნები ჩაატარეს დასავლეთ ევროპაში. წვრთნების მასშტაბურმა ხასიათმა საბჭოთა დაზვერვას შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ნატო აპირებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. მოსკოვში ეს საფრთხე რეალურად შეაფასეს და სამხედრო ძალები მზადყოფნაში მოიყვანეს. საბედნიეროდ, CIA-ს აგენტურამ დროულად მოიპოვა ეს ინფორმაცია და პრეზიდენტი რეიგანი ჩააყენა საქმის კურსში. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ოპერატიულად დაუკავშირდა საბჭოთა ოფიციალურ პირებს და დაარწმუნა ისინი, რომ დასავლეთი ომს არ აპირებდა. სამხედრო წვრთნები კი დროზე ადრე დაასრულეს.

ეს „ცივი ომის“ ერთ-ერთი ყველაზე საშიში მომენტი იყო. მაშინაც გადავრჩით...

მაგრამ ამერიკული სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა* მოსკოვს არ აძლევდა მშვიდი ძილის საშუალებას.

საბჭოთა კავშირმა SDI-ის წინააღმდეგ დარაზმა თავისი ყველა მოკავშირე და მომხრე მთელ მსოფლიოში. დაიწყო სამ-

---

* 1990-იან წლებში გაირკვა, რომ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატა აშშ-ის პროპაგანდისტული ტრიუკი იყო და რეალურად საბჭოთა კავშირისათვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა

შვიდობო მოძრაობა ლოზუნგით „არა ვარსკვლავების ომს!“* მრავალათასიანი დემონსტრაციები იმართებოდა ევროპისა და ამერიკის ქალაქებში.

რეიგანი უკან დახევას არ აპირებდა. პირიქით, მან კიდევ ერთი მიმართულებით შეუტია საბჭოთა კავშირს. ეს გახლდათ ადამიანის უფლებები და დემოკრატია. რეიგანმა გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქადდა საბჭოთა წყობას: მან საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა ამ რეჟიმის ლეგიტიმურობა. ასე ღრმად საბჭოთა რეჟიმი არც ერთ მის წინამორბედს არ გაუკრიტიკებია. კარგად მახსოვს, თუ რაოდენ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე „ამერიკის ხმის“ გადაცემები, რომლებიც მსმენელებს უსვამდა კითხვებს: ვინ აირჩია საბჭოთა ხელმძღვანელობა? რატომ ატყუებენ საბჭოთა ხალხს არჩევნების ფარსით, თუკი საარჩევნო სიაში მხოლოდ ერთი კანდიდატია? რატომ არ აინტერესებს საბჭოთა რეჟიმს საკუთარი მოქალაქეების თავისუფალი აზრი? რატომ არა აქვთ საბჭოთა მოქალაქეებს უცხოეთში თავისუფლად გამგზავრების უფლება?

ამ და სხვა კითხვებზე საბჭოთა პროპაგანდის პასუხები უსუსურად ჟღერდა.

სამხრეთკორეული თვითმფრინავის 1983 წლის ტრაგიკული ინციდენტი პროპაგანდისტული თვალსაზრისით აშშ-მა მაქსიმალურად გამოიყენა. მსოფლიო მედია ცალსახად მოსკოვის წინააღმდეგ იყო განწყობილი. სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებას რეიგანმა „საბჭოთა მხეცობა“ უწოდა, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ეს შეფასდა როგორც დანაშაული მსოფლიოს წინაშე, რომელსაც არანაირი იურიდიული ან მორალური გამართლება არ ჰქონდა[10].

* ცნობილი ამერიკული ფილმის სათაური.

ახალი აზროვნება და ახალი რეალობები

კრემლის ახალი მობინადრე – მიხეილ გორბაჩოვი ხედავდა, რომ სტრატეგიული ინიციატივა აშშ-ის მხარეს გადადიოდა, მაგრამ ამ დინამიკის შემოსაბრუნებლად საკმარისი რესურსები აღარ არსებობდა. დამატებითი სამხედრო ხარჯები საბჭოთა კავშირის კოლაფსს ან რევოლუციას გამოიწვევდა. მოგვიანებით იგი იგონებდა: „როდესაც მე სახელმწიფოს სათავეში მოვედი, უკვე ვხედავდი, რომ საქმე კარგად არ იყო... ქვეყანა იხრჩობოდა ბიუროკრატიული სისტემის მარყუჟებში. იდეოლოგიური შეზღუდვებისა და გამალებული შეიარაღების მძიმე ტვირთის გამო საზოგადოება უაღრესად დაძაბული იყო“[11].

ტეტჩერი პირველი დასავლელი ლიდერი იყო, რომელიც გორბაჩოვს სამი თვით ადრე შეხვდა, ვიდრე მას გენერალურ მდივნად აირჩევდნენ. „რკინის ლედიმ“ განაცხადა, რომ მას გორბაჩოვი მოეწონა და მასთან შეიძლებოდა საქმიანი ურთიერთობა.

მაგრამ საბჭოთა კავშირის ნომერ პირველ პოსტზე არჩევის შემდეგ გორბაჩოვი ერთხანს ძველი ინერციით უძღვებოდა საერთაშორისო საქმეებს და პრინციპულად ახალი მინიშნება დასავლეთისათვის არ გაუკეთებია. პირიქით, მისი გამოსვლა 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, წითელ მოედანზე იმდენად იყო გამსჭვალული დასავლეთის კრიტიკით, რომ ზოგიერთმა ვაშინგტონში ასეთი დასკვნაც კი გააკეთა: გორბაჩოვი კიდევ უფრო იდეოლოგიზებული ლიდერია, ვიდრე მისი წინამორბედები.

მართლაც, სანამ გრომიკო საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში თვისებრივ ცვლილებაზე საუბარი არარეალური იყო. კრემლში გრომიკოს ხელშეუხებ ავტორიტეტად მიიჩნევდნენ. მისი მინისტრობის პერიოდში დიპლომატთა რამდენიმე თაობა გაიზარდა და გავიდა პენსიაზე. საგარეო უწყებაში გრომიკოს უკვდავ მინისტრად თუ არა, შეუცვლელად ნამდვილად თვლიდნენ. იგი იყო საბჭოთა დიპლომატიის სახე, ცნობილი თავისი მუდამ მკაცრი გამომეტყველებითა და კატეგორიული „нет“-ით.

და აი, 1985 წლის 1 ივლისს მოხდა საოცრება. იმ პერიოდში მადრიდში საბჭოთა საელჩოში ვმუშაობდი. დილით ელჩმა, ბრწყინვალე დიპლომატმა იური დუბინინმა თავისთან მიმიხმო და მითხრა: „გილოცავთ ედუარდ ამბროსის ძის დანიშვნას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად“!. მე ეს ჯერ ხუმრობა მეგონა, მაგრამ მაშინვე მომაგონდა, რომ ასეთ რამეზე საბჭოთა დიპლომატები არ ხუმრობდნენ. ისღა დამრჩენოდა, რომ ელჩისთვის მეპასუხა: „თქვენც გილოცავთ!“*.

ეს ნამდვილი სენსაცია იყო. მთელ მსოფლიოში ჟურნალისტებმა დაიწყეს სასწრაფოდ იმის გამოკვლევა, თუ ვინ იყო შევარდნაძე, რა წარსული და გამოცდილება ჰქონდა მას, რას უქადდა ეს დანიშვნა მსოფლიოსა და დასავლეთის სამყაროს.

შოკირებული იყო საბჭოთა დიპლომატიკური კორპუსი. როგორ უნდა ეხელმძღვანელა ამ ელიტარული სფეროსათვის „პროვინციელ ქართველს“, რომელსაც დიპლომატიის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა?

მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ არგუმენტით თვით შევარდნაძემ უპასუხა გორბაჩოვს მის შემოთავაზებაზე. მაგრამ გენერალური მდივნის პოზიცია ასეთი იყო: „შეიძლება ეს კარგიც იყოს... ჩვენს საგარეო პოლიტიკას სჭირდება ახალი შეხედულებები, გამბედაობა, დინამიზმი, ნოვატორული მიდგომები“[12].

მალე შედგა ახალი მინისტრის პრეზენტაცია – შეხვედრა საბჭოთა საგარეო უწყების წამყვან თანამშრომლებთან. შესავალი სიტყვის შემდეგ შევარდნაძემ პატივისცემით მოიხსენია გრომიკო, რომელსაც საბჭოთა დიპლომატიის დიდი ხომალდი უწოდა. „მე კი მხოლოდ ნავი ვარ“ – მოკრძალებულად განაცხადა მინისტრმა და პაუზის შემდეგ ღიმილით დაამატა – „მაგრამ ნავი ძლიერი ძრავით“.

მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ შევარდნაძის დანიშვნა ყველაზე მძიმედ გრომიკომ გადაიტანა. პოლიტბიუროს სხდომიდან იგი სახლში სიბრაზისაგან გაწითლებული დაბრუნდა და დიდხანს ვერ გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. მას ესმოდა, რომ

* შევარდნაძის მინისტრად დანიშვნა დუბინინისთვის მართლაც მისალოცი ყოფილა. იგი მალე გაეროში გადაიყვანეს სსრკ-ს მუდმივ წარმომადგენლად, შემდეგ კი ვაშინგტონში საბჭოთა ელჩად.

გორბაჩოვის ეს გადაწყვეტილება ფაქტობრივად გრომიკოს მემკვიდრეობაზე უარის თქმას ნიშნავდა[13], თუმცა „დიდ ხომალდს“ არც ის უნდა გამოპარვოდა, რომ გორბაჩოვს საგარეო პოლიტიკაში მეტი თავისუფლება სჭირდებოდა.

თავის ანალიტიკურ შეფასებებში CIA ასეთ პროგნოზს აკეთებდა ახალ საბჭოთა მინისტრთან დაკავშირებით: „გაბედული, ენერგიული, ფიცხი, ჭკვიანი. აქვს პრობლემების მოგვარების გამორჩეული უნარი... იგი მნიშვნელოვან კვალს დატოვებს საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში და დიპლომატიის წარმოების საქმეში“[14]. როგორც ვხედავთ, CIA-ს საკმაოდ ზუსტი ანალიზი გაუკეთებია. შევარდნაძე „ცივი ომის“ დასრულების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახდა.

ახალ ამპლუაში შევარდნაძე მალე მადრიდშიც ვიხილეთ. წინა წელს ესპანეთში მყოფი პონომარიოვივით მანაც ისურვა საბჭოთა დიპლომატებთან შეხვედრა. ეს სულ სხვა შეხვედრა იყო: საინტერესო ანალიზი, ცოცხალი და ახლებური იდეები. და რაც მთავარია, ეს არ იყო დიდი შეფის მონოლოგი. საბჭოთა მინისტრს ჩვენი შეხედულებებიც აინტერესებდა. ეს მაშინ დიდ სიახლედ ითვლებოდა.

მაღალ სტუმარს ესპანელებმა ცნობილი პრადოს მუზეუმი დაათვალიერებინეს. იქვე, შორიახლოს მყოფ სკოლის მოსწავლეებს საბჭოთა მინისტრმა ჩვეულებრივად ადამიანურად მიმართა: „მოგვიახლოვდით, ნუ გეშინიათ“. მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა ეს სიტყვები პირველ გვერდზე გამოიტანეს. რატომღაც ამ უბრალო თავაზიანობაში მათ დიდი სიმბოლო ამოიკითხეს.

მსოფლიო გორბაჩოვისა და რეიგანის პირველ შეხვედრას ელოდა, რომელიც 1985 წლის ნოემბრისათვის დაინიშნა. მოლოდინი ძალიან დიდი იყო. როგორ შეეწყობოდნენ ერთმანეთს რეიგანი და გორბაჩოვი? ისინი ხომ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პიროვნებები იყვნენ.

რეიგანი პრეზიდენტად აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანშიშესულ ასაკში აირჩიეს. იგი საშუალო შეძლების ოჯახში დაიბადა. ბავშვობისა და ყრმობის პერიოდში მას სპორტი უფრო აინტერესებდა, ვიდრე მეცნიერება. კარიერა ჰოლივუდში გა-

იკვალა, შემდეგ პროფკავშირული მოღვაწე იყო და საკმაოდ გვიან ჩაერთო პოლიტიკაში.

გორბაჩოვი ახალგაზრდა კაცი იყო. იგი გლეხის ოჯახში დაიბადა, სტალინის კოლექტივიზაციის ურთულეს პერიოდში. ბავშვობა ომის მძიმე წლებში გაატარა. როგორც ამბობენ, თავის სარჩენად მძიმე ფიზიკური შრომა უწევდა. შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. სხვათა შორის, ლენინის შემდეგ იგი პირველი საბჭოთა ლიდერი იყო, ვისაც უმაღლესი განათლება ჰქონდა.

რეიგანმა კალიფორნიის შტატის გუბერნატორობის დროს საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა ქვეყანაში. მან უცბად აუღო ალღო ამომრჩევლებთან ურთიერთობის ხელოვნებას. გორბაჩოვი კი საბჭოთა ნომენკლატურულ კარიერას ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევდა.

რეიგანი მთელი თავისი ბუნებით ანტიკომუნისტი იყო, მას სჯეროდა ამერიკული ფასეულობებისა და იდეალების; გორბაჩოვი კი მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის მატარებელი და მიმდევარი გახლდათ. რეიგანი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკა იდეალური სახელმწიფო იყო, საბჭოთა კავშირი კი – ბოროტების იმპერია; გორბაჩოვი პირიქით, აშშ-ს მიიჩნევდა აგრესიულ იმპერიალისტურ ძალად და თვლიდა, რომ საბჭოთა სისტემას მხოლოდ გაუმჯობესება სჭირდებოდა, სახელმწიფო მექანიზმის ცოტათი შეკეთება.

ასე რომ, სხვაობა ძალიან დიდი იყო. მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებდა: შინაგანად ორივეს გულწრფელად სურდა, ერთმანეთთან საერთო ენა გამოენახა. ამ ფაქტორმა მომდევნო წლებში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ჟენევაში ორი ლიდერის პირველი შეხვედრა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. რეიგანზე თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება იქონია გორბაჩოვის კეთილმოსურნე დამოკიდებულებამ. ასევე იგონებს გორბაჩოვი აშშ-ის პრეზიდენტს. არაფორმალური შეხვედრები და საუბრები მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ ოფიციალურ მოლაპარაკებებში კვლავ იჩინა თავი პრინციპულმა უთანხმოებებმა.

ნებისმიერი თემის განხილვა იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ სირთულეებს აწყდებოდა. მაგალითად, რეიგანი საბჭოთა ჯარის ავღანეთიდან გაყვანას მოითხოვდა, გორბაჩოვი კი თვლიდა, რომ ჯერ აშშ-ს უნდა შეეწყვიტა დახმარება მუჯაჰედებისათვის. რეიგანი გორბაჩოვის წინაშე აყენებდა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს, გორბაჩოვი კი კატეგორიულად თვლიდა, რომ ეს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა იყო. მაგრამ ყველაზე დიდ სირთულეებს ლიდერები სამხედრო საკითხების განხილვისას წააწყდნენ. გორბაჩოვი ვაშინგტონისაგან მოითხოვდა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაზე (SDI) მუშაობის შეჩერებას, რეიგანი კი თვლიდა, რომ თავდაცვითი „ფარის“ შექმნა არანაირ საშიშროებას არ უქმნიდა საბჭოთა კავშირს. გორბაჩოვი ამას არ ეთანხმებოდა და ადანაშაულებდა აშშ-ს სტრატეგიული პარიტეტის დარღვევაში და ა.შ.

მოკლედ, დიალოგი ძალიან რთული აღმოჩნდა და შედეგებიც საკმაოდ პირობითი იყო: ლიდერები პრინციპში შეთანხმდნენ სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების 50%-ით შემცირებაზე. მაგრამ მიაღწევდნენ კი მხარეები ამ მიზანს, როდესაც მუშაობა კონკრეტულ დოკუმენტებზე დაიწყებოდა? ეს უცნობი იყო.

თუმცა გადაიდგა ერთი სერიოზული ნაბიჯი: ორივე ლიდერი შეთანხმდა, რომ აუცილებელი იყო მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის გაძლიერება. ორივე დაინტერესებული იყო, ჰყოლოდა სანდო პარტნიორი.

მართლაც, პოლიტიკაში ნდობის მოპოვება რთული და დიდი საქმეა. ალბათ, ქართული ანდაზის პერიფრაზიც შეიძლება: ნდობის დაკარგვას თავის დაკარგვა სჯობია.

***

1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ქ. ჩერნობილში ატომური რეაქტორი აფეთქდა და რეაქტორის 32 თანამშრომელი იმსხვერპლა. რადიაციული ღრუბელი დააფიქსირეს სკანდინავიასა და დასავლეთ ევროპაში და სწორედ დასავლეთის მედიამ ატეხა განგაში. საბჭოთა კავშირი კი დუმდა: უფრო მეტიც,

პირველ მაისს (მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს) კიევის ქუჩებში დემონსტრაციაც კი მოეწყო და ათასობით ადამიანი რადიაციით მოიწამლა.

დასავლეთში ატეხილი ხმაურის გამო საბჭოთა კავშირი 4 მაისს იძულებული გახდა ეღიარებინა მომხდარი კატასტროფა. მაგრამ საბჭოთა პროპაგანდა ამჯერადაც დასავლეთის მედიას ადანაშაულებდა „ანტისაბჭოთა ტყუილების კამპანიის“ წარმოებაში, რადგან, მოსკოვის მტკიცებით, ავარიის მასშტაბი არც ისე დიდი იყო. დაიწყეს ჩერნობილიდან მოსახლეობის ევაკუაცია, მაგრამ ეს ძალიან დაგვიანებული იყო, რადგან ხალხი უკვე რამდენიმე დღის მანძილზე იმყოფებოდა მძიმე რადიაციულ გარემოში*.

ჩერნობილის კატასტროფამ ფუნდამენტური კითხვები წამოჭრა „პერესტროიკის“ წინაშე: რატომ იმალებოდა ეს ინფორმაცია? თუ ეს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობდა, მაშ რამდენად სწორად განისაზღვრება ეს ინტერესები? შეიძლება თუ არა სახელმწიფო ინტერესებს მასობრივად ემსხვერპლოს ადამიანების სიცოცხლე?

ამ კითხვების გაჩენა უკვე ახალი ეპოქის ნიშანი იყო. სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ იდეოლოგიაში ასეთი რამ არ ხდებოდა, რადგან ყველაფერი ნათელი გახლდათ: სახელმწიფო ინტერესები მთავარი იყო, ხოლო ადამიანის სიცოცხლე მეორადი. მაგრამ „პერესტროიკა“ ხომ წარსულის შეცდომების გამოსწორებასა და ახალი გზების ძიებას ნიშნავდა.

როგორც მოგვიანებით თვით გორბაჩოვმა აღიარა, ჩერნობილმა უბიძგა მას ახლებურად შეეხედა ბევრი პრობლემისათვის[15].

სწორედ ამ ტალღაზე გაჩნდა ტერმინი „ახალი აზროვნება“. იგი ბევრ რამეს გულისხმობდა, საერთაშორისო თვალსაზრისით კი ყველაზე მნიშვნელოვანს – საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში უარს ამბობდა კლასობრივ მიდგომაზე და აქცენტს უნივერსალურ ფასეულობებზე აკეთებდა.

მაშინ ბევრი ვერ მიხვდა, რომ საბჭოთა დოგმისგან ამ „მცირედ გადახვევას“ ძალიან შორს მიმავალი შედეგები ექნებოდა.

---

* ჩერნობილის შედეგები დღესაც არ არის აღმოფხვრილი.

ფაქტობრივად, სსრკ უარს ამბობდა თავის მთავარ იდეოლოგიურ პრინციპზე – პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე, რითაც იგი ათეული წლების მანძილზე ამართლებდა თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევას, ბრეჟნევის დოქტრინას.

მახსოვს, თუ როგორ რადიკალურად გაიყო ჩემს კოლეგებს შორის აზრები. დიპლომატთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ეს იყო კაპიტულაცია დასავლეთის წინაშე, მეორე ნაწილი კი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს ამ ნოვატორულ მიდგომას. მადრიდში საბჭოთა საელჩოს ერთ-ერთ თათბირზე ისეთი შეხლა-შემოხლა მოხდა, რომ ელჩმა სასწრაფოდ სხდომის დასრულება მოითხოვა. სულ რამდენიმე თვით ადრე საბჭოთა საელჩოს დისციპლინირებულ გარემოში ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

კონსერვატიულ, ძველი ყაიდის დამცველთა შორის ყველაზე მეტად საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი აქტიურობდა. იგი გვიმტკიცებდა, რომ ასეთ ნოვატორულ გზას სოციალისტური ბანაკის დაშლისაკენ მივყავდით. უნდა ვაღიარო, რომ მისი ანალიზი რამდენიმე წლის შემდეგ გამართლდა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან სოციალისტური ბანაკის დაშლას თვით საბჭოთა კავშირის რღვევაც მოჰყვა. თუმცა 1986 წელს ამის წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

მტრის ხატის რღვევა

ფრანგი ისტორიკოსი ტოკვილი ამბობდა, ცუდი რეჟიმისთვის ყველაზე სახიფათო ჟამი მაშინ დადგება, როდესაც ის რეფორმირებას იწყებსო.

1986-1988 წლებში გორბაჩოვი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საზოგადოების ლიბერალური წრეები მის სახელს უკავშირებდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციის მოლოდინს, უკეთესი მომავლის იმედს. მისი მთავარი თანამებრძოლები იყვნენ ედუარდ შევარდნაძე და ცკ-ის მდივანი ალექსანდრე

იაკოვლევი. მოწინააღმდეგე რეტროგრადთა ჯგუფს კი ეგორ ლიგაჩოვი ხელმძღვანელობდა.

მთელი საზოგადოება პოლიტიკით სუნთქავდა და იკვებებოდა. საათობით ვკითხულობდით პრესის მწვავე პუბლიკაციებს, გაფაციცებით ვუყურებდით სატელევიზიო გადაცემა „ვზგლიადს“, შემდეგ ვდავობდით, ვჩხუბობდით, ვიგინებოდით... ერთ ნაწილს გორბაჩოვი მესიად და გენიოსად მიაჩნდა, მეორე ნაწილს – ქვეყნის დამაქცევლად.

მახსოვს, როდესაც თბილისში პირველი კოოპერატიული კაფეები გაჩნდა, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას გორბაჩოვის ფოტო ეკიდა. ეს თავისებური პოზიცია იყო, კარგი გემოვნების მაჩვენებელი. რეფორმატორები მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა მარაზმში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა და სიტყვის თავისუფლება აუცილებელი იყო. კონსერვატორები კი თვლიდნენ, რომ სანამ პანდორას ყუთს გახსნი და ხალხს სიტყვის თავისუფლებას მისცემ, ჯერ ისინი უნდა დააპურო, თორემ მშივრები ერთმანეთს დაჭამენ. მართლაც, გაზეთებში მეტი თავისუფლება კი იგრძნობოდა, მაგრამ მაღაზიებში სულ უფრო ნაკლები პროდუქტი იყიდებოდა, სოციალური ფონი უარესდებოდა, მატულობდა ფასები, ხელფასები სიმბოლურ მოვლენად იქცა.

დასავლეთში გორბაჩოვი საყოველთაოდ პოპულარული ხდებოდა. პირველად ისტორიაში მსოფლიომ იხილა ადამიანური საბჭოთა ლიდერი, რომელიც იღიმებოდა, თავს იფხანდა, არ იბღინძებოდა, ჰყავდა სიმპათიური მეუღლე. უბრალო ხალხს ასეთ რუსეთთან ურთიერთობა საშიშად აღარ ეჩვენებოდა, ნელ-ნელა ქრებოდა სსრკ-თან გაუცხოების შეგრძნება. იყო განცდა, რომ მსოფლიო მალე გამთლიანდებოდა.

ფაქტია, რომ გორბაჩოვის დადებითი იმიჯის შექმნას დასავლეთის მედია მიზანმიმართულად უწყობდა ხელს. ასეთი პოლიტიკით სურდათ უფრო ღრმად ჩაერთოთ საბჭოთა ლიდერი დასავლეთთან დიალოგში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეთანხმებების გაფორმება პოზიტიურ საინფორმაციო ფონზე მომხდარიყო. გორბაჩოვს დასავლეთის საზოგადოების მხარდაჭერა და მისი პერსონით აღფრთოვანება აშკარად

სიამოვნებდა, იგი დამატებით ძალებს იკრეფდა შინ რთული პრობლემების მოსაგვარებლად და ოპონენტებთან საბრძოლველად.

1986 წლის დადგომა ამერიკელ ხალხს ტელევიზიით გორბაჩოვმა მიულოცა, საბჭოელებს კი რეიგანმა. გულუბრყვილოდ გვიხაროდა და გვჯეროდა, რომ მალე ჩვენც ამერიკელებივით მდიდრულად ვიცხოვრებდით.

საერთო ფონი კი იცვლებოდა უკეთესობისკენ, მაგრამ რეალური პრობლემები მსოფლიოში არ მცირდებოდა. ექსპერტები უმტკიცებდნენ რეიგანს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ აგრძელებდა გამალებულ შეიარაღებას და გორბაჩოვის მშვიდობიანი რიტორიკა რეალობას არ შეესაბამებოდა. დაახლოებით იგივეს ეუბნეოდნენ გორბაჩოვს მოსკოვში, ოღონდ პირიქით.

საბჭოთა კავშირი აგრძელებდა ომს ავღანეთში, აშშ კი ავღანელი მუჯაჰედების დახმარებას. საბჭოთა კავშირი ძველებურად მხარს უჭერდა ნიკარაგუის რევოლუციურ მთავრობას, რეიგანის ადმინისტრაციამ კი საიდუმლოდ მიჰყიდა იარაღი თავის არქიმოწინააღმდეგე ირანს და ამოღებული თანხა ნიკარაგუის ოპოზიციურ „კონტრას“ გადასცა. ამ არაკანონიერ ოპერაციას ვაშინგტონში დიდი სკანდალი მოჰყვა, რეიგანი ბეწვზე გადაურჩა იმპიჩმენტს. რეიგანისა და გორბაჩოვის მიერ ტელევიზიით დალოცვილ 1986 წელს სუკ-მა დააპატიმრა ამერიკელი შპიონები, ხოლო ამერიკულმა კონტრდაზვერვამ – საბჭოთა აგენტები. ამას მოჰყვა საბჭოთა დიპლომატების გაძევება ვაშინგტონიდან და საპასუხოდ ამერიკელი დიპლომატებისა - მოსკოვიდან. ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი ისევე მიდიოდა, როგორც დაულოცავ წინა წლებში.

ასეთ წინააღმდეგობრივ ვითარებაში 1986 წლის ოქტომბერში გაიმართა გორბაჩოვ-რეიგანის მორიგი შეხვედრა ქ. რეიკიავიკში. გორბაჩოვმა შეცვალა თავისი პოზიცია და თანხმობა განაცხადა აშშ-ის „ნულოვან ვარიანტზე“ ევროპის კონტინენტზე საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით. ამასთანავე, მან რეიგანს შესთავაზა ორივე მხა-

რის სტრატეგიული შეიარაღების 50%-ით შემცირება, რის საპასუხოდაც აშშ-ს უნდა შეეჩერებინა SDI-ს რეალიზაცია. ამ პროექტზე მუშაობა კი მხოლოდ ლაბორატორიებში უნდა გაგრძელებულიყო უახლოესი 10 წლის მანძილზე. სწორედ ეს სიტყვა – ლაბორატორია აღმოჩნდა ფატალური, რადგან რეიგანი ამ ვარიანტს არ დათანხმდა და გორბაჩოვს SDI-ის პროექტში თანამონაწილეობა შესთავაზა. გორბაჩოვმა რეიგანის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანა: „თქვენი ადმინისტრაცია საბჭოთა კავშირს უზღუდავს ნავთობის ჭაბურღილების დანადგარების, კომპიუტერული ტექნიკისა და ძროხების მოსაწველი მექანიზმების შეძენას. ნუთუ თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ მზად ხართ გაგვიზიაროთ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა? ეს ხომ მეორე ამერიკულ რევოლუციას გამოიწვევს!“[16]. ასე რომ, SDI კვლავ გადაულახავ პრობლემად რჩებოდა.

პრეზიდენტები ერთმანეთს დიდი შეთანხმების გარეშე დაშორდნენ, ისტორიული გარღვევა კი სულ ახლოს იყო. რეიგანი და გორბაჩოვი უაღრესად უკმაყოფილო ჩანდნენ. ისინი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ შეხვედრის წარუმატებლობაში. „მან მხოლოდ იმ მიზნით მიმიწვია რეიკიავიკში, რათა გაენადგურებინა SDI. ეს აღმაშფოთებელი იყო“ – წერდა თავის დღიურში რეიგანი. „ჩვენ რეიგანს რეიკიავიკში შევებრძოლეთ არა მხოლოდ როგორც კლასობრივ მტერს, არამედ როგორც უაღრესად პრიმიტიულ, გამოქვაბულის ადამიანს“ – მოახსენა გორბაჩოვმა პოლიტბიუროს[17].

მაგრამ მალე ორივე ლიდერმა გააცნობიერა, რომ დიალოგის შეწყვეტა არც ერთის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. რეიკიავიკის კრახმა ორივე მხარეს პოზიციების გადაფასებისკენ მოითხოვდა, რამაც შედეგი მალე გამოიღო. ამ თვალსაზრისით სამიტი რეიკიავიკში წარმატებული იყო.

1986 წელს კომპარტიის XXVII ყრილობაზე გორბაჩოვი რადიკალური რეფორმების აუცილებლობისა და დასავლეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ინიციტივით გამოვიდა, რასაც მსოფლიოში დადებითი რეაქციები მოჰყვა.

მალე გორბაჩოვი მიხვდა, რომ აშშ-თან ურთიერთობები რეალურად მანამდე არ შეიცვლებოდა, სანამ საბჭოთა კავშირი არ გადადგამდა პრაქტიკულ ნაბიჯებს ადამიანის უფლებათა დაცვის და ებრაელების თავისუფალი ემიგრაციის დაშვების საკითხებში, ასევე, სანამ საჯაროობა და „პერესტროიკა“ შეუქცევად პროცესად არ იქცეოდა[18]. სსრკ-ის მიმართ ათეული წლების მანძილზე დამკვიდრებული უნდობლობის „კედლის“ დანგრევას რეალური საქმეები სჭირდებოდა სხვადასხვა მიმართულებით.

1986 წლის ბოლოს გორბაჩოვმა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის ლიდერის სახაროვის გადასახლებიდან მოსკოვში დაბრუნების შესახებ, რაც მან პირადად აცნობა სახაროვს. ეს ძალიან ძლიერი გზავნილი იყო საზოგადოებისა და მსოფლიოსათვის.

საბჭოთა საგარეო უწყებაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალური განყოფილება, რომელიც ჰელსინკის აქტით აღებული ვალდებულებების შესრულებას კურირებდა. აქცენტი ისრაელში გამგზავრების მსურველთა საკითხების განხილვაზე კეთდებოდა.

გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა სერიოზულად იწყებდა ფიქრს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გაყვანაზე. ეს ძალიან რთული საკითხი იყო და ბევრი ასპექტის გათვალისწინებას ითხოვდა. უპირველესი კი ის გახლდათ, რომ ჯარის გამოყვანა ღირსეულად უნდა მომხდარიყო, ავღანეთის მთავრობის ღალატის გარეშე.

პრესაში დაიწყო დისკუსიები საბჭოთა სამხედრო ხარჯების შემცირების აუცილებლობის თაობაზე. მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი, რომ გაბერილი სამხედრო ბიუჯეტი ხალხის კეთილდღეობის ხარჯზე ინახავდა მსოფლიოში უდიდეს არმიას. „ჩვენ ოცდაათი წლის მანძილზე ვამბობდით ნახევარ სიმართლეს და ახლა ეს უნდა ვაღიაროთ. ჩვენ ვსაუბრობთ განიარაღებაზე და, ამავე დროს, თვითონ ვცდილობთ არ დავუშვათ ამ პროცესის დაწყება. ჩვენ ვძარცვავთ საკუთარ ხალხს და სამხედრო ბანაკად ვაქციეთ მთელი ქვეყანა“ – ეუბნეოდა გორბაჩოვი პოლიტბიუროს წევრებს[19]. ასეთი

განცხადებები სამხედრო წრეებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ პარტიის ლიდერის წინააღმდეგ ხმას ჯერ ვერავინ იღებდა.

ასეთ განსხვავებულ, პოზიტიურ ფონზე გაიმართა 1987 წლის დეკემბერში გორბაჩოვის ვიზიტი აშშ-ში. ამერიკელი საზოგადოების ინტერესი უდიდესი იყო. ვაშინგტონში დიდი ხანი არ ახსოვდათ პრესის ასეთი აჟიოტაჟი. გორბაჩოვი მეგავარსკვლავი ხდებოდა. პრესტიჟულმა ჟურნალმა „ტაიმმა“ იგი 1987 „წლის ადამიანად“ დაასახელა.

რაც შეეხება ვიზიტის კონკრეტულ შედეგებს, იგი თავად რეიგანმა ასე შეაფასა: „ეს იყო საუკეთესო სამიტი, რომელიც ჩვენ ოდესმე გვქონია საბჭოთა კავშირთან“[19]. ვაშინგტონში ხელი მოეწერა ხელშკრულებას ევროპაში ავადსახსენებელი საშუალო რადიუსის რაკეტების განადგურების შესახებ, ანუ უნდა განადგურებულიყო როგორც „პერშინგები“ და „ფრთიანი“ რაკეტები, ასევე საბჭოთა SS-20. იქმნებოდა ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები. ამასთან დაკავშირებით რეიგანი იხსენებდა რუსულ ანდაზას „Доверяй, но проверяй“ („ენდე, ოღონდ შეამოწმე“), რის გამოც დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიალზე გორბაჩოვმა მას ხუმრობით შესჩივლა კიდეც, თქვენ სულ რა ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებთო. „ეს იმიტომ, რომ იგი ძალიან მომწონსო“ – ხუმრობითვე უპასუხა რეიგანმა.

არა მარტო ლიდერები, არამედ მთელი მსოფლიო ხუმრობის ხასიათზე იყო. მტრები დამოყვრებაზე იწყებდნენ ფიქრს, მსოფლიო იცვლებოდა.

ერთ სენსაციას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ა.შ. გორბაჩოვის ვიზიტის დროს ვაშინგტონის ერთ-ერთ მყუდრო რესტორანში მაგიდას მიუსხდნენ CIA-ს შეფი რობერტ გეიტსი და საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ კრიუჩკოვი. ისინი მშვიდად სადილობდნენ და ერთმანეთს ყურადღებით აკვირდებოდნენ. რამდენი ქვეტექსტი იყო მათ საუბარში, რამდენი ართქმული მინიშნება... კრიუჩკოვმა აპერიტივზე ვისკი „შივას რიგალი“ დაუკვეთა. ნეტავ რას ნიშნავდა ეს? რამეზე ხომ არ მიუთითებდა? – თავს იმტვრევდნენ შეხვედ-

რის შემდეგ CIA-ს სპეციალისტები. ეს ყველაზე პატარა თავსატეხი იყო[20].

რეიგანმა საბჭოთა კოლეგას გაცნობითი ექსკურსიაც მოუწყო და რიგით ამერიკელებს შეახვედრა. ყველაფერმა ამან გორბაჩოვზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ეს ხალხი ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობებითა და ინტერესებით ხელმძღვანელობს“ – დაასკვნა გორბაჩოვმა ვიზიტის შემდეგ[21]. მართლაც, თითქოს უცნაური დასკვნაა დღევანდელი გადასახედიდან: ამერიკელები რომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ეს განა ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტება არ არის? თუმცა მხოლოდ ერთი წლით ადრე გორბაჩოვი რეიგანს „გამოქვაბულის ადამიანს“ და „კლასობრივ მტერს“ უწოდებდა. ასე რომ, პროგრესი ძალიან დიდი იყო. უფრო მეტიც, გორბაჩოვის თავში რევოლუცია ხდებოდა.

საინტერესოა, რომ 1988 წლის მაისში, საბჭოთა კავშირში თავისი საპასუხო ვიზიტის შემდეგ, რეიგანმაც დღევანდელი გადასახედიდან ასეთივე უცნაური დასკვნა გამოიტანა: „ჩვენი მთავარი შთაბეჭდილება ის არის, რომ საბჭოთა მოქალაქეები ბევრად არ განსხვავდებიან ამერიკელებისაგან... ეს ჩვეულებრივი ხალხია.“[22].

შეგახსენებთ, რომ სულ რამდენიმე წლით ადრე რეიგანმა სსრკ-ს ბოროტების იმპერია უწოდა.

რა მოხდა, რამ გადაუტრიალა ტვინი რეიგანს?

1988 წელს ნათლად გამოიკვეთა, რომ „პერესტროიკა“ საბჭოთა კავშირის მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს არ გულისხმობდა. პოლიტიკურ რეფორმებს ქვეყანა მნიშვნელოვანი ცვლილებებისაკენ მიჰყავდა. სხვა საქმეა, თუ რამდენად გააზრებული იყო ამ რეფორმების კურსი და საბოლოო მიზანი.

საგარეო პოლიტიკაში ეს გარდატეხა ყველაზე ხელშესახები იყო ავღანეთთან დაკავშირებით. 8 თებერვალს გორბაჩოვმა განაცხადა, რომ თუკი 15 მარტისათვის მიღწეული იქნებოდა შესაბამისი შეთანხმებები, საბჭოთა კავშირი 10 თვის

განმავლობაში გაიყვანდა თავის ჯარს ავღანეთიდან. საბჭოთა მხარე ამის სანაცვლოდ მოითხოვდა, რომ აშშ-ს და პაკისტანს შეეწყვიტათ სამხედრო დახმარება ქაბულის რეჟიმის ოპოზიციისათვის, რაზედაც ვაშინგტონში აზრთა სხვაობა იყო. ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ასეთ შემთხვევაში მოსკოვსაც უნდა შეეწყვიტა პრეზიდენტ ნაჯიბულას* მთავრობისათვის იარაღის მიწოდება.

გაეროს ეგიდით მოლაპარაკებები ელვის სისწრაფით წარიმართა და უკვე 14 აპრილს ჟენევაში ხელი მოეწერა ისტორიულ შეთანხმებებს ავღანეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობათა პრინციპების შესახებ. მათი არსი ის გახლდათ, რომ მხარეები უარს ამბობდნენ ერთმანეთის საქმეებში ჩარევაზე. ჟენევის ხელშეკრულებათა გარანტებად გამოდიოდნენ აშშ და სსრკ.

და მართლაც, 15 მაისს საბჭოთა კავშირმა დაიწყო ავღანეთიდან ჯარის გაყვანა, ორი კვირის შემდეგ კი მოსკოვს რეიგანი ეწვია.

ვიზიტი საბჭოთა კავშირში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური დებატების ფონზე წარიმართა. ამ დროისათვის პარტიულმა ნომენკლატურამ უკვე ნათლად გააცნობიერა, რომ გორბაჩოვის რეფორმები საფრთხეს უქმნიდა მათ ძალაუფლებას. ამიტომ ხელმძღვანელობის ერთმა ნაწილმა ლიგაჩოვის მეთაურობით იდეოლოგიური კონტრშეტევა წამოიწყო. მარტში გაზეთ „სოვეტსკაია როსიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა რეფორმატორებს და იცავდა ლენინურ პრინციპებს. ლიგაჩოვმა ისარგებლა იმით, რომ გორბაჩოვი უცხოეთში იმყოფებოდა ვიზიტად და მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს, განეხილათ გამოქვეყნებული პუბლიკაცია. ეს აშკარა გამოწვევა იყო გორბაჩოვის გუნდის მიმართ. მოსკოვში დაბრუნებულმა გორბაჩოვმა პოლიტბიუროს სხდომაზე შეძლო ვითარების თავის სასარგებლოდ შემოტრიალება, მაგრამ მის ავტორიტეტს საკმაოდ დიდი ჩრდილი მიადგა.

---

* მან ბაბრაქ ქარმალი შეცვალა 1988 წელს.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით საყურადღებო და სიმბოლური იყო რეიგანის გამოსვლა მოსკოვის უნივერსიტეტში. პრეზიდენტის უკან ლენინის დიდი ძეგლი „ბრწყინავდა“, რეიგანი კი აღფრთოვანებულ სტუდენტებს ესაუბრებოდა ლიბერალური დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის ფასეულობებზე. ბევრი ჩვენგანი მაშინ პარალელებს ავლებდა რეიგანსა და გორბაჩოვს შორის. საბჭოთა ლიდერიც სულ უფრო მეტად იხრებოდა დემოკრატიისკენ, თუმცა ვერა და ვერ ამბობდა უარს „მის უკან მდგომ“ ლენინის მემკვიდრეობაზე. „მეტი დემოკრატია, მეტი ლენინიზმი! - ასეთი იყო გორბაჩოვის ლოზუნგი და სწორედ ეს იყო, ალბათ, მისი ერთ-ერთი დიდი შეცდომა. იგი ლენინიზმის სრულყოფაში ხედავდა გამოსავალს, მაშინ როცა სწორედ ლენინიზმი იყო საბჭოთა სისტემის ენდემური პრობლემა, ანუ გორბაჩოვის „პერესტროიკა“ არ ითვალისწინებდა იმის რეფორმირებას, რაც ძირეულად იყო შესაცვლელი. კომპარტიის დემოკრატიზაცია კი შეუძლებელი აღმოჩნდა. იგი რეფორმას არ ექვემდებარებოდა.

რეფორმები ღია საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკისაკენ უნდა წასულიყო, ან შეტრიალებულიყო უკან, ლენინიზმ-სტალინიზმისაკენ. მაშინ ძალიან პოპულარული იყო გამონათქვამი, რომ მუდამ ნახევრად ორსულ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელია*.

რონალდ რეიგანს კი მოსკოვი ძალიან მოეწონა. გორბაჩოვთან ერთად წითელ მოედანზე სეირნობისას ჟურნალისტმა მას ჰკითხა:

– თქვენ ისევ თვლით, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიაა?

– არა – უპასუხა მან. – ეს სხვა დრო იყო, სხვა ეპოქა[23].

1988 წლის 7 დეკემბრის გორბაჩოვის სიტყვამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მსოფლიო შეძრა. მან ჩამოაყალიბა თავისი ახალი აზროვნების პრინციპები და განაცხადა, რომ

* თუმცა, როგორც ჩანს, აბსოლუტური ცნებები პოლიტიკაში არ არსებობს, რადგან მეზობელმა ჩინეთმა მოახერხა სწორედ ის, რაც გორბაჩოვმა ვერ შეძლო. მან „შეაუღლა“ კომუნისტური იდეოლოგია საბაზრო ეკონომიკასთან და უდიდეს წარმატებებსაც მიაღწია.

ნებისმიერ ქვეყანას უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს საკუთარი გზა უცხო ჩარევის გარეშე, ანუ ე. წ. სოციალისტურ ქვეყნებს თვითონ უნდა გადაეწყვიტათ თავისი ბედი. საბჭოთა კავშირი კი საგარეო პოლიტიკაში უარს ამბობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი მიდგომის პრინციპებზე.

ეს უმაღლესი ტრიბუნიდან „ბრეჟნევის დოქტრინის“ ოფიციალური უარყოფა იყო. ამიერიდან ძალა და ძალის გამოყენებით დაშინება საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი აღარ უნდა ყოფილიყო. არჩევანის თავისუფლება უნივერსალური პრინციპია და ამ თვალსაზრისით არანაირი გამონაკლისი არ უნდა არსებობდეს“[24].

მოსკოვის ამ პოლიტიკური ნების დემონსტრირებისათვის გორბაჩოვმა განაცხადა, რომ სსრკ ცალმხრივად ამცირებდა თავის შეიარაღებულ ძალებს ნახევარი მილიონი (!) ჯარისკაცის ოდენობით და საპასუხოდ არანაირ ნაბიჯს ან დათმობას არ ითხოვდა.

გორბაჩოვის ეს სიტყვები მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებას მოასწავებდა. ეს კარგად ესმოდათ გენერალური ასამბლეის დელეგატებს, რადგან მათ ისეთი ოვაციები მოუწყვეს საბჭოთა ლიდერს, როგორიც ამ ორგანიზაციის კედლებს არ ახსოვდა.

გორბაჩოვის ინიციატივას ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმაც მიბაძეს და მათაც ცალმხრივად შეამცირეს თავიანთი შეიარაღებული ძალები საერთო ჯამში 56 ათასი სამხედრო მოსამსახურით, 2 ათასი ტანკით, 130 თვითმფრინავითა და ათასამდე საარტილერიო ერთეულით. სამხედრო ხარჯები კი – თითქმის 14%-ით[25]. შეიძლება ვინმეს ეფიქრა, რომ გამალებული შეიარაღების პროცესი გამალებული განიარაღებით იცვლებოდა. მაგრამ, საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ჰყავდა 53 ათასი (!) ტანკი, 29 ათასი საარტილერიო დანადგარი და 4880 თვითმფრინავი[26]. თუმცა ამ წარმოუდგენელი მასშტაბების სამხედრო ძალასაც აღარ შეეძლო კარს მომდგარი მოვლენების შეჩერება.

„პატრიარქის შემოდგომა“ და ერთიანი ევროპა

1980-იანი წლების ბოლოს ასეთი ანეკდოტი გაჩნდა: „პერესტროიკის“ შედეგად ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო გორბაჩოვმა სტალინის სული გამოიძახა და რჩევა ჰკითხა, რა გავაკეთოო. სტალინმა მას ორი რჩევა მისცა. პირველი: გორბაჩოვს უნდა დაეხვრიტა მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, ასევე მთელი ოპოზიცია; მეორე: საჭირო იყო კრემლის კედლების მწვანედ გადაღებვა. გორბაჩოვი დაინტერესდა, კედლების გადაღებვა რა საჭიროაო? სტალინმა მიუგო: ასეც ვიცოდი, რომ პირველ რჩევასთან დაკავშირებით კითხვები არ გაგიჩნდებოდაო.

თუმცა უკვე გვიან იყო: რევოლუციის შეჩერება შესაძლებელია დასაწყისში, მაგრამ არა ბოლოში.

მართლაც, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირისა და მისი ლიდერის საერთაშორისო ავტორიტეტი არნახულად იზრდებოდა, ქვეყნის შიგნით და მთლიანად ე. წ. სოციალისტურ ბანაკში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. გორბაჩოვის საჯაროობამ ბიძგი მისცა დისკუსიების ჯაჭვურ რეაქციას, რომელიც მთელ საზოგადოებას მოედო. ერთიანად ალაპარაკდა დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, დაჩაგრული და პრივილეგირებული. ყველა „ერთბაშად“ მიხვდა, თუ რა საშინელი ყოფილა საბჭოთა სისტემა. დაიწყო შეჯიბრი ნებადართულ ვაჟკაცობაში (საქართველოში ყველამ წვერი მოუშვა და მოღუშული სახე მიიღო). კრიტიკის სამიზნედ უმთავრესად თვით გორბაჩოვი ხდებოდა, რომელიც, კრიტიკოსთა მრავალმილიონიანი არმიის აზრით, „ვერ ხედავდა, ვერ აფასებდა, არ იცოდა, არ ესმოდა“ და სხვ. გორბაჩოვს მართლაც ჰქონდა ერთი უცნაური თვისება: იგი სიტყვების მაქსიმალური რაოდენობით აზრის მინიმალურ ოდენობას გადმოგვცემდა. ერთი კრიტიკოსი თვლიდა, რომ რეფორმები მეტისმეტად ნელა მიმდინარეობდა, მეორე კი პირიქით – მეტისმეტად ჩქარა. ყველას თავისი რეცეპტი ჰქონდა, უბადლო პანაცეა, გენიალური პროგრამა თუ კონცეფცია. ყველა ჭკუის სწავლებას მოჰყვა. აღარავის ახსოვდა შრომა, სამსახური, საქმე. „ჩვენ თავი ისე მოგვაქვს, ვითომ ვმუშაობთ,

მთავრობას კი – ვითომ ხელფასს გვიხდის“ – არხეინად ხუმრობდა ყველა.

ქვეყნის ეკონომიკა კი უფსკრულისაკენ მიექანებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ სფეროში გორბაჩოვს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. იგი თვლიდა, რომ ეკონომიკური აღმავლობა დემოკრატიზაციის გაღრმავების შედეგად დაიწყებოდა, რაც აბსურდი აღმოჩნდა. საჭირო იყო გააზრებული, კვალიფიციური ნაბიჯები ეკონომიკური ვარდნის შესაჩერებლად. ხელისუფლება კი თვითონ უწყობდა ხელს მეურნეობის მოშლას. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოებში შემოიღეს მმართველობის არჩევნები, რამაც წინა პლანზე წამოსწია პოპულისტები და შარლატანები. ისინი მუშებს სწრაფ გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, თვითონ კი სახელმწიფო ქონებას იჯიბავდნენ. მიიღეს კანონი, რაც საბიუჯეტო თანხების კოოპერატივების ანგარიშებზე გადაქაჩვის უბრალო საშუალებას იძლეოდა. აგაშენა ღმერთმა! შევქმნი საკუთარ კოოპერატივს და გადმოვირიცხავ სამინისტროდან „სპონსორულ თანხებს“. ინფლაცია მძვინვარებდა, ფული ხელში დნებოდა.

CIA-ს მონაცემებით, სსრკ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 1985-1987 წლებში 4-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1988 წლის ბოლოსათვის თითქმის 5-ჯერ და 100 მლრდ. რუბლს მიუახლოვდა. ეს ერთიანი ეროვნული პროდუქტის თითქმის 10% იყო, რაც უაღრესად საგანგაშო მოვლენა გახლდათ. აშშ-ის დაზვერვის სპეციალისტთა აზრით, უახლოესი 5 წლის მანძილზე საბჭოთა ეკონომიკაში ვითარების გაუმჯობესების ალბათობა უაღრესად დაბალი იყო[27].

მიუხედავად ამისა, აშშ-ის დაზვერვის ვარაუდით, პროდუქტების დეფიციტის გამო შესაძლო მღელვარება ან ბუნტი ვერ შეუქმნიდნენ სერიოზულ პრობლემებს გორბაჩოვს და მის რეფორმებს. კრემლის მთავარ გამოწვევად მოიაზრებოდა სეპარატისტული მოძრაობები და ძალადობა ეთნიკურ საფუძველზე. CIA სწორედ მზარდ ნაციონალიზმში ხედავდა „პერესტროიკის“ აქილევსის ქუსლს[28].

ერთბაშად გაიღვიძა ნახევრად მიძინებულმა ეროვნულმა შეგნებამ. საბჭოთა რესპუბლიკებში ფუძნდებოდა სახალხო ფრონტები, პარტიები, მოძრაობები. მოთხოვნები თავიდან მოკრძალებული იყო. კერძოდ, ბალტიისპირელები ჯერ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომიის გაფართოებას ითხოვდნენ, რაზეც კრემლი ადეკვატურად არ რეაგირებდა. დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირებებიც „მოძმე რესპუბლიკებში“. პირველი მთიანი ყარაბაღი იყო.

გორბაჩოვს თითქოს ბუნებაც აუმხედრდა. 1988 წლის დეკემბერში სომხეთის ქალაქ სპიტაკში მომხდარმა უძლიერესმა მიწისძვრამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

1989 წლის 9 აპრილს საქართველოში პრაქტიკულად დასრულდა საბჭოთა წყობა. ეს უკვე სხვა საზოგადოება იყო, სხვა ქვეყანა.

კრემლი ხედავდა, რომ საბჭოთა კავშირში ვითარება კონტროლიდან გამოდიოდა. ამ მდგომარეობის გამოსწორებას იგი საერთაშორისო სარბიელზე გააქტიურებით ცდილობდა. ერთი მეორის მიყოლებით მოსკოვი სხვადასხვა ინიციატივებს სთავაზობდა დასავლეთსა და მეზობლებს. ისინი ერთი ინიციატივის შესწავლას ვერ ასწრებდნენ, რომ მათ უკვე კრემლის ახალი იდეა უნდა განეხილათ. ეს რაღაც მარათონს წააგავდა.

1989 წლის 20 იანვარს ვაშინგტონში აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ინაუგურაცია ჩატარდა. ბუში, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი, კარგად ხედავდა, თუ რაოდენ დიდი ცვლილებები ელოდა მსოფლიოს მისი საპრეზიდენტო პერიოდის დროს. მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ვერც ბუშმა განსაზღვრა ამ ცვლილებების სისწრაფე და მასშტაბები.

1989 წლის აპრილში CIA-ს მიერ მომზადებულ ანალიტიკურ მოხსენებაში წარმოდგენილი იყო დასკვნა, რომ ახლო და საშუალო პერსპექტივაში საბჭოთა კავშირი კვლავ დარჩებოდა აშშ-ის მოწინააღმდეგედ, ხოლო მისი ევროპული პოლიტიკა სერიოზული გამოწვევა იქნებოდა ნატოს ერთიანობისათვის. პირადად გორბაჩოვის პერსპექტივას CIA-ს სპეციალისტები ოპტიმისტურად აფასებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ პრინციპუ-

ლი ცვლილებები საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში მოსალოდნელი არ იყო[29].

ესეც შეუცდომელი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო! ორ წელიწადში საბჭოთა კავშირი საერთოდ აღარ იარსებებს!

მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ გველოდა.

მოსკოვში სახალხო დეპუტატთა ყრილობა გაიმართა, პირველად ჩვენს მეხსიერებაში დეპუტატები გამოთქვამდნენ ოპოზიციურ თუ ალტერნატიულ მოსაზრებებს. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ბალტიისპირელი დელეგატების გააზრებული, ჭკვიანი გამოსვლები. შთამბეჭდავი იყო აკადემიკოს სახაროვის სიტყვა, რომელმაც საბჭოთა კონსტიტუციის ძირეული შეცვლა მოითხოვა.

ყრილობაზე მწვავედ დადგა საკითხი თბილისში 9 აპრილს განვითარებული დრამატული მოვლენების შესახებ. ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბალტიისპირელი დელეგატები მკაცრად მოითხოვდნენ ამ მოვლენების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას. შეიქმნა სპეციალური კომისია ანატოლი სობჩაკის თაოსნობით.

დელეგატებმა მიიღეს რევოლუციური გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში მრავალმანდატიანი არჩევნების ჩატარების შესახებ, რაც ფაქტობრივად კომუნისტური პარტიის ერთპიროვნული მმართველობის დასასრულს მოასწავებდა.

მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც უნდობლობით უყურებდა „პერესტროიკას“. კი, დაუშვებენ მრავალპარტიულობას, მაგრამ კომუნისტები ხელისუფლებაში დარჩებიან, დანარჩენები კი ციხეში აღმოჩნდებიან, – ვარწმუნებდით ერთმანეთს.

კომუნისტური რეჟიმების მოშლის პროცესი გაცილებით სწრაფად მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ევროპაში.

1956 წლის უნგრეთის მოვლენების გმირის იმრე ნადის გადასვენების ცერემონიალს 1989 წლის 16 ივნისს ბუდაპეშტში ორასი ათასი ადამიანი დაესწრო, მათ შორის ქვეყნის ახალი რეფორმატორი პრემიერი მიკლოშ ნემეტი. რამდენიმე დღის შემდეგ კი უნგრელებმა დაიწყეს უნგრეთისა და ავსტრიის

საზღვარზე მავთულხლართების ჩამოხსნა. ყველა მოსკოვის რეაქციას ელოდა, მაგრამ კრემლი დუმდა.

ივნისშივე პოლონეთში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები და „სოლიდარობამ“ სასტიკად დაამარცხა სახელისუფლებო პარტია. პოლონეთში აღმოსავლეთ ევროპის პირველი არაკომუნისტური მთავრობა შეიქმნა. ქვეყანას ახალი ლიდერი ჰყავდა – ლეხ ვალენსა. როდესაც გორბაჩოვის თანაშემწეს ჰკითხეს, თუ რას ფიქრობდა მოსკოვი ამაზე, მან განაცხადა, რომ ეს პოლონეთის შინაგანი პრობლემა იყო და თან ფრენკ სინატრას ცნობილი სიმღერის სიტყვები მოიშველია: „My way“. ასე რომ, პოლონეთმა თავისი გზა აირჩია. დასავლეთში ამ კომენტარს სასწრაფოდ „კუდი მოაბეს“ და მას სინატრას დოქტრინა უწოდეს.

ნოემბერში თანამდებობიდან გადადგა ბულგარელი კომუნისტების ლიდერი ტოდორ ჟივკოვი, რომელიც ქვეყანას 25 წლის მანძილზე მართავდა. მისი საყვარელი სიმღერა იყო – „რა ლამაზია ბულგარეთი, მაგრამ რუსეთი უკეთესია“. ახლა ბულგარეთს უკვე კოალიციური მთავრობა ჰყავდა, რომელიც სინატრას „ჰანგებს“ იმეორებდა.

ასევე ხავერდოვნად, სისხლის გარეშე შეიცვალა ხელისუფლება ჩეხოსლოვაკიაში. 1989 წელს პრეზიდენტად „პრაღის გაზაფხულის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ცნობილი მწერალი ვაცლავ ჰაველი აირჩიეს. ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე კი ალექსანდრ დუბჩეკი გახდა. გამართლდა მის მიერ 1968 წელს წარმოთქმული სიტყვები: „ყვავილების გათელვა გაზაფხულის მოსვლას ვერ შეაჩერებს“.

რაც უფრო ტირანულია რეჟიმი, მით უფრო დრამატულად ხდება მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორება. სწორედ ნიკოლაე ჩაუშესკუს ასეთი დესპოტური რეჟიმი მართავდა რუმინეთს 1965 წლიდან. 1989 წლის დეკემბერში ქ. ტიმიშოარაში ჩაუშესკუს წინააღმდეგ დემონსტრაციები დაიწყო. დიქტატორმა თავის ცნობილ საიდუმლო პოლიციას – „სეკურიტატეს“ ბრძანება მისცა იარაღი გამოეყენებინათ, რამაც 92 ადამიანი იმსხვერპლა. პროტესტის ტალღამ ბუქარესტში გადაინაცვლა, შემდეგ კი მთელს ქვეყანას მოედო. ჩაუშესკუ

მომიტინგეთა წინაშე გამოვიდა და სხვადასხვა დაპირებებით მათი დაწყნარება სცადა. მაგრამ ხალხი უკვე კარაქს კი აღარ ითხოვდა, არამედ დიქტატორის გადადგომას. ჩაუშესკუ და მისი მეუღლე ელენა იძულებული გახდნენ ბუქარესტი დაეტოვებინათ, მაგრამ მალე ისინი დააპატიმრეს და ყოველგვარი გასამართლების გარეშე უმალვე დახვრიტეს. რა კაცთმოძულეც უნდა ყოფილიყო ჩაუშესკუ, დახვრეტის კადრებმა ჩვენში მაინც უმძიმესი განცდები გამოიწვია. ასე სისხლით იწყებოდა რუმინეთის თავისუფლების გზა. ვიღაცამ მაშინ ჩერჩილის სიტყვებიც მოიგონა: „თუკი მთელმა ქვეყანამ დაუშვა, რომ მას ტირანი მართავდა, ამისათვის მხოლოდ ტირანის დადანაშაულება არასწორია“.

1989 წლის აპრილში გარდაიცვალა ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ხუ იაობანი, რომელიც ცოტა ხნით ადრე ქვეყნის რეალურმა მმართველმა დენ სიაოპინმა თანამდებობიდან გადააყენა ზედმეტი პოლიტიკური ლიბერალიზმის გამო. „ჩინელი გორბაჩოვის“ გარდაცვალებასთან დაკავშირებით და პროტესტის ნიშნად პეკინის ტიანნამენის ცენტრალურ მოედანზე დემონსტრაციები დაიწყო. სტუდენტებს პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც უერთდებოდნენ და მალე გამოსვლებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. დემონსტრანტები ითხოვდნენ სიტყვის თავისუფლებასა და, საერთოდ, რეჟიმის დემოკრატიზაციას. სწორედ ასეთ ვითარებაში პეკინს გორბაჩოვი ეწვია. დემონსტრაციებზე გაჩნდა ლოზუნგები: „გაუმარჯოს გორბაჩოვს!“ როდესაც გორბაჩოვმა დენ სიაოპინთან დემოკრატიის შესახებ დაიწყო საუბარი, ამ უკანასკნელმა საბჭოთა კოლეგას შეახსენა, რომ ჩინეთში ერთი მილიარდი კაცი ცხოვრობდა. დასკვნები თვითონ გორბაჩოვს უნდა გამოეტანა: რა ელოდა მსოფლიოს, თუ ჩინეთი აირეოდა?

4 ივნისს დემონსტრანტების დასაშლელად ტიანნამენის მოედანზე ჯარი და ტანკების კოლონა შეიჭრა. სასტიკი დარბევის შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა (ზუსტი რაოდენობა უცნობია). კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა უცნობი ჩინელი ახალგაზრდა, რომელიც ტანკებს წინ აღუდგა ცელოფნის პარკით ხელში.

ასე რომ, კომუნისტურმა ჩინეთმაც თავისებურად „სინატრას დოქტრინა“, ანუ თავისი გზა აირჩია. ამ გზას მილიარდიანი ქვეყანა დემოკრატიისკენ კი არ მიჰყავდა, არამედ მოდერნიზაციისაკენ. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი არჩევანი უფრო სწორი იქნებოდა ჩინეთისთვის, რადგან ყველას თავისი გზა აქვს, თავისი ფილოსოფია, თავისი სამყარო. ფაქტია, რომ დღევანდელი ჩინეთი ეკონომიკური განვითარების ტემპებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა.

ჩინეთის ხელისუფლების მკაცრმა მოქმედებამ საკმაოდ შეაგულიანა აღმოსავლეთ გერმანიის ლიდერი ერიხ ჰონეკერი. იგი ჯერ კიდევ 1989 წლის დასაწყისში გვარწმუნებდა, რომ ბერლინის კედელი კიდევ ასი წელი იარსებებდა. გდრ-ის პროპაგანდაც ხაზგასმული მინიშნებით აცნობდა მოსახლეობას ტიანნამენის მოედანზე ჩინეთის სახალხო არმიის „პატრიოტულ მოქმედებას ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების წინააღმდეგ“.

მაგრამ მას შემდეგ, რაც უნგრეთისა და ავსტრიის საზღვარი გაიხსნა, ათასობით აღმოსავლეთ გერმანელმა თავიანთი პატარა „ტრაბანტებით“ ავსტრიას მიაშურა, სადაც თავშესაფარს ითხოვდნენ. „ტურისტების“ რაოდენობამ სექტემბრის ბოლოს უკვე 130 ათასს მიაღწია. 3 ათასამდე გდრ-ის მოქალაქე მეზობელი ჩეხოსლოვაკიიდან ცდილობდა გფრ-ში გადასვლას.

1989 წლის 7-8 ოქტომბერს გორბაჩოვი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ბერლინში, სადაც გდრ-ის შექმნის საიუბილეო თარიღს აღნიშნავდნენ. ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ მშრომელთა დემონსტრაციაზე უცბად გაისმა ხმები: „გორბი, გვიშველე! გორბი, არ წახვიდე!“ ვიღაცამ ტრანსპარანტიც აღმართა: „მოგვაცილეთ კედელი!“

დემონსტრაციის შემდეგ გორბაჩოვმა გააფრთხილა გდრ-ის ხელმძღვანელობა, რომ საჭირო იყო რადიკალური რეფორმების გატარება. საბჭოთა ლიდერის რეკომენდაციამ შედეგი გამოიღო და რამდენიმე დღეში გდრ-ს ახალი ხელმძღვანელი მოევლინა – ეგონ კრენცი.

ნოემბერში ბერლინის ცენტრში, ცნობილ ალექსანდერპლაცზე უკვე ერთი მილიონი ადამიანი იდგა პროტესტის

ნიშნად. დასაწყისში მათი მთავარი ლოზუნგი იყო: „აქედან გაგვიშვით!“, ხოლო ცოტა მოგვიანებით: „ჩვენ აქ ვრჩებით!“ მთავრობამ გადაწყვიტა შემოეღო აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების გაიოლებული წესები, რომლებიც ძალაში რამდენიმე დღეში უნდა შესულიყო. ამ გადაწყვეტილების გასაცნობად შინაგან საქმეთა მინისტრმა შაბოვსკიმ პრესკონფერენცია მოიწვია. ჟურნალისტების კითხვაზე, თუ როდიდან ამოქმედდებოდა ახალი წესები, მინისტრმა შეცდომით განაცხადა – „დღეიდანვეო“.

ათიათასობით აღმოსავლეთ ბერლინელი საზღვარს მიაწყდა, მაგრამ მესაზღვრეებს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ. ისინი ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ: პასუხისმგებლობას თავის თავზე არავინ იღებდა. მესაზღვრეებმა საბოლოოდ თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება და ადამიანების ეს დიდი მასა დასავლეთ ბერლინში გადავიდა. მათ იქ ყვავილებითა და ოვაციებით დასავლეთ ბერლინელები ხვდებოდნენ.

გორბაჩოვს ამის შესახებ მხოლოდ მეორე დილით აცნობეს. მისი კომენტარი ასეთი იყო: „სწორი გადაწყვეტილებაა!“[30].

სწორედ ამიტომ ითვლება 9 ნოემბერი ბერლინის კედლის „დაცემის“ დღედ, თუმცა ფიზიკურად იგი ოდნავ მოგვიანებით მოშალეს.

დაინგრა „ცივი ომის“ მთავარი სიმბოლო.

საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ბევრი ცვლილება იყო მოსალოდნელი, მაგრამ მთავარი უკვე მოხდა: მსოფლიო შეიცვალა!

20 წლის შემდეგ

დღეს ბევრს დაობენ იმაზე, თუ როდის დასრულდა „ცივი ომი“. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი დამთავრდა მალტაში, 1989 წლის ბოლოს გორბაჩოვისა და ჯ. ბუშის შეხვედრისას. მეორენი თვლიან, რომ ეს ეპოქა გერმანიის გაერთიანებისა და აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარის გაყვანამ დაასრულა. დიდი ნაწილის აზრით კი საბჭოთა კავშირის დაშლამ დაუსვა წერტილი „ცივ ომს“.

ჩემი აზრით, ფსიქოლოგიურად „ცივი ომი“ ბერლინის კედლის დანგრევამ დაასრულა. შეიცვალა პოლიტიკოსთა და ჩვეულებრივ ადამიანთა ფსიქიკა. ისინი ერთმანეთს მტრებად უკვე აღარ მიიჩნევდნენ. აღარც ორი დაპირისპირებული ბანაკი არსებობდა, რადგან ყველა თავის გზას ირჩევდა. ეს გზები კი ერთიანი ევროპისკენ მიდიოდა.

წარმოუდგენელია იმის ზუსტი დაანგარიშება, თუ რა დაუჯდა კაცობრიობას „ცივი ომი“. არსებობს შემზარავი ციფრები და სტატისტიკა. მაგალითად, მხოლოდ ბირთვული იარაღის წარმოებაზე 1945-1990 წლებში დაიხარჯა დაახლოებით 8 ტრილიონ (!) დოლარამდე. ამ თანხის ერთი მეხუთედიც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რათა მსოფლიოში მოგვარებულიყო შიმშილის პრობლემა, განეკურნათ მრავალი დაავადებისაგან ასობით მილიონი ადამიანი. ამის მაგივრად აღნიშნული სახსრებით შეიქმნა 18 ათასამდე მეგატონის ბირთვული იარაღი, რომლის განადგურებასაც კიდევ მილიარდები დასჭირდება*. „ცივმა ომმა“ იმსხვერპლა მილიონობით ადამიანი კორეაში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ავღანეთში, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში.

ფაქტია, „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირმა პირწმინდად წააგო. საბჭოთა იმპერია სამხედრო ძლიერებამ ვერ დაიცვა, პირიქით, იგი მისი ნგრევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

კრემლის მმართველებმა ერთბაშად დაკარგეს ის, რასაც რუსეთი პეტრე I-იდან მოყოლებული 300 წლის მანძილზე აგ-

* მეორე მსოფლიო ომში გამოყენებული ჭურვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 6 მეგატონას.

როვებდა — უცხო ტერიტორიები, გავლენის სფეროები, უკიდეგანო საზღვრები.

1950-ან წლებში დასავლეთში შიშობდნენ, რომ აზიისა და სხვა კონტინენტების ქვეყნები, დომინოს თეორიის მიხედვით — ერთი მეორის მიყოლებით, საბჭოთა გავლენის სფეროში აღმოჩნდებოდნენ. სინამდვილეში კი თვით ე. წ. სოციალისტური ბანაკი დაიშალა დომინოს ეფექტით, ერთბაშად და საბოლოოდ.

გამართლდა კენანის 1946 წლის წინასწარმეტყველებაც: „თუკი კომუნისტური პარტიის ერთობა დაირღვა, საბჭოთა რუსეთი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, უმალ ყველაზე სუსტ და უბადრუკ ქვეყნად გადაიქცევა“. მართლაც, 1990-იანი წლების დასაწყისში უკვე დამოუკიდებელი რუსეთის ფედერაცია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, იგი ქაოსის პირას იდგა. ყოფილი მტრების — დასავლეთის ქვეყნებისაგან — მოსკოვი მუდარით ითხოვდა ფინანსურ და ჰუმანიტარულ დახმარებას*.

ამ პერიოდში დიდი იმედით შევცქეროდით მომავალს. გვეგონა, კაცობრიობამ გადააბიჯა უნდობლობას, მტრობას, დაპირისპირებას და ამიერიდან გაერთიანებული მსოფლიო ერთიანად შეუტევდა სიღარიბეს, უთანასწორობას, დაავადებებსა და ეკოლოგიურ გამოწვევებს.

ამ ბედნიერ მომავალში გვესახებოდა ჩვენი ქვეყნის, უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მომავალი.

ბერლინის კედლის დაცემის მე-20 წლისთავის მოახლოებასთან ერთად მსოფლიო თითქოს კვლავ დიდ ნაწილებად, დაპირისპირებულ ძალებად იყოფა. ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ მთავარია არა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, არამედ პოლიტიკური ინტერესები, ფასობს არა სიმართლის ძალა, არამედ ძალის სიმართლე.

და რაც ყველაზე აქტუალურია: აბა ვინ წარმოიდგენდა 20 წლის წინ, რომ ახალი „ცივი ომის“ საშიშროება პატარა საქართველოს ბედთან იქნებოდა დაკავშირებული?

როგორც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმაც დაგვანახა,

* ამ მრავალმილიარდიანი დახმარების შესახებ დღევანდელ რუსეთში ნაკლებად ლაპარაკობენ.

რუსეთი ბოლო წლებში აშკარად ცდილობს „ცივ ომში“ დაკარგულის ანაზღაურებას, იგი მომძლავრდა და ახალი, დიდი ამბიციები გაუჩნდა.

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის უმწვავესი რეაქციისა იმ ბოროტებაზე, რაც საქართველოში რუსეთმა მოიმოქმედა, დასავლეთი და რუსეთი საბოლოოდ მაინც გამონახავენ საერთო ენას, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ძალიან მაღალია.

მაგრამ შეიძლება საქართველო აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მხოლოდ მას მოუწიოს წინა ხაზზე დგომა და რუსეთთან დამოუკიდებლად „ცივი ომის“ წარმოება. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რუსეთთან ჩვენ აღარ უნდა დავუშვათ. პატარა ქვეყნის ვალია მაქსიმალურად აირიდოს დამანგრეველ დაპირისპირებებში ჩართვა, გამონახოს საერთო ენა ოპონენტებთან. განსჯის საგანი შეიძლება იყოს ყველაფერი, გარდა თავისუფლების და ტერიტორიული მთლიანობისა.

ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი რუსეთს უზარმაზარ ლოდს ადარებდა, რომელიც საქართველოს თავზე ჰკიდია. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ლოდმა არ დაიტანოს — ამბობდა იგი.

დასავლეთისკენ მიმავალი გზა საქართველოსთვის უაღრესად რთული აღმოჩნდა. მაგრამ დღეს ჩვენ მარტონი არ ვართ. თუ ჩვენ გონივრულად გამოვიყენებთ ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერასა და დახმარებას, საქართველო უთუოდ გახდება დასავლეთის სამყაროს ნაწილი. დადგება დრო და საქართველო გაერთიანდება ისე, როგორც გაერთიანდა 20 წლის წინ გერმანია, როგორც ერთიანდება დღეს კვიპროსი, ან როგორც ერთ დღეს გაერთიანდება კორეა.

უმთავრეს სადღეისო ამოცანად ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მიმდინარე „ცივი ომის“ დასრულება მესახება. შინაგანი ანტაგონიზმი, დაპირისპირება და შუღლი ჩვენი სისუსტისა და დამარცხების საფუძველია. საზოგადოებრივი თანხმობა, გონიერება და მშვიდობა კი კარს გაგვიხსნის ძველი და ახალი პრობლემების მოგვარებისაკენ.

ამიტომაც მშვიდობის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე ომისა.

ᲑᲝᲚᲝᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

„ცივი ომის“ შესახებ აურაცხელი მასალა არსებობს. ამ ლიტერატურის დიდი ნაწილი ჩემი ყურადღების გარეშე დარჩა და ბევრი ავტორის მოხსენიებაც ვერ მოვახერხე. თუ მკითხველი ამ თემით დაინტერესდება, დღესდღეობით მასალების მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს.

მაგრამ მე არ შემეძლო გვერდი ამეარა ჰენრი კისინჯერის „დიპლომატიისათვის“, რომელიც, ალბათ, საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს. ასევე ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოვიძიე ცნობილი ავტორის ჯონ ლუის გადისის „ცივ ომში“. საყურადღებოა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი დირექტორისა და ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრის რობერტ გეიტსის წიგნი „ჩრდილიდან“. მასში ისეთი ფაქტებია მოყვანილი, რომლებიც ადრე გასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ ბოლო წლებში გახდა ხელმისაწვდომი. იგივე შეიძლება ითქვას მოსკოვში აშშ-ს ყოფილი ელჩის ჯონ მეტლოკის წიგნზე „რეიგანი და გორბაჩოვი“.

თავისთავად საყურადღებოა საბჭოთა ავტორების ნაშრომებიც, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფდი ნიკიტა ხრუშჩოვის, ანდრეი გრომიკოს, ედუარდ შევარდნაძის, ანატოლი დობრინინის, ვიქტორ სუხოდრევის მოგონებებს.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემები შესანიშნავადაა გაშუქებული რევაზ გაჩეჩილაძის ციტირებულ ნაშრომში. ამ წიგნის წაკითხვასაც აუცილებლად ვურჩევ დაინტერესებულ მკითხველს.

მადლობას ვუხდი ჩემს ძმას ვახტანგს მხარდაჭერისათვის, ხოლო ვაჟა ლორთქიფანიძესა და ლაშა თაბუკაშვილს ზუსტი და სასარგებლო რჩევებისათვის.

განსაკუთრებული მადლიერებით ავღნიშნავ მარინე თუშიშვილის, ასევე ნოდარ გიოშვილის, ლეილა საათაშვილის, ნანა გიორგაძისა და ციალა ხითაროვას დახმარებას.

და ბოლოს, რომ არ ვხედავდე ჩემი სტუდენტების ინტერესს, ალბათ ამ წიგნის წერას სულაც არ მივყოფდი ხელს. მადლობა მათ.

ციტირებული ლიტერატურა

თავი I. „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ...“

1. Уинстон Черчиль, Мускулы Мира. Москва: изд-во „Эскмо“, 2003, გვ. 510.
2. John Lewis Gaddis, The Cold War. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 11.
3. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995. გვ. 400.
4. Simon Sebag Montefiore, Stalin: The Court of the Red Star. New York: Kopf, 2004, გვ. 502.
5. Terry H. Anderson, The United States, Great Britain and the Cold War 1944-1947. University of Missouri, Press, 1981, გვ. 69.
6. John Lewis Gaddis, The Cold War. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 22.
7. George Kennan, Long Telegram From Moscow. Feb. 22, 1946, in Foreign Relations of the United States, 1946, გვ. 666.
8. George Kennan, The Sources of Soviet Conduct. Foreign Affairs, 25 July 1947, გვ. 575.
9. Novikov to Soviet Foreign Ministry, September 17, 1946, in Jensen, ed., Origins of the Cold War: The Novikov, Kennan and Roberts „Long Telegrams“ of 1946, გვ. 3-16.
10. Уинстон Черчиль, Мускулы Мира. Москва: изд-во „Эскмо“, 2003, გვ. 482.
11. George Marshall, European Initiative Essential to Economic recovery. US Department of State Bulletin, vol. XVI, no. 415, გვ. 1160.

12. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 453-454.
13. საინფორმაციო ცენტრი ნატო-ს შესახებ. საინფორმაციო ბიულეტენი 1, 2006, გვ. 9.
14. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 458.
15. А. Громыко, Памятное, Книга Первая, Москва: изд-во Политической Литературы, 1988, გვ. 359.
16. Уинстон Черчиль, Мускулы Мира. Москва: изд-во „Эскмо“, 2003, გვ. 513.
17. Foreign Affairs. March-April 2008, გვ. 28.
18. იქვე, გვ. 28
19. იქვე, გვ. 28
20. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 468.

თავი II. კრიზისიდან კრიზისამდე.

1. А. Громыко, Памятное. Книга Первая, Москва: изд-во Политической Литературы, 1988, გვ. 361.
2. Kathryn Weatersby, Stalin and the Korean War, in Letter and Painter, eds. გვ. 274-275.
3. John Lewis Gaddis, The Cold War. London, Penguin Books Ltd, 2005, გვ. 49-50.
4. John A. Armitage, The View From Czechoslovakia. Seattle: University of Washington Press, 1982, გვ. 225-226.
5. http://www.coldwar.ru.
6. А. Громыко, Памятное. Книга Первая. Москва: изд-во Политической Литературы, 1988, გვ. 366.
7. Литературная Газета, 1988, №8.

8. Khrushchev Remembers, The Last Testament Massachussets, Bantam Edition, 1976. გვ. 234.
9. John Lewis Gaddis, The Cold war. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 125.
10. იქვე, გვ. 126.
11. Khrushchev Remembers, The Last Testament Massachusetts: Bantam Edition, 1976, გვ. 257.
12. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 557.
13. იქვე, გვ. 557.
14. იქვე, გვ. 558
15. იქვე, გვ. 559.
16. იქვე, გვ. 563.
17. Paul E. Zinner. National Communism and Popular Revolt in Eastern Europe. New York: Columbia University Press, 1956, გვ. 463.
18. Keith Kyle, Suez. New York: St. Martin's, 1991, გვ. 314.
19. Little, American Orientalism. გვ. 179.
20. Li Zhisui, The Privat Life of Chairman Mao: The Memoirs of Mao's Personal Physician, translated by Tai Hung-chao. New York: Random House, 1994, გვ. 115.
21. Khrushchev Remembers, The Last Testament Massachusetts: Bantam Edition, 1976, გვ. 309.
22. იქვე, გვ. 315.
23. იქვე, გვ. 299.
24. იქვე, გვ. 316.

თავი III. ხრუშჩოვის უზუსტესი რაკეტები და მისი სიურრეალისტური დიპლომატია

1. John Lewis Gaddis, The Cold War. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 70.

2. В. Суходрев, Язык мой друг мой. Москва: Изд-во АСТ, 1999, გვ. 51-52.
3. იქვე, გვ. 70.
4. იქვე, გვ. 127-129.
5. Khrushchev Remembers, The Last Testament. Massachusetts: Bantam Edition, 1976. p 575.
6. В. Суходрев, Язык мой друг мой. Москва: Изд-во АСТ, 1999, გვ. 139.
7. Khrushchev Remembers, The Last Testament. Massachusetts: Bantam Edition, 1976. გვ. 586.
8. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 583.
9. Khrushchev Remembers, The Last Testament. Massachusetts: Bantam Edition, 1976, p 580.
10. А. Громыко, Памятное. Книга Первая. Москва: изд-во Политической Литературы, 1988, გვ. 393.
11. А. Добрынин, Сугубо доверительно. Москва: „Автор", 1996, გვ. 65.
12. Ф. Фукуяма, Великий разрыв. Москва: изд-во Ермак, 2004, გვ. 30.
13. Dean Rusk, As I Saw It. New York: Norton, 1990, გვ. 271.

თავი IV. ილუზიების დასასრული და კონფრონტაციის ახალი რაუნდი

1. Аргументы и факты, 1988, №27.
2. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 636.
3. იქვე, გვ. 653.
4. იქვე, გვ. 660.
5. იქვე, გვ. 667.
6. იქვე, გვ. 697.
7. იქვე, გვ. 697.
8. იქვე, გვ. 700.

9. А. Добрынин, Сугубо доверительно. Москва: „Автор“, 1996, გვ. 165-166.
10. http://www.nr2.ru/117093.html
11. М. Ваисс, Международные отношения после 1945 года. Москва: „Городец“, 2005, გვ. 162.
12. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. „დიოგენე“, 2003, გვ. 334.
13. იქვე, გვ. 338.
14. М. Ваисс, Международные отношения после 1945 года. Москва: „Городец“, 2005, გვ. 174.

თავი V. ნანატრი სტრატეგიული პარიტეტი და განმუხტვის ეპოქა

1. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 35.
2. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 722.
3. იქვე, გვ. 729.
4. John Lewis Gaddis, The Cold War. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 149.
5. იქვე, გვ. 203.
6. В. Суходрев, Язык мой друг мой. Москва: Изд-во АСТ, 1999, გვ. 280.
7. იქვე, გვ. 793.
8. А. Добрынин, Сугубо доверительно. Москва: „Автор“, 1996, გვ. 258.
9. Henry Kissinger, Diplomacy. London: Simon & Schuster Ltd, 1995, გვ. 760.
10. А. Добрынин, Сугубо доверительно. Москва: „Автор“, 1996, გვ. 301.
11. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. „დიოგენე“, 2003, გვ. 340.

12. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 117.

თავი VI. განმუხტვის დასასრული

1. Transcript. Kosygin-Taraki telephone conversation, March 17 or 18 1979, CWIHP Bulletin, #8-9 (Winter, 1996/1997), გვ. 145.
2. А. Громыко, Памятное. Книга Вторая. Москва: изд-во Политической Литературы, 1989, გვ. 62.
3. А. Добрынин, Сугубо доверительно. Москва: „Автор", 1996, გვ. 439-440.
4. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 133-134.
5. იქვე, გვ. 149.
6. Nouvel Observateur. 25 March, 1968,
7. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 147.
8. იქვე, გვ. 130.
9. იქვე, გვ. 146.
10. Джек Р. Мэтлок (мл.), Рейган и Горбачев. Москва: „Р. Валент", 2005, გვ. 50.
11. John Lewis Gaddis, The Cold War. London, Penguin Books Ltd, 2005, გვ. 221.
12. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 164.
13. იქვე, გვ. 167.
14. იქვე, გვ. 168.
15. John Lewis Gaddis, The Cold war. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 215.
16. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 188.

თავი VII. საბჭოთა „პერესტროიკის“ თანაავტორი რონალდ რეიგანი.

1. John Lewis Gaddis, The Cold War. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 213.
2. იქვე, გვ. 217-218.
3. Ronald Reagan, An American Life. გვ. 611.
4. Р. Руковишников, Холодная война, холодный мир. Москва, академический проект, 2005, გვ. 452-453.
5. Speech to members of the British Parliament, London, June 8, 1982. Reagan Public Papers, 1982, გვ. 744-747.
6. Leon V. Sigal, Nuclear Forces in Europe. Washington D.C., Brooklyn's Institution, 1984, გვ. 86.
7. Джек Р. Мэтлок (мл.), Рейган и Горбачев. Москва: „Р. Валент“, 2005, გვ. 46.
8. იქვე, გვ. 70.
9. А. Добрынин, Сугубо доверительно. Москва: „Автор“, 1996, გვ. 528.
10. Р. Руковишников, Холодная война, холодный мир. Москва: академический проект, 2005, გვ. 446-447.
11. Джек Р. Мэтлок (мл.), Рейган и Горбачев. Москва: „Р. Валент“, 2005, გვ. 121.
12. იქვე, გვ. 141.
13. იქვე, გვ. 143.
14. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 231.
15. John Lewis Gaddis, The Cold War. London: Penguin Books Ltd, 2005, გვ. 213.
16. Джек Р. Мэтлок (мл.), Рейган и Горбачев. Москва: „Р. Валент“, 2005, გვ. 231.
17. იქვე, გვ. 244.
18. იქვე, გვ.256.

19. იქვე, გვ. 259.
20. Robert M. Gates, From the Shadow. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 424.
21. А. Черняев. Шесть лет с Горбачевым, გვ. 188-189.
22. Ronald Reagan, An American Life. გვ. 709.
23. Джек Р. Мэтлок (мл.), Рейган и Горбачев. Москва, „Р. Валент“, 2005, გვ. 304.
24. Joseph Rothschild, The Collapse of Communism in Eastern Europe. New York: Oxford University Press, 1993. გვ. 76.
25. Р. Руковишников, Холодная война, холодный мир. Москва: академический проект, 2005. გვ. 520.
26. იქვე, გვ. 520.
27. იქვე, გვ. 516.
28. იქვე, გვ. 539.
29. იქვე, გვ. 535.
30. Gorbachov interview. CNN, Cold War, Episode 23, The Wall Comes Down, 1989.

მხატვარი: **გიორგი წერეთელი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ირაკლი ხუციშვილი**